

გონივი გონივრად

სერბიურ თავისებრი



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი გოგოლაძე

საცნობლად თავისად

ნინუელთათვის
და ურმათათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

რედაქტორი ვიანორ ახალაია

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი
გარეკანი ნინო ებრაელიძისა

შესავალი

„ემპირიული უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისდაო:

ვინ არის, სიღამ მოსულა, ხად არის, წავა ხადოა...“ – ბრძანა დავით გურამიძეილ-მა.

ღიან, ჩვენ – ქართველები – ვინა ვართ, საიდან მოვსულვართ, სადა ვართ და რა გზით უნდა ვიაროთ – რატომ უნდა ვიამაყოთ ჩვენი ქართველობით, ქართული ენით... ამ კითხვებსე ზან-უს ნირველ ნარკვევში („ქართული ენის წუთისოფელი“) იზოვით...

თურმე ნახევარი საუკუნის წინათ შორეულ ვენესუელაში ჩატარდა მსოფლიოს ენების სანანანე წიგნების გამოფენა-კონკურსი. ჩვენს „დედაენას“ გამარჯვია ამ კონკურსში... ღიან, რატომ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ „დედაენა“ ჩვენი ზირველი წიგნი, წიგნიერების სამყაროში ჩვენი მეგზური – ამ ამბავს „დედაენის“ თავადანსავალი მოგვითხრობს...

ვინ იყვნენ, როგორები იყვნენ ჩვენი მთავარმოდვაწენი, როგორი იყო მათი დამოკიდებულება საქვეენო საქმისადმი, ერთმანეთისადმი; რა უნდა ვისწავლოთ მათგან და რა უნდა გადავცეთ მთამომავლობას – ამ საკითხებსე ვცადე საუბარი ნარკვევების ციკლში „მთავარმოდვაწენი“...

ჩვენ ბედნიერები ვართ იმითაც, რომ გკავს ისეთი მარადიული მანწავლებელი, მან-

წაუღებელთმასწავლებელი, როგორც იაკობ
გოგებაძევილია. წიგნს იაკობის შეგონებანი
დავუბრუნეთ – მარადიული თანამედროვის სიბ-
რძნის ნაყოფი.

და უოველივე ეს *ნინველთათვის* და *ერმა-
თათვის* – საცნობლად თავისადაო!

ძოდით, ესეც ვთქვათ: *ნინველს* დიდი
სუღხან-საბა ასე განმარტავს: კაცი ათიდან
ათხუთმეტ წლამდის; ხოლო *ერმას* ასე განმარ-
ტავს: კაცი ათხუთმეტიდან ოც წლამდის.

დიან, ჩვენ ეს წიგნი *ნინველთათვის* და
ერმათათვის დავუბრუნეთ – საცნობლად თავისა-
დაო!

კარი I.

ქართული ენის წუთისოფელი

წინათქმა

ამ ნარკვევს „ქართული ენის წუთისოფელი“ ჰქვია...

რას არის ქართული ენა? – ენათმეცნიერის ზანსუხი ამ კითხვასე ვერ იქნება ლაკონიური და შთამბეჭდავი. ლაკონიურად და შთამბეჭდავად თქმა ზოგჯერ შეუძლია:

*„ქართული ქართველთ რწმენას!
ღმერთთა!
ბედისწერას!
სღვა რთა –
იმოდენას!“*

(მუხრან მახვარლიანი)

რას ნიშნავს ქართული ენა ქართველი კაცისთვის? – ზოგჯერ ასე უმასუხებს ამ კითხვას:

*„ო, ენაჲ ჰემო,
ღეღაო ენაჲ!
შენ, ჰვენო ნიჭო, სრბოლაჲ და ფრენაჲ,
შენ, ჰვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჰვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჰვენთა ქვათა და კირთა“...*

(ირაკლი აბაშიძე)

და მაინც, რა არის ქართული ენა? რას წარმოადგენს ქართული ენა ქართველი კაცისთვის? რა გზა განუღო ქართულმა ენამ?..

მე, ენათმეცნიერი, ასე ვუწასუსებდი ამ (და სხვა) კითხვებს, ასე მოვეუბოდი ქართული ენის თავგადასავალს...

„საქართველოს მთებში გავაჩინა ზენამ...“

„ერო დედაა ენისა“ — ეს ვაჟა-ფშაველამ ბრძანა.

ერი და ენა უერთმანეთოდ არ არსებობს. მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთმნიშვნელობას იაკობ გოგებაშვილი ასე აზუსტებს, ასე აკონკრეტებს: „ერის განვითარება ჰირდანიონ დამოკიდებულება ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეხერხებული, ერის წინ მსვლელობაც მოსზობილია, თუ ენა უკან-უკან მიდის და დატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითიდღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აფუავების ხანა უდგება“.

მეცნიერები ენას ერის მეობის უშიშრეულეს ნიშნად მიიჩნევენ. ენა მისი მშობელი ერის აზროვნების განმსაზღვრელია და, მეორე მხრივ, აზროვნების გამოხატვის საშუალებაა. ენაში ერის ისტორიაცაა უკუფენილი: რა გზა გაიარა ერმა; ისტორიის გზამარსზე ვის გადაეყარა, როგორი იყო ურთიერთობები შემხვედრებთან — სამშვიდობო თუ სამტრო; ყოველივე ეს რაღაც სახით ყოველთვის აისახება ენაში... ამიტომაც ქართულში უხვად ვხვდებით სწარსული თუ არაბული, ბერძნული თუ თურქული, მონღოლური თუ რუსული ენების კვალს...

ეს — ვინ გადაეყარა გზაზე და როგორი იყო ეს შემხვედრები... მაგრამ სად დაიბადა ან საიდან მოვიდა ქართველი ერი? სად იშვა ქართული ენა? ენა ხომ შვილია ერისა...

გახსოვთ, ჰოეტი რომ ამბობს ქართული ენის შესახებ — „საქართველოს მთებში გავაჩინა ზენამო“ (ლადო ასათიანი)?

მაშასადამე, მშობელი — ქართველი ერი — აქ, კავკასიის მთებში, ცხოვრობდა ოდითგანვე და აქ დაიბადა ქართული ენაცო... დიანს, ამგვარ მოსაზრებას აქვს სერიოზული მეცნიერული საფუძველი...

თუმცა უმჯობესია, მივუვით თანამიმდევრულად.

* * *

ქართველი ხალხის წარმომადგენლის (ანუ ქართველთა ეთნოგენეზისის) პრობლემა ქართული მეცნიერების (ქართველოლოგიის) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

მეცნიერებაში არაერთი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისია გამოთქმული. ამ საკითხით ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში დაინტერესდნენ. სწორედ ანტიკური ავტორები გვათავაზობენ ლეგენდარულ სამოსელში გახვეულ ცნობებს ქართველთა წარმომადგენლის შესახებ. ბერძენ ავტორთა ეურადღების ცენტრში განსაკუთრებით კოლხეთი მოექცა. მოგვსენებათ, კოლხეთი ბერძენი ისტორიკოსებისა თუ მწერლების ინტერესის სფეროა: ვინ არიან კოლხები? ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე თვლის (V საუკუნე ჩვენს ერამდე), რომ კოლხები ეგვიპტური წარმომადგენლის ხალხია. საიდან მივიდა ამ დასკვნამდე? — ეგვიპტელებთან კოლხების მსგავსების საბუთად ჰეროდოტეს მათი გარეგნობა, ენა, სამეურნეო საქმიანობა და ცხოვრების წესი მიაჩნდა... ჩვენ ამ და სხვა მსგავს თვალსაზრისებზე კამათს არ ვაპირებთ (არც გვაქვს ამის შრეტენხია). ...თუმცა ჰეროდოტე მხოლოდ კოლხებზე საუბრობს; სხვა ქართველ ტომებს არ იცნობს...

აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა — იბერიელების — შესახებ აზრს გამოთქვამს სხვა ბერძენი ისტორიკოსი — მეგასტენე (III საუკუნე ჩვენს ერამდე). ის ფიქრობს, რომ იბერიელთა თავდაპირველი სამშობლო ესპანეთია (იგივე ბასკეთი); ანუ იბერიელები დასავლეთიდან მოვიდნენ კავკასიაში. ამის საფუძველი ის ჩანს, რომ ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი „დასავლეთის იბერიელების“, ანუ ცნობილი ბასკებისა, და „კავკასიის იბერიელების“, ანუ ქართველების, საერთო წარმომადგენლობის შესახებ. ძალიან მხელი სათქმელია, ჰეროდოტეს რა ამლევდა ეგვიპტესთან ქართველების მსგავსებაზე საუბრის საფუძველს, მაგრამ დემოსთენეს თვალსაზრისისათვის სერიოზული საფუძველი ქართული და ბასკური ენების საინტერესო მსგავსება ჩანს (ამის თაობაზე ქვემოთაც მოგვიწევს საუბარი)...

არსებობს სხვა თვალსაზრისებიც... თავისთავად ის ფაქტი, რომ ანტიკურ საისტორიო წყაროებში ასეთი ინტერესია ქართველი ხალხის შესახებ, მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს წელთაღრი-

ცნვამდეც ქართველები ზოპულარულნი იყვნენ და ცივილიზებული მსოფლიოს ურადლებას იმსახურებდნენ...

რას ამბობს ქართული წყაროები ქართველთა წარმოშობის შესახებ? „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კავკასიაში ქართველთა დასახლებას ალექსანდრე მაკედონელის (IV საუკუნე ჩვენს ერამდე) სახელთან აკავშირებს: ალექსანდრე მაკედონელმა *არიან-ქართლის* მეფის შვილი აზო დასვა მეფედ მცხეთაში. აზომ თავისი მამის ქვენიდან, *არიან-ქართლიდან* (ქართველთა თავდაპირველი საცხოვრისიდან) ჩამოიყვანა ხალხი და დასახლა მცხეთასა და მის შემოგარენშიო... ასე წარმოიქმნაო ქართველთა სამეფო – ქართლი, რომლის პირველი მეფე აზო გამხდარაო. ასე გახდა ქართველი მოსახლეობა საქართველოს მიწა-წყალზეო – გვარწმუნებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მეცნიერება ამ ცნობას ფაქტად არ განიხილავს. გაურკვეველია „არიანის“ რაობა, „არიან ქართლის“ თავდაპირველი სამეოფელი, თუკი საერთოდ არსებობდა, საქართველოს სამხრეთით უნდა ყოფილიყო, თუცა ეს ვარაუდი სერიოზულად არ განიხილება...

„ქართლის ცხოვრებაში“ არის ცდა ქართველთა წინაპრების ბიბლიური ჰერსონაქებიდან გამოყვანისა; ქართველთა წარმოშობის შესახებ მსგავსი ვარაუდები გამოითქვა მეცნიერებაშიც. იოსებ ფლავიუსმა (I საუკუნე) ქართველების (იბერიელების) წინაპრებად ბიბლიური თუბალები მიიჩნია. ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც XX საუკუნეში ლურსმული წარწერების გაშიფრვის შემდეგ დადასტურდა ბიბლიური თუბალებისა და მოსოხების (იბერიელებისა და მესხების წინაპრების) რეალური არსებობა. ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ თუბალებისა და მოსოხების გაერთიანებები ქართველთა გაერთიანებებია, რომლებიც არსებობენ ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულებში მცირე აზიაში... ასე ფიქრობდნენ ძველი ასურული ლურსმული დამწერლობის გაშიფრვის შემდეგ. ისტორიაში კარგად ცნობილ მუშქებს, მოსოხებს, მოსხებს მესხების წინაპრებად მიიჩნევენ და სამხრულ-დასავლურ ქართველურ ტომებად აცხადებენ. ეს ვარაუდი ერთ-ერთი საკულისხმო თვალსაზრისია და ეგუება ქართველთა ავტოქტონობის თეორიას.

ქართულ საისტორიო და საენათმეცნიერო ლიტერატურაში დიდი ზოპულარობა მოიპოვა სიმონ ჯანაშიას ეთნოგენეტიკურმა

კონცეფციამ. მან ფაქტობრივ უარყო ქართველთა გადმოსახლების – საქართველოში სხვა მხრიდან ქართველთა მოსვლის – ვარაუდი და დაამკვიდრა თვალსაზრისი, რომ ქართველები წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. ს. ჯანაშიამ ასეთი ისტორიული სქემა შემოგვთავაზა (მოგვეავს შ. მიძიგურის წიგნიდან „ქართული ენის თავგადასავალი“):

ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ აზიის მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აზენინისა და ჰირენეის ნახევარკუნძულებზე) მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ. ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დამდგენისათვის წინა აზიის ხალხებიდან ცნობილი იყო ხეთები და სუბარები. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიამდე. ხეთა-მითანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას ეკუთვნოდა. ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის საუკუნეებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე – დასავლური და აღმოსავლური, რომლებიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა – დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს. ამავე ხანებში სამხრეთში, წინა აზიაში, ასურეთი გაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ეოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები. ძვ.წ. IX საუკუნეში კი ეველანზე უფრო ენერგიულ ბრძოლებს ასურელებს თუბალები უმართავენ. ძვ.წ. IX-VII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო – ურარტუ – შექმნეს. აქვე მესობლად არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო. მანამდე სამხრეთის და ხეთურ-სუბარული სახელმწიფოები განადგურდნენ, მაგრამ უკვე ძვ.წ. VI საუკუნისათვის სუბარეთის ჩრდილო რაიონების, კერძოდ – დღევანდელი საქართველოს – მოსახლეობა ისე იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადავი არსებობდა. ამიტომაც, როცა ურარტუს სამეფო დაეშვა და მისი ცენტრი ვანის ტბის ჰორას მოიხშო, სახელმწიფოებრივმა ცენტრმა უფრო ჩრდილოეთისკენ გადმოინაცვლა. აქ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი, იბერია.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული ისტორიაში ქართველებს მოიხსენიებენ „კოლხების“, „იბერიელების“, „მესხების“ სახელწოდებით. ესაა ქართველთა დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ტომობრივი გაერთიანებები. სწორედ კოლხეთი, იბერია და მესხეთი გახლავთ ის ნიდაგვი, რომელზედაც შუა საუკუნეებში შეიქმნა ქართული ფეოდალური სახელმწიფო.

ასეთია ქართველთა ავტოქტონობის ძირითადი კონცეფცია. ის თვალსაზრისი, რომ სამხრეთ კავკასია იყო ქართველთა თავდაპირველი სამშობლო, ისტორიული, არქეოლოგიური და ენათმეცნიერული მასალების საფუძველზე არაერთმა მეცნიერმა გაამყარა. ორიოდე მოწმობა: ბ. კუფტინი (1892-1953 წწ.) – „ქართველი ხალხის ამჟამინდელიცა და უძველესი სამშობლოც სამხრეთ კავკასიაა;“ გ. ძელიქიძევილი – „ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე;“ თ. ვამერელიძე, ვ. ივანოვი – „ქართველები ოდითგანვე ცხოვრობდნენ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ მცირე კავკასიონის (მესხეთ-ჯავახეთის რეგიონი) ცენტრალური და დასავლეთი ნაწილის მთიანეთში. ძვ. წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში აქედან დასავლეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილისკენ მოხდა ქართველური ტომების მიგრირება“...

საერთოდ, ვუიქრობთ, ენათმეცნიერების, ისტორიის, არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მონაცემთა მიხედვით, უუკუველი ჩანს, რომ ქართველთა წინაპრების თავდაპირველი სამშობლო სწორედ სამხრეთ კავკასიაა; რომ ქართველთა წინაპრები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ამ ორი-სამი ათასეული წლის წინათ ცხოვრობდნენ...

სწორედ აქ, საქართველოში, იშვა ქართული ენა. სწორედ ამას გულისხმობდა ზოეტი, როცა ქართულ ენას ასე ამკობდა:

*„საქართველოს მთებში გავახინა ზენამ,
ნძათა ხვეურდების და ღმერთების ენაჲ!“*

ქართული ქართველთ რწმენაა

სევით მუხრან მაჭავარიანი მოვიხმეთ:

„ქართული მარტო ენაა?!

ქართული ქართველთ რწმენაა!

ღმერთია!

ბედისწერაა!“..

რა არის ეს — ზოგჯერ ფანტაზია, ლამაზი ზოგჯერ ფანტაზია თუ ჭეშმარიტება?

მ. მაჭავარიანი ამასაც წერს:

„ენაშია ხვენი ქართველობა!

ენაა ხვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!“..

რა არის ეს — თავმოწონება ამბიციური ქართველი კაცისა თუ ჭეშმარიტება? რა თქმა უნდა, ჭეშმარიტება, ისტორიული გამოცდილებით განმტკიცებული ჭეშმარიტება. გავიხსენოთ ისტორია ქართველი კაცის დამოკიდებულებისა ქართულ ენასთან და ვირწმუნოთ ეს ჭეშმარიტება.

მოდით, ჯერ ენის „ნიკვდილ-სიცოცხლის“ თემას შევეხეთ...

ენა ცოცხალი ფენომენია. იზრდება, ვითარდება, მძვინვარებს და... საუბედუროდ, კვდება კიდევ. კაცობრიობის ისტორიამ უამრავი ისეთი ენა იცის, რომელიც დღეს აღარაა ცოცხალი: უნარტული თუ შუქურული, ხეთური თუ ხათური, ზელანჯური თუ სხვა და სხვა... ოდესღაც იყვნენ კულტურული ერები — უნარტელები და შუქურები, ხეთები თუ ხათები, ზელანჯები... ჰქონდათ საკუთარი ქვეყანა, ენა, კულტურა, დამწერლობა და დღეს მხოლოდ ისტორიასლა შემორჩა მათი სახელი. მოკვდა ენა, გაქრა სახსენებელი ხალხისა. ცხადია, არ ივანაუდება, რომ გენეტიკურად უნარტელების, შუქურებისა თუ ზელანჯების შთამომავლები ერთიანად

გადაშენდნენ, მოისპნენ. არა, ენა დაიკარგა, ენა გაქრა და ამ ხალხების შთამომავლები სხვა ენაზე ამეტყველდნენ... შესაბამისად, გაქრა სახსენებელი ხალხისა. ამიტომაცაა ტემპარიტება ჰოეტის ნათქვამი – „*რე ენა წახდეს, ერთე დაეცეს*“ (გ. ობელიანი)... და შემერული თუ ხეთური ენები შემორჩა იმ უძველეს ტექსტებში, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს...

მკვდარი ენაა ლათინურიც. ოდესღაც უხარმაზარი რომის იმპერიის სახელმწიფო ენა დღეს მკვდარ ენად ითქმის. მართალია, ვითარება შემოსხენებულ ენებთან შედარებით განსხვავებულია: შემოგვიყვანა უძლიერესი ლათინური ლიტერატურა, რომელიც ითარგმნება მსოფლიოს ენებზე. ლათინური ისწავლება უნივერსიტეტებში, XIX საუკუნეში ლათინური იყო მეცნიერების ენა; ლათინური ენა არის ერთ-ერთი ძირითადი საურდენი სამეცნიერო ტერმინოლოგიისა; საერთაშორისო მასშტაბით ლათინური ენა არის სამედიცინო დარგის ენა... და მაინც, ლათინურ ენას მკვდარ ენას ვეძახით. რატომ? – ლათინური ენა დღეს აღარ არის ვინმეს დედაენა, მშობლიური ენა. ლათინურ ენაზე დღეს ბავშვი არ იდგამს ენას – ლათინური არ არის აკენის ენა!

რა თქმა უნდა, ძველი რომაელების – ლათინების – შთამომავლები ევროპაში – იტალიასა თუ სხვაგან – მრავლად არიან, მაგრამ მათი დედაენა სხვაა და ამიტომაც სხვა ეროვნებისად იწოდებიან. ამიტომ სჭირდება გაფრთხილება, მოვლად-პატრონობა ენას; რომ არ წახდეს ენა, თორემ გაქრება სახსენებელი ერისა. სწორედ ამიტომ გვაფრთხილებს ჰოეტი: „*მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის*“ (ილია).

რა იწვევს ენის სიკვდილს? – მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს; ორ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან.

პირველი მაგალითი:

ჩვენს მესობლად, ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, ცხოვრობდა ალბანელი ხალხი. ქვეყანას ალბანეთი ერქვა (კავკასიის ალბანეთი, კავკასიის ალბანელები). ალბანეთი განვითარებული ფეოდალური ქვეყანა იყო. ალბანელები ადრე წარმართები იყვნენ; IV საუკუნეში გაქრისტიანდნენ; V საუკუნიდან ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, რომლის ნიმუშებმა ჩვენამდეც მოაღწიეს... მოკლედ, X საუკუნემდე ალბანე-

თი არსებობს, ალბანელები იხსენიებიან ქართულ, სომხურ, სპან-სულ თუ ბერძნულ წყაროებში. „XI საუკუნეში ამიერკავკასია თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და მასობრივად დასახლდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილიაცია მოჰყვა. ალბანეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აყვრ-ბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი კახელებს, მთიანი უბნების სომხებსა და დღესტინის მოსახლეობას შეერწყა“ (ქართული ენციკლოპედია). და მოკვდა ალბანური ენა, გაქრა, როგორც ეთნოსი, ალბანელი ხალხი... და ეს მოხდა ათიოდე საუკუნის წინათ... ვერ გადაარჩინა ალბანეთი და ალბანელები ვერც კულტურამ, ვერც დამწერლობამ, ვერც სარწმუნოებამ (ქრისტიანები იუვენენ); წახდა ენა – დაეცა ერი...

მეორე მაგალითი:

ჩრდილო კავკასიაში, დასავლეთ ნაწილში, სოჭის ახლომხლო, ცხოვრობდნენ უბიხები. მათ თავიანთი ენა ჰქონდათ – უბიხური. უბიხური ენა აფხაზურ-ჩერქეზული მოდგმისა იყო. ამბობენ, XIX საუკუნისათვის უბიხურად 25 000-მდე კაცი ლაპარაკობდაო. უბიხები თავიანთ მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე.

XIX საუკუნეში კავკასიაში რთული პროცესები განვითარდა – დაიწყო მუჰაჯირობა (გადასახლება, ემიგრაცია). მირითადი მიწები ამისა კავკასიისა და რუსეთ-ოსმალეთის ომები იყო. ეს პროცესი – მუჰაჯირობა – ხელს აძლევდა, ერთი მხრივ, თურქეთს და, მეორე მხრივ, რუსეთს. ოსმალეთი ცდილობს, მაჰმადიანი კავკასიელები დასახლოს ოსმალეთის იმპერიის დაუსახლებელ ადგილებში; ამიტომ გაააქტიურა ავიტაცია, რომ რუსეთი მათი მტერი იყოს, ძალით გააქრისტიანებს მათ და ა.შ.

თავის მხრივ მაჰმადიანი კავკასიელების ოსმალეთში გადასახლებით რუსეთს სურს, პოლიტიკური სიმშვიდე მოიპოვოს კავკასიაში და, შესაბამისად, ხელს უწყობს ამ პროცესს. და ეს რთული პროცესი შეეხო აფხაზებს, ჩერქეზებს, ებარდოელებს, ჩეჩნებს, სამხრეთ კავკასიაში მოსახლე მაჰმადიან ქართველებს, აჭარლებს... საბედნიეროდ, ჩამოთვლილ ტომებს მუჰაჯირობა ნაწილობრივ შეეხო... ზოგი მათგანი კომპაქტურად დასახლდა და დღემდე შემოი-

ნახეს მშობლიური ენა, მაგალითად, მუჰაჯირმა ქართველებმა სტამბულის მიდამოებში, აფხაზებმა, ჩერქეზებმა...

მთლიანად გადასახლდნენ კავკასიიდან უბიხები. და გაიხსნა ოსმალეთის იმპერიაში. თანდათან დაიწყო მათი ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. 50-იან წლების წინათ თურქეთში არსებობდნენ უბიხები (თითო-ორი), რომელთაც იცოდნენ თავიანთი ენა. დღეს უბიხურ ენაზე აღარაინ საუბრობს — უბიხური ენა მოკვდა, 1965 წელს წერდა არნ. ჩიკობავა (1898-1985 წ.): „ამჟამად თხუთმეტობდნენ კაცმა თუ იცის უბიხური: სხვები ან აღიდეგურზე გადავიდნენ, ანდა თურქულზე“. საბედნიეროდ, ქართველმა თუ უცხოელმა ავტორებმა (გ. როგავა — 1905-1987 წ., ქ. ლომთათიძე — 1911-2007 წ., ზ. უსლარი — 1816-1875 წ., ქ. დიუმიხილი — 1898-1987 წ., ჰ. ფოგტი 1903-1986 წ.) აღწერეს და გამოიკვლიეს უბიხური, როგორც ვთქვით, აწ უკვე მკვდარი ენა.

ცხადია, უბიხების გენეტიკური შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ თურქეთსა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგრამ ისინი აღარ იწოდებიან უბიხებად!...

წახდა ენა, დაეცა ერი...

ამიტომაც გვაფრთხილებს ჰოეტი — „რო ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, ანდა „მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“...

საბედნიეროდ ჩვენმა, ქართველმა ხალხმა გაუძლო უამრავ უბედურებას და ქართველმა ერმა შეინარჩუნა ქართული ენა! გადარჩა ენა — გადარჩა ერი!

ჩვენ ისეთი შემთხვევები გავიხსენეთ, როცა ენა ხალხთან ერთად დაიკარგა...

არის შემთხვევები, როცა ხალხი აგრძელებს ცხოვრებას, არსებობას, მაგრამ იცვლება ენა და იცვლება იმდენად, რომ სხვა ენას ვიღებთ.

ცნობილი ფაქტია: ძველი და ახალი ბერძნული ორი სხვადასხვა ენაა. ახალი ბერძნული დღეს საბერძნეთის სახელმწიფო ენაა, ძველი ბერძნული ენა — ჰომეროსის, პლატონის, პლუტარქესა და სხვათა დედაენა — მკვდარი ენაა. დიანს, ძველი ბერძნული მკვდარი ენაა, ახალი ბერძნული — ცოცხალი. არადა, ერთი ენის

განვითარების ორი საფეხურია, ძველი ბერძნულის საფუძველზე განვითარდა და ჩამოყალიბდა ახალი ბერძნული...

ასეთივე ვითარებაა სომხურშიც. თუ ქრონოლოგიურად ძველი ბერძნული IV საუკუნემდე ენას ეთქმის, სომხურის სინამდვილეში ქრონოლოგია უფრო ახლოა: V-XI საუკუნეების სომხურს ვუწოდებთ ძველ სომხურს (გრანბარს), ხოლო შემდგომდროინდელ სომხურს, დღევანდელს – ახალ სომხურ ენას (აშხარანბარს). გრანბარი მკვდარი ენაა, აშხარანბარი – ცოცხალი. გრანბარი აშხარანბარის საფუძველია; აშხარანბარი – გრანბარის განვითარების შედეგი.

ორივე – ძველი ბერძნულისა და ძველი სომხურის – შემთხვევაში საქმე გვაქვს მკვდარ ენასთან, თუმცა ერი ცოცხლობს და ლაპარაკობს მკვდარი ენის განვითარების საფუძველზე მიღებული ენით. ამ ენათათვის მკვდარი ენის წოდება გარკვეულწილად ზირობითია – ენა იცვლება და ეს ცვლილება ისე ხელშესახებია, რომ ამ ენაზე მოსაუბრისთვის არაა გასაგები მისი შორეული წინაპრის ნაუბარი... ალბანურისა თუ უბისურის შემთხვევაში ზრინცაშულად სხვა ვითარება იყო – ენამ შეწყვიტა არსებობა... სამწუხაროდ, შედეგი ერთგვარია: არც უბისურია დღეს აკვნის ენა, არც ლათინური და არც გრანბარი. საბედნიეროდ ჩვენდა, არ მოხდა ასე ქართული ენის შემთხვევაში...

მოდით, ასე ვთქვათ, გრანბარის სიკვდილის მიხეცხი ის კანონზომიერებაა, ენის ცვალება რომ ჰქვია.

ახლა მოვლენას შევხედოთ სხვა კუთხით: V-X საუკუნეების სომხური დღევანდელი სომხისათვის გაუგებარია, სხვა ენაა; ამავე პერიოდის ქართული – დღევანდელი მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად გასაგებია; არაა სხვა ენა. ამიტომაც ტერმინს *ძველი ქართული ენა* ზირობით, სამუშაო ტერმინად მიიჩნევენ. საუბრობენ ერთი და იმავე ენის (ქართული ენის) განვითარების ორ საფეხურზე (ძველი ქართული და ახალი ქართული) და არა ორ ენაზე. არიან მეცნიერები, რომლებიც ამგვარ ზირობით დაეოფასაც (ძველი ქართული – ახალი ქართული) არასწორად მიიჩნევენ. ქართული მთლიანობაა – „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (რ. თვარაძე). და არის ჭკმძარიტება ამგვარ მიდგომაშიც. ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

მაგრამ ხომ ფაქტია, რომ იაკობ სუცესისა და გიორგი მერხულის ქართულსა და დღევანდელ ქართულს შორის არის გარკვეული განსხვავება. დიან, ეს ფაქტია, მაგრამ ეს არ არის იმ ხარისხის განსხვავება, რაც გრანბარსა და აშხარბარს შორის არსებობს. რა მოხდა, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ქრონოლოგიური დონის ორი მონაცემი ერთ შემთხვევაში განსხვავდება ენათა დონეზე (გრანბარი – აშხარბარი), ხოლო მეორე შემთხვევაში – ერთი ენის ორი ისტორიული ნაირსახეობის (ძველი ქართული – ახალი ქართული) დონეზე?

ანუ: V-X საუკუნეების სომხური და დღევანდელი სომხური ორი ენაა; ხოლო V-X საუკუნეების ქართული და დღევანდელი ქართული – ერთი ენაა... რატომ?

სანამ დასმულ კითხვას ვუპასუხებდეთ, ერთ საკითხსაც მივაქცევთ ყურადღებას.

ცოცხალი ენა იცვლება. ცვლილება ორი სახისაა: ენა იცვლება დროსა და სივრცეში.

თუ ერთმანეთს შევუდარებთ სხვადასხვა ეპოქის ენობრივ მონაცემებს, სხვაობას ამკარად შევამჩნევთ. იაკობ ცურტაველის, გიორგი მერხულის, შოთა რუსთაველის, დავით გურამიძეის, ილია ჭავჭავაძისა თუ ანა კალანდაძის თხზულებათა ენა საკმაო სხვაობას ავლენს ერთმანეთთან. ეს არის დროში მომხდარი ცვლილება. უოველი მათგანის შემოქმედება თავიანთი ეპოქის ქართულის სახეა. ამგვარ ცვლილებას შეისწავლის ენის ისტორია.

მოვიაროთ საქართველო. ვესაუბროთ ხევსურეთში ხევსურს, ფშავეში – ფშაველს, კახეთში – კახელს, ქართლში – ქართლელს, იმერეთში – იმერელს, რაჭაში – რაჭველს, გურიაში – გურულს, აჭარაში – აჭარელს და ა. შ. კითხვაზე – რა ენაზე საუბრობს ჩვენი თანამოსაუბრე. პასუხი ერთი იქნება – ქართულად. დიან, ქართულია ხევსურულიც, ფშაურულიც, კახურიც, ქართლურიც, იმერულიც, რაჭულიც, გურულიც, აჭარულიც თუ სხვა კუთხეთა მეტყველებაც. დაკვირვებული კაცი ადვილად შეამჩნევს იმ სხვაობას, რაც ამ ქართველთა მეტყველებასა. ამგვარ განსხვავებას, ცვლილებას ვუძახით სივრცეში მომხდარ ცვლილებას. ამგვარ ცვლილებას შეისწავლის დიალექტოლოგია.

დროში თუ სივრცეში მომხდარი ცვლილებების შედეგად წარმოიქმნება ნაირსახეობანი; დროში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს ენის ჰერიოდებს, განვითარების ეტაპებს ვუწოდებთ; სივრცეში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს – დიალექტებს.

ენის განვითარების ჰერიოდები (ძველი ქართული ენა, საშუალო ქართული ენა, ახალი ქართული ენა თუ თანამედროვე ქართული ენა) და დიალექტები (ხევსურული, ფშაური, კახური...) საერთო-სახალხო ენის – ქართული ენის – ნაირსახეობებია.

როგორც დროში მომხდარი ცვლილება, ისე სივრცეში მომხდარი ცვლილება შეიძლება საფუძველი გახდეს ენათა წარმოქმნისა. შემომოყვანილი მაგალითები სომხური და ბერძნული ენებისა არის დროში მომხდარი ცვლილების შედეგი. დროთა განმავლობაში ცვლილება ისე შორს წავიდა, განსხვავება იმდენად დიდი გახდა, რომ მივიღეთ ახალი ენები.

მონათესავე ენათა წარმოქმნის საფუძველი სწორედ სივრცეში მომხდარი ცვლილებებია. მაგალითისათვის: ძველ სლავურ ენას ჰქონდა თავისი სივრცული ნაირსახეობები (დიალექტები), რომლებიც დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ – რუსული, ბელორუსული, უკრაინული, ბულგარული... თუმცა ამ შემთხვევაში დროში მომხდარი ცვლილებების წილიც დიდია.

შემოდანსმული კითხვა მაინც ზასუსხვასაცემია: ერთი და იმავე ქრონოლოგიური დონის ორი ენობრივი ერთეული სომხურის შემთხვევაში რატომ იქნა ენებად, ხოლო ქართულის შემთხვევაში – ერთი ენის ნაირსახეობებად?

ცვლილება ცოცხალი ენის არსებობის ერთ-ერთი პირობაა. „ენა, როგორც შემოქმედება, გულისხმობს ენაში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული კანონზომიერების არსებობას“ (ბ. ჯორბენაძე 1942-1993 წწ.). მაგრამ „ენა, როგორც შედეგი, გვავარაუდებინებს ენაში რაღაც მუდმივი (მისი ძირითადი სახის შემანარჩუნებელი) მონაცემის არსებობას“ (ბ. ჯორბენაძე), ანუ ენაში რეალურად არსებობს მუდმივი და ცვლადი მონაცემები.

ცვლილება შეიძლება შეეხოს ენის ნებისმიერ სფეროს, დაწესებული მისი ფონოლოგიური სტრუქტურებიდან, გრამატიკის, ლექსიკის, სემანტიკის საკითხებით ვაგრძელებული.

მაგალითისათვის: ძველ ქართულს ახალთან შედარებით რთული ბგერითი სისტემა ჰქონდა, კ, ჟ და უ განასხვავებდა. განსხვავებული იყო ბრუნვათა სისტემაც (წრფელობითი ბრუნვა იყო ძველ ქართულში), მწკრივთა სისტემა (ხოლმეობითის მწკრივები...) და სხვა. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... ეველანზე მეტად თვალშისაცემია ლექსიკური განსხვავება. თუმცა, თუ ამ განსხვავებულ ფაქტებსა და მოვლენებს საერთო (ძველი და ახალი ქართულინათვის) მონაცემებს შევუდარებთ, აღმოჩნდება, რომ უცვალეებელი, მუდმივი გაცილებით სჭარბობს ცვლებადს.

ანუ: ქართულ სინამდვილეში ცვლადისა და მუდმივის თანაფარდობა მუდმივის სასარგებლოდ წყდება. ესაა საფუძველი იმისა, რომ ძველი ქართული ენის ძეგლები თანამედროვე მკითხველისათვის გასაგებია; იმისა, რომ ძველი და ახალი ქართული არის ერთი ენის ორი ნაირსახეობა...

იმ შემთხვევაში, როცა ენაში ცვლადი წააჭარბებს მუდმივს, მაშინ ვიღებთ სომხურისა თუ ბერძნულის მსგავს ვითარებას: ერთი ენისაგან განსხვავებულ მეორე ენას.

ცვლებადის სიჭარბე მუდმივთან არ არის დამოკიდებული დროის მონაცემებზე. ამის დასტური ქართული და სომხური ენების შედარებაა: როგორც ითქვას, V-X საუკუნეების სომხური სხვა ენაა, ვიდრე XX საუკუნის სომხური. V-X საუკუნეებისა და XX საუკუნის ქართული ერთი ენის ორი ნაირსახეობაა.

ასეთი კითხვა ჩნდება: რა არის ის, რაც განაპირობებს მუდმივის სიჭარბეს ცვლადთან ქართულ სინამდვილეში და პირიქით – ცვლადის სიჭარბეს მუდმივთან – სხვა ენათა (სომხურის, ბერძნულის...) შემთხვევაში?

მოდით, სხვა ენების ამბავი გვერდზე გადავდოთ და ქართულზე ვისაუბროთ... სომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დელაენისადმი ქართული კაცის უნიკალური დამოკიდებულება უნდა იყოს საფუძველი ყოველივე ამისა. კერძოდ რა? ვიფიქროთ:

სამი საუნჯე და ოთხი ბურჯი

1861 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ მალვას ძის ერისთავის კანცლოვის-მიერ „მემლილი“-ს თარგმანზედა“. სწორედ ამ წერილის დასასრულს წერს ილია იმას, რაც არა მხოლოდ ქართველთა იმ თაობის, არამედ საერთოდ ქართველობისათვის მარადიულ შეგონებად იქცა:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამითაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა ზანსუხს გავსცემთ შთამომავლობას?“

ანუ: ჩვენს ქართველობას სამი მთავარი კომპონენტი ქმნის – მამული, ენა, სარწმუნოება. ქართველობა მხოლოდ ამ სამების ერთობაა. ამ სამებიდან ენა გამოირჩეული საუნჯეა: *„ენა ხალხთა რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მკვანს კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხებოდეს!“* – გვიმოდვრავს ილია და გვაფრთხილებს: *„სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“*. ასე ხედავს ილია ჭავჭავაძე ენის როლსა და მნიშვნელობას ერის არსებობისათვის და ჩვენს ვალდებულებას ენის მიმართ.

ასევე ფიქრობს იაკობ გოგებაშვილიც. ილიას *ღვთაებრივ საუნჯეს* იაკობმა *ბურჯი ეროვნებისა* უწოდა და სამეულს მეოთხე კომპონენტი მიუმატა – ეროვნული სკოლა, ანუ: ჩვენი ქართველობის განმსაზღვრელად, საფუძვლად ოთხი მთავარი ბურჯი გამოაცხადა: *მამული, ენა, სარწმუნოება და ეროვნული სკოლა*. იაკობის აზრით, ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ერის აღორძინებისათვის განსაკუთრებით საძირკვედ ენაა. *„ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსაზობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და დატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლეურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითიდღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იძარბება, ძალღონეს იძენს, ავჯავების ხანა უდგება...“* ხოლო თუ როგორ უნდა მოვეპყროთ და ვუპატრონოთ დედაენას, ეს ცალკე თემაა იაკობთან.

მოკლედ: ილიამ და იაკობმა გავვიცნობიერეს ის, თუ რას ნიშნავს ქართველი კაცისთვის დედაენა და როგორი უნდა იყოს ქართველთა დამოკიდებულება მისადმი.

XIX საუკუნეში მიხვდნენ ჩვენი გენიოსები ამას, თუ ადრეც ასეთივე იყო ქართველი კაცის დამოკიდებულება დედაენისადმი?

გიორგი მერჩულეს მოვუსმინოთ: *„ქართლად ფრიადი ქუეყანად აღიზაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“*. ანუ: მთავარი განმსაზღვრელი ქართველობის, ქართულობის, საქართველოსი – ქართული ენაა. გავისხენოთ: გიორგი მერჩულე VIII-IX საუკუნეების ამბებს X საუკუნეში აღწერს. იმჟამად ზოლიტიკურად საქართველო არაა ერთიანი ქუეყანა. სამი მთავარი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ზოლიტიკური ერთეულია იმ დროს: ტაო-კლარჯეთი, რომელსაც თავისი მეფე ჰქავს; აფხაზეთი, რომელსაც თავისი მეფე ჰქავს და ქართლი, სადაც არაბები ბატონობენ – თბილისში ამირა ზის, ქართლს ერისმთავარი ჰქავს. გიორგი მერჩულისათვის ეს ზოლიტიკური დაყოფა არაა არსებითი; მისთვის მთავარია ის, რომ ტაო-კლარჯეთში, ქართლსა და აფხაზეთში ქართული ენით *„ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“*. ანუ მთავარი ენაა, მთავარი ენობრივი ერთობაა. სხვათა შორის იმასაც მივაპროტო უურადღებ, ილიასეული სამება (მამული, ენა, სარწმუნოება) მერჩულის გამონათქვამშიც იჩენს თავს: *„ქართლად ფრიადი ქუეყანად აღიზაცხების (მამული), რომელსაცა შინა ქართულითა ენითა (ენა) ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს (სარწმუნოება)“*. ეს ფაქტი იმდენადაა ღირსსაყვანობი, რამდენადაც ილია ჭავჭავაძე არ იცნობს გიორგი მერჩულის თხზულებას (*„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“* ნიკო მარმა 1902 წელს მიაკვლია და გამოცნა 1911 წელს). ასე რომ, ეს არის არა ილიას, იაკობის თუ გიორგი მერჩულის აღმოჩენა (*„გამოგონება“*), არამედ ეს ქართული აზრია, რომელიც სხვადასხვა დროს (ამ შემთხვევაში X და XIX საუკუნეებში) გამოთქვეს, ფორმულის სახით ჩამოაყალიბეს გიორგი მერჩულემ, ილიამ და იაკობმა.


დედაენისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულების კიდევ ერთი უნიკალური მაგალითია იოანე ზოსიმეს *„ქება და დიდება ქართულისა ენისა“* (X საუკუნე). გახსოვთ, რა თქმა უნდა: *„და-*

მარხულ არს ენაღ ქართული დღემდე მეორედ მოსვლის მისიხს
საწამებელად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით
ენითა...“ რომ „ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ
არს...“ რომ ქართული არის „ენაღ მეძკული და კურთხეული...“
ესაა უნიკალური სადიდებელი ქართული ენისა (ამის თაობაზე
ბევრი თქმულა...). ისიც ითქვა, რომ ლექსი X საუკუნეზე უფრო
ადრე უნდა იყოს შექმნილი, კერძოდ, IV საუკუნეშიო (რ. ზატა-
რიძე) და იოანე ზოსიმემ შეიტანა საგალობელთა კრებულშიო...
თუმცა ამას არცა აქვს ამჯერად ჩვენთვის მრინციანი მნიშვნე-
ლობა: ქართველმა კაცმა დედაენის ეს სადიდებელი X საუკუნეში
შექმნა თუ უფრო ადრე; ისაა არსებითი, რომ „ქებაღ“ ავტორის
ახრით, „ქართული ენა უფლის ენაა“ (ა. ბაქრაძე). ჩვენთვის ეს
დამოკიდებულებაა არსებითი...

ერთი ფაქტიც მინდა გავიხსენო — კიდევ ერთი საოცარი
ძეგლი ქართველი კაცის დედაენასთან დამოკიდებულებისა — დავა-
თის სტელა. ამ უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლზე უფრო
ვრცლად მინდა ვისაუბრო.

1984 წელს დუშეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფელ
დავათში (დუშეთი) აღმოაჩინა ადრექრისტიანული ხანის რამდენიმე
ქვა-ჯვარი (სტელა). ჩვენთვის საინტერესო სტელა VIII საუკუნის
(ყოველ შემთხვევაში უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს) ეკლესიის
ერთ-ერთ ბურჯში იყო ჩამოხეხილი. წარწერიანი მხარე კედელში
იყო ჩამალული, ამიტომაც სანამ შემთხვევამ კედლიდან არ ჩამო-
ავდო, მისი არსებობა უცნობი იყო. ფაქტია: ეს სტელა მეორეულ
სამეზ მასალად ყოფილა გამოყენებული... მშენებლებმა სუფთა
გვერდი მოაქციეს სამხეობა და წარწერიანი ჩამალეს კედელში...
მეცნიერთა ვარაუდით, ეს VIII საუკუნისთვის „დრომოჭმული“
სტელა უფრო ადრინდელი — IV-V საუკუნეების ძეგლის ნაწილი
უნდა ყოფილიყო... მერე „მოჭამა თავისი დრო“ და გამოიყენეს
სხვა ეკლესიის ბურჯის ასაკებად... ამაზე მეცნიერები თანხმდები-
ან. არც თარიღებია დიდად სადავო: სტელა IV-V საუკუნეებში
უნდა იყოს შექმნილი.

რას წარმოადგენს სტელა?



ეს არის ერთიანი კომპოზიცია, რომელიც ორი — ზედა და ქვედა — ნაწილისაგან შედგება. ზედა მონაკვეთზე მთავარანგელოზები — მიქაელი და გაბრიელი — არიან გამოქანდაკებულნი. ქვედა მონაკვეთზე ორი საერო ჰიროს გამოხასხუელი, რომელთაც დიდებულთა შესამოსელი აცვიათ.

მთავარანგელოზებს შეადმართულ ხელებში ჭილის გრავნილი უჭირავთ. გრავნილზე ბასრი იარაღით ამოკვეთილია ქართული ასომთავრული ანბანი ანიდან ჰოემდე ანბანური რიგის შესაბამისად.

ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ამგვარი კომპოზიცია ცნობილია; მას ამაღლების კომპოზიციასაც უწოდებენ. ოღონდ ერთი არსებითი თავისებურება დავათის სტეკლისა: „კანონიკური ქრისტიანული იკონოგრაფია დასაშვებად მიიჩნევენ მხოლოდ მაცნოვრის, მისი სიმბოლური გამოსახულების — ჯვრის — ამაღლებას და ღვთისმშობლის განდიდებას, რომლებიც ესქატოლოგიური ზროგრამით არიან აღბეჭდილნი და მეორედ მოსვლის იდეას გამოხატავენ“ (ზ. ალექსიძე)... ქართული ანბანი, ცხადია, ქართული ენის სიმბოლოა. სწორედ ქართული ენის განდიდების, გაღმერთების იდეა გამოხატა დაუათელმა ხელოვანმა ამ სტელაზე...

ანუ: „მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები ღვთის ნებასურვილით ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის მოსვლას გვამცნობენ“ (რ. ზატარაძე) და ამ სტელაში გამოსახულ იდეას იოანე ზოსიმეს „ქებაჲ“-ში გამოსახულ იდეასთან აკავშირებენ...

კომპოზიციის ქვედა ნაწილში გამოსახული ორი ხელისუფალი, ორი დიდი მოღვაწე — ფარნავაზი და მირიანი — უნდა იყოსო, ვარაუდობენ მკვლევარნი და ესეც ზედა კომპოზიციასთან ლოგიკურ კავშირშია...

უაქტია: IV-V საუკუნის ქართველნიც ისევე აღმერთებენ დედაენას, როგორც X საუკუნისა (გიორგი მერხულე, იოანე ზოსიმე) თუ XIX საუკუნისა (ილია, იაკობი...).

და ეს იყო საუკუნეობით განმტკიცებული ქართული დამოკიდებულება ქართული ენისადმი —

„ქართული ქართველთ რწმენა!

ღმერთია!

ბედისწერაა!..“

დიანს, ქართველი კაცის, ქართველი მწიგნობრის დამოკიდებულება დედაენისადმი განსახლავს იმას, რომ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები განსაკუთრებით დღევანდელი მკითხველისათვის. მწიგნობარი აფრთხილებს კიდევ მკითხველს, ისე წერონ, ისე იკითხონ, როგორც წინაპარმა დაწერა და არა შეცვალონ რა. XI საუკუნის მოღვაწეს – გიორგი მთაწმიდელს – მოუხსენიოთ: *„ესე საცნაურ ეაჲს ეოველთა, რამეთუ ესე წმინდაჲ ოთხთავი არა თუ ახლად გჳთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძნულთა სახარებათა შეგჳწამებია ფრიადითა გამაწულილვითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გინდეს დაწერად, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რადმე გაძუნდეს, ხუენნი ეოველნი სახარებანი ჰირველითგან წმინდად თარგმნილნია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, – მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანეთსა ნუ გაჰრეთ!“*

მოუვანილი ამონარიდი ბევრი რამით არის საუბრადღებო. უპირველესად იმას მიუახლოვრობთ უბრუნდებას, რომ ადრევე წმინდად და კეთილად თარგმნილი სახარება ისევე უნდა მივიღოთ და არ უნდა ვცვალოთ. წმინდად და კეთილად თარგმნილი ენას გულისხმობს უთუოდ, სწორ ქართულს გულისხმობს, ნორმატიულ ენას გულისხმობს, ამიტომ მოუწოდებს მკითხველს, *„ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“*...

ამიტომაც სჭარბობდა და სჭარბობს ქართულ ენაში მუდმივი ცვლადს...

ქართული იბერიულ-კავკასიური ენა

ვთქვით, ენა იცვლება დროსა და სივრცეში-თქო. სივრცეში მომხდარ ცვლილებას დრომ შეიძლება მკუთრი ხანითი მისცეს და საუკუნეთა განმავლობაში სივრცობრივად წარმოქმნილმა ნაირსახეობამ შეიძლება დამოუკიდებელი ენობრივი სახე მიიღოს. ესეც აღვნიშნოთ: მნელია იმის თქმა, სხვაობა ორ ნაირსახეობას (დიალექტს) შორის რა დონისა უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელ ენებად ვაღიაროთ... აქ ჰოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს ზოგჯერ. მაგალითად, ამბობენ, სლავური ენიდან მომდინარე ორ ენობრივ ერთეულს – რუსულსა და უკრაინულს – შორის უფრო ნაკლებია განსხვავება, ვიდრე სხვა შემთხვევაში ერთი ენის ორ დიალექტს შორის (თუნდაც ქართული ენის გურულსა და თუშურ დიალექტებს შორის...), მაგრამ ჰოლიტიკური ვითარების გამო უკრაინული და რუსული დამოუკიდებელ ენებად მოიაზრება; ასეა რუმინული და მოლდავური ენები და არაერთი სხვა...

სხვადასხვა ფაქტორთა გავლენით ერთი ენიდან წარმოქმნილ ნაირსახეობებს შორის საუკუნეთა განმავლობაში განსხვავება იზრდება და ვიღებთ ათეულ თუ ასეულ ენას. მეცნიერები საერთო წარმომავლობის ენებს აჯგუფებენ და ამგვარად დაჯგუფებულ ერთობას ენათა ოჯახებს უწოდებენ, ასეთ ენათა ოჯახებად განიხილება – ინდოევროპული, თურქულ-ალათაური, სემიტური, უნგრულ-ფინური, ჩინურ-ტიბეტური და სხვა ენები. თითოეული ოჯახი ათეულობით სხვადასხვა ენას აერთიანებს. ერთ-ერთი ევკლასე მრავალრიცხოვანია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. სწორედ ამ ოჯახის წევრები არიან ჩვენი მეზობელი ენები – სომხური, ოსური, რუსული... ასევე გერმანიკული, რომანული, სლავური, ინდური, ირანული ენები და სხვა... ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანული და თურქული ენები – თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახიდანაა...

ქართული? რომელ ენებს ენათესავება ქართული? ენათა რომელი ოჯახის წევრია? მოეზოვება მას მონათესავე ენები, თუ განცალკევებით დგას?

ამ კითხვებსე ზასუნის გაცემას უძველესი დროიდან ცდილობდნენ. ზემოთ ვთქვით, ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.) ქართველ ხალხს ეგვიპტელებთან აკავშირებდა, შესაბამისად, ქართულ ენას – ეგვიპ-

ტურთან. მეგასთენე (ძვ.წ. III ს.) ესპანეთს მიიხსენებდა ქართველთა უძველეს საცხოვრისად. ამ ვარაუდით ქართული ენა ესპანურს უკავშირდებოდა.

ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი უფრო აქტიური განდა XVII-XVIII საუკუნეებში. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერი გამოთქვამდა თვალსაზრისს ქართული ენის წარმოშობის თაობაზე, გერმანელი ფილოსოფოს ლაიბნიციდან (XVII-XVIII სს.) მოყოლებული.

სწორედ ლაიბნიცის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ენის ინდოევროპულ ენებთან მონათესაობის თეორია. ამ აზრმა XIX საუკუნეშიც გაიქვამა გერმანელი ენათმეცნიერის ფრანც ბოპისა (1791-1867 წწ.) და ფრანგი მეკლევიარის მარი ბროსეს (1802-1880 წწ.) შრომებში... ამ თეორიამ XX საუკუნეშიც იაზვა მხარდამჭერები, თუმცა საბოლოოდ უარყოფილი იქნა.

ნიკო მარი (1864-1935 წწ.) ქართულ ენას სემიტურ ენებთან აკავშირებდა. უფრო ადრე ასეთი მოსაზრება გერმანელმა ენათმეცნიერებმა მაქს მიულერმა (1823-1900 წწ.) და ფრიდრიხ მიულერმა (1834-1898 წწ.) გამოთქვეს... ნ. მარი თავისი მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე ამ აზრს აღარ იხიარებდა...

XIX საუკუნეშივე გაიქვამა აზრმა ქართული ენის თურანულ (ალათაურ) ენებთან ნათესაობის შესახებ (მაქს მიულერი)...

XX საუკუნეში ქართული დრავიდულ ენებთანაც დაკავშირებს (თანამედროვე გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი)...

მეცნიერებაში საკმაოდ სერიოზულად დაისმორდა საკითხი ქართული ენის ნათესაობისა წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველ (ამჟამად ძველ) ენებთან: შუმერულთან, ხათურთან, ხურიტულთან, ელამურთან, ურარტულთან, ჰელაზგურთან... ეს თეორია დღესაც არ კარგავს მეცნიერულ ღირებულებას. ეს ფართო თემაა. ამჟამად ამ მინიშნებით დაუკმაყოფილდებით...

ასეთი დიდი ინტერესი ევროპულ ენათმეცნიერებაში ქართული ენის წარმომავლობის თაობაზე ისევ ევროპული ენების შესწავლის ინტერესებიდან გამოდინარეობდა. ისტორიულ-მედარეობითმა ენათმეცნიერებამ დღის წესრიგში დასვა სწორედ ევროპული ენების კვლევა. ამ გზაზე გვერდი ვერ აუარეს ქართულს, სტრუქტურული თვალსაზრისით დიდად საინტერესო ენას.

ევროპაშივე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა აზრი ქართული ენის განკერძოებულობის შესახებ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, აზრი იმის თაობაზე, რომ ქართული არ მიეკუთვნება ზემოწარმოდგენილ არცერთ ჯგუფს ენებისას, რომ ქართული წარმოშობით უკავშირდება მხოლოდ კავკასიურ ენებს (კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებულ ენებს)... ეს აზრი 1864 წელს გამოთქვა ფრიდრიხ მიულერმა. იგი მიიხსენებდა, რომ ქართულ-კავკასიური ენები არის დამოუკიდებელ ენათა ოჯახი, გადმონათბი უფრო დიდი ჯგუფისა... ეს აზრი ძირითადად განიარაღებულია მეცნიერებაში.

ამგვარად, ზოგიერთი ასეთია: ქართული ენა არ ენათესავება მსოფლიოში ცნობილ ენათა ოჯახებს, ქართულის მონათესავე ენებია კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების ენები: ქართველური (სვანური, მეგრულ-ლახური) ენები, აფხაზურ-ჩერქეზული ენები, ჩეჩნურ-ინგუშური ენები და დაღესტნის ენები.

ქართულსა და მის მონათესავე ენებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს უწოდებენ. „იბერიულ-კავკასიური“ ენათმეცნიერული ტერმინია და არ უდრის გეოგრაფიულ ტერმინს – კავკასიური ენები (კავკასიის ენები); როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიაში მოსახლე ხალხების ენები – სომხური, ოსური, აზერბაიჯანული – არ არის ამ ოჯახის (იბერიულ-კავკასიურის) წევრები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში 30-ზე მეტი ენაა. ეს ენები, როგორც ითქვას, კავკასიის ტერიტორიაზე არის გავრცელებული. ამ ენათა ოჯახში ოთხი ჯგუფი გამოიყოფა:

1. ქართველური ენები (ანუ იბერიული ჯგუფი) – ქართული, მეგრულ-ლახური, სვანური;

2. აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფი – აფხაზური, აბაზური, ჩერქეზული (ადიღური), ებარდოული;

3. ნახური ჯგუფი – ჩახნური, ინგუშური, ბაცბური (წოვათუშური);

4. დაღესტნური ჯგუფი – ხუნძური, ანდიური, დიდოური, ბოთლისური, დოდოპერიული, ჭამალალური, ბაგვალალური, ახვანური, კარატაული, სვანძიული, კაპუჭურ-ჰუნსიბური, ჰინუსური, ლეზგიური, თაბასარანული, რუთულური, წახურული, უდიური, ბუღაზური, ხინალუღური, კრიწული, არჩიბული, დარგუული, ლაკური...

ზემოთ ის თვალსაზრისიც მოვიყვანეთ, ქართული ენის გენეზისურ კავშირს რომ მიუთითებს წინა აზიის მკვდარ ენებთან — ურარტულთან, სურბტულთან, შუქურულთან, ელამურთან, ჰელაზგურთან, ხათურთან... მეცნიერები სერიოზულად ფიქრობენ ამ თემაზე...

კავკასიის ტერიტორიის გარეთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცოცხალ წევრად ბასკური ენა მიიხსევა. ბასკები სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში — პირენეის ნახევარკუნძულზე — მოსახლეობენ. ბასკეთის ტერიტორიისა და მოსახლეობის 2/3 ესპანეთში არის, 1/3 — საფრანგეთში.

ბასკური ენისადმი ინტერესი იმთავითვე იმან გამოიწვია, რომ ინდოევროპულ ენათა გარემოცვაში მეოფი ენა პრინციპულად განსხვავდებოდა თავისი სტრუქტურით ინდოევროპული ენებისაგან. ეველაზე დიდ სიანლოვეს ბასკური ენა ტიპოლოგიურად იბერიულ-კავკასიურ ენებთან ავლენს. განსაკუთრებით შთაბეჭდავია ეს მსგავსება ამ ენათა ოჯახის სამხრეთულ ჯგუფთან — ქართველურ ენებთან. ეს ისე ამკარაა, რომ ბასკურს ქართველურ ენათა ჯგუფის მეოთხე წევრადც განიხილავენ. ამ ჰაზოთეხას ბევრი მომხრე ჰქავს. როცა ტიპოლოგიურ მსგავსებაზე საუბრობენ ბასკურსა და ქართველურ ენებს შორის, უპირველესად მიანიშნებენ: ზმნის მრავალპირიანობაზე (ევროპული ენების ზმნა ერთპირიანია), ერგატული (მოთხრობითი) ბრუნვის მქონეობაზე (ევროპული ენებისათვის ბრალდებითის — აკუსატის — მქონეობაა ნიშანდობლივი, რაც ბასკურსა და კავკასიურ ენებს არ ახასიათებს), ბრუნვაცვალეზად სუბიექტზე (ევროპული ენების ზმნის სუბიექტი ბრუნვაცვალეზად), ბრუნვაცვალეზადი პირდაპირ ობიექტზე და სხვა...

ბასკებსა და კავკასიელებს შორის ხელშესახებია არა მხოლოდ ენობრივი, არამედ სხვა სახის მსგავსებანი: ანთროპოლოგიური ტიპი, ეთნოგრაფიული ჰარალებები — მსგავსებანი ეოფით ცხოვრებაში, მუსიკაში და ა.შ. გასული საუკუნის დამდეგს ნიკო მარმა ბასკეთში იმოგზაურა და დაწერა წიგნი „პირენეის გურია“. გურიაში გაზრდილ დიდ მეცნიერს იქაურმა ეოფამ გურია გაახსენა. წიგნში სწორედ ამ ჰარალებზეა საუბარი... ბასკებიც იბერიელებად იწოდებიან.

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ჰირენეის იბერიელები გენეტიკურად კავკასიის იბერიელებთან არიან დაკავშირებული, არსებობდა შუა საუკუნეების საქართველოშიც. გიორგი მთაწმიდლის (1009-1065 წწ.) გადმოცემით იოანე მთაწმიდელს (დაახლოებით 920-1005 წწ.) განუხრანავს, წასულიყო ესპანეთში „ქართველთა ნათესავთა“ მოსანახულებლად... მნელი სათქმელია, რას ემყარებოდა ეს ცოდნა, მაგრამ X-XI საუკუნეებში ამ აზრის არსებობას რაღაც სერიოზული საფუძველი რომ უნდა ჰქონდეს, ფაქტია (იხ. აქვე, გვ. 8).

კავკასიური და ბასკური ენების გენეტიკურ კავშირზე ძირითადად ორგვარი ჰიპოთეზა არსებობს. ერთის მიხედვით, როგორც კავკასიელები, ასევე ბასკებიც მოსახლეობდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ტერიტორიაზე. ისტორიული კატაკლიზმების შედეგად მოხდა მათი მიგრირება. ერთი (დიდი) ნაწილი წავიდა ჩრდილოაღმოსავლეთისაკენ და დასახლდა კავკასიაში; მეორე (მცირე) ნაწილი წავიდა დასავლეთისაკენ და დასახლდა ჰირენეებში. ეს ჰიპოთეზა ქართველთა ავტოქტონობის თეორიას არ ეთანხმება... არსებობს სხვა ჰიპოთეზაც, რომელიც ჰირენეის ნახევარკუნძულის იბერიელთა წინაპრად კავკასიის იბერიელებს მიიჩნევს. ამ ჰიპოთეზას ჰეავს სერიოზული მხარდამჭერები... როგორ, რატომ, როდის მოხდა ეს, ამის თაობაზე მეცნიერები ვერან ამბობენ. ანტიკურ ავტორებთან იმაზეც იყო საუბარი, რომ კავკასიის იბერიელები ჰირენეიდან არიან გადმოსახლებული (იხ. აქვე, გვ. 8). მოგვიანო პერიოდში ეს ჰიპოთეზა აღარ განმეორებულა...

ასე რომ, კავკასიის იბერიელებისა და ჰირენეის იბერიელების გენეტიკურ ნათესაობას აქვს სერიოზული მეცნიერული საფუძველი, თუმცა მრავალი კითხვა მასუხვასაცემია. საკითხის კომპლექსური შესწავლას საჭირო და არა მხოლოდ ენათმეცნიერული...

ასევე სერიოზული მეცნიერული საფუძველი აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა წინა აზიის მკვდარ ენებთან ნათესაობის თეორიასაც, თუმცა კითხვა აქაც მრავლადაა... მასუხები მომავლის საქმეა...

ქართული ქართველური ენა

ზემოთ ვთქვით, იმ ენობრივ ქვეჯგუფს, რომელშიც ქართული შედის, ქართველურ ენებს ვუწოდებთ-თქო. ქართველური ენები ზირობითი ტერმინია. ამ ტერმინით ქართველთა მეტყველება აღინიშნება.

ქართული ენობრივი სივრცე რთული რეალობაა. საერთოდ კავკასიის ენობრივი სამყარო ძალზე რთული და საინტერესოა. თანად ის ფაქტი, რომ დაღესტანში – გეოგრაფიულად ამ საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე (ფართობი – 50 000 კვ. კმ.; მოსახლეობა 1 400 000) ოცზე მეტი ენაა, ბევრის მთქმელია... არის ენები, რომლებიც თითო-ორივით აუღმია (სოფელში) გავრცელებული... მხოლოდ გეოგრაფიული გარემო არ უნდა იყოს ხელშემწეობი ასეთი ენობრივი დიფერენციაციისათვის. თუცა ეს სხვა თემია...

ასევე საკმაოდ რთულია ქართული ენობრივი სამყარო.

„ქართლ-კახეთი-იმერეთი, გურია და სამეგრელო – ეველან ჩემი სამშობლოა, სავარელი საქართველო“ – ეს ეველან ქართველმა ბავშვმა იცის. იცის ის, რომ ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ლაზეთი, სვანეთი, გურია, აჭარა, აფხაზეთი, მესხეთი, ჯავახეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, თუშეთი, მთიულეთი, გუდამაყარი – საქართველოს კუთხეებია; ეველან ერთად ქმნის საქართველოს (აქ ისტორიული კუთხეებიც გავიხსენოთ, ამჟამად რომ სხვა ქვეყნების ფარგლებშია – საინგილო, ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-ერუშეთი, იმერხევი...)... ეველანი ვართ ქართველები. ისევე, როგორც საქართველო შედგება სხვადასხვა კუთხისაგან, ქართველებიც ერთობლიობაა სხვადასხვა კუთხის ქართველებისა (ეთნოგრაფიული ჯგუფებისა – როგორც მეცნიერები უწოდებენ) – ქართლებების, კახელების, იმერლების, მეგრელების, ლაზების, სვანების, გურულების, აჭარლების, მესხების, ჯავახების, რაჭველების, ლეჩხუმლების, ფშაველების, ხევსურების, მოხვევების, თუშების, მთიულების, გუდამაყრელებისა (ასევე ინგილოების, ტაოელების, კლარჯების, იმერხეველების...).

ქველა ამ კუთხეში და ქველა ამ ეთნოგრაფიულ ჯგუფში წიგნის ენა, საღმრთო ენა ქართულია. ამიტომ წერდა X საუკუნეში გიორგი მერხულე – „*ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაწეხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ქაძი შეიწირვის და ლოცვად ეოველი აღესრულებინა*“.

თუმცა სწავლანსვა კუთხის ქართველთა მეტყველება მეტნაკლებად განსხვავებულია ერთმანეთისაგან და, შესაბამისად, სალიტერატურო ქართულისაგან. ამ სხვაობას ეოველთვის ვგრძნობდით და ჩვენს შეგნებაში ჩვენი ამა თუ იმ კუთხის მკვიდრობა ამ კუთხისათვის დამახასიათებელ მეტყველებასთანაც იყო დაკავშირებული. მაგალითად, ხევსური ამჟობდა თავისი ხევსურული მეტყველებით და მოხვევე – მოხეურით. ეს მათ ქართულთან არ ამორებდა. ზირიქით, ისინი თავიანთი ხევსურობითა თუ მოხვევობით ქართველობდნენ.

სწავლანსვა კუთხის ქართველთა მეტყველება ეოველთვის აღიქმებოდა და აღიქმება ქართულად, თუმცა ეოველთვის გრძნობდნენ იმ განსხვავებას მეტყველებაში, ერთ კუთხეს რომ განასხვავებდა მეორისაგან. დიალექტოლოგიის ქრესტომათიაში ჩარგლელი ფშაველისაგან ჩაწერილი ტექსტია შეტანილი, დიმილით რომ ამბობს უკანაფშაველზე, „*ღასცილი იციან უკვენა ფშაჰში აქიურ სიტყეებზეო*“. მაგრამ რომ ჰკითხო ფშაველს, ქართლელს, იმერელს თუ აჭარელს, რა ენაზე საუბრობო, გეტყვის – ქართულადო...

განსხვავებული ვითარებაა საქართველოს რამდენიმე კუთხეში – სვანეთში, სამეგრელოსა და ლაჩეთში. იაკობ გოგებაშვილი როცა „ბუნების კარში“ საქართველოს კუთხეებს ახასიათებდა, ამ კუთხეების მეტყველებას ენად მოიხსენიებდა: „*მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა*. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან. მეგრელი იმერელსა და გურულს ისე ძლიერ ემსგავსება, რომ ქართლელი და კახელი ამათ ერთმანეთში ძნელად გაარჩევენ. მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ეს ენაც დვიძლი ძმან ქართულის ენისა. გარდა ამისა, თითქმის ქველა მეგრელებმა კარგად იციან ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიიჩნიათ, რადგანაც წირვა-ლოცვა მთელს სამეგრელოში იმ თავიღვანვე ქართულს ენაზედ სრულდებოდა და ახლაც სრულდება“.

ჭანეთზე (იმავე ლაზეთზე): „ჭანები ძმები არიან მეგრელებისა... ჭანური ენა იგივე მეგრული ენაა ცოტადენის განსხვავებით. ქართული ენაც ბევრმა ჭანმა ისევე კარგად იცის, როგორც მეგრელებმა“... სვანეთის დანასიათებისას იაკობი წერს: „ქართველების ტომის უფრო შორეულს შტოს სვანები შეადგენენ. ზირი-სახით სვანი ძლიერ ჰგავს მთიულს ქართველებს: ფშაულებს, ხევსურებს, თუშებს და სხვებს... სვანური ენაც ქართული ენიდან არის წარმომდგარი; ქართული სიტყვები და მეტადრე მეგრული სვანურს ენაში ძალიან ბევრია. ამიტომ როგორც მეგრელი, ისე სვანები ქართულს ენას რამდენსამე თვეს წმინდად შეისწავლიან ხოლმე“...

ასე რომ, სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის ქართველთა ადგილობრივ მეტყველებას ენად მოიხსენიებს იაკობ გოგებაშვილი და არა მხოლოდ ის. ადგილობრივ კილოზე მეტყველ მეგრულს, ლაზს და სვანს რომ ჰკითხო, რა ენაზე საუბრობო, გეტყვის – მეგრულადო, ლაზურადო, სვანურადო. ე.ი. ქართველთა თვითშეგნებაში მეგრული, ლაზური და სვანური მეტყველება ენად აღიქმება; იმერული, კახური, ხევსურული თუ სხვა – ქართულად...

როგორ გავიგოთ ეს? – ნებისმიერი მეტყველება შეიძლება დაუახსნაიათოთ, ერთი მხრივ, ენათმეცნიერულად, მეორე მხრივ – მისი სოციალური ფუნქციის მიხედვით.

როცა მეტყველების დანასიათება ხდება ენათმეცნიერულად, ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ ამ მეტყველების ევალა მხარეს – ფონეტიკურს, მორფოლოგიურს, სინტაქსურს; ლექსიკას... მეგრულის, ჭანურისა (ლაზურის) და ქართულის მიმართ ასეთი მონოგრაფიული კვლევა ჩანატარა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ (1898-1985 წწ.) გასული საუკუნის 30-იან წლებში („ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ გამოიცა 1936 წ.). ამ მონოგრაფიაში ავტორი, ერთი მხრივ, ახდენს ჭანური მეტყველების მეცნიერულ ანალიზს – ფონეტიკურ დანასიათებას, მორფოლოგიური სტრუქტურის აღწერასა და ძირითადი სინტაქსური მოვლენების ანალიზს; მეორე მხრივ, ეოველივე ამას უდარებს მეგრულ მეტყველებას და, მესამე მხრივ, ახდენს შეჯერებას ქართულ მეტყველებასთან. მეცნიერმა თვალნათლივ აჩვენა, რომ ჭანური და მეგრული მეტყველება ერთი მეორის მიმართ მხოლოდ დიალექტურ სხვაობას

ავლენს. ისინი ისე უპირობოდებიან ერთმანეთს, როგორც ნებისმიერი ენის ორი დიალექტი უპირობოდებიან ერთი მეორეს (მაგალითად გურული და კახური...). ამიტომაც ლინგვისტურად მეგრულ-ჭანური განსწავლული უნდა იქნეს ერთ ენად, განსხვავებულად ქართული ენისაგან; სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ერთ ენას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: მეგრულ-ჭანური, მეგრულ-ლაზური, ზანური (ზანებად სვანები სახელსდებენ მეგრულ-ლაზებს), კოლხური (ეს ტერმინი აკაკი შანიძემ (1887-1987 წწ.) შემოიღო). სწავობა ჭანურსა და მეგრულს შორის ძირითადად ლექსიკის დონეზე იზრდება, რადგან საუკუნეების მანძილზე ლაზისტანი (ჭანეთი) მოწვევტილი იყო დედანაქართველოს – ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად. იგი XIX საუკუნის 70-იან წლებში შემოკრთდა საქართველოს, თუმცა XX საუკუნის დამდგეს კვლავ მიიტაცა ოსმალეთმა (მხოლოდ ნახევარი სოფელი ლაზისტანისა – სარფი – დარჩა საქართველოს ფარგლებში). თურქულმა ენობრივმა გარემოცვამ და ქართული ენობრივი სივრცედან მოწვევტილად გამოიწვია ლაზურსა და მეგრულს შორის სხვაობის გაზრდა.

რაც შეეხება სვანურ მეტყველებას, იგი ენათმეცნიერულად ენობრივ დონეზე განსხვავდება, ერთი მხრივ, მეგრულ-ლაზურისაგან და, მეორე მხრივ, ქართულისაგან. ამ შემთხვევაში სწავობა ქართული მეტყველებისაგან უფრო მკვეთრია, ვიდრე კოლხურის შემთხვევაში. მეცნიერები ამ ფაქტსაც უძებნიან ახსნას: სვანური მეტყველების გამოყოფა დედქართულისაგან უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მეგრულ-ლაზურისაო...

ასე რომ ენათმეცნიერული თვალსაზრისით ლაზურ-მეგრული ერთი ენაა, სვანური – მეორე, ქართული – მესამე; ვიმეორებთ, ეს ენათმეცნიერულად.

აწესობს სხვა თვალსაზრისიც, სხვა ხედვაც; მეტყველების შეფასება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი სოციალური ფუნქცია.

სოციალური თვალსაზრისით ქართული ენის ფუნქცია სრულიად განსხვავებულია: იგი არის წიგნის ენა სრულიად ქართულ ენობრივ სივრცეში, საღმრთო ენა (როგორც იაკობი იტყობდა), დედანა (ამ ტერმინის თაობაზე ქვემოთაც ვისაუბრებთ).

ხოლო მეგრულ-ლახურისა და სვანურის ფუნქციები შესლუ-
დულია, მარტივია: მეგრულ-ლახური და სვანური მეტყველება,
როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყობდა, „მინაურობაში სახმარი
კილოებია“... აქ ტერმინებიც აიბრია: დიალექტი, კილო, მინაურო-
ბაში სახმარი ენა, საშინაო კილო... – ერთმანეთს ენაცვლება...

სოციალური ფუნქცია მეგრულისა, ლახურისა, სვანურისა
ისეთივეა, როგორც ხევსურთა, ფშაველთა, მონღვეთა და სხვა კუ-
თხეების ქართველთა მეტყველებისა (დიალექტებს რომ ვუწოდებთ).

ამიტომ, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ სვანური ენაა, ვგულის-
ხმობთ საკითხისადმი ენათმეცნიერულ მიდგომას; თუ ვიტყვით,
რომ სვანური, მეგრული, ლახური კილოა, ვგულისხმობთ სოციო-
ლინგვისტურ მიდგომას.

ასე რომ, ქართულ ენობრივ სივრცეში, ერთი მხრივ, დვას
ქართული სალიტერატურო ენა – წიგნის ენა, ოფიციალური ენა,
სადმართო ენა და, მეორე მხრივ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის
ქართველთა „მინაური მეტყველება“ – არა წიგნის ენა, არა ოფი-
ციალური ენა, არა სადმართო ენა. – ეს როცა ვსაუბრობთ, ვიმე-
ორებთ, ქართველთა მეტყველების სოციალურ ფუნქციასზე. ხოლო
როცა ვახდენთ ენათმეცნიერულ ანალიზს, ქართული (მისი კილო-
ებითა), სვანური (მისი კილოებითა) და ლახური (მისი კილოები-
თა) ენებად განიხილება. ეს არის საყოველთაოდ გაზიარებული
თვალსაზრისი. გაუხსნავთ: არ უნდა მოხდეს დონეების აღრევა
(ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისებისა), არა-
და, ზოლიტიკური ინტერესებისთვის, ზოოგოგაციებისთვის გამიხსუ-
ლად არაერთგზის მომხდარა ამ თვალსაზრისების აღრევა.

შეიძლება, ვინმე მეცნიერული თვალსაზრისით არ ახდენდეს
შეფასებას, როცა ამბობს – მეგრული ენაო, სვანური ენაო, მაგ-
რამ გავითვალისწინოთ ტერმინთა სინონიმურობის საკითხი: ენა,
კილო, კილო-კავი. ეს ტერმინები ზოგადად მეტყველების მნიშვნე-
ლობით შეიძლება გამოფიქნოთ და არა მეცნიერული სხვაობა ვე-
ძიებოთ ამ ტერმინებს შორის. გავიხსენოთ გამოთქმები – კარგი
ენა აქვს, ცუდი ენა აქვს... ასევე, ვსაუბრობთ მწერლის ენაზე:
რუსთაველის ენა, ილიას ენა, ვაჟას ენა...

მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით საერთოდ ამ თემაზე –
სვანური, მეგრულ-ლახური ენაა თუ დიალექტი – ქართულ სი-

ნამდვილეში ისტორიულად ეურადღება არავის გაუქმანვილებია, ევე-
ლაფერს ნათელი იყო ოდითგანვე: ქართულითა ენითა ჟამი შეი-
წიროდა და ღოცვად ეოველი აღესრულებოდა სრულიად საქარ-
თველოში. მხოლოდ XIX საუკუნეში რუსულმა იმპერიულმა აზრმა
მოისურვა სხვადასხვა კუთხის ქართველთა შორის დაპირისპირება,
ენობრივ ნიადაგზე უთანხმოების ჩამოგდება... ჩათესვა იმ აზრისა,
რომ ქართველები, მეგრელები და სვანები სხვადასხვა ხალხია,
რადგანაც განსხვავებულად საუბრობენო, და ასეთ რაღაცასაც წერ-
დნენ: საქართველოში ცხოვრობენ მეგრელები, სვანები და ქართვე-
ლებიო; მეტიც: ქართველები, აჭარლები, კახელები და სვანიაო...

ეს ნაცადი ხერხი იყო – დაეავი და იბატონე. იმპერია ხელს
უწეობდა და აქეზებდა პროვოკატორებს... დაიწვეს ფიქრი მეგრული
სკოლების შექმნასე, მეგრულად საღმრთო წიგნების თარგმნასე...
საბედნიეროდ, XIX საუკუნის ქართული საზოგადოების საღი აზ-
რი დაუპირისპირდა მტრულ იმპერიულ მდგელობას.

სწორედ ამ დროს შექმნა იაკობ გოგებაშვილმა თავისი გე-
ნიალური ალლოთი ტერმინი *დედაენა* (და წიგნი „დედაენა“).
ცნობილმა თანამედროვე გერმანელმა ქართველოლოგმა ვინფრიდ
ბოედერმა ეს ფაქტი ასე შეაფასა: „იაკობ გოგებაშვილი გენიოსი
იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა. ქარ-
თული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნე-
ბა“... *დედაენა* – ამგვარი კომპოზიტი ევროპულ ენებშიც არის
(მაგალითად, გერმანული *Muttersprache*), მაგრამ ევროპული
გაგება ამ ტერმინისა სხვა არის – იგი დედის ენას, მშობლის
საღანარაკო ენას გულისხმობს. იაკობ გოგებაშვილს ეს ტერმინი
ამ გაგებით არ შეუქმნია (თუმცა მისთვის ევროპული გაგება
ცნობილი იყო). დედაენა ქართული გაგებით ამგვარ კომპოზიტთა
ანალოგიით შეიქმნა: *დედაბოძი, დედაქალაქი, დედააზრი*... ანუ:
მთავარი ბოძი, მთავარი ქალაქი, მთავარი აზრი და მთავარი ენა;
სწორედ ამასე მიანიშნებდა ილია ჭავჭავაძე: „ქართველთათვის
„დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დე-
და-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და
დიდ ბოძს – „დედა-ბოძს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“... და
შექმნა იაკობმა ტერმინი დედაენა (იაკობამდე ეს ტერმინი რომ
არ არსებობდა, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ილიასა და აკა-

კის ნაწერებში ეს ტერმინი ჩნდება მხოლოდ 1876 წლის შემდეგ – ამ წელს გამოვიდა იაკობის საანბანე წიგნი „დედაენა“). რატომ განდა საჭირო ამ ტერმინის შექმნა, რას გულისხმობდა ამ ტერმინში იაკობი და როგორ გავიგოთ, „ხუსტ დროს სწორი სიტუვა იპოვა“?

დედაენას იაკობი გამოიყენებს მხოლოდ სალიტერატურო ქართული ენის სინონიმად. ამ ცნების აღსანიშნავად სხვაგვარი შესიტყვებებიც გვხვდება იაკობთან:

ლიტერატურული დედა-ენა,
ძირითადი ქართული ენა,
ძირითადი მშობლიური ენა,
მთავარი ენა,
მთავარი დედა-ენა,
ზოგადი დედა-ენა,
ზოგადქართული კულტურული ენა,
საღმრთო ენა.

ეველა ეს გამოთქმა ქართული სალიტერატურო ენის აღმნიშვნელია. ხოლო მეგრულ-ლაზურისა და სვანურის აღსანიშნავად იაკობ გოგებაშვილი გამოიყენებს ტერმინებს:

შინაურობაში სახმარი კილო,
ადგილობრივი კილო,
ადგილობრივი დიალექტი,
ადგილობრივი კილო-კავი,
მშობლიური კილო,
თემიური კილო-კავი...

ასე რომ, იაკობის აზრით, დედაენა, საღმრთო ენა, მთავარი ენა, სალიტერატურო ენა... – მეგრელთათვის, ლაზთათვის, სვანთათვის, იმერელთათვის, კახელთათვის, ხევსურთათვის და, საერთოდ, ეველა კუთხის ქართველთათვის არის ქართული ენა. ესაა მთავარი ფუნქცია (სოციოლინგვისტური ასპექტი) ქართული ენისა. ასე ესმოდათ ჩვენს წინაპრებს ოდიოგანვე და ასე ესმით ეს დღესაც სხვადასხვა კუთხის ქართველებს – მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, იმერლებს, კახელებს, მონევეებს...

თავისთავად „ადგილობრივი კილოების“ სიმრავლე სიმდიდრეა ქართული ენისა, ქართველობისა, თუძცა ამ ჩვენი უნიკალური

სიმიდის ხვეს საწინააღმდეგოდ გამოეყენება სცადეს, როგორც ვთქვით, XIX საუკუნეში. ამგვარი მცდელობა XX საუკუნეშიც იყო: 30-იან წლებში კარლ მარქსის შრომების თარგმნა მოისურვეს მეგრულად; გაზეთის გამოცემაც მოინდომეს... საუკუნის დასასრულს რუსთაველის ზოემის „თარგმანები“ გამოცემეს მეგრულად, გაზეთებიც დაიბეჭდა... სვანურად ბიბლიური წიგნების თარგმნასაც მიჰყვება ხელი... უცხოური გრანტებით ფინანსდებოდა ეს მცდელობანი... ისევ ენობრივი ფაქტორი გამოიყენება ქართველთა ურთიერთდასაპირისპირებლად...

აღაპარაკდნენ იმაზეც, სამეგრელოს სკოლებში მეგრული სწავლება შემოვიღოთო. ჯერ ერთი, ეს იგივეა, მფიფიფოთ რაჭაში რაჭული ვასწავლოთ სკოლაში ცალკე სავნად, თუშეთში – თუშური და აჭარაში – აჭარული! განსვენებაზე: მოსკოვში ბათუმელი ზოეტის წიგნი გამოვიდა ამგვარი წარწერით: „თარგმანი აჭარულიდან“....

ვინც ამას აკეთებს, ან მხარს უჭერს (თითო-ორი კაცი), არ ითვალისწინებს ერთ არსებით ფაქტს: წიგნის ენა ქართველებსა – დედაენა – ქართულია. შეიძლება თუ არა, მას რომელიმე კუთხეში ჩაენაცვლოს ადგილობრივი კილო? – ეს ყოველად შეუძლებელია:

უპირველესად, ეს იქნება უსარმახარ კულტურულ მემკვიდრეობაზე უარის თქმა.

მეორეც – სვანური და მეგრულ-ლახური არსებობს მხოლოდ დიალექტების სახით. მაგალითად, სვანური ოთხი დიალექტითაა წარმოდგენილი: ბალსხემოურით, ბალსქვემოურით, ლენტეხურითა და ლამხურით (ზოგი მკვლევარი მესუთე დიალექტად ჩოლურულსაც გამოყოფს). თითოეული ეს დიალექტი მკვეთრად ინდივიდუალური ნაირსახეობაა სვანური მეტყველებისა, საკმაოდ საინტერესო თავისებურებებით განსხვავებული. რომელ დიალექტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, თუკი ბიბლიას სვანურად ვთარგმნით? ანდა ვის სჭირდება ეს და რისთვის? ეს კითხვა პროფკადიის ინიციატორებს არც დაუსვამთ... არ დაუსვამთ იმიტომ, რომ ამ კითხვას შასუნი არა აქვს... საერთოდ, წიგნის ენა არცერთ შემთხვევაში არ იმეორებს რომელიმე კონკრეტულ ნაირსახეობას (დიალექტს) ენი-

სას და იგი საერთო უნდა იყოს ეველა ნაირსახეობისათვის (ასეა არსებული სალიტერატურო ენებისათვის).

ეს ის კითხვებია და ის ჰრობლემებია, რომლებზე დაფიქრება არც უცდიათ, ვინც სვანურად თუ მეგრულად სკოლების შემოღება თუ წიგნების თარგმნა მოისურვა.

და კიდევ ერთი მთავარი: საქართველოს ეველა კუთხის ქართული საუკუნეების მანძილზე ქმნიდა იმ მდიდარ და უნიკალურ კულტურას, ქართული კულტურა რომ ჰქვია. ამგვარი მცდელობით უნდათ, მეგრელები და სვანები მოსწვევითონ ფესვებს, ტრადიციულ კულტურას...

მეგრელები, ლაზები, სვანები ისევე არიან მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, მწიგნობრობის შემოქმედნი, როგორც იმერლები, ქართლები, კახელები და სვანები... ქართული სალიტერატურო ენა ისევეა მეგრელების, ლაზებისა და სვანების საკუთრება, როგორც იმერლების, ქართლების, კახელებისა და სვანთა... მეგრულად, ლაზურად და სვანურად ისევე არ არის საჭირო ლიტერატურის თარგმნა თუ სკოლის შექმნა, როგორც იმერულად, ქართლურად, კახურად თუ ფშაურად...

ასე რომ, ის, რაც თავისებურებაა ქართული ენობრივი სივრცისა (მეტყველების ნაირსახეობათა მრავალფეროვნება), ჩვენს ეროვნულ სიძლიერედ უნდა ჩაითვალოს, თუმცა არაკეთილისმყოფელმა ამ ჩვენი სიძლიერის ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოყენება სცადა. ცხადია, არ უნდა აუკუეთ ამ განზრახვას...

უთქვით, XIX საუკუნემდე ეს მრავალფეროვნება ჰრობლემად არ გუქცევია... ვიცოდით და ვიცით: ერთობა ამ ნაირსახეობათა არის სიძლიერე ქართული ენისა. საინტერესო შედარებას გვთავაზობს იაკობ გოგებაშვილი. გვახსოვს რომ წერდა – მეგრული, ლაზური და სვანური შტოებია ქართული ენისაო; ტოტემოჭრილი ხე არ არის ხე, ვინც ქართულიდან ამათ მოწვევტას ცდილობს, „ისინი იმავე სიკეთეს მომკიან, რა სიკეთეს მოელის ტოტებსა, ხიდგან მოჭრილებსა. დაჭკნობა და განმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწვევტისა საერთო ნიადაგიდან. ნუ ვინ მოიყვანს აქ საწინააღმდეგო საბუთად მენობას. სხვა ხეზე შტომ შეიძლება იხაროს, მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე; მაგრამ თუ იგი ამენეს სრულიად სხვა გვარს ხეზე, ვერც გაიზრდება და ვერც იხარებს.

ნაწილი ერისა, რომელიც მოძორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ვეღურდება... დიად, განცალკევება ჰლუზავს ეროვნულს ხესაც და მისგან მოძორებულ ტოტებსაც..." და ეს მონაკვეთი ისევ იაკობის შეკონებით დავასრულეთ, უკეთესად ვერ ვიტყვით: „ღმერთს იმისთანა დიდებული არსება, როგორიც არის მთელი ერი, შეუქმნია არა გადაშენებისა და დაქვეითებისათვის, არამედ წარმატებისა და ბედნიერებისათვის. ამიტომ ჩვენ ვეველამ წმინდა მოვალეობად უნდა დავსახოთ მტკიცედ დაცვა და აღორძინება ქართულის დედა-ენისა სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიაში და სკოლაში, ისეთივე მტკიცე დაცვა, როგორც მტკიცედ იცავდნენ ამერნი, იმერნი – მეგრელები და სვანნი – ამ ეროვნულს საუნჯეს მრავალ საუკუნის განმავლობაში, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“.

როგორ ქაღერს, როგორია სვანური, მეგრული თუ ლაზური მეტყველება? ვისთვისაც ეს უცნობია, გარკვეული წარმოდგენა რომ შევუქმნათ, თითო ლექსს მოვიყვან ნიმუშად ამ კუთხეთა ხალხური შემოქმედებიდან. ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ მკითხველი იმამიც დარწმუნდება, რომ ლაზური, მეგრული თუ სვანური ჰოეტური ფოლკლორი ღვიძლი ნაწილია დიდი ქართული ჰოეტური კულტურისა, დიდი ქართული ჰოეტური აზროვნებისა, ღვიძლი ძმან სხვა კუთხეების ხალხური ჰოეზიისა... საჭიროდ მივიჩნევთ, ლექსებს ქართული შესატყვისებიც დავურთოთ.

სვანური ლექსი

თამარ დედფალ

ო, ნიადულ, თამარ დედფალ,
 ჩინ მახენე თამარ დედფალ!
 ფთთვარ ჯავანდა ევარყულიაი,
 თერალ ჯისგურდა გიმრიძე,
 შდგქარ ჯადდა მარგლიტიძე;
 სვამხან ჯაქუდა ატლასე,
 ქამხან ჯაქუდა აბჯარე
 ჭემხას ჯასდანდა, ო, ჩექმარე,
 თხუმას ჯავანდა ზურჩია;

ჩაქილდ ჯეჲად ქვიშიძე ფერში,
ჰენგრილ ჯიგანდა, ოფ, ლგშკბდი,
ჰბლვირ ჯისდნდა ლუნტროვე,
მიდრბჰ ჯუღვანდა ოქერბში,
თამარ დედოფალ, თამარბლსი,
ხიდ მახენე თამარბლსი!
(მუღანსი)

ქართული შესატყვისი

თამარ დედოფალი

ო, სინარულო, თამარ დედოფლო,
ვევლახე უკეთესო, თამარ დედოფლო!
თმები გქონდა („გედგა“) სუჭუჭი,
თვალეები გეჯდა გიშრისა,
კბილეები გქონდა მარგალიტისა;
მიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი,
ფეხზე გეცვა, ო, ჩექმები,
თავზე გედგა ზუხი;
ცხენი გეავდა ქვიშისფერისა,
უნაგირი გედგა, ოფ, მოჭედლილი,
ალვირნი გედგა მოვერცხლილი,
მათრანსი გქონდა ოქროსი,
თამარ დედოფლო, თამარ,
ვევლახე უკეთესო თამარ.

მეგრული ლექსი

ჩქიმი ნინა ქართული

ჩქიმი ნინა ქართული,
სარკო დო მორკული,

მიცორს ჩქიმი დიდანალო,
თიძო ვორექ, თიძო ვხანდექ,
უბირქ მათქალიანალო,
თისი ქოგუალუაფუქ
სანთელო დო ოკმაფუო,
სიცოცხლე დო სამოთხე რე
ოფუჩური საქართუო...

ქართული შესატყვისი

ჩემი ენა ქართული

ჩემი ენა ქართული,
საზღანრო და საოცარი,
მიუვარს (ჩემი) დედანავით,
მისთვის ვარ, მისთვის ვშრომობ,
ვუძღვრი ბუღბუღივით,
მას შემოვუვლები
სანთლად და საკემკლად,
სიცოცხლე და სამოთხეა
საფიცარი საქართველო...

ღაზური ლექსი

მჯვეში გურჯიშენ მოხთეს, გიჩქინი, ჯუმა ჩქინი?
ჩქინ გოჭკონდინერი ვორეთ, მჯვეშური ჯუმა ჩქინი!
გურჯისტანის დიდო რენ არქადაძეფე ჩქინი!
გურჯისტანის რენან-ი ნოსერი ჯუმა ჩქინი?
ღაზი, გურჯი, მეგრელი – თელითი ჯუმა ჩქინი!
თურქიქ დომჭვეს, დომხალეს, ამბაი ვარ გიჩქინი!...
ჩქინ თქვანი ნამუ ვორეთ, აწიმა ვარ მიჩინით...
დიდო ბგორით მეჯვეშეფე, აღანი ვარ ვიჩინით...

ქართული შესატყვისი

ძველ ქართველთა მოღვმა ვართ, თუ იცით, ჩემო ძმაო?
დავიწუებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!
საქართველოში ბევრია ჩვენი ამხანაგები!
საქართველოში არიან ჩვენი ჭკვიანი ძმები?
ღაზი, ქართველი, მეგრელი – ჩვენი ძმები უველანი!
თურქმა დაგვწვა, დაგვდავა, შენ არ იცი ამბავი?...
ჩვენ კი თქვენი ვინა ვართ, აქამდე ვერ გვიცანით...
ბევრჯერ ძველნი ვინატრეთ, ახლები ვერ ვიცანით...

ქართული სამწერლობო ენა

ერის ისტორიაში ღვება ღრო, როცა მას უხნდება სურვილი, თავისი ნაფიქრი, ნააზრვეი შთამომავლობას გადასცეს. ამისთვის იქმნება დამწერლობა. ამბობენ, დამწერლობის ჰირველი ნიმუშები უძველეს ეპოქებში ჩნდება... მერე იხვეწება, სრულყოფილი ხდება... დიდმა ერებმა ასე შექმნეს თავიანთი დამწერლობანი ათასწლეულების წინათ და კაცობრიობა გაამდიდრეს თავიანთი მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებით... ასე გახდა ათასეული წლების წინანდელი გენიოსების ნააზრვეი მომდევნო თაობების კუთვნილება...

ენებს, რომელთაც აქვთ დამწერლობა, სამწერლობო ენებს უწოდებენ. ანუ: ენები არის სამწერლობო და უმწერლობო. სამწერლობო ენას კულტურულ ენასაც უწოდებენ: დამწერლობა არის საფუძველი წერილობითი კულტურისა.

ქართული სამწერლობო ენაა!..

ამბობენ, მსოფლიოში 5000-ზე მეტი ენა-დიალექტიაო. ამათგან დამწერლობა აქვს მხოლოდ რამდენიმე ასეულს.

მათ შორის არის ქართული ენაც!..

დამწერლობის მქონე რამდენიმე ასეული ენიდან მხოლოდ რამდენიმე ათეულს აქვს უძველესი დამწერლობა.

მათ შორის არის ქართული ენაც...

დამწერლობის მქონე რამდენიმე ასეული ენა გამოიყენებს სხვადასხვა დამწერლობათა სისტემას, ანბანს. ამბობენ, დღეს მსოფლიოში დამწერლობის მხოლოდ თოთხმეტი სახეობაა ნმარებული.

მათ შორის არის ქართული დამწერლობაც!..

ანბანის უმეტესობა რამდენიმე ენისათვის გამოიყენება. მავალითად, ლათინური ანბანის საფუძველზე შედგენილ დამწერლობებს გამოიყენებს რამდენიმე ათეული ენა: ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა, ამერიკის, ავსტრალიისა თუ აფრიკის ქვეყნების დიდი ნაწილი... თოთხმეტიდან მხოლოდ რამდენიმე ანბანია, რომელსაც იყენებს მხოლოდ მისი შემქმნელი ერი...

მათ შორის არის ქართული ანბანიც!


იყო დრო, როცა ქართულ ანბანს დამწერლობისთვის აფხა-
ზური ენაც იყენებდა (1938-1954 წლებში), მაგრამ ამჟამად აფხა-
ზური დამწერლობა სლავურ ანბანს ეფუძნება...

ასე რომ, ქართული უძველესი დამწერლობის მქონე ენაა;
უძველესი სამწერლობო ენაა, სალიტერატურო ენაა, კულტურული
ენაა (ეს სინონიმური გამოთქმებია)... ქართული ანბანი არის
მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სრულყოფილი ანბანური სისტე-
მა.

და მაინც, როდის გაუჩნდათ სურვილი ქართველებს ჰქონო-
დათ საკუთარი დამწერლობა, საკუთარი ანბანი?


– ძალიან დიდი ხნის წინათ.

უძველესი წერილობითი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მო-
აღწიეს, V საუკუნით თარიღდება. ბოლნისის სიონის ტაძრის
(თბილისიდან 60-ოდე კილომეტრითაა დაშორებული) სამშენებლო
წარწერა 492-493 წლებში ჩანს შესრულებული. XX საუკუნის
50-იან წლებამდე ის უძველეს ქართულ წარწერად ითვლებოდა.



ბოლნისის წარწერა


1952-1953 წლებში იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ ზალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები, რომლის იატაკსაც შემორჩენილი იყო მოზაიკით შესრულებული ქართული წარწერები. ამ წარწერთაგან უძველესი, მეცნიერთა აზრით, მესამე საუკუნის დასაწყისისაა (428-432 წლებით თარიღდება). ასე რომ, ამ აღმოჩენით უძველესი ქართული წერილობითი ძეგლის თარიღმა ერთბაშად ექვსი ათეული წლით გადაიწია, 60 წლით განაზღვრდლივდა დოკუმენტირებული ისტორია ქართული დამწერლობისა...



ზალესტინის ეროლივი წარწერა (IV ს.)

უფრო მოგვიანებით, XX საუკუნის ბოლოს, კანეთში, ნეკრესის ნაქალაქარში, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქართული წარწერები, რომლებიც წინარექრისტიანული ეპოქის ძეგლებად მიიჩნეეს; ანუ IV საუკუნემდეღად (ლ. ჭილაძეილი). ეს ძალიან საინტერესო აზრი სამუშაო ჰინათეხაა. თარიღის დაზუსტება და არსებული კითხვის ნიშნების მოხსნა მომავლის საქმეა.

თუ ამ აღმოჩენათა დინამიკას მივადევნებთ თვალს, შეიძლება იმედით შევხედოთ მომავალს: არ გამოირიცხება, აღმოჩნდეს უფრო ადრინდელი ძეგლებიც დამწერლობისა... ამ ვარაუდს ლოგიკური საფუძველი აქვს. მეცნიერულად დადასტურებული, უდავო და უეჭველი არის ის, რომ V საუკუნეში ქართველებს დამწერლობა უკვე ჰქონდათ! რეალური დოკუმენტირებული ისტორია ქართული მწიგნობრობისა სწორედ V საუკუნიდან იწყება.



არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ დამწერლობა ქართველებს ჰქონდათ V საუკუნეზე გაცილებით ადრე. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძნულ წყაროებში არაერთი ცნობა მოგვე-

ზოგება იმის თაობაზე, რომ ქართველებს (კოლხებს) წინარქების-ტიანულ ეპოქაში ჰქონდათ დამწერლობა...

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XI საუკუნის ქართული ისტორიკოსის – ლეონტი მროველის – ცნობას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ; უფრო სწორად, ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებულ ცნობას. მემატეანის მიხედვით ქართული დამწერლობის შექმნა ფარნავაზ მეფეს (ძვ. წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეები) უკავშირდება: „*ესე ფარნავაზ იყო ზირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაჲანი. ამან განაზრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული*“. ფაქტია, რომ XI საუკუნის ისტორიკოსი ემყარება უფრო ადრეული ეპოქის მემატეანის ცნობას. საუბრობენ ამ ცნობის სარწმუნოებაზე, რადგანაც ლეონტი მროველის მოთხრობილ სხვა ამბებს ისტორიკოსები ფაქტად მიიჩნევენ („მეფეთა ცხოვრება“ იქნება თუ სხვა). დამწერლობათმცოდნე რ. ზატარიძის კვლევამ მეტი დამაჯერებლობა შესძინა ფარნავაზის ეპოქაში ქართული დამწერლობის არსებობის თეორიას. დამწერლობის წარმოშობის ფარნავაზის ეპოქასთან დაკავშირება კიდევ უფრო სარწმუნო გახადა ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარმა – დავათის სტელამ (ქვაჯვარმა). დავათის სტელის თაობაზე ზემოთაც ვწერდით. აქ იმას ვიტყვით, რომ სტელაზე არსებულ წარწერაში დამიფრული თარიღი ფარნავაზის ეპოქას ემთხვევა... მეტიც, გამოთქვა ის აზრიც, რომ ფარნავაზის დროს კი არ შეიქმნა ქართული დამწერლობა, უკვე არსებული დამწერლობა ფარნავაზმა სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადა... ანუ: ფარნავაზმა შექმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, ქართული ენა სახელმწიფო ენად აქცია ამ სახელმწიფოში და ქართული დამწერლობა – სახელმწიფო დამწერლობად!..

სხვათა შორის, მემატეანე ასეთ ცნობასაც გვაწვდის: „*არა უწიგნონი იუენენ ქართველნი უწინარესთა ქამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ ივინი უხუცესთა წერილითა*“ („მემეცნებათა მატეანე“).

საინტერესო ცნობაა!...

ანალოგიისათვის გაგვასვენებს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ფაქტი: ქრისტიანობა საქართველოში პირველივე საუკუნიდან შემოდის; გავისწავლოთ თუნდაც ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობა საქართველოში. მაგრამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნეში. და ვთვლით, რომ IV საუკუნიდან ვართ ქრისტიანები... ასეა ვითომ დამწერლობის შემთხვევაშიც? ზოგჯერ რომ წერს, „*26 საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანსო*“ (გალაკტიონი), ამგვარ ვარაუდს გულისხმობს? მნელი სათქმელია...

ცხადია, ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუ ქართული დამწერლობა V საუკუნეზე გაცილებით ადრინდელი ფაქტია, რატომ არ მოაღწია ადრინდელმა ძეგლებმა ჩვენამდე? ამ კითხვას ზასუხი აქვს: ჯერ ერთი, XX საუკუნის II ნახევრის აღმოჩენები (ზალესტინის წარწერები, დავათის სტელა და ნეკრესის წარწერები) გვამლევინ იმის იმედს, რომ აღმოჩენათა ეპოქა არ დასრულებულა...

და კიდევ: დამწერლობის ადრეული ძეგლების მოუღწევლობის ერთ-ერთ მიზეზად დროის ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ. დრომ აქცია უჩინრად გარკვეულ მომენტამდე ზალესტინის წარწერები თუ დავათის სტელა... რამდენ ასეთ ძეგლს ინახავს ქართული თუ არაქართული მიწა, რამდენ ფაქტს საიდუმლოების ფარდა აქვს გადაფარებული. ვინ იცის... ღმერთმა ქნას, მათაც ზალესტინის წარწერებისა და დავათის სტელის ბედი ერგოს!..

შემთხვევითობაც არ უნდა გამოვირიცხოთ. ასეთ ამბავს ჰყვებიან: ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953 წ.) შემთხვევით შეესწრო, მავანმა დიასახლისმა ნაგავს როგორ გააუოლა გაუვითლებული ფურცლები; „ხელმწიფის კარის ვარიტება“ აღმოჩნდა, უნიკალური ძეგლი ქართული სამართლისა, XIV საუკუნეში შექმნილი... იგი ამ ერთადერთი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული. რომ არა ბედნიერი შემთხვევა, დაუდევრობა ამ ძეგლსაც შეიწირავდა... სხვა მაგალითი: ენათმეცნიერ ალექსი ჭინჭარაულს (1925-2011 წწ.) უეცარდა ერთი სინური ხელნაწერის ამბის მოთხრობა – ტყვედოფილ ქართველს კონსტანტინეზოლის ბაზარში შეუძენია ავაკანის ძეგლ სინის მონასტრიდან მოპარული ქართული ხელნაწერი (ჯიბეში ორიოდუ მარჩილი ძეგლი და მატეებითა და მატეებითა ორიდან ერთი ხელნაწერის დახსნა მოვანერსეო) და აუტანია სინასე. ამას

ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერი გვამცნობსო. ტყვედუოფილი წერს, რომ ვერ შეძლო მეორე ხელნაწერის შექმნა და ანამუსებს იძას, ვინც შეიძენს მეორე ხელნაწერს და არ ამოიტანს იქ, საინდინაც მოაზარესო... ტყვედუოფილი თავის სახელსა და გვარსაც კი არ გვაცნობს. ამას ა. ჭინჭარაული „უსახელო ქართველთა“ ამბავს მოაუოლებდა... არადა შემთხვევამ უსახელო გმირად აქცია ის ტყვედუოფილი – ძვირფასი საუნჯე გადაურჩინა შთამომავლობას...

როცა წერილობით ძეგლთა მოუღწევლობის მიზეზებზე ვსაუბრობთ, გარეშე ძტრის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. მოგკენებნათ, მოძნდური არ ინდობდა არაფერს, რაც ჩვენს ეროვნულობას უკავშირდებოდა. ძირითადი სამისზე ეკლესია-მონასტრები იუო: ძტერი სარწმუნოებრივად ჩვენს გატყნას ისახავდა მიზნად; არადა, ძწივნობობის ძირითადი კერა ძველ საქართველოძი ეკლესია-მონასტრები გახლდათ...

და კიდევ: ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცნადება გარკვეულწილად წინარექრისტიანულ კულტურასთან დაპირისპირების ფონზე წარიძართა. ამ დაპირისპირებამ, როგორც ჩანს, არაერთი წერილობითი ძეგლი შეიწირა...

ფაქტია: უძველესი წერილობითი ძეგლების მოუღწევლობას სერიოზული მიზეზები აქვს...

მაგრამ ძაინც – იძედით ვუუერებთ მოძავალს; ველით ახალი ძეგლების აღმოჩენას, ახალი არგუმენტების მოძიებას ქართული დამწერლობის წინარექრისტიანული ეპოქიდან მოძინარეობის თაობაზე; ანუ იძის შესახებ, რასაც ვაღააკტიონი ფიქრობდა, „ოცდაექვსი საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს“...

ასრთა სხვადასხვაობის თეძაა ისიც, ქართული ანბანის შემოქმედს რომელი ანბანი ჰქონდა ნიძუძად, როცა ქმნიდა ქართულ დამწერლობას. საუბრობენ უფრო ადრეულ ანბანურ სისტემებზე – ფინიკიურზე, არამეულზე, ბერძნულზე... ეს არ გულისხმობს იძას, რომ ქართული ანბანი იძეორებს რომელიძე სხვა ანბანს. ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის შემოქმედი იცნობს სხვა დამწერლობებს და ამ ცოდნის საფუძველზე ქმნის ორიგინალურ, დამოუკიდებელ ანბანურ სისტემას. არსებობს სხვაგვარი გააზრებაც, თუძნა ამ თეძას ჩვენ არ ჩავუღრძავდებით.

ორიოდე სიტყვა ქართული ანბანის სომხურობის თეორიაზე: სომხურ საისტორიო წყაროებში VII-VIII საუკუნეებში ჩნდება ცნობა, რომ სომხური ანბანის შემოქმედმა მესროპ მამტოცმა (V საუკუნე) მას შემდეგ, რაც შექმნა თავისი ანბანი, ჯერ ალბანელებს (კავკასიის ალბანელებს – ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რომ მოსახლეობდნენ ოდესღაც და დღეს აღარ არსებობენ), ხოლო შემდეგ ქართველებს შეუქმნაო ანბანი. სომეხი ისტორიკოსი იმასაც განახავს, რომ თურმე მამტოცმა ქართული ენა არ იცოდა და ღვთის შეწევნით შეძლო უცნობი ენის ანბანის შექმნა. ეს იმდენად აბსურდული „თეორიაა“, რომ არც ღირდა ამხე დროის ხარჯვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი სომეხი მეცნიერი დღესაც იმეორებს ამ აბსურდს...

აბათუ უცნობი, ნაცნობი ენის ანბანის შექმნა ურთულესი საქმეა. სომხურობის „თეორიის“ აბსურდულობის დასტურად ესეც კმარა; გრაფიკული მსგავსება რომ არ არის ქართულ და სომხურ ანბანებს შორის, ესეც ფაქტია; V საუკუნეზე უფრო ადრე რომ იყო ქართული ანბანი, ამასეც ვისაუბრეთ... რატომ გაჩნდა ასეთი ცნობა სომხურ საისტორიო თხზულებაში? – როგორც ჩანს, ეს ნაეალებუი ჩანართი V საუკუნის საისტორიო თხზულებაში გვიან, VII-VIII საუკუნეებში ჩნდება – სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების შემდეგ. ქართველებზე „განაწევნებული“ სომეხი ისტორიკოსი ქმნის „ფაქტს“, რომ ქართველები სომხებისაგან დავალებულები ვართ! ჩვენი საკუთრების მითვისების არაერთი სხვა მცდელობაც ჰქონიათ მათ... ამის თაობაზე არაერთი გამოკვლევა შექმნილა... ილია ჭავჭავაძის „კვათა ღაღადი“ განსოვთ? აქ მხოლოდ ამის თქმით შემოვიფარგლოთ...

არადა ვთქვით, ანბანის შექმნა ნებისმიერი ენისათვის ურთულესი საქმეა-თქო. ანბანის შემოქმედი ახდენს ენის ბევრთი სისტემის ანალიზს, გამოყოფს ბგერებს, როგორც მეცნიერები იტყვიან, ფონემებს – სიტყვათგანსხვავებუელი ფუნქცია რომ აქვთ, ისეთ ბგერებს და მიუსადაგებს მათ გრაფიკულ ნიშნებს – ასოებს... უნდა ითქვას, რომ იმ უხსოვარ დროს ქართველმა ანბანისშემოქმედმა (თუ შემოქმედებმა) შეძლეს ეოველივე ეს შეესრულებინათ უნაკლოდ, უმაღლესი პროფესიონალიზმით და შთამომავლობას დაუტოვეს უნი-

კალური ქართული დამწერლობა. ამის თაობაზეც ბევრი თქმულა, მრავალი მონოგრაფია შექმნილა...

აქ ერთი ფაქტია საინტერესო, მაგალითად, სომხურ დამწერლობას V საუკუნიდან დღემდე სახე არსებითად არ შეუცვლია, მაშინ, როცა ქართულმა ანბანმა სამი საფეხური განვლო: 1. ასომთავრული ანუ მრგლოვანი, 2. ნუსხური და 3. მხედრული. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი გრაფიკული სტილი აქვს. არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს სამი სხვადასხვა დამწერლობაა. არა, ეს არის ერთი და იმავე დამწერლობის განვითარების სამი საფეხური: ნუსხური არის ასომთავრულის განვითარების შედეგი, ხოლო მხედრული – ნუსხურისა. ეს ცვლილებები განსაზღვრან სწრაფი, გამარტივებული წერისაკენ მისწრაფებამ, რასაც წიგნზე მხარდი მოთხოვნილება განაპირობებდა. ეს ძალიან ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, თუ სხვადასხვა დროის წარწერებიდან თუ ხელნაწერებიდან ამოღებულ ასოებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დავაღვავებთ; ეოვლი მესობელი ამ რიგში მკვეთრად ჰგავს ერთმანეთს, დაშორებულები – სხვაობენ.

ასომთავრულით შესრულებულ წარწერებსა და ხელნაწერებს XI საუკუნის ხათვლით ვხვდებით. ნუსხური სახეობის პირველი ნიმუშები IX საუკუნიდან გვხვდება, ხოლო მხედრული X საუკუნის ძეგლებიდან დასტურდება. ნუსხური სახეობა მხედრულის პარალელურად XIX საუკუნემდე არსებობდა. დღეს ძირითადად გამოიყენება ქართული დამწერლობის მხედრული სახეობა.

ისე, საინტერესო კითხვები მაინც რჩება. გვანსოვს ალბათ, ზემოთ იმის თაობაზე ვსაუბრობდით, V საუკუნიდან დღემდე სომხური ენა ისე შეიცვალა, ორი ენა მივიღეთო (გრანბარი და ამხარბარი), ქართულ ენას კი მსგავსი ცვლილება არ განუცდია; ქართული ერთი ენაა... რაც შეეხება დამწერლობას, სომხური ანბანი ფაქტობრივად არ შეცვლილა ამ დროის მანძილზე, ქართულმა ანბანმა არსებითი ხასიათის ცვლილება განიცადა... სამხჯელოდ იოლი, მაგრამ ასახსნელად რთული ფაქტია...

ქართული სახელმწიფო ენა

ქართული ენა სახელმწიფო ენაა დღიდან ქართული სახელმწიფოს არსებობისა; ქართული სახელმწიფო კი ძალიან დიდი ხნის წინათ შეიქმნა.

პირველი ქართული სახელმწიფო — ქართლის სამეფო — თითქმის 2500 წლის წინათ ჩამოყალიბდა. ამ სამეფოს პირველი მუფე ფარნავაზი იყო, რომელიც მოღვაწეობდა ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დამდეგს. მემბტიანის ცნობით, ფარნავაზის დამსახურებაა ის, რომ ქართული ენა იქცა პირველი ქართული სახელმწიფოს — ქართლის — სახელმწიფო ენად (რაც თქმა უნდა, ტერმინს „სახელმწიფო ენა“ გამოიყენებთ დღევანდელი ვაგებით). მემბტიანე ლეონტი მროველი (XI ს.) წერს: *„ესე ფარნავაზ იყო პირველი მუფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართლისა“*.

ფარნავაზის დროინდელი ქართლი საქართველოს გულისხმობს. ისტორიკოსები განმარტავენ: ფარნავაზმა ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა — ქართლის სამეფო დაეო საერისთავოებად — მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრისის, კლარჯეთის, ეგრისისა და შიდა ქართლის საერისთავოებად. ასე რომ, თითქმის სრულიად საქართველოს განაგებდა ფარნავაზი და სრულიად საქართველოში იყო ქართული სახელმწიფო ენა.

მართალია, მომდევნო საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, მაგრამ ენობრივი მთლიანობა შენარჩუნებული იქნა. მაგალითად, VIII-X საუკუნეებში საქართველო რამდენიმე ცალკე პოლიტიკურ ერთეულად წარმოგვიდგება — ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის სამეფოებად და ქართლის საერისთავოდ. გიორგი მერჩულე (X ს.) წერს: *„ქართლად ჳრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა კამი ძეიწირვის და ლოცვაჲ ვოველი აღესრულების“*. გვანსოვს „გრიგოლ ხანძთელის ცნობებიდან“ — აფხაზეთს დემეტრე მუფე განაგებს; ტაო-კლარჯეთს — ამოტი და შემდეგ ბავრბატი... ქართლში არაბები ბატონობენ და ერისმთავარი მთავრობას (ნერსე იყო ერისმთა-

ვარი...)). რეალობა ასეთია: დაძლილია ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ არსებობს ერთიანი „სახელმწიფო ენა“. აქ ერთი მოძენტიცაა საგულისხმო: ქართული ენა არის განსრუებული საქართველოს ეროვნული მთლიანობის ნიშნად. რასაც ამბობს გიორგი მერსულე, ასე უნდა გავიგოთ: რომ არ იყოს წირვა-ლოცვა ერთ ენაზე – ქართულ ენაზე, ქართლი (საქართველო) არ იქნებოდაო. „ფრიადი“ მრავალს ნიშნავს ძველ ქართულში. ე.ი. მრავალი ნაწილი („ფრიადი ქუეყანად“) საქართველოსი ერთიანი ქართლია და მათ ქართული ენა ამთლიანებს, აერთიანებს...

როცა წერენ, „გრიგოლ ხანძთელის ცნობებებში“ ეროვნული მთლიანობის იდეაა ნაქადაგებო, ამას გულისხმობენ...

დიან, ქართული ენა იყო სიმბოლო ქვეყნის მთლიანობისა. ასე იყო ეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების ეპოქაშიც და მაშინაც, როცა საქართველო პოლიტიკურად დაძლილი და დაქუცმაცებული იყო.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქცია არ მოძლიდა და არ შეზღუდულა მაშინაც კი, როცა საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქუეყანა განიცდიდა გარეშე მტრის ძლიერ პოლიტიკურ ზეგავლენას. გავისხეხოთ არაბების, მონღოლების, სპარსელებისა და ოსმალების მიერ საქართველოს მთლიანი თუ ნაწილობრივი ანექსიის ფაქტები. ქართული ენა რჩებოდა საქართველოს ოფიციალურ ენად საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ცნობებების ვეულა სფეროში. ასე იყო ეს XIX საუკუნემდე.

ქართული ენის სახელმწიფოებრივ ფუნქციას საფრთხე XIX საუკუნეში შეექმნა. სწორედ XIX საუკუნის დამდეგს საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა: რუსეთის იმპერიამ მოანდინა მისი სრული ანექსია; საქართველო განდა რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი (დასავლეთ საქართველო ქუთაისის გუბერნიად იქცა, აღმოსავლეთ საქართველო – თბილისის გუბერნიად; თბილისი კავკასიის მთავარმართებლის (შემდგომში მეფისნაცვლის) რეზიდენციად გამოცხადდა. საქართველოში ოფიციალური (საქმისწარმოების, განათლების, სასამართლოს, ღვთისმსახურების...) ენა რუსული იყო... ვიმეორებთ: *ფარნავაზიდან მოყოლებული* (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) *ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართულმა*

ენამ დაკარგა სახელმწიფო ენის სტატუსი და ეს ჰეროდი საუკუნეზე მეტ ხანს გავრძელდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ფართომასშტაბიანი ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საქართველოში ქართული ენისათვის თავისი კუთვნილი ადგილის დაბრუნება, რუსული ენის მიერ წართმეული უფლებების აღდგენა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპის დასასრულებლად მიხნეულია ილია ჭავჭავაძის წერილის – „ორიოდე სიტყვა თავად რევანს შაღვას ძის ერისთავის კოხლოვის მიერ „შემლილი“-ს თარგმანზედა“ – გამოქვეყნება. 1861 წელი იყო. გავისხენოთ მთავარი შეგონება ილია ჭავჭავაძისა: „*სამი დღოთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-მამათავან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა ზანუხს გავცემთ შთამომავლობას?...*“ და იქვე: „*სხვისი არა ვიცით და ჩვენ-გი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწახთან ვახსოვრებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მავან კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა ძეგხოს*“.

სწორედ აქედან, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, იწეება ქართული ენის მიერ დაკარგული სივრცის დაბრუნება: მთელ ქვეყანაში გაიხსნა ორ- და ოთხკლასიანი ქართული სამრევლო სკოლები, აღდგა ქართული თეატრი, გამოვიდა ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები (ეს საქმე ცოტა ადრე დაიწყო, 50-იან წლებში).

1918 წლის იანვარში ქართული უნივერსიტეტის გახსნამ ქართული ენა აქცია მეცნიერების ენად...

და ეს ვა — ქართული ენის მიერ სახელმწიფო ენის ფუნქციების დაბრუნებისა და მოპოვებისა — დასრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისის შემდეგ. და მოხდა უმნიშვნელოვანესი ფაქტი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ჰირველი კონსტიტუცია უდღეური აღმოჩნდა. იგი დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. მოგვისხენებთ, ოთხი დღის შემდეგ რუსეთმა კვლავ მოახდინა საქართველოს ანექსია... თუმცა ამ ფაქტს, საქართველოს

ზირველ კონსტიტუციაში ქართული რომ სახელმწიფო ენად გამოცხადდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: როგორც ქვემოთ ვნახავთ, სანამ ბოლშევიკები თავიანთ კონსტიტუციას მიიღებდნენ (1922 წელს), ქართული ენისადმი დამოკიდებულებას ზირველი კონსტიტუციის ნორმა განსაზღვრავდა... და შემდგომაც ბოლშევიკურ კონსტიტუციებში ქართული ენის სტატუსის განსაზღვრაში ზირველი კონსტიტუციის გავლენა ჩანს...

ზირველი კონსტიტუციის ზირველ თავში ნათლად და ლაკონურად იყო ჩამოყალიბებული: „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“.

ეს განსაკუთრებით ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ზირველი კონსტიტუცია და ზირველი საკონსტიტუციო ჩანაწერი სახელმწიფო ენის შესახებ.

როგორც ვთქვით, სამწუხაროდ, დამოკიდებულ საქართველოსა და მის კონსტიტუციას დიდი დღე არ ეწერა...

1921 წლის 25 თებერვლიდან შეიქმნა „ახალი საქართველო“ – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის (მოდერნიზებული რუსული იმპერიის) ორგანული ნაწილი გახდა...

ქართული ენა სახელმწიფო ენად ამ კონსტიტუციამაც გამოაცხადა: „საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა“...

ყურადღება მივაქციოთ სიტყვას „ითვლება“. ეს არ არის კონსტიტუციისათვის დამახასიათებელი ენა: ჩვეულებრივ წერენ – „სახელმწიფო ენა არის“... იმ კონსტიტუციაში ეწერა „სახელმწიფო ენად ითვლება“. ფაქტია, აქ მინიმუმბაა სწორედ წინა კონსტიტუციაზე. სხვათა შორის ასეა დედაქალაქის მიმართაც: შემომოყვანილი ამონარიდი ასე გრძელდება – „ეველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა რეზიდენციად – ქ. ტფილისი“. იგულისხმება წმინა „ითვლება“. გაახრება ასეთი ჩანს: სახელმწიფო ენა იყო და იქნება ქართული; დედაქალაქი იყო და იქნება თბილისი...

ბოლშევიკურ კონსტიტუციაზე დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის გავლენა ამკარაა. ამ დასკვნის გამოტანის უფლებას კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გვაძლევს.

ბოლშევიკური ხელისუფლება თავისი კონსტიტუციის მიღება-
მდე საუბრობს ქართული ენის შესახებ, როგორც სახელმწიფო
ენაზე. ჩვენს ხელთაა რეკომის (რევოლუციური კომიტეტი) ერთი
ასეთი ბრძანება: „სახელმწიფო ენა საქართველოში“.

ბრძანება გამოქვეყნდა ბოლშევიკების უპირველეს სამთავრობო
გაზეთში – „კომუნისტში“ – ბოლშევიკური კონსტიტუციის მიღე-
ბამდე. მოვიყვანთ ამ საინტერესო დოკუმენტის სრულ ტექსტს.
ბრძანება იმითაცაა საგულისხმო, თუ ავადმყენებული ბოლშევიკე-
ბიც კი იმხანად როგორ იცავდნენ ქართულ ენას:

*„მიუხედავად რეკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანე-
ბისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ეველა დაწესე-
ბულებს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვაღიგებულა სა-
სტიკად აასრულონ ეს ბრძანება, ქალაქ თბილისში მაინც იხენს
თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღ-
მდეგ: იყო შემთხვევა ქართული ენის გამოკვების სურვილისა ზოგი-
ერთი დაწესებულებიდან.*

*რეკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად ასრულებულ
იქნას მისი ბრძანება და მოიხზოს პროვოკაცია მშრომელთა უფ-
ლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის
თვითგამორკვევის მოხზობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სა-
ხელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გაააქტიუროს და ცხოვრებაში
გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.*

*უკანასკნელ დროს, გამოხსდნენ პროვოკატორები, რომლებიც
მლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ
წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და
მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.*

*რეკომი აფრთხილებს ეველას, რომ ამისთანა პროვოკაციუ-
ლი მოქმედებებისათვის, რომლებიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას
საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილნი“.*

ბრძანებულება გამოქვეყნდა 1922 წლის მარტის ბოლოს.

ასე რომ, კონსტიტუციის მიღებამდე ბოლშევიკები საუბრობენ
ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესახებ. ეს უპირველი
კონსტიტუციის გავლენაა. ფაქტობრივ ამ ბრძანებულებაში განმარ-
ტებულია, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება სახელმწიფო

ენისადმი, ერთი მხრივ, ხელისუფლებისა და, მეორე მხრივ, თითოეული მოქალაქისა...

მომდევრო ბოლშევიკური კონსტიტუციები 1927 და 1937 წლებში გამოქვეყნდა. აქ უკვე „კონსტიტუციური ენით“ წერენ: „საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. როგორც ამბობენ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი მოსახლეობის ენას ასეთი სტატუსი არ ჰქონდაო ეველგან... ასე რომ, ზირველ კონსტიტუციას, მართალია, არ დასცაღდა მოქმედება, მაგრამ ამ კონსტიტუციამ სახელმწიფო ენად ქართულის დამკვიდრებისათვის დიდი საქმე გააკეთა...

ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, საფრთხის წინაშე დადგა 1978 წელს. ამ წელს გამოქვეყნდა პროექტი ახალი კონსტიტუციისა, რომელიც ქართულ ენას უუქმებდა სახელმწიფო ენის სტატუსს. 75-ე მუხლი ასე იკითხებოდა: „საქართველოს სსრ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის“.

ჩანაწერი — „უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას“ — ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული არის სახელმწიფო ენა. ქართული ენა იმ პროექტის მიხედვით გათანაბრებული იყო საქართველოში არსებულ სხვა ენებთან. სხვა ენათა ფუნქციებზე ასეთი რამ ეწერა: „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია ეველა იმ ორგანოსა და დაწესებულებაში რუსული, აგრეთვე სხვა ენების თავისუფალი ხმარება, რომლებთანაც მოსახლეობა სარკებლობს“, და აქამ მოჭეუება სავანგაშო დასკვნიითი ნაწილი ამ მუხლისა: „რანიმე პროვილეკიები ან მეზღუდეები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშება“.

ასე რომ, კონსტიტუციის 1978 წლის პროექტის მიხედვით ქართულს ერთმეოდა სახელმწიფო ენის სტატუსი და იგი უთანაბრდებოდა საქართველოში არსებულ სხვა ენებს. თუმცა აქ ერთი „დაზუსტება“ საჭირო: რუსული ენა იმ სხვა ენათაგან განსხვავებულია და წარმოდგენილი...

აქ ერთი საკითხიც გავითვალისწინოთ: საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა. სხვა ერების (სხვაგვარად: ეროვნული უმცირესობების) ენების სტატუსი და მდგომარეობა ყოველთვის იყო გათვალისწინებული. ამ მხრივ ისევ სანიმუშოა დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია: „არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ვეელას აქვს უფლება, სწეროს, პბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე“; – ამას დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია აკანონებს. მივაქციოთ ყურადღება: ეროვნულ უმცირესობათა ენების ძირითად სფეროებად განისაზღვრება:

- ა) სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება;
- ბ) განათლების სფერო;
- გ) ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ბოლშევიკურ კონსტიტუციებში იწეება ეროვნულ უმცირესობათა ენების ფუნქციათა გაზრდა. ეს, სამწუხაროდ, სახელმწიფო ენის – ქართული ენის – ხარჯზე ხდება.

ბოლშევიკურ კონსტიტუციაში (1922 წ.) ვკითხულობთ: „ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“. მაშასადამე, ეს კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობათა ენებს აკანონებს სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც პირველი კონსტიტუციით მხოლოდ ქართული ენა იყო დაკანონებული...

სახელმწიფო დაწესებულებებში არაქართული ენის ფუნქციონირების დაკანონება ქართული ენის უფლებების შესღუდვის ხარჯზე ხდება...

ერთიც არის, ქართული ენის ფუნქცია უმაღლეს მართიულ და სახელმწიფო ორგანოებში შესღუდულია. მას აქ რუსული ენა ენაცვლება. თუმიცა რუსული კონსტიტუციებში ცალკე არაა გამოყოფილი, მინიშნებული; იგი სხვა ენებში იგულისხმება.

1978 წლის კონსტიტუციაში წინა პლანზე წამოიწია რუსულმა და ქართული ენა სხვა ენათა გვერდით დადგა: ქართული, რუსული და სხვა ენები...

ეს იყო იმ ეროვნული და ენობრივი პოლიტიკის გამოვლენა, როცა ენა არ მიეკუთვნებოდა არც უცხო ენებს, არც „სხვა ენებს“; იყო რუსული ენა. სასწავლო პროგრამების შედგენისას საუბრობდნენ ქართულის, რუსულის და უცხო ენების შესახებ. უცხო ენად მოიაზრებოდა ევროპული ენები. ქართული მშობლიური ენა იყო (ასეც აისახებოდა ზოგ დოკუმენტში); რუსული? – არც მშობლიური და არც უცხო ენა... იყო მცდელობა, რუსული ენისათვის მეორე მშობლიური ენა ეწოდებინათ.

და ფაქტობრივად „სხვა ენათა“ ფუნქციების გაზრდა, რის ტენდენციაც წინა ბოლშევიკურ კონსტიტუციებში შეინიშნებოდა, 1978 წლის კონსტიტუციაში დასრულდა ქართულთან მათი ფუნქციური გათანაბრებით. საკონსტიტუციო ჩანაწერი – „რამე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ – სწორედ ამის დასტურია...

1978 წლის კონსტიტუციის პროექტით შემოთავაზებული ვარიანტი იყო მცდელობა ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევისა. ერთია: მანამდე ეს სტატუსი ჰქონდა ქართულ ენას და მისი უფლებები განუკითხავად ირღვეოდა; და როცა ეს სტატუსი აღარ ექნებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში აღმოჩნდებოდა...

მოკლედ, ქართული ენის, როგორც კონსტიტუციურად სახელმწიფო ენის, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია მთავრდებოდა...

საბედნიეროდ:

ქართველი საზოგადოება მზად აღმოჩნდა იმისათვის, რომ არ მიეღო ეს შემოთავაზება! მეტიც, ამკარნად და მკვეთრად დაპირისპირებოდა ამ გამომწვევას.

საკმაოდ ხანგრძლივი საჯარო განხილვა მოეწყო კონსტიტუციის პროექტისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათმცენიერების ინსტიტუტი და მწერალთა კავშირი იყვნენ მოთავენი ამ განხილვებისა. სტუდენტობა ჩაერთო აქტიურად და 1978 წლის 14 აპრილს, როცა დაინიშნა ამ კანონპროექტის განხილვა საკა-

ნონმდებლო ორგანოში, მოეწეო გრანდიოზული მასობრივი დემონსტრაცია. დემონსტრანტები დაიდრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და მიაღწენ საკანონმდებლო ორგანოს...

საღის მალისხმევამ შედეგი გამოიღო: საბჭოთა იმპერიამ უკან დაიხია, კონსტიტუციის პროექტში წარმოდგენილი 75-ე მუხლი შეიცვალა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.“

საქართველოს სსრ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ეოველმწივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოხსენიება ხარკებლობს. რაიმე პროვილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.“

ამ საბოლოო ვარიანტით ქართულმა ენამ კვლავ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი, მაგრამ მაინც 75-ე მუხლის მეხამე აბზაცი წინააღმდეგობრივი გამოვიდა: „რაიმე პროვილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“. გაუგებარია: როცა არსებობს სახელმწიფო ენა, წესით, მას აქვს პროვილეგია და სხვა ენის უფლებები მასთან შედარებით შეზღუდული იქნება. თუმცა ეს დეტალია. მთავარი მაინც რეალური ვითარება იყო: საბჭოთა კონსტიტუციას ერთი დიდი უბედურება სჭირდა: ფურცელზე ეველაფერი თითქოს კარგად ეწერა, რეალურად კი სხვა ვითარება იყო... ვთქვათ, ეწერა — საბჭოთა მოქალაქეს აქვს სიტყვის თავისუფლება... საბჭოთა რესპუბლიკას საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება... და ასე შემდეგ... თუმცა ეს და ამდგვარნი მხოლოდ ქაღალდზე ეწერა...

ასე იყო სახელმწიფო ენის შემთხვევაშიც. არსებობდა სფეროები, სადაც სახელმწიფო ენა, მარტივად რომ ვთქვათ, გამოდგენილი იყო: უმაღლეს მარტივ ორგანოში სამუქაო ენა რუსული იყო.. ერთაშორისი ურთიერთობის ენა საქართველოში ასევე რუსული იყო... ოთხმოციანი წლების დამდეგს გახნდა მოთხოვნა,

უმაღლეს სასწავლებლებში ზოგი საგანი წაკითხულიყო რუსულად... ისევ წინააღმდეგობა და დამღეული ძალადობა სახელმწიფო ენაზე!.. მოკლედ: კონსტიტუციურად ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა – როგორც იტყვიან, დომინანტური ენა, რუსული ენა – ჰინჯდომინანტური ენა...

1978 წლის 14 აპრილმა, როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლებას ჩააფიქრა და მომდევნო წლებში ზედიზედ ჩატარდა რამდენიმე სანტერესო ღონისძიება. 1979 წლის 10 აპრილს (წლისთავზე!) გამოქვეყნდა სამთავრობო დადგენილება „*რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების შესახებ*“. ამას თვითონვე დაართქვეს „საქმედ ქცევა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა“.

ეს დადგენილება არ ეხებოდა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. აქ მსჯელობა იყო სადისერტაციო ნაშრომითა რუსულად თარგმანის დაფინანსებაზე, ამ საქმეში გამოძეგმლობათა და ჰოლივუდოფიურ საწარმოთა ჩართვაზე, ქართული ენის სიწმინდის საკითხებზე ტელე- და რადიოგადაცემათა მოწობაზე და სხვა... ფაქტობრივი ურადღება იყო გამანავილებული ვეღლა იმ უბანზე, სადაც, ასე ვთქვათ, უჭირდა ქართულ ენას...

ასევე 1983 წლის სექტემბერში ახალი სამთავრობო დადგენილება გამოდის – „*რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ*“...

ცოტა მგვიანებით, 1988 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი“ – ეს იყო სახელმწიფო ენისადმი სახელმწიფო ზრუნვის გამოხატულების სანტერესო დოკუმენტი. პროგრამა დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს. ფაქტობრივ, ეს იყო მცდელობა კომუნისტურ ეპოქაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფისა. სწორედ ამ პროგრამაში ჩაიწერა ის, რომ 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადებულიყო. 14 აპრილის არჩევა გასაკებია: ქართული ენისათვის ბრძოლის, და რაც მთავარია, გამარჯვებით დამთავრებული ბრძოლის დღეა 14 აპრილი...

ქართული ენის დღის დაწესება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფის მექანიზმი უნდა ეოფილიყო; ზროგრამაში ჩაიწერა, ამ დღეს შეჯამდება, რა ვაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის სასიკეთოდო; ზროგრამა ეველან დაწესებულება-ორგანიზაციას ავალდებულებდა ანგარიშგებას ქვეყნისა და ერის წინაშე...

უფიქრობთ, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისადმი ზრუნვის სერიოზული გამახატულება იყო ამ ზროგრამის მიღება. სამწუხაროდ, ზროგრამამ დიდხანს ვერ იცოცხლა – გაჰყვა საბჭოთა ხელისუფლებას.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: კომუნისტურ ეპოქაში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსი შენარუნებული იქნა; მცდელობა ამ სტატუსის მოხსნისა კომუნისტების მარცხით დასრულდა. და ამასობაში ისტორიას ჩაბარდა კომუნისტების ეპოქაც...

1991 წელს საქართველომ აღიდგინა ეროვნული დამოუკიდებლობა.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლის მე-8 მუხლი ასე იკითხება: „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა; აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური“. ამ კონსტიტუციაში, განსწავებით წინა კონსტიტუციისგან, არ არის საუბარი ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ. ივარაუდებოდა, რომ უნდა შემუშავებულიყო „კანონი ენის შესახებ“... მომზადდა კიდევ ეს კანონი, თუმცა მისი განხილვა ზარლამენტში ვერ შედგა...

არადა, ამგვარი კანონის არსებობის აუცილებლობა მწვავედ იგრძნობა... კონსტიტუციით გარანტირებული სახელმწიფო ენის სტატუსი განმარტებებსა და დაზუსტებებს საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე...

ენახოთ, დაველოდოთ მომავალს!..

ფაქტია: ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა!..

კზა ქართული სალიტერატურო ენისა

ქართული სამწერლობო, ანუ სალიტერატურო ენაა. დღეს ძირითადად ოფიციალური ენის აღსანიშნავად სალიტერატურო ენას ვიყენებთ.

როგორც ვიცით, ენა იცვლება სივრცეში. ასე წარმოიქმნება სივრცობრივი ნაირსახეობები, რომელთაც დიალექტებს ან კილოებს ვუწოდებთ. კილოები ბუნებრივი ნაირსახეობებია ენისა ერთ სინქრონულ დონეზე წარმოქმნილი, რომელიც გამოიყენება ამ ენის გავრცელების სხვადასხვა ტერიტორიაზე. ამიტომ მათ ტერიტორიულ დიალექტებსაც ვუწოდებთ. ამ ტერმინის შემოტანა იმასაც მიგვანიშნებს, რომ არსებობს არატერიტორიული დიალექტებიც — ჰროფესიული, სოციალური. ჰროფესიული დიალექტი გულისხმობს იმ ენობრივ ნაირსახეობას, იმ ენობრივ თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ჰროფესიის ადამიანებისათვის (მაგ., ექიმებისათვის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისათვის, მონადირეებისათვის, მეთევზეებისათვის...), ანდა სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებისათვის (მაგ., ახალგაზრდებისათვის...). არსებობს ერთი ნაირსახეობაც ენისა, რომელსაც სალიტერატურო ენას ვუწოდებთ.

თუ დიალექტების შესახებ ვამბობთ, რომ ისინი ბუნებრივი ნაირსახეობანია საერთო-სახალხო ენისა, სალიტერატურო ენა არის მეტ-ნაკლებად ხელოვნური, სედიალექტური ნაირსახეობა ენისა.

არსებობს ცნება ეროვნული ენისა. ეროვნულ ენას ქმნის ერთობლიობა იმ ნაირსახეობებისა, რომლებიც წარმოიქმნება ამა თუ იმ ენობრივ სივრცეში (ისტორიულად თუ თანამედროვე დონეზე). სალიტერატურო ენა კი ეფუძნება იმ საერთო მონაცემებს, რომლებიც განლაგთ ნორმირებული, დანუწილი ნაირსახეობა ენისა. სალიტერატურო ენა იცვლება ეპოქის შესაბამისად; ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ყოველ ეპოქაში შესაბამისი წესების სახით ამკვიდრებს მას.

მაგალითად, როცა ვსაუბრობთ ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, არ იგულისხმება, რომ ეს სალიტერატურო ენა ერთია XIX და XX საუკუნეებისათვის (ახალი ქართული ამ

ეპოქას მოიცავს). სალიტერატურო ენის ნორმები განსხვავებულია ამ მონაცემის (ახალი ქართულის) სხვადასხვა ეტაპზე, მაგ., XIX ს-ის ბოლოს, XX ს-ის დასაწყისში თუ XX საუკუნის ბოლოს. ასე იყო ძველ ქართულშიც. ძველ ქართულად გავიარებთ V-XI საუკუნეების ქართულს; თუშინა აქაც იყო ზრინციშულად განსხვავებული ეტაპები: „ხანმეტი“ (V-VII ს.), „ჰამეტი“ (VII-IX ს.) და „ხანნარევი“ (IX-XI ს.)... ეს კანონზომიერებაა სალიტერატურო ენისა — იგი არის რეალობა იმ ეტაპისათვის, განვითარების რომელ ეტაპზეც იმყოფება ენა. ასეა ქართული სალიტერატურო ენაც. დღეს არსებულ სალიტერატურო ქართულს ვუწოდებთ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას აქვს ეველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელი არის ზოგადად სალიტერატურო ენისათვის:

- 1) იგი არის საერთო და სავალდებულო ეველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;
- 2) იგი არის ნორმირებული;
- 3) იგი არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება ამ ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე — სახელმწიფო მმართველობაში, სასამართლოში, არმიამში, განათლების სფეროში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში...

ქართული სალიტერატურო ენის შესახებ ვსაუბრობთ იმ დროიდან, რა დროიდანაც შეიქმნა ქართული დამწერლობა და, შესაბამისად, ლიტერატურის (მნატურული, საღვთისმეტყველო, საისტორიო, სამეცნიერო...) ნიმუშები. ვიცით, რომ ქართული დამწერლობა დიდი ხნის წინათ შეიქმნა, მაგრამ სალიტერატურო ენის ისტორიის ათვლას V საუკუნიდან ვიწვევთ — ქართული წერილობითი ძეგლები (ლიტერატურის ნიმუშები) სწორედ ამ დროიდან შემოგვრჩა; დოკუმენტირებული მწერლობა სწორედ ამ ეპოქიდან გვაქვს.

ჩვენ ვისაუბრებთ იმის თაობაზე, რომ თავისი განვითარების თქვესმეტსაუკუნოვან გზაზე ქართულმა ენამ ისე უმნიშვნელოდ იცვალა სახე, უძველესი წერილობითი ძეგლები დღევანდელი მკითხველისათვის გასაგებია (გავისხენოთ განსხვავებული ვითარება: ძველი ბერძნული ენა და ახალი ბერძნული ენა, ძველი სომხური

ენა და ახალი სომხური ენა...); სწორედ ამიტომ მივიხსენებ, რომ ქართული სალიტერატურო ენა არის „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (რ. თვარაძე). თუშცა...

სალიტერატურო ენა, მსგავსად საერთო-სახალხო ენისა, იცვლება, იხვეწება, ვითარდება. კვლავაც მივაქცევთ ეურადლებას: „სალიტერატურო ენა ეროვნული ენის უმაღლესი ფორმაა. სალიტერატურო ენა ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ეოველ ეპოქაში შესაბამისი წესების სახით ამკვიდრებს მას“ (ბ. ჯორბენაძე). ამ წესების – სალიტერატურო ენის ნორმების – დაცვა ეველა წიგნიერი კაცის მოვალეობაა. სხვა რომ არა, ესაა დედაენის ჰატივისცემისა და სიეუარულის გამოხატულება, ზრუნვა მის კეთილდღეობაზე, განვითარებაზე, მონოლითურობაზე...

უთქვით, სალიტერატურო ენა იცვლებაო. ჩვენ რომ წარმოდგენა გვექონდეს, როგორი იყო ქართული სალიტერატურო ენა საუკუნეთა წინათ, ძველ ეპოქაში, ამისთვის იზრუნეს ჩვენმა მწიგნობარმა წინაპრებმა და V საუკუნიდან მოყოლებული ძეგლების უდგამდნენ დედაენას თავიანთ ეპოქებში. იაკობ სუცესი და იოანე საბანის ძე, გიორგი მერჩულე და გიორგი მთაწმიდელი, იოანე ზოსიმე და იოანე მინჩხი, შოთა რუსთაველი და სულხან-საბა ორბელიანი, სხვანი და სხვანი ძეგლისმკებელნი არიან დედაენისა!.. მათი შემოქმედება უტეუარი და უკვდავი ძეგლებია ქართული ენისა!.. თითოეული მათი ნაწარმოები ძეგლია იმდროინდელი ქართულისა. ამ ძეგლთა გვერდიგვერდ დაეენებით ძეგვიძლია თვალი გაუადვენოთ ქართული ენის ისტორიას – რა სახე ჰქონდა მას ოდესღაც, რა შეიცვალა, რით და როდის...

უთქვით: სალიტერატურო ენა ნაირსახეობაა საერთო სახალხო ენისა. დიალექტი (დიალექტები) ბუნებრივი ნაირსახეობაა, სალიტერატურო ენა – მეტ-ნაკლებად ხელოვნური, ნორმირებული, წესდარებული ნაირსახეობა.

სალიტერატურო ენა ეოველთვის ეერდნობა, ეეუქნება ამა თუ იმ დიალექტს ან დიალექტთა ჯგუფს. დროთა განმავლობაში საერდენი, საორიენტაციო დიალექტი შეიძლება შეიცვალოს, რაც ჰრინციანული ხასიათის ცვლილებებს იწვევს სალიტერატურო ენაში. საერდენი დიალექტის ცვლისა და ამით გამოწვეულ შედგოთა

კარგი მაგალითია ძველი ქართული სალიტერატურო ენა; ამის დასტურად მცირე გრამატიკულ ექსკურსს ჩავატარებთ:

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გამოიყოფა ორი საინტერესო ზერიოდი – „ხანმეტი“ და „ჰამეტი“. „ხანმეტობა“ V-VII საუკუნეებში გვაქვს; „ჰამეტობა“ - VII-IX საუკუნეებში. ტერმინი „ხანმეტი“ გიორგი მთაწმიდელთან გვხვდება. ამგვარად იწოდება ის ძეგლები, რომლებშიც თავსართი ხ გამოხატავს: ა) სუბიექტურ მეორე ჰირს – *ხ-არ, მი-ხ-ვალ* (ეს ფორმები დღეს იმდროინდელი ნაშთია); ბ) მესამე ობიექტურ ჰირს – *მე-ხ-ვაბთ* („შევაბით“) ჩვენ მას იგი... გ) გვხვდება ერთპირიანი ვნებითის ფორმებში *ხ-იყო, ხ-იძალები* (თავსართის ფუნქცია უცნობია) და დ) უფრობითი ხარისხის ფორმებში – *ხ-უდიდეს, ხ-უმჯობეს...* ჰამეტი ძეგლებში ხანი შეცვალა ჰამე...

ხანმეტობა იყო ნორმა V-VII საუკუნეების ქართულისა, ჰამეტობა – VII-IX საუკუნეების ქართულისათვის. ივარაუდება, რომ ხანმეტობა და ჰამეტობა ერთი დროის ენობრივი მოვლენებია; ისინი დიალექტური ვარიანტებია. ერთი დამახასიათებელი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ქართველთა მეტყველებისათვის (ხანმეტობა), მეორე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველთა მეტყველებისათვის. V-VII საუკუნეების სალიტერატურო ქართულისათვის საერდენი იყო „ხანმეტი დიალექტი“, ხოლო მომდევნო ჰერიოდისათვის – „ჰამეტი დიალექტი“ (ა. შანიძე). ამიტომაც იყო ასეთი ზრინციანული სხვაობა სალიტერატურო ენის განვითარების ამ ორი ეტაპისათვის... ეს პროცესი – საერდენი დიალექტის შეცვლა – უნდა უკავშირდებოდეს არაბების შემოსევის შედეგად ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით გადანაცვლებას (ა. შანიძე).

IX საუკუნიდან მოყოლებული ძველ ქართულ სალიტერატურო ენას „ხანნარეკს“ ვუწოდებთ (იქ, სადაც თავსართი ხ ან ჰ იყო, ზოგან ხანი ჩნდება, ზოგან ჰამე რჩება და ზოგანაც იკარგება ჰერიოდიქსი)... აღარ გადავტვირთავთ მსჯელობას გრამატიკული წიაღსვლებით, ენათმეცნიერული მსჯელობით. ფაქტია, სალიტერატურო ენა ეერდნობა (უპირატესობას აძლევს) ენის ერთ-ერთ (ან რამდენიმე) დიალექტს, თუცა არასოდეს იმეორებს მას; სხვაგვარ-

რად რომ ვთქვათ, დიალექტი ან გადაიქცევა სალიტერატურო ენად. სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობს ენის ეველა ნაირსახეობა (კილო). ძველი ქართული ენა, მიუხედავად შემომოყვანილი ჰრინციაჟული ხასიათის სხვაობისა, არის ერთიანი, მონოლითური სალიტერატურო ენა. დიან, V-X საუკუნეების ქართული მკაცრად ნორმირებული სალიტერატურო ენაა. რავინდ უცნაურადაც მოგვეჩვენოს, ძველ საქართველოში უფრო მტკიცედ, ზედმიწევნით იცავენ მწიგნობრები სალიტერატურო ენის ნორმებს, ვიდრე დღეს... არადა დღეს საამისოდ მრავალი ზირობა გვაქვს: სალიტერატურო ენის ნორმებს გვასწავლიან სკოლებში, უმაღლესებში; ამ ენაზე გვესაუბრებიან რადიო-ტელევიზიიდან; ჰრესიდან, ლიტერატურიდან... არსებობს უამრავი ნორმატიული ლექსიკონი, კრებული, სამცენიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულება... და მაინც: ძველი ქართული სალიტერატურო ენა უფრო მეტად მტკიცე და მონოლითურია... აქ არსებითი არის ის, რომ მწიგნობრისათვის ძველ საქართველოში სალიტერატურო ენის ნორმა „ბიბლიის“ ენა, უფრო კონკრეტულად, წმინდა ოთხთავის ენა იყო. უოველგვარი გადახვევა სახარების ქართული თარგმანის ენიდან მკრესელობად მიახნდათ. ისიც გავისხენოთ: მწიგნობრობის ძირითადი კერები ეკლესია-მონასტრები იყო, მწიგნობრები – ამ მონასტრებში მოღვაწენი... გავისხენოთ, რას ამბობს გიორგი მერხულე – გრიგოლ ხანძთელმაო „სადმროთნი წიგნნი ზეპირით მოიწუართნაო“... და ასე, ზეპირად, იცოდნენ სადმროთ წიგნები მწიგნობრებმა... მწიგნობარი მოუწოდებს სხვასაც (მკითხველსა თუ გადამწერს), არ დაარღვიონ, არ გაამრუდონ სწორი ქართული: „*ვიცნა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰბოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისვან ჰერ ვინდეს დაწერაო ღმრთისათვის სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ*“... ამას გიორგი მთაწმიდელი მოუწოდებს მწიგნობრობის მოსურნეს; მოუწოდებს და ევედრება კიდევ: ღმრთისათვის, ნუ სცვალებთო... გიორგი მთაწმიდელი სახარების ტექსტს გულისხმობს. აქ ნათლად ჩანს, რომ ბიბლიის ქართული თარგმანების ტექსტი იყო ნორმა სალიტერატურო ქართულისა და ეს არა მხოლოდ მთაწმიდელების ეპოქაში; ასე განლდათ, როგორც ჩანს, V საუკუნიდან მოყოლებული; ამიტომაც იყო მკაცრად ნორმირებული სამწიგნობრო ენა; მწიგ-

ნობარს ეგრძალებოდა ამ ნორმიდან გადახვევა... სწორედ ამიტომ ამბობს სასჯანსმით გიორგი მერხულე – გრიგოლ ხანძთელმა ზე-პირად იცოდა საღმრთო წიგნებიო...

სალიტერატურო ქართულით საუბარი, სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდის დაცვა მწიგნობრის უმთავრეს ღირსებად მიაჩნდათ. იოანე და ეფთჳმე ათონელების ცხოვრების აღმწერი გიორგი ხუცეს-მონაზონი საგანგებოდ მიანიძნებს: *„ხუცესი იგი ესვეითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მოფლიოდ სიტყუად არ გამოვიდოდა, არამედ ეოველივე საღმრთოდ და სულიერი“*. *„მოფლიოდ სიტყუად“* – არალიტერატურულ, დიალექტურ ფორმებს გულისხმობს; სწორი, ლიტერატურული ქართული – *„საღმრთოდ და სულიერია“*?

და კიდევ: მიანიხიათ, რომ კარგი ქართული, წმინდა სალიტერატურო ენით მოღვაწება ქართველთა ენისა და ქვეყნის ამაღლებას, განათლებას, ღირსმსახურებას: ეფთჳმე მთაწმიდელმყოფელმა *„განანათლა ქართველთა ენად და ქვეყანად, რომლისა-იგი ნამუშაკვევი ახარებს მორიელთა და მახლობელთა“* (გიორგი მთაწმიდელი). აქ, ამ მონაკვეთში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფასდაუდებელია ქართული ოთხთავის როლი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განმტკიცებასა და სწორი გეზის მიცემაში. *„სახარება“* არის პირველი ქართული წიგნი, რომელმაც სწორ გზაზე დააყენა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება.

სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის ასეთ პრინციპულ პოზიციას ჰქონდა მეორე, ასე ვთქვათ, უარყოფითი მხარეც: გარკვეულწილად იზღუდებოდა ენის ბუნებრივი განვითარება; სალიტერატურო ენის ნორმათა ცვლა მხარს ვერ უბამდა ენის ბუნებრივ ცვლა-განვითარებას და შედეგი ამგვარი დამოკიდებულებისა სამწიგნობრო ენისადმი, სალიტერატურო ენისადმი იყო ის, რომ სალიტერატურო ენა მეტ-ნაკლებად დაშორდა ცოცხალ სასაუბრო ენას; *„მოფლიოდ სიტყუად“* უკვე ამკარად სხვაობს სამწერლობო ენისაგან. ეს სხვაობა თანდათან იზრდება. დავუკვირდეთ: წიგნის ენა შორდება ცოცხალ სასაუბრო ენას, საერთო-სახალხო ენას. მიუთითებენ: *„სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს. სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატული ხასიათისაა და საუკუნეებს*

უძლებს; ცოცხალი მეტეველების ნორმები გაცილებით სწრაფი ტემპით იცვლება. სალიტერატურო ენის ნორმები სძირად მას შემდეგან უნდა იყოს, რაც ცოცხალ მეტეველებაში ამ ნორმათა საფუძველი გრამატიკული თუ ფონეტიკური ევოლუციის შედეგად აღარ არსებობს“ (ზ. სარჯველაძე). ეს ფაქტი უკვე ამხადებს საფუძველს რეფორმისათვის...

ღიანს, სასაუბრო და სამწერლობო ენების დაშორება საფუძველი ხდება ენობრივი რეფორმისა... და ჰრინციპული ხასიათის ჰირველი ფართომასშტაბიანი რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა განახორციელა შოთა რუსთაველმა.

როგორც ვთქვით, საკმაოდ დამორდა „წიგნური“ და „ხალხური“ მეტეველება ერთმანეთს. შოთა რუსთაველმა ფაქტობრივად „მოხსნა“ ეს განსხვავება და სამწერლობო ენა (ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ ენა) დააფუძნა სასაუბრო ენაზე. ჰრინციპი — სალიტერატურო ენა საერთო-სახალხო ენას უნდა ეფუძნებოდეს — შოთა რუსთაველმა გაატარა ბოლომდე. ამიტომაც: X-XI საუკუნეების ძეგლების ენა უფრო მეტ სხვაობას ამჟღავნებს „ვეფხისტყაოსნის“ ენასთან, ვიდრე V-VI საუკუნეების ძეგლების ენასთან; სხვაგვარადაც შეიძლება ვთქვათ: „ვეფხისტყაოსნის“ ენა მეტ სხვაობას ავლენს X-XI საუკუნეების ძეგლების ენასთან, ვიდრე XVIII-XIX საუკუნეების ძეგლთა ენასთან...

რუსთაველთან დაკავშირებით ვერ ვიტყვით, რომ იგი რომელიმე კონკრეტულ დიალექტს დაემყარა; მისთვის საორიენტაციო იყო საერთო-სახალხო ენა, ზოგადად, სასაუბრო ცოცხალი ენა და არა რომელიმე კუთხის მეტეველება. საკითხის საგანგებო შესწავლის შემდეგ არნოდდ ჩიქობავა დაასკვნოდა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის (უძველესად ქართლ-კახეთის) კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მონაცემები; ფაქტია სამცხური დიალექტის თავისებურებათა დადასტურებაც...

ამიტომ ვიმეორებთ: შოთა რუსთაველის მიერ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში განხორციელებული რეფორმის მთავარი მიმართულება ასეთია: სალიტერატურო ენა უნდა ემყარე-

ბოდეს საერთო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები.

რეფორმა, რომელიც შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნით განახორციელა, წარმატებული აღმოჩნდა – საუკუნეების განმავლობაში სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ იყო ქართული სალიტერატურო ენისათვის სწორი გზის მიმცემი. დიანს, „ვეფხისტყაოსანი“ არის ის მეორე წიგნი, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის სწორი განვითარება...

მარტივი ჭკუძმარტებან: ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს კულტურის დონეს. ამის დასტურად XI-XII საუკუნეების ვითარების განხილვაც იკმარებდა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით აღორძინებული ქვეყანა და უძაღლეს საფეხურზე ასული დონე არქიტექტურისა, მხატვრობისა, ლიტერატურისა, განათლებისა, მეცნიერებისა... მოკესხეებათ, „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა... ენა არის კულტურის ძირითადი ფორმა“ (არნ. ჩიქობავა). ამიტომაც ენის მდგომარეობა, კეთილდღეობა, ცხადია, დამოკიდებულია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე... რუსთაველის ენა სწორედ ეპოქის შესაფერისი ენა იყო!..

რუსთაველის შემდგომ ეპოქაში საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის რღვევამ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის დასუსტებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ სალიტერატურო ენას... დიდია უცხო ენათა გავლენა... ძაღალი პოეტური ენა რუსთაველისა გადაგვარების საფრთხის წინაშე დაღვა. „სხვა ენათა განუკითხავმა მოძაღებამ გარდაუღალი შერეუნის საშიშროება შეუქმნა მას. დარბაისღური მეტევეღება გარმინაღული ქარღონით იღვღება. ენა კარღავს ეროვნულ ნიშატს. იღვღება ბარბარისღმებით, უცხოღური კაღკებით, იღიტება, მოუქნეღლი და მეიღფე ხღება“ (ბ. ჯორბენაძე).

შეშოღოდნენ ერისკაღცები.

„ეგ ნუ გკონია, სხვა ენა მეც არ ვიცოღდე სხვახავით, მაღრამ ცუღღია გარეღვა ქართულ ენაში სხვახ ავით“ – ეს მეფე-პოეტის არჩიღლის შექაღნიღღია... სულხან-საბა ორბეღლიანმა ქართული ლექსიკონი შექმნა; თავთავისი აღღიღლი მიუჩინა დიაღღექტურ თუ უცხო-

ენოვან სიტყვებს და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმატიული ფორმები წარმოაჩინა. განმარტავდა: „რომელნიცა ვიცოდით, დაუწერე და რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდით ღრმათ, წიგნებთა შინა ვაპოე და რომელნიმე სხვათა ენათა შუამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვაპოე, ადვილად თან მოვაწერე. რომელნიცა ვერა ვაპოე, საცილობელი არ დაუწერე“... და ეს უოველივე იმისთვის კეთდებოდა, „რათა ისწაონ ენა ქართული, შესრულებული და განვრცვლებული ფარნავაჲ ქართველთა შირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო მეთავან ქართლთაიანთა წარმართი“...

XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით რეალური საფრთხის წინაშე დადგა ქართული ენა...

და ასპარეზზე გამოჩნდა ანტონ ბავრატონი – ანტონ I კათალიკოსი. ამ უდავოდ ბუმბერაზმა ჰიროზებამ, თვალსაჩინო მოღვაწე ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა შემოგვთავაზა: ანტონმა სამი სტილის თეორიის დაკანონება სცადა. მიხანი ანტონ კათალიკოსისა იყო მამულიძვილური, კეთილშობილური: სურდა გაესწორებინა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური სახე; გადაერჩინა დედაენა... მიაჩნდა, რომ „არა-რა მოყურება სიბრძნისა აქმნების თჳნიერ მართლუბნობისა ანუ წესიერ წერიისა“...

მაგრამ შედეგი აღმოჩნდა სავალალო: ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ნაცვლად მივიღეთ სამკვარი ტიპის სამწერლობო ენა – ძალადი სტილის, საშუალო სტილისა და დაბალი სტილისა. ვითარება ასეთი ისახებოდა: ძალადი სტილით უნდა შექმნილიყო საღვთისმეტყველო და სამეცნიერო სასიათის ლიტერატურა; საშუალო სტილით – საისტორიო სასიათის ლიტერატურა და დაბალი სტილით – საყოფაცხოვრებო სასიათის დოკუმენტები... დაბალი სტილი ჩვეულებრივი სასაუბრო, არაწიგნიერი ენა იყო... ლიტერატურაში ეს ასე ღაგდებოდა: ძალადი სტილი – ტრაგედიის ენა, საშუალო სტილი – დრამის ენა, დაბალი სტილი – კომედიის ენა (**XIX** საუკუნეში გ. ერისთავის კომედიები სწორედ ამ პრინციპითაა შექმნილი...). ძალადი სტილის ჩამოყალიბებაში ანტონი აქტიურად ჩაერთა. მისი სამეცნიერო და საღვთისმეტყველო შრომები სწორედ ამ „ენით“ დაიწერა. მან ორიენტაცია

აიღო ძველ ქართულ ენაზე – სასულიერო მწერლობის ენაზე, არადა XVIII საუკუნეა... ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები უკვე დიდი ხანია წარსულს იყო ჩაბარებული... მოხდა მცდარი ინტერპრეტაცია ამ ნორმებისა და მივიღეთ ფაქტობრივად ხელოვნური სალიტერატურო ენა. ვიმეორებთ: მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ტრადიციისამებრ საყრდენად არ გამოიყენებოდა საერთო-სახალხო ენა... ხოლო თუ როგორი იყო XVIII საუკუნის საერთო-სახალხო ენა, ამის თაობაზე წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ თუნდაც დავით გურამიძის პოეზიით... ხოლო როგორი იყო ანტონის მაღალი სტილით დაწერილი თხზულებანი, ნიმუშად ერთ ამონარიდს მოვიყვანთ, რომელიც არნ. ჩიქობავამ შესთავაზა მკითხველს შესაბამისად „დაბალი სტილის“ ვარიანტი ითურთ (არნ. ჩიქობავასეული ვარიანტი):

ვინაღცა მოქმედებად ჩუწნი და შრომაჲ აწინდელი არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა გზაჲ იყოსმცა სლუსა ჩუწნისა არაშემცდომელ ანუ დასაბრკოლებელ, ხოლო ხელოვნებაჲ ესე წინამდებარე, რომელი ღრამმატიკაჲ ბრძენთა კარად ჰხთაქუწს სიბრძნისა, რამეთუ ღრამმატიკაჲ, ვინაღთვან არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად, და არა-რა მოყუარება სიბრძნისა იქმნების თჯნიერ მართლუბნობისა ანუ წესიერ წერისა...

ჩვენი მოქმედება და შრომა ისაა, რომ შეუცდომლად და დაუბრკოლებლად ვიაროთ სიბრძნის კარისკენ; ბრძენებმა-გი გრამატიკა მიიხნიეს სიბრძნის კარად; გრამატიკაჲ სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის ხელოვნება; სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის გარეშე სიბრძნის სიყვარული არ შეიძლება...

როცა ამგვარ შედარებას ახდენს, არნ. ჩიქობავა დაასკვნის: „ეს სქოლასტიკური მსჯელობა „სიბრძნისა“ და „სიბრძნის კარის“ შესახებ, გადმოცემული „მაღალი სტილით“, ხელშესახებად გვიჩვენებს, რა გასაჭირიც დაადგებოდა იმ ჰიოს, ვინც იმულებული იქნებოდა, ამ სტილით ეწერა“...

ასე რომ, ანტონ კათალიკოსისეული რეფორმა წარუმატებელი აღმოჩნდა; არ მოხდა ქართული სალიტურატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზის გასწორება... ჰირიქით...

ანტონის თეორია მისი ავტორის დიდი ავტორიტეტის წყალობით თითქმის ერთი საუკუნე ბატონობს... აქ ძარტო ავტორიტეტის წყალობა არ უნდა იყოს ეს: განათლებულ ქართველობაში მოთხოვნა იყო „მართლუბნობისა და წესიერ წერისა“... ჰოდა, ანტონი იყო ორიენტირი წიგნიერი ქართულისა...

ენობრივი კრიზისი გრძელდებოდა...

დადგა XIX საუკუნე... ბუნებრივ ენობრივ კრიზისს რუსული ენობრივი პოლიტიკის სიმწვავეც დაერთო და ქართული ენა უძძიმეს დღეში აღმოჩნდა...

ანტონ კათალიკოსი ისევ ახსოვთ და მისი „დიქტატი“ გრძელდება. მერე იტყვის ილია ჭავჭავაძე: „ნურაზინ ნუ გაიფიქრებს, რომ მე არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდ ალაზს დაიჭერს ჩვენს ლიტურატურაში როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა“...

და ქართული სალიტურატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზის გასწორებას, ქართული სალიტურატურო ენის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის მოგვარებას ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა სჭირდებოდა...

ეს ის ჰერიოღია, როცა დიმიტრი ეიფიანი იტყვის: „*იმ ხალხს, რომელსაც სალიტურატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი, ხალხობა არ ეთქმის*“...

XIX საუკუნის 60-იან წლებში ასპარეზზე გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა...

და შედგა რეფორმა...

რეფორმა ქართული სალიტურატურო ენისა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, თავისი ხასიათით ისეთივე იყო, როგორც წინა რეფორმა, რომელიც მოთა რუსთაველმა ჩაატარა XII საუკუნეში...

ძირითადი პრინციპი ილიას თაობისა ასეთი იყო: *სალიტურატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს სავროთო-ხახალხო ენას*. ეს იყო ტრადიციული დამოკიდებულება (გა-

ვისსენოთ რუსთაველის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმა); ილია და მისი თაობა თავუკამოდებით იცავს ამ ზრინციანს...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იმ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ილია ჭავჭავაძემ ქართული ენის უფლებების აღდგენა, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და დედანისათვის ბრძოლა დააქენა წინა ჰლანსე. კიდევ ერთხელ გავისსენოთ მისი შექმნილი: *„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ ძაძა-წაწათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უნატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა ზანსხს გავსცემთ შთამომავლობას?“*... და მერე იყო გრიგოლ ორბელიანის შეგონება – *„რა ენა წახდეს, ერთი დაეცეს“*... და სხვა... და სხვა...

და ძირითადი ეტაპი ქართული სალიტერატურო ენის რეფორმისა, რომელიც დაიწყო 60-იან წლებში, დასრულდა 70-იან წლებში – იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოხველით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებითა და მისი უხარმანარი ღვაწლით...

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის (და მათი თანამებრძოლების) დაწესებული დიდი საქმის გვირგვინი იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა იყო. არ არის შემთხვევითი ის, რასაც აკაკი წერეთელი ამბობს იაკობ გოგებაშვილზე: *„ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოხატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება უურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაფარა...“*

ჩვენ ორი ფაქტი გამოუვალით: იაკობის „დედაენის“ გამოხველა (1876 წ.) და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება (1879 წ.). ილიასა და აკაკის დაწესებული ბრძოლა (იაკობი მათ ძალე შეუერთდა) სწორედ „დედაენის“ გამოხველით დაგვირგვინდა: იმჟამად, როცა არ არსებობს ერთიანი ენობრივი ნორმები (თანამებრძოლების – ილიასა და აკაკის – ნაწერებს თუ ერთმანეთს შევუდარებთ, იოლად შევამჩნევთ, რომ ისინი სხვადასხვა „ნორმებით“ წერენ...), ერთიანი სალიტერატურო ენა; უპირველესად იაკობის „დედაენამ“ იტვირთა ეს მისია – სწორედ „დედაენის“ ქართული იქნა სალიტერატურო ენის ნორმად. ეს იყო ის ქართული, რომელიც წიგნის ენად მოველინა

სრულიად საქართველოს. აქ არის სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უდიდესი როლი — მისი მეშვეობით სრულიად საქართველო მოიფინა ორ- და ოთხკლასიანი სასწავლებლებით, სადაც I-II კლასებში ქართული იაკობის „დედაენით“ ისწავლებოდა, III-IV კლასებში — იაკობის „ბუნების კართით“. ამას გულისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: „გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეორებით მთელი ქართველობა, ეველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწეებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაშარაკს, ეველგან ამ წიგნის მეორებით ქართული ენა ეფინება“.

ისევ წამოიწია წინა ზღანზე ენის, როგორც ერის გამაერთიანებელი უპირველესი ძალის, როლმა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმონით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში — თუშეთსა და სვანეთში; მიდიოდა ბარად, შეუვებოდა აჭარასა და მესხეთს და ეველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ეველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულს“ (ძალვა დადიანი)...

ჩვენ ზემოთ ორი წიგნი გამოვყავით, რომელთაც სხვადასხვა ეტაპზე განსახლვრეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სწორი გეზი — ეს იყო „ქართული ოთხთავი“ და „ვეფხისტყაოსანი“. პირველმა მათგანმა განსახლვრა ქართული სალიტერატურო ენის ერთიანობა და სიმტკიცე V-XI საუკუნეებში; მეორემ — XII საუკუნიდან მოყოლებული.

მესამე დიდი წიგნი, რომელმაც განსახლვრა ქართული სალიტერატურო ენის ერთიანობა, სიწმინდე და სიმტკიცე, არის „დედაენა“. ამ წიგნმაც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში იგივე როლი შეასრულა, რაც პირველმა ორმა!..

„ქართული ოთხთავი“, „ვეფხისტყაოსანი“, „დედაენა“!..

და ღვთის წვალბობით, ჩვენი კლასიკოსების დიდი ძალისხმევით, ამ სამი დიდი წიგნის შემწეობით ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზი XIX საუკუნის ბოლოს გასწორდა; ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა...

და ესტაფეტა მიიღო XX საუკუნემ.

„XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუძალა ქართულ სალიტერატურო ენას... უკვე გეგმაზომიერი, მეცნიერულად გააზრებული ენობრივი პოლიტიკის სახეს ატარებს ის, რაც ადრე შეტანაკლებად სტიქიური ხასიათისა იყო“ (ბ. ჯორბენაძე)...

ქართული სალიტერატურო ენის წინაშე პრობლემები, რა თქმა უნდა, არის და – როგორც ნებისმიერი ცოცხალი, კულტურული სამწერლობო ენის წინაშე – იქნება კიდევაც... მაგრამ არის დიდი იმედებიც იმისა, ეს პრობლემები მოგვარდეს... იმედს გვაძლევს ქართული კანცის შეგნება, რომ „ქართული ენის სიწმინდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“ (კ. გამსახურდია).

ნაირსახეობანი ქართული ენისა

გავიძეოროთ: ენა იცვლება დროსა და სივრცეში. ცვლილების შედეგად წარმოიქმნება ენობრივი ნაირსახეობები. დროში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს ენის ჰერიოდებს (ეტაპებს) ვუწოდებთ. სივრცეში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს — დიალექტებს (კილოებს).

თავისთავად საინტერესოა, რა ცვლილებები ხდება დროში, რა იწვევს ამ ცვლილებებს და რა შედეგები მოჰყვება მათ. შედეგებში იმას ვკულისხმობთ, რომ დროში მომხდარმა ცვლილებამ განსხვავებული ენები შეიძლება წარმოქმნას (მაგ., ძველი სომხური და ახალი სომხური...); ჩვენს შემთხვევაში (ზემოთაღ ვისაუბრეთ) ასეთი რამ, საბედნიეროდ, არ მომხდარა. სხვაობა კი მაინც თვალინახვილია. მაგ.: გამარტივდა ბგერითი სისტემა; ასევე გამარტივდა ბრუნვათა და მწკრივთა სისტემა და სხვა; შესაბამისად მოხდა ფუნქციათა გადანაწილება... ზასუხი კითხვაზე — რატომ მოხდა ესა თუ ის ცვლილება — მხელი გასაცემია; უფრო სწორად, ამოუხსნელია. ვთქვათ ასეთი ცვლილება: ძველ ქართულში ზმნის მოძავალი დროის გამოძნატველი იყო კავშირებითის მწკრივი; ახალ ქართულში ეს ფუნქცია ძირითადად ზმნისწინმა შეითავსა. ზმნისწინმა ძველი ფუნქციებიც შეინარჩუნა; კავშირებითმა გაიმარტივა ფუნქციური დატვირთვა... ამ შემთხვევაში კითხვა „რატომ?“ ჩვენგან უზასუხოდ რჩება — ენას აქვს თავისი განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი, რომელთა ამოცნობა ჩვენს გონს არ შეუძლია...

საბოლოოდ ეს ცვლილებები ახალი ნაირსახეობის წარმოქმნას უწეობენ ხელს.

როგორც ვთქვით, ჩვენდა საბედნიეროდ, სხვაობა დროში წარმოქმნილ ნაირსახეობებს შორის ერთი ენის ფარგლებში ექცევა...

როცა ვლანაარაკობთ დროში წარმოქმნილ ნაირსახეობებზე ქართული ენის სივრცეში, ერთ არსებით მომენტს ვითვალისწინებთ: რის შესახებ ვსაუბრობთ, სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპების შესახებ თუ ეროვნული (საერთო-სახალხო) ენის განვითარების ეტაპებისა.

ეროვნული ენა ურთულესი ფენომენია; იგი არის ერთობა ევკლია იმ ნაირსახეობისა, რომლებიც დროსა თუ სივრცეში წარმოქმნილა ოდესმე. როცა ვსაუბრობთ ეროვნული ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ისიც განიხილება როგორც რთული მონაცემი: ძველი ქართული ენა – ადრეული საფესური ქართული ენის განვითარებისა – ასევე რთული მონაცემია: იგი არის ერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და იმდროინდელი ქართული დიალექტებისა.

ასევე ითქმის ახალი ქართული ენის თაობაზეც: ისიც რთული მონაცემია – ერთობა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და მისი ცოცხალი კილოებისა.

ტერმინები „ძველი ქართული ენა“ და „ახალი ქართული ენა“ ზირობითი ტერმინებია, სამუშაო ტერმინებია და გულისხმობს ჩვენს სინამდვილეში ერთი ენის – ქართული ენის – განვითარების ორ ქრონოლოგიურ ეტაპს.

ქრონოლოგიურად ძველ ქართულ ენას V-XI საუკუნეების ქართულს მიაკუთვნებენ, XIX საუკუნის ქართული (და შემდგომი) ახალი ქართულია.

შუა ჰეროდოს – XII-XVIII საუკუნეები – სამუაღ ჰეროდოს უწოდებენ; ზოგი მკვლევარი მას ძველი და ახალი ქართულის ტოლფას ოდენობად განიხილავს, ზოგიც ძველიდან ახლისკენ გარდამავალ ჰეროდოდ მიიჩნევს.

აქ ერთი რამაა არსებითი: XII-XVIII საუკუნეების ენობრივი ჰეროდოდი არ არის ტოლფასი მისი წინა და მომდევნო ეტაპებისა. როგორც წინა (V-XI სს), ისე მომდევნო (XIX-XX სს.) ეტაპები – თავიანთი შედგენილობით ტოლფასი – მოიცავენ სალიტერატურო ენასა და ტერიტორიულ დიალექტებს (ბუნებრივ ნაირსახეობებს). XII-XVIII საუკუნეების ქართულის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ბუნებრივ ნაირსახეობათა მრავალფეროვნებაზე, მაგრამ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ჰეროდოს ქართულ სალიტერატურო ენაზე – ასეთი რამ არ არსებობს; მოკლედ: არსებობს ძველი ქართული სალიტერატურო ენა და მისგან სისტემურად განსხვავებული ახალი ქართული სალიტერატურო ენა; მაგრამ არ არსებობს სამუაღი ქართული სალიტერატურო ენა. გარდამავალი ჰეროდოდი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ გვერდიგვერდ თანა-

არსებობს ძველი და ახალი ენობრივი ფაქტები, მოვლენები; ნარევი ჰეროდია და ამით არის საყურადღებო. ფაქტობრივად, არ არსებობს საკუთრივ საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტები, რითაც იგი დაუპირისპირდებოდა წინამორბედ ან მომდევნო საფეხურს.

როცა ვსაუბრობთ ძველი და ახალი ქართული ენის შესახებ, ამ შემთხვევაში არაერთგვაროვანია ჩვენი ცოდნა ენის განვითარების ამ ორი საფეხურის შესახებ. პირველ მათგანს ვიცნობთ ფაქტობრივად ოდენ სალიტერატურო ნაირსახეობის მიხედვით; ძველი ქართული ენის დიალექტური ნაირსახეობების შესახებ მხოლოდ სავარაუდო წარმოდგენები გვაქვს... ახალ ქართულ ენას ვიცნობთ სრულად – სალიტერატურო ნაირსახეობასაც და ტერიტორიულ დიალექტებსაც. ამიტომაც ტერმინოლოგიურად ძველი ქართული სალიტერატურო ენა და ძველი ქართული ენა დაახლოებით ერთსა და იმავე ოდენობას ასახავს... ასე არ არის ახალი ქართულის შემთხვევაში: ახალი ქართული ენა ძალზე ვრცელი და რთული ენობრივი სივრცეა; სალიტერატურო ნაირსახეობა მისი ერთი ნაწილია...

უთქვით, ძველი ქართული ენის დიალექტურ შედგენილობაზე სავარაუდო წარმოდგენა გვაქვს-თქო. ამ სავარაუდო წარმოდგენას გვიქმნის ძველი ქართული სალიტერატურო ენა: მასში ასახული ცალკეული მოვლენების კვალიფიკაცია ხდება, როგორც დიალექტურისა. ზოგჯერ ეს ფაქტები სისტემურ ხასიათს იღებს და შესაძლებლობას გვაძლევს, ძველ ქართულში გამოვყოთ სავარაუდო დიალექტური ერთეულები თუ ჯგუფები. ამგვარი ანალიზის შედეგად საუბრობენ ოთხ ძირითად დიალექტურ ერთეულზე (თუ ჯგუფზე).

ესენია:

- ა) „ნანმეტი“ დიალექტი – სამხრეთ-აღმოსავლური დიალექტი ძველი ქართული ენისა;
- ბ) „ჰაემეტი“ დიალექტი – სამხრეთ-დასავლური დიალექტი ძველი ქართული ენისა;
- გ) „ეკ-კილო“ – ცენტრალური დიალექტი ძველი ქართული ენისა;

დ) ფხოური დიალექტი – ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტი (ჯგუფი) ძველი ქართული ენისა.

ვიმეორებთ, ესაა სავარაუდო ჩამონათვალი; ჩვენ გვაქვს ცალკეული (თითო-ორი) ენობრივი ფაქტი (მოვლენა) ამ კილოთა დამახასიათებელი; ცხადია, ეს არ არის საკმარისი ამ კილოთა არსებობის სამტკიცებლად, მაგრამ საკმაოა საკითხის დასასმელად...

ასე რომ, ძველ ქართულ ენას ამგვარი ნაირსახეობებით მოვიანრებთ: ძველი ქართული სალიტერატურო ენა, „ხანმეტი“ დიალექტი, „პაემეტი“ დიალექტი, ევკილო და ფხოური დიალექტი. სრულყოფილად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ სალიტერატურო ნაირსახეობის შესახებ...

რთული და ძალზე საინტერესო სახე აქვს ახალ ქართულ ენას.

სანამ ახალი ქართულის დიალექტურ შედგენილობაზე ვისაუბრებთ, ორიოდ სიტყვით დიალექტთა გამოყოფის პრინციპსაც შევეხეთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთგვარობა დიალექტთა გამოყოფისა და დაჯგუფების თაობაზე. არც არის მოსალოდნელი: დიალექტური ერთეულის გამოყოფა მეტნაკლებად პირობითია. მეტყველების ერთსა და იმავე ნაირსახეობას ერთი ავტორი თუ დიალექტს ეძახის, მეორე ავტორისათვის კილოკავია... იმიტომ რომ, არა გვაქვს ზუსტი კრიტერიუმები, მეტყველების ნაირსახეობას როდის ვუწოდოთ *კილო* (დიალექტი) და როდის *კილო-კავი* (*კილო-კავი* არის დიალექტის შემადგენელი ნაწილი, ისევე როგორც *თქმა* არის კილო-კავის ნაწილი...). ამიტომაც ძირითადად დიალექტთა სახელდება (გამოყოფა) ტერიტორიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) პრინციპს ემყარება. ამა თუ იმ ტერიტორიაზე – ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში გავრცელებულ ქართულ მეტყველებას ამ კუთხის სახელის მიხედვით სახელსვდება: კახეთში გავრცელებულ ნაირსახეობას მეტყველებისას ვუწოდებთ *კახურ* დიალექტს, იმერეთში გავრცელებულ ნაირსახეობას – *იმერულ* დიალექტს და ა.შ. ხშირად ასეთი დაყოფა ლინგვისტური დავის საფუძველი ხდება: მაგალითად, ლენსუძური მეტყველება ლინგვისტურად უფრო ახლოს არის ქვემოიმერულ მეტყველებას-

თან, ვიდრე ქვემოიქმრული მეტეველება – ზემოიქმრულ მეტეველებასთან. ამიტომ ქვემოიქმრულისა და ლეჩხუმურის ერთ დიალექტად (ერთ ენობრივ ნაირსახეობად) განსილვა ლინგვისტურად შეიძლება უფრო მართებული იყოს, მაგრამ ტრადიციულად იქმრულს (ზემოიქმრულსა და ქვემოიქმრულს) ერთ კილოდ გაიანზრებენ, ხოლო ლეჩხუმურს ცალკე კილოდ...

დღეს მიღებული კლასიფიკაციით ახალ ქართულში გამოყოფენ დიალექტთა ორ ძირითად ჯგუფს: 1. ქართული ენის აღმოსავლური დიალექტები და 2. ქართული ენის დასავლური დიალექტები.

აღმოსავლურ დიალექტებში გამოყოფენ ორ ქვეჯგუფს:

ა) ბარის დიალექტებსა და ბ) მთის დიალექტებს.

ა) აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებია:

1. ქართლური, 2. კახური, 3. მესხურ-ჯავახური (ზოგჯერ ამ ნაირსახეობას სამცხურსაც უწოდებენ და სამხრულ დიალექტად მოიხსენიებენ. ზოგ ავტორთან მესხური და ჯავახური შეიძლება ცალკე დიალექტებად გაიანზრებოდეს), 4. ინგილოური (ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე, ამჟამად საინგილო აზერბაიჯანის შემადგენლობაშია), 5. ფერეიდნული (ფერეიდანი ირანის შროვინცი-აა. XVII საუკუნეში მაჰ-აბასმა იქ კახეთიდან გადაასახლა ასეუღათასობით ქართველი. მათ ფერეიდანში, ქართველთა კომპაქტური ჩასახლების ადგილზე, დღემდე შეინარჩუნეს ენა; საუბრობენ ქართულად).

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებია:

5. ხევსურული, 7. ფშაური, 8. თუშური, 9. მოხეური, 10. მთიულურ-გუდამაურული.

დასავლეთ საქართველოს დიალექტებია:

11. იმერული, 2. რაჭული, 13. ლეჩხუმური, 14 გურული, 15. აჭარული, 16. იმერხეული (კლარჯული). (იმერხეული მეტეველება იმერხევის ქართველთა მეტეველებაა. იმერხევი ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია).

თუმცა აქ შეიძლება ცოტა მეტი ვთქვათ: XX საუკუნის ბოლომდე, სანამ გაიხსნებოდა სარფის კარი და ქართველ მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცემოდათ ისტორიული ტო-კლარჯეთი

(სამხრეთ საქართველო) ენობრივად უკეთ გაეცნოთ, ძალიან მწირი წარმოდგენა გუქონდა იქაურ მეტყველებასე. XX საუკუნის დამდეგს ჩაწერილი ტექსტები არ იყო საკმარისი სრული წარმოდგენის შესაქმნელად. ამიტომ ვსაუბრობდით ერთ დიალექტურ ერთეულზე – იმერსეულზე (ზოგი კლარჯულსაც უწოდებდა). XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია მოეწეა; ძალიან საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული და გაანალიზებული. თუმცა სრულყოფილი ანალიზი და დასკვნები მომავლის საქმე ჩანს. დღესდღეობით ამ ახალი მასალის საფუძველზე აზრთა სხვადასხვაობაა თურქეთში დარჩენილი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქართული მეტყველების ნაირსახეობათა შესახებ. საუბრობენ რამდენიმე დიალექტის არსებობასე: იმერსეული, შავშური, კლარჯული, ტაოური, ლივანური და მაჭანლური ნაირსახეობების შესახებ.

ფაქტია ამ ხეობებსა თუ ჰროვინციებში ქართული მეტყველების არსებობა. რა სტატუსი მიეცემა ამ ნაირსახეობებს (დიალექტი, კილოკავი...), ვუიქრობთ, ეს მომავლის საქმეა. და ეს ახალ ვალდებულებასაც აჩენს ქართული ენის მკვლევართა წინაშე – საძურია ამ მეტყველებათა ფიქსირება და ანალიზი... და არა მხოლოდ ამ ნაირსახეობათა, საერთოდ ქართული დიალექტური მეტყველების კიდევ უფრო ღრმა და გამოწვლილვითი შესწავლა, რადგანაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია გარკვეულ საფრთხეს უქმნის მათ თავისთავადობას...

არ მეგულება ქართველი კაცი, რომლისთვისაც ახლობელი და მშობლიური არ იყოს საქართველოს რომელიმე კუთხის მეტყველება (კილო, დიალექტი). ზოგს რამდენიმე კუთხურ ნაირსახეობასე შეიძლება ჰქონდეს წარმოდგენა... თუმცა ძნელია ისეთი ვინმეს ჰოვნა, ეველა კუთხის ენობრივ ნაირსახეობას რომ იცნობდეს...

ამიტომაც გადავწყვიტეთ, დაინტერესებული მკითხველისათვის საჩვენებლად მოვიყვანოთ თითოეული ქართული კილოს ნიმუში. ცხადია, არ ვუიქრობთ, რომ ამით სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნით მკითხველს ამა თუ იმ ნაირსახეობის შესახებ. ჯერ ერთი: მცირე მოცულობის ტექსტით ასეთი წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია; ამისთვის თითოეული დიალექტის შესახებ ვრცელი და

თემატურად და ქანრობრივად მრავალფეროვანი მასალის გაცნობაა საჭირო... მეორეც: დიალექტის სახეს ქმნის არა მხოლოდ ფონეტიკური, გრამატიკული, სტილისტური თუ ლექსიკური თავისებურებანი, არამედ ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა ინტონაცია, სიტყვისა თუ ფრაზის მახვილი... ამის ასახვა კი ამგვარ გამოცემებში, ცხადია, არ მოხერხდება...

ამის მიუხედავად მაინც ვუიქრობთ, ამგვარი მცდელობით მკითხველს მიანლოებით წარმოდგენას მაინც შეუქმნით ქართულ ენობრივ სივრცეზე. ტექსტები მოგვყავს ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიდან (ავტორები: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიანი, ი. ქავთარაძე, წიგნი გამოცემულია 1961 წელს). ვთავაზობთ მცირე მოცულობის გაბმულ ტექსტს და ცალკეულ გამონათქვამებს, ფრაგმენტებს საუბრიდან... ტექსტებს სათაურები შევუნარჩუნეთ, რათა დაინტერესების შემთხვევაში ადვილად მოვძებნოთ წიგნში და უფრო სრულად გავეცნოთ მას... ჩვენ მიერ გამოყენებულ ქრესტომათიას ლექსიკონიც ერთვის, სადაც ცალკეული კილოების მიხედვით განმარტებულია თავისებური სიტყვები თუ ფორმები. ესეც – დაინტერესებული მკითხველისათვის...

მამ, ასე: ვიმოგზაუროთ საქართველოში; მეგზურობას ქართული ენა გაგვიწევს.

* * *

ქართლური

გაუცინარი ხემწიფე

იყო ერთი გაუცინარი ხემწიფე. იმ კაცმა დევი მოიყვანა და დაბაბა თავი კარებზედა. როცა პირი დაბანა მოუნდა, უთხრა: მოდი, ფეხი დამბახეო. დაბანა. ასე ცხორობდნენ.

ამ ხემწიფეს ეამდა ერთი ღამაში გოგო. ი შვილი მიენ უკვარდა. როცა მდევი იქ იყო, გოგო იმი შიშით არ შედიოდა. ერთხელ მამამ დაუძახა იმ გოგოსა და მუხლზე დაიჯინა. მერე მდევი უთხრა: მოდი და წყალი მამიტახეო. ადგა ე დევი, წავიდა, აიღო ტაქანი და მისცა. ხანამ ე ხემწიფე სომდა, დაავლო ამ ქალ ხელი და გაიტაცა. დაღონდა ხემწიფე. წავიდა იმი სამებნელათ, მაგრამ ვერსად ნახა. ამი შემდეგ ი ხემწიფე სულ დაღონებული იყო და დაარქვეს გაუცინარი ხემწიფე.

ფრანგ მენტები:

— ნათელად დაუძახე. — სუ თითონ დადსთხოვინის, დადსთეს-
სამს, დადსბარამს. — რასაც გამოდჭერამენ, გამოდჭერამენ. —
დაწერე ლამაზთ ზირობებები. — ხალღადჭი ვინახვი, წაუკითხვი...
(შიდა ქართლი)

კახური

შვიდნი ძმანი ჯოხარნი

შვიდნი ძმანი იყვნენ ჯოხარნი და მოხუცი დედა-დევიანდათ
და ერთი კანათხუარი და. დედას უთხრედ: დედიო, ჩვენ აღავერდ-
ში უნდა წავიდეთ ხალღაცუათაო. აქაო, თუ მტერი მოგვიდეს, ამ
თივეს ცეცხლი წაუკიდეთ და იქიდან დავინახავთ მუქსაო, მო-
ვალთ და მოვკმეველებითო.

რო დალაძდა, შუალამისას შვიდანი კაცი მოვიდა მტერი და
იღ ქალი წაიყვანედ. დედამ თივებ ცეცხლი წაუკიდა. ძმებმა იქი-
დან გამაინჯდეს და დაინახეს ცეცხნი მუქი თავიანთ ეზოში, თქვედ:
უთუოდ მტერი მოსულა ჩვენ ეზოშიო, მოიღნენ ის ბიჭები და დე-
დად უთხრეს: — რა ამბავია, დედიო?

დედამ უთხრა: — თქვენი და მაიტაცესო, შვიდანი კაცი იყო
მტერიო.

მამრე გამოუდგნენ ის ბიჭები და დეწივნენ ხევრძელახე...

ფრანგ მენტები:

— დახეილ შემაღ ზღას ვეცუით. — ღორი გამოდგომიყო
უკან. — ვერაფერი უთხარივე. — ვოლვა იყო, ვოლვა ივეთი რო.
— ვველაყა წავიდა იმადთან. — თელაური ქალი მაიყვანეს რძლათ.
ხუძლაყურები სუველა ვაღმა ვავიდნენ...

(ძივნი კახეთი)

ინვილოური

ქალ თხოვნად უწინ დროზე

ხონში ამჟურს ვითხოვნით ქალს. თხოვნად ეაფადს ჩემბე. ერ
კაი ნანწოვ ინსან უნდა ვოტუვ სავნო იქ, ქალი ხანში. დოღწეოთ
ეაუმობად. ე კაც წოტდა იქ, ქალი მამასთან, დედასთან.

— რაბეთ მოსუვარ, ჩემო ვონალო, იციხარა?

- არ ვიცივარ.
 - შენ რაბე არ მებნევი, რაბე მოსუნარა?
 - ფიქირ არა, ეხლა გეტყუ: რაბე მოსუნარა?
 - მე ალაჰვერდიამ გამაძვზავნა. იმი ვადითუნ ჩონ ვაჰმო-ბად დოდიწოთ. მაგობე შენ რას იტყუა, მე იმიბეთ მოსუვარ...
 - ჰო, კად იქნევის. ხემ ბიზად არის, ხემ დედად არის, ქა-ლებიცი არიან, იმათთან მე მოვმასლაათებ...
- (ხაწვრილია კაკში)

ფერეიდნული

ვაფი

ერთი ვეინი იყო. იმას ვვანდა სამი ეორი, ერთიცი ვაზირი ვვანდა ვეენსა. ერთ დღესა ვაზირმა ემ ვეინის ქალებსა თითო-თითოს ჰკითხავე, იმ დიდი ქალსა უთხრა, რო: - ასტარი ჰირს შაინახვსო თუ ჰირი ასტარსაო?

ქალმა უთხრა ვაზირსა, რო: - ასტარი ჰირს შაინახვსო.

ვაზირს ეწეინა, რო: - რა აზრი აქ ემასაო? - ვაზირმა გულხი გაიტარა, ვაზირმა თქო, რო: ავე დღე მოვიტანოო, რო ემ შენი სიტუოს ფახუხი იოს.

ემ ვაზირმა ის ბადტა ეორები (ქალები) ვათხოვავე ნამაი ადვილებზე, მისცავე ვაზირ-ვაზირებს...

ფრავ მენტები:

- თოელმა ჩამოუკიულა წრილად. - ჰა, ვინდა ვემექვეო? არა, არ ვემექვეო. - თურმე ვოჯავრდავე, რო: როგო მამჭამ-დავო. - ემამ უამბისე. ეს ვეენის ეორი ასწავლიდისე, ელა რო მაიტევისე...

ხევსურული

მამკალნი

მამკალნი იციან ქერისაიცა-დ' სვილისაიც. მამკალთ მახერიან კაის-დროს ქალ-ვაეთ. მამკალთ აწუვენ ვევსურეთითაც არხვატ, არხვატითაც. არხვატით სუვეელას კაისდროს ქალ-ვაეთ აწუვენ.

მასხდებიან ოქებ ცხენებზე; ქალებ ცხენის გავაზედ შაისმენად' წაუდენ სამკალზედ. ეანასა თაოდ მახკვიან, მნასა თაოდ მახვრიან, ავგებენ, სუეველას თაოდ აკეთებენ მამკალნი.

მამკალნ ლუდითაც იციან, არაუითაც, უძვგაოდაც, მავრემ უნდა დანათლანა კი. სამთრის აღარ აქეიფებენ მამკალთ. ღამით, რახა სამუშეელს მასხან, ქეიფობენ.

ფრავმენტები:

– მთიბელნ კანცები, მეჰენცლენი ქალები. – ორნ ზაღნ ხეჯანიჯან. – მახკვოდმიჯან ი დაწეულ დიანც შვილები. – იხრ მცესავ, რო ტეავ გამამჰრინესავ. რა ხაკეირველს შვეესწეერ. – ძუძუს წოვაში უგბენავავ ძუძუსადა...

ფშაური

ხემი წაუვანა ქისტეთს

აბა რაღა მაჰსონ, შე ხემ თავმამკვადრო! სიბერემ ვადამაქამერუა, გონთით ვადამავდო. ხვენ ნაუბარი, შვილო, აღარცრაისად არ არი გამოსადევი, არც არა უურდასავდუა.

აბა ი უწინა ამ ფშავის ჰეგსა, შვილო, ბევრ ცოდვა-ბრალი ბრუნავდის, ხვენ საქონისავან იუენიან ე მთა-მთისეულნი ვადათე-ლიღნი, ხვენის ცრემლით იუვის მორწეული ე ახუნის ვორი. ურჯულოთავან ვიენოდით ვამევებულნი, კანციან-საქონიანად წავგავსხიან ხანდიხანა...

მაშინის ბაღლადავ ვიეავ, თოთხმეტ-ხუთმეტის წლისამცან ვეოფილიეავ, მეტისი კი არ ვიქნებოდი, ჯუეჯუე რაიმ დავწეეს და მამცვიოდენ, ჰირში მაშინავ თიკვ რაიმ ხამიდეეს...

ფრავმენტები:

– აი ექ რო ლექსი თქვიან ბიჭებმა, ის დავჭირის და დავწერის იმან, ხაწერის, რომელნიც კაი ლექსი იუვის. – ნეტავი ერთხელ კიდენაო ის ფშავ-ჰეგსურეთის კლდეებისთვინა მამახდენებინაო. – ხემი შვილის მამხათლავი იეო ვაქა, ძალიან მიხნეული ვიევენით ერთმანეთში. – აი, გვიბაი ვადხთიბს და ადხეეტოდი. – წავიდი, ავხეეტოდი და თივა ავავოდი...

მთიულური

ფუტკარი:

ფუტკართვინ წინათ იცოდნენ სოკერები. სოკერი აი ესეთი მგრეწლი რამ არი და თავზედან ხარქველებ აქვის შამოკერებულნი და ბოლოზნდან.

წავა შთადი ფუტკარი და მათქვის და მავალის აქედამა. ეხლა ამიკებ ვრცით. ერთ ამიკში ფუთ-ნახევარი თაფლი ამოა, თუ კარვ ამიკრა.

ზამთარი როა და თოვლი მუაღის, უნა სანში მოიტნოთ ფუტკარი, კარებები უნა აუღესოთ. მივ თავი სარხო აქვთ და მკნძენ, ზამთრში თავად არ მუშობენ. როცა თოვლი ადგებნა... დაიწეებს ფუტკარი მუშობას.

ფრავ მენტები:

– ხონი მეცხოვრული ზღანარი თქვენ რაისთვი დავითოლოთ?
– სანელი ვისმე ექვივნებოდა. – ოხშიაი გოქტუ სანში. – ზამთარში დაიკოცებიანკე.

– ვაჭმით, აბა რას ვიქმდით? – ფეკებილა დამისივდის. – ნუ მჭამ, გავნია...

გუდამაურული

ამინდი

ნების წვიმაა მაშინ, როცა ცოტა წვიმს, ნებისა რა! – ქუ-ქუნეები არა ვიყოლით რა აქა. ნამს ვაუშობს ზოჯჯერ. სანვეტალი არ იხვეტიხვე. ნამი ვაუშვისკე. სანამ არ მოძრება, არ იხვეტება. ნიავლორი როცა მუა, ჰევეებს დადვლეჯს. მოკდა ერთხალ, სანარ-ეე ქობი მქონდა, უნდა გამამეხადნა, მავლო ნიავლორმა, სუ წა-ილო ქობი, ბოჭკა... ეხლა დამალულია ისა, დაიკარვა სულა. სი-ამოვნობის წვიმა, ნების წვიმა ჭირნახულს უკრება, საფარცხავს წინაუ იცოდინს, თიკანი დავკლითკე, სამხვთო ვქნითკე ხალხმა, სოფელმა, რო ელია არ ვაწერესო. ეხლა არ კოცენ არც საკლავებნა.

ფრავ მენტები:

— დამავ, დაუთოლე ძავათ რამე, მემცხვარე ხარ. — ფანანა-
ურში მიხლ? მერე წაოლ. — წეალში ქომოთ ვერ გავალის. ზე-
ით კი გავალის კაცი. — არ გველეზა ეს? — მარძან იევისეე და
წელს აღარ არი. — აქ ბატარაი ხანლა იეო...

მოხეური

აბედი და თუთუნი:

აბედს ზე იეკოებსეე. მერე მროხის მწვირეხი, ჯინჭარხივა,
ნაცარხივა მოვხარშითეე, ეგრე ჯორცისოდენა ხარშუაი კი უხდა,
მზეზე გავფენტეე, მემრენის მონარშულ აბედს დავქტინამთ.

თუთუნის მარცვალს ნაცარხი აღვრეუთ და მოვანხეუთ.

თუთუნის ფოთოლი რა მვეკრიფათ, ამათ იმ დღეს დეემა-
ლათ დაბლა, უხდა კი შეეტანათ ძალლა. კრამიტმა ძალიან გაან-
მის თუთუნი.

ფრავ მენტები:

— ცდოს განა, ან ექვს წელხია ახლა ისა, იმან არაფერი
გიაძმა? — ცხო იქიველი კაცი არუინ დნახე? — რატომ ხავრავ
მენ, კაცი, მავ კაცს, მიეცი თავის ფიცარი! — მე არ ვხავრი,
მავრამ ახლა არ მაქტ.

— ახალგაზრდამ თუ რაიმე მაიტანას, მოხეცმა მაიკმარას.

თუშური

დიკლოს წაჯდენის ამბავი

ხამთარ ეოფილიეუტ, წელიწდობამ. დამ სოფელ ჯარხი ეო-
ფილიეუტ. ერთ დიასც ვარეთ გამოსრულიეუტ, ხალხისად ეთქუ,
მინ მესრულს: ემანდავ ფეტის ჭერიალ მოდისავ თოვლზედავ.

გამქსხედ, ცხვათაც ენახ, რომ დიდოების ჯარ შემსრულიეუტ
სოფელში. რაცხად იქმოდეს, ციცი ერთ ხანლში გამავრებულიეუტ
მთელ სოფელში.

ვარდიზე გამონქცევიეო-დ' ციხეში შეღვარდნილიეუტ, ოთხ
ცხვანიც შეხოლიეუნეს ვარდიზეს. ჯარ დასწყემიეუტ მთელ სოფელს.
გათენებადინას ვარდიზეს შვიდ მქსკლ...

ფრაგმენტები:

– ღთისო, დაქ კონებშივ რო ნაფუძრები, დევ როდინდელო?

– დევ უღერად ხნისაი, ბიჭუ, უღერაჲ ხნისაი. – ვინ ციხელტუ ჩემ მათრაჯივ? – ივეთ წელ არ გავიღისავ, რომ დიდონ ორ-სამჯერ არ ჩამეცტანიანავ ხისოსავ...

მესხური

გადმოცემები

მკვლელებისვან გაძიგონია, როდცა ქართუელებ ათათრამდნენ, განურებულ თან აღვამდნენ თავზეო, ან უნდა მიელო მაჰმადი, ან უნდა მამეკვდარიეოო.

თათრობის დროს ქართუელი ვლეხები თათრი ცხენს რო აჭმევდნენ, ცხენი ზატრონი გადანახად ახდენამდა: ჩემი ცხენის კბილის ქირა მომეცით, რო თქვენი ქერი დაქბაო. ამას თათრულად დიშქირას ეძახდნენ.

ერთხელ, დილით, არალს თათრები დასცემიან და საქონელი გაურეკიათ. აქ ერთი ფალავანი კაცი ეოფილა, სახელათ გიქრო აფრიამაშვილი. ძმაც ძრავლი ჰეოლია, ჰეტეო, იმათზე იტეოდნენ ხოლმე: ვაღმა რო ბაღებია, იმ ალაგ როდცა ტეე ეოფილა, იქ მუშაობდნენ ეს ძმიებიო. ჩანხს მოსდემდნენ და დიდგრიან-დიდგრიან ხიებს ძირიანათ ვლეჯდნენო...

ფრაგმენტები:

– იმ ქალს უთხრობია, რო... – თხიები შესულან ეანახი. –

მემრე ღრუბელს მიმართა, რო ქალიშვილი მამეციო. – რამდენიც რომა კაცმა იკუნტოს, რაც არი, ის ნა ქნას, ვერ გადააბიჯამს. – მოაკვლეინა კვიცი, გადააჭრევია ხე. – ერთი მეზღური ჰყამდა შემოხენილი.

ჯავახური

გძირი დედის ნაამბობი

ოთხმოზღაცნრა წლიან ვარ, თერთმეტი მული მყამ: ორი ქალი და ცნრა მული. გძირი დედის ორდელი მამცეს.

მკვლათ ოზდასუთი სული ხიზანი ვიეაუთ სანში. როდცა რო თათარი აიერა გოკიოდან, ერთი უმფროსი შული იქ ჩასახლავა ჰემმა ქმარმა, ერთიც ტამბოლში გავ ზავნა საღვდელოთ. მალე ჩამოვიდა და აქ ხელობანი შევიდა. მასწავლებელი იყო. შენსეფ ზოვეტი იყო, წერემდა. სხვა მულებიც აქეთ-იქით ვლენობანი არიან. სამი შული გურიანი იყო, ერთი დიაკარქა. ერთი ნაბოლარი შვილი მუამ აქ, სოფელი. ერთი შულიც ახანმაში მუამ. მეტი თამალი აღარა მაქ...

ფრავ მენტები:

– დილით მზე არ ნა ივეეს ამოსული, როდცა რო მინდორში მივდივართ. – მერე ებნევა, რო: ერთად შეპბერდიით... – ჰვენ ოთხი მძანი ვართ. – ნახეთ, რას ლაზარაკომენო. – ის ხენწიფეს ეამდა ჯარში... – ეპ რა დავ მართიანო, რო აღიონ დილასე მამადექიო... – ქალო, ხანჯალი მამიტანე, რაპ ფიქრომო...

იმერული

მოხუცის ნაამბობი

მანსომს, ახლა რო სამტრედიაა, იქინე ტეის მეტი აფერი არ იყო. ტეე იყო მარტეე და შით ნადირიც იყო ბლომათ.

მარა, ერთხელ დეიწვენ ლაზარიკი, რო აქანე კინისგ ზაი უნდა გვიეუანოსენ და თბილის და ფოთს უნდა მოუერთოსენ, ხალხს უკვირდენ ძანს, რაფერ ვააკეთებენო კინისგ ზანს... დეიწვენ მუშაობა, ბევერი ხალხი მუშაობდენ, ტეეფს ჰესდენ...

ფრავ მენტები:

– ზამსული ძალიანი ადრე დეიწეო წროულს. ჰვენი ეხო თხმელაეფშია და საურცხოეო ხანახავი იყო... – ქე გეცოდინება შენ, ვო... – ზეტერე როცანა იყო, მიძასთან იყო... – წამოსულარიენ მარტვილის ეკლესიადვან და მისულარიენ ქუთეიში. იქინე დუორიგებინეე ეველესა მენდლები... – ი გოვოს ი ბიჭი ნაუარება...

(ქვემო იმერეთი)

რატული

სადღევ რძელოებიდან

რამდენი დღე თქვენ ფეხი აქ არ შემოგიდვამთ, იმდენი დღე იქნა, შვილო, თქვენი თაუკაც კარჯათ და ხედი მონაზარიც... დედებმა გიცოცხლოსე, გიცოცხლოსე ძმებმა, ოთხმოცი წლის თქვენც გამხთარიოთ. ქვეც გმეპროსე, ქვეც გმწეროსე...

— კაი ქმები შევხდომოდენე, როგორ თქვენ გულ ვახაროდესე. მოქცენე ჯანი მთელი... შეიყარეთ ხეძნელათ, იყავით კარჯათ...

ფრავმენტები: — ხედი და ბატარუკა ამხელუკა იყო. ცხვარუკა გვინდაო, ძროხუკა არა მყავს. წვალუკა უნდა მოვიტანო... — მოდი-თქვა. მე არ ვტყუი, ის ტყუა-თქვა... — ქვე გვეშინოდა. ქვე შევიწუხებიანო... — ბიჭი დედევნებათ მათ, იმან ამღერათ... — რა უნდაე ამათ?

(წყემო რატა)

ლექსუმური

ნადელის ვადახდა

ბატონეობა რა ვადავარდა, მერე ემები იეონ და ნადელს იხდიდენ. ბატონს მიუტანდენ ნადელს. ხსუტელები ხოლია ამ ხვენ ბატონს. ხარებით ვამეწკარებოდენ და ღვინოებს უწიკავდენ, შიიტანდენ აქანე, დაძინჯავდენ ღვინოს, თუ ძავარი არ იქნებოდა, დანას მხსუტავდა და დოუქნევდა: წადი და კაი ღვინო მომიტანო...

ფრავმენტები:

— ზეტრე ხვთემოდა. ზეტრას ქე ისტავლიდა. — ვეელაფერი მტკივა. ვეელაფერი ხონებოა. — კაი მორება აძლებიფს. — ჰური ნახუქება მიწას. ის ნახარავა, ისენი ნახარავლარიენ. — მონატანლარიენ ღვინოფს... ორშავთამდი არ იქნება, აქნობამდი ვაძლო. — აქანეც ასეა, იქინეც. — მასტავლებლები ხეოლაში დავტოვეე...

გურული

ახაბანაი

მე ვარ ახაბანაი. ქორწილი მაქ რაცხა ზაწაი, კიდევაც მე-
წვიე და კიდევაც მომიტანე რაცხა ზაწაი.

გელმა ძროხა მუყევანა, ტურამ თხაი მუყევანა, მელამ ქათა-
მი მუყევანა, ევაჟმა თხილი მუყეტანა, ხსიკვმა ნიგოზი მუყეტანა,
ქორმა ჭუჭულა მუყევანა... ეორიფელი მუყეტანეს ამ ახაბანას.

მერე ახაბანამ წუუსია ერთქამეთის მოძრევი ერთქამეთ და
ღარხა მას ქონება თავმოყრილი... ძროხა ბეური ხავდა, ეორიფე-
ლი ბეური ქონდა...

ფრავ მენტები:

– ჩვენ ხადღენძელა ძალიან კაი ვიცით. – აქირა ხალხი
მუა, უხაროენ... – რაცხა მეღქისე და ილაკრეე დუჟბარებოენ. –
ტეეძალი მორეკილი მაქ, უნდა წიელენ, ხიებარებოენ. ისთე დემეზ-
ნა აი ხინწრით მონაკარგლავი ტეეძალი, რა ვერაფლობაში ვერ
მუყვარე თავი.

(ქვემო გურია)

აჭარული

ნესრეთი ხოჯა

ნესრეთი ხოჯამ ევდა ხეზე და იმ ტანის ჭრა დეღწეო, რა-
მელცხაზე თვითან იღვა. გეძარა ეთმა კაცმა და შამტუძახა: – ხო-
ჯავ, ჰა ჭრი ტან, ხამტარღებოეო.

არ დუჯერა ნესრეთი ხოჯამ. – მეწა მოჟჭრა ისო.

მოჭრის ხის ტან და თანაც ხამტარღება თურმი. ახლა ხოჯა
შამტბრუნდება ნე ხავრ და დუწევეს ღანძღვას: ჰელბეთ შენ იცო-
დი, რუძე მეწადა ხამტარღინილიყავ... შენ უცილეუბლათ იპიც იცი,
რამდენ ხანდა ვიცოცხლო კიდევინო...

ფრავ მენტები:

– დიდი ციცაბო და გენილი თუთუნში წევდენ დილასვედ. –
ჰიდან მოდიხარ, ჭო, ამ დილადა? – თუ რამე შიმიძლია, თქვი, მი-

ავ, არ დავიძლი. — მოდი სახლშიდა ჰატევეს გეცემი, რაც გინდა, მთხუე, არ დავიძლი, — რაფერი კაცი ხარ, ჭო!..
(წეშო აჭანა)

იმერხეული

ქოროღლის ექია

ჰასან ფაშა იყო სილისტრას. იმან ემრი ქნა, თელალს დაა-
ძანხია: „ვიცხას თუ შეიძლება, წეტღეს ხაძლიბელში, ქოროღლის
ცხენი მომიფანოს, მე ხემ დას მივსცემ“. მემრე ერთმა კანმა ქე-
ლიღლანმა: „მე წავალ და მეტუვან ცხენს, თუ მომცემს თავის
დას“. დუქძანს ჰასან ფაშამა ქელოღლანი. მიიუვანა მასთან: „ეს
კაცები შადი იევენ, ე ბეგები, ე ფაშები: მე უნდა მოგცე და შენ,
თუ მეფუვანე ცხენი“...

ფრავ მენტები:

— ამას ჰევი ქეია, უკან ჰევი. — ზაწად ზროხა — დე-
კეტლი, სულ ზაწად — ხბო. — ზაძტა ხანია, ზაძტად დათუები
იყო. — უგულო თაფლი არი გოდოუძნარი, ცეცხლ-დოუნახველი.
— ბევრ ინადირებენ, დათუ-მათუ ბევრ მოკლევენ, ყურღელე მო-
კლევენ. — დოს მოიდულებ, ბეხში ვადაანხამ, გედწურვის...

* * *

დავასწულეთ მოვსაურობა ქართულ ენობრივ სივრცეში...

გუანსოვს ალბათ, ენობრივ საკითხზე აკაკი წერეთელთან
პოლემიკის დროს ვაჟა-ფშაველამ თქვა: „მე არცერთ კილოს არ
ვწუნობ, თუა ქართულის გვარისაო“.

ამით ვაჟას იმის თქმა სურდა, რომ ყველა კილო ერთნაი-
რად ძვირფასია ქართველი კაცისათვის და ერთნაირად მნიშვნელო-
ვანი ქართული ენისათვის. არც უპირატესობა უნდა მიენიჭოს რო-
მელიძე მათგანს სხვასთან შედარებით და არც მისი როლი უნდა
დავამციროთ. უნდა ვირწმუნოთ, რომ მრავალფეროვანება, მრავალ-
სახეობრიობა ქართული მეტყველებისა სიმდიდრეა ქართული ენისა.
ამ სიმდიდრეს გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა და მესწავლა
სჭირდება...

ბოლოთქმა

რა არის ქართული ენა?

ამდენი ვისაუბრეთ, მაგრამ სათქმელი მწერლებმა უფრო წუსტად და შთამბეჭდავად თქვეს:

ქართული – „ენაღ შეძეული და კურთხეული“ (იოანე ზოსიმე);

ქართული – „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“ (ლადო ასათიანი);

ქართული – „ქართუელთ რწმენაა!... ღმერთია! ბედისწერა!“ (მუხრან მახვარიანი)...

ქართული – „ჭირთა ჩვენთა ტკბილი ძალამო“ (ირაკლი აბაშიძე)...

და კიდევ რამდენი...

ჩვენც ამ „ზოეტური ფორმულების“ ამოხსნა ვცადეთ...

ისიც გავიხსენოთ, რუსთაველის ხმა რომ მოესმა ზოეტს კატამონთან:

„შენ ერთს, შენ ვერ გთმოხ სამარის ზირთან!“ – ქართულ ენას გულისხმობდა რუსთაველი...

ეს არის ქართული ენა!...

კარი II.

„დედაენის“ თავბადასავალი



ანკეტიური მონაცემები

სახელი - „დედაენა“

დაბადების წელი - 1876 წ.

მშობელი (ავტორი) - იაკობ გოგებაშვილი

დაბადების ადგილი - საქართველო, ვარნიანი

ამ ქვეყნად მოუღეხის მიზანი - ქართულ ბავშვებს ასწავლოს ქართული წერა-კითხვა, უწინამძღვროს მათ წიგნიერების სამუშაოში.

ამბავი „დედაენის“ დაბადებისა

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“ — ამას მწერალი გრიგოლ აბაშიძე იტყვის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლიდან 100 წლის შემდეგ. როცა წიგნის გამოცემიდან საუკუნის შემდეგ ერისკაცი ასე შეაფასებს წიგნის მნიშვნელობას, ეს წიგნის უკვდავებაზე მიანიშნებს.

„დედაენა“ უკვდავი წიგნია. მოდით, ასე დავაზუსტოთ: იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ იცოცხლებს მანამ, სანამ იარსებებს ქართული ხალხი, სანამ იცოცხლებს ქართული ენა. — ეს არ არის ზათეტიკური შეძახილი — ეს ჭეშმარიტებაა: ქართული ენის ბუნებაზე ასე ზუსტად მორგებული სახელმძღვანელო, ასეთი დიდოსტატობით შედგენილი საანბანე წიგნი ქართული ენისა არ შექმნილა... ეს სახელმძღვანელო შეიძლება რაღაც თვალსაზრისით გაუმჯობესდეს (ისევე იაკობ გოგებაშვილის ზრინციანზე დაძვარებით), მაგრამ მისი ჩანაცვლება, ჩვენი ღრმა რწმენით, არ მოხერხდება...

რატომ? — აი, ამის თაობაზე გვსურს საუბარი ამ ნარკვევში.

* * *

1876 წლამდე, სანამ „დედაენა“ გამოიცემოდა, ქართული საზოგადოება საანბანე წიგნების ნაკლებობას არ განიცდიდა. უკვე არსებობდა რამდენიმე საანბანე წიგნი:

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა — „ანბანი ჰირველად სასწავლო ერმათათვის“ (ხელნაწერი).

თ ე ო ფ ა ნ ე ზ რ ო კ ო ზ ო ვ ი ჩ ი ს ა — „ჰირველი სასწავლო ერმათა“ (რუსულიდან თარგმნა გაბრიელ ჩხეიძემ; ჩაასწორა არქიმანდრიტმა გერმანემ); — 1739 წ.

გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი ს ა — „ქართული ანბანი“; — 1797 წ.

ტ ა რ ა ს ი მ ღ ვ დ ე ლ - მ ო ნ ა ზ ე ნ ი ს ა — „ქართული ანბანი სასწავლებლად ერმათა სუცურისა და მხედრულისა“; — 1838 წ.

მ. მაქსიმოვიჩისა — „ერმათა მეგობარი“ (რუსულიდან თარგმნა ივანე კერესელიძემ); — 1852 წ.

ივანე კერესელიძისა — „ანბანი ახალ მოქსწავლეთა ერმათათვის“; — 1862 წ.

სერგეი მდივანოვიჩისა — „ანბანი ქართული შედგენილი და ახლადგამოცემული სერგეი მდივანოვიჩისაგან“; — 1863 წ.

დ. ფურცელაძისა — „ქართული ანბანი და წიგნი საკითხავად მდაბიო ხალხისათვის“; — 1863 წ.

პეტრე უმიკაშვილისა — „ქართული ანბანი“; — 1864 წ.

რაფიელ ისარელიძისა — „პირველი წიგნი წერაკითხვის სასწავლებლად“; — 1875 წ.


ლუკა ჩომახიძისა — „ქართული ანბანი“; — 1875 წ.

ანთიმოზ ჯუღელიძისა — „ქმარვილის სარკე, ანუ წერაკითხვის სასწავლო წიგნი“; — 1875 წ.

იაკობ გოგებაშვილი, ცხადია, ამ სახელმძღვანელოებს იცნობს, მაგრამ... როგორც ჩანს, არ მოსწონს ისინი... სწავთაშორის, ერთგან წერს: „ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენს სასწავლებლებში გრამატიკა იოსელიანისა ქართული ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეჯავრებოდა ქართული ენის გაკვეთილები და რა სიძულვილი ჩამისახა გულში დედა-ენისა ამ გრამატიკამ იმ დრომდინ, ვიდრე იგი არ შემაფარეს ჩვენმა ძალაღნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა“...

ღირსსაღწებო მინიშნება — სახელმძღვანელო ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მან ბავშვს მშობლიური ენის სიყვარული ჩაუნერგოს და არა პირიქით... ეს უპირველესად ენება პირველ წიგნს — საანბანე სახელმძღვანელოს...

ამიტომაცაა, იაკობი, სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა შეადგენს საანბანე სახელმძღვანელოს — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (გამოიცა 1865 წელს)... ეს არ არის „დედაენა“, ეს, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი ეტაპია „დედაენისათვის“...



თუმცა, როგორც ზედაგო-
გვიკის სპეციალისტები მიუთითე-
ბენ, იაკობის მიერ შედგენილი
„ქართული ანბანი“ ბევრით
აღმატებოდა იმჟამად არსებულ
საანბანე წიგნებს. სწორედ ამ
წიგნის თაობაზე თქვა პროფ.
ვალერიან რამიძემ: „წერბ-
კითხვისა და, სერთოდ, ქართუ-
ლი ენის სწავლება ამ წიგნის
ძინედვით დაეფუძნა მეგნებულო-
ბის, მისაწვდომობის, თვალსაჩი-
ნობის, აქტიუობისა და სისტე-
მატურობის დიდაქტიკურ პრინ-
ციპებს; ნაცნობიდან უცნობზე,
ადვილიდან ძნელზე, მარტივი-
დან რთულზე თანდათანობით
გადასვლის წესებს. ამგვარი
სწავლების სისტემის შემოღება

იმ დროისათვის დიდი ნოვატორობა იყო და ქართული ზედაგოვი-
კური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრიდაო“. დიან, ეს
მეფასება XX საუკუნის შუა ხანებში ითქვა...

უფრო ადრე მწერალი ნიკო ლომოური წერდა: „იაკობის
წიგნაკი, როგორც მეთოდით, ისე მასლით დამორბეობთა სჯობდა
სხვა ანბანებს, რომლებიც იხმარებოდნენ მაშინდელ ქართულ სა-
ზოგადოებაში“...

იაკობის პირველმა საანბანე წიგნმა ფაქტობრივ ანზარეზიდან
განდევნა მისი უსუსური კონკურენტები, მაგრამ ეს არ იყო ჯერ
„დედაენა“... „დედაენა“ შესაქმნელია.

მოდით, ესეც ვთქვათ: პირველი სახელმძღვანელო, რომელმაც
პროფესიონალთა ასეთი ქება დაიმსახურა, 25 წლის იაკობის შექ-
მნილია...

შედარებისათვის გავისხენოთ: 1872 წელს რუსეთში სოფელ იანანია ზოლიანას სკოლის შედაგოგმა *ლევ ტოლსტოიმ* შექმნა სანახანე სასწავლებელი — „ანბანი“ (მერე „ახალი ანბანი“ უწოდა) და სიამაყით თქვა: *„დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანი“ სამარადისო ძეგლი დავიდგო“*... — ამას ამბობს კაცი, რომელიც უკვე ავტორი იყო რომან-ეპოპეისა „ომი და მშვიდობა“ და იმჟამად წერდა უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს — „ანა კარენინას“. დიან, „ომი და მშვიდობისა“ და „ანა კარენინას“ ავტორი თავის „სამარადისო ძეგლად“ „ანბანს“ მიიჩნევს. არ არის ეს შემთხვევითი: დიდმა შემოქმედმა იცოდა, რა იყო ფასი სანახანე წიგნისა ერისათვის, ქვეუნიანათვის!.. ამიტომ არის ამაყი „ანბანის“ ავტორი!.. *ლევ ტოლსტოი* იმჟამად 44 წლისა იყო!..

აქ, ჩვენთან კი იაკობ გოგებაშვილი 24 წლისა წერს და 25 წლისა გამოსცემს თავის სასწავლებელს... ამბობენ, ეს უპირველდენტო შემთხვევაა... მაგრამ ასეთი გამონაკლისები იცის კაცობრიობის ისტორიამ — საქმე გენიოსს ეხება!..

იაკობი რომ გენიოსია, ეს უპირველესად „დედაენამ“ დაადანტურა!..

ვიტყვით ქვემოთ, რომ „დედაენის“ უპირველესი ღირსება „აი ია“-ზე დაფუძნებული ანბანის სწავლების იაკობისეული მეთოდია. გავისხენოთ, იაკობის ზირველი სასწავლებელი — „ქართული ანბანის“ — ზირველი გაკვეთილი, მერე რომ უფრო თვალნათელი იყოს „დედაენის“ სიდიადე!..

„ქართულ ანბანში“ სანახანე ნაწილს იაკობი 5 მონაკვეთად დაყოფს:

I მონაკვეთში ასწავლის 5 ხმოვან და 3 თანხმოვან ასო-ბგერას:

ჯერ „სიტყვები“:

| | | |
|-------|-------|-------|
| ბა-გა | გუ-და | ბე-დი |
| დე-და | ან-გა | გო-გო |
| დი-დი | ად-გა | ო-ბი |

მერე — „მარცვლები“:

ბა დე დი კა ღა გუ
აბ ად ბე ცო ბო

შემდეგ გამოყო „ხმოვანნი ასონი“,


მერე – „ასონი უხმოვნო“...

მომდევნო მონაკვეთებშიც ასე გრძელდება უცნობ ასო-ბგერათა შესწავლა...



ვარსანი. აქ შეიქმნა „ლოჯიკა“

და იაკობი ოცნებობს უკეთეს სახელმძღვანელოზე: სწორედ ამ ზირველ წიგნზე („ქართული ანბანი“) ითქვა, „ჰედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრიადაო“... ასე არ თვლის იაკობი: როგორც ვთქვით, ეს წიგნი იყო მოსამზადებელი ეტაპი რევოლუციისათვის – რევოლუცია „დედაენამ“ მოახდინა...



დაუცხრომელი ფიქრი, ძიება, შრომა და... 1876 წელს გამო-
დის კიდევ „დედაენა“ – მწვერვალი ქართული ჰედაგოგიკური ახ-
როვნებისა (იაკობის გამონათქვამის ჰერიფრანსს თუ გამოვიყენებთ,
„იალბუნი ქართული ჰედაგოგიკური ახროვნებისა“!) სწორედ ახ-
ლა შექმლო იაკობს ეთქვა, „ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, სამარა-
დისოო“...

* * *

ორიოდე სიტყვა წიგნის სახელწოდებაზე – „დედა ენა“:

შენიშვნა: წიგნის სახელწოდებას იაკობი ცალ-ცალკე წერდა
– „დედა ენა“; კრიტიკულ-ზუბლიცისტურ წერილებში დეფინითაც
– „დედა-ენა“. დეკანდელი ნორმებით ერთად იწერება – „დედაე-
ნა“.

1876 წლის გამოცემას ასე ეწერა – „დედა ენა – ანუ ანბა-
ნი და ჰირველი საკითხავი წიგნი“. ამ გამოცემაში „დედა ენა“-ს
განმარტება დასჭირდა; გასაკებია: ეგ ტერმინი უცხო იყო იმდრო-
ინდელი მკითხველისათვის და იმიტომ. რატომ უცხო? – ტერმინი
„დედა ენა“ იაკობმა შექმნა საგანგებოდ საანბანე სახელმძღვანე-
ლოსათვის...

დიან, შეიძლება გავიკვირდეთ, მაგრამ 1876 წლამდე სიტყვა
„დედაენა“ არ იხმარება ქართულ მწერლობაში.

ხუენ საგანგებოდ გადავიკითხეთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წე-
რეთლისა და იაკობ გოგებაშვილის ზუბლიცისტური ნაწერები ამ
თვალსაზრისით: 1876 წლამდე „დედაენა“ მათ ნაწერებში არ შე-
გვხვდრია. მათ ზუბლიცისტურ წერილებში გვხვდება ტერმინები:
ქართული ენა, სამშობლო ენა, დედ-მამის ენა, მშობლიური ენა...

1876 წლის შემდეგ ამ მნიშვნელობით ძირითადად გამოიყე-
ნება „დედაენა“.

ფაქტია, ტერმინი „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილმა გამოიყე-
ნა ჰირველად საანბანე წიგნის სახელწოდებად, შემდეგ მშობლიუ-
რი ენის მნიშვნელობაც მიიღო. ეს კომპოზიტი „დედაენა“ შეიქმნა

ისეთი სიტყვების ანალოგიით, როგორებიცაა *დედა-მიწა, დედა-ბოძი, დედა-ბურჯი, დედა-ქალაქი, დედა-აზრი...*

ცოტა მოკვიანებით ილია ჭავჭავაძე განმარტავდა: „*ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-გი – „გუთნის დედას“... ილიამ თითქოს განმარტა, რატომ შეძლიდა ეს ტერმინი იაკობმა...*

როცა იაკობი ამ ტერმინს ქმნიდა, იმკამად საქართველოში შექმნილ ენობრივ სიტუაციას ითვალისწინებდა:

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ცდილობს საქართველოს ენობრივი სიტუაცია იმპერიული ზრახვების სამსახურში მოაქციოს. როგორც იაკობი აღწერს „ბუნების კარსა“ თუ სხვა ნაშრომებში, საკმაოდ მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყნის ენობრივი მოსაიკა: ეველა კუთხის ქართველი თავისებურად უქცევს, თავისებურ კილოზე საუბრობს (დღეს ამგვარ კილოებს დიალექტებს ვეძახით: ხევსურული, ფშაური, კახური, ქართლური, იმერული, გურული, აჭარული და სხვა)... რამდენიმე კუთხის მეტყველება – სვანეთისა, სამეგრელოსი, ლაზეთისა (ჭანეთის) – საგრძნობლად განსხვავდება სხვა კუთხის ქართველთა მეტყველებიდან და ქართული ტრადიციული განაზრებით მათ ენებს ვუწოდებთ. მაგალითად: ხევსური, ფშაველი, კახელი, იმერელი თუ აჭარელი კითხვას, „რა ენასე საუბრობ?“; გიანასუხებს – „ქართულადო“; სვანი გეტყვის – „სვანურადო“, მეგრელი – „მეგრულადო“, ლაზი (ჭანი) – „ლასურადო“ (ჭანურადო)... თუმცა ოდითგანვე სვანთათვის, მეგრელთა თუ ლაზთათვის, ისევე როგორც სხვა კუთხის ქართველთათვის, წიგნის ენა ქართული იყო, ღვთისმეტყველების ენა ქართული იყო; ქართულ ენასე იქმნებოდა ის უდიდესი და უმდიდრესი ქართული კულტურა, რომლის შექმნაშიც თანაბრად მონაწილეობდნენ ყოველი კუთხის ქართველი... ქართული სალიტერატურო ენა ქართველთათვის იყო მთავარი ენა, საღმრთო ენა...

როგორც მთავარ ქალაქს დედაქალაქს ეძახის ქართველი, მთავარ აზრს – დედააზრს, მთავარ ბურჯს – დედაბურჯს და ა. შ. იაკობ გოგებაშვილმა ამის ანალოგიით მთავარ ენას (საღმრთო ენას, სალიტერატურო ენას, წიგნის ენას) დედაენა უწოდა და ასე მონათლა წიგნიც. მსგავსი სტრუქტურის სიტყვა (დედა-ენა) ევროპულ ენებშიც არის, მაგრამ ევროპული გავებით დედა-ენა ნიშნავს დედის ენას, მშობლის ენას (იენა, რომელიც დედისგან მივიღეთ, როგორც დედის რძე“ – ვინფრიდ ბოედერი); ქართული გავებით დედაენა – მთავარი ენაა. გააზრება ასეთია: არსებობს კილოკაური განსხვავებები ქართველთა შორის, კუთხური ნაირსახეობები, მაგრამ საერთო და მთავარი ქართული სალიტერატურო ენაა – დედაენა!

ზუსტი შეფასება მისცა ამ ფაქტს ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა ვინფრიდ ბოედერმა: „იაკობ გოგებაშვილი გენიონსი იყო იმ გავებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა. ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება... ეს არის ქართული ენით მოლაპარაკეთა თვითშეგნების არაიდეოლოგიური და ისტორიული გავება“.

სემოთ რუსული იმპერიული ზრანავა ვახსენეთ: სწორედ ქართველური მეტყველების ნაირსახეობათა სიმრავლე, განსხვავებულობა გამოიყენეს ქართველთა ერთიანობის დარღვევისათვის, ქართველთა დაშლისათვის; ასე დემაგოგობენ: რადგან განსხვავებულად საუბრობენ, არ არიან ქართველებიო; საქართველოში ცხოვრობენ ქართველები, მეგრელები, სვანები, აჭარლებიო და ა. შ.

სწორედ ამის საწინააღმდეგოდ იყო საჭირო ერთიანი ეროვნული შეგნების განმტკიცება და აღორძინება. სწორედ ამას ემსახურებოდა დედაენის ცნების დამკვიდრება და „დედაენის“ სახელმძღვანელოს შექმნა... ანუ „დედაენის“ დაბადება!

უმთავრესი ღირსებანი ანბანის სწავლების იაკობ
გოგებაშვილისეული მეთოდისა

* უპირველესი და უმთავრესი: *ეს არის პირველი გაკვეთილი ქართული წერა-კითხვის სწავლებისა: „ია. აი. ია ია“.*

ა) ორივე სიტყვა (ია. აი) უმარტივესი სტრუქტურისაა: შედგება ორი ხმოვანი ასოსაგან; წასაკითხად და გამოსათქმელად უადვილესია;



ია

ი ა

ია აი

აი ია

ბ) ა და ი ხმოვნები ქართულ ბგერათაგან გამოყენების სიხშირით სხვებს ბევრად აჭარბებს. სიტყვათა უდიდეს უმრავლესობაში ან ერთი ხმოვანია, ან — მეორე, ანდა — ორივე ერთად;

გ) სიტყვა (ია) შედგება ორი მარცვლისაგან (ი-ა). თითოეული მარცვალი ოდენხმოვნის შემცველია და იოლად წარმოხსნათქმელია;

დ) ორი ხმოვანი (ა, ი) ორ სიტყვას ქმნის (აი, ია) და ეს ორი სიტყვა ერთად ფრაზას შეადგენს: „აი ია“. ფრაზის აღქმა ბავშვისათვის გაცილებით იოლია და დასახსომებლად ადვილი, ვიდრე ცალკე სიტყვებისა; „ხალისსაც ძლიერ უმატებს გაკვეთილს ეს ფრაზა... ადამიანს ახალისებს არა განმარტობული სავნები,

არამედ მათი კავშირი... ენის სიცოცხლე იწყება ფრაზებიდან და რამდენადაც ადრე გადახვალთ ფრაზებს, იმდენად უფრო უკეთესია. ამ საიდუმლოს – კითხვის მნიშვნელობას, მხოლოდ მაშინ იკვებ და ვრძნობს“ (აქ ეველა ამონარიდი იაკობის ნაშრომებიდანა).

ე) ამ სიტყვით (ია) აღნიშნული საგანი ეველასათვის ნაცნობი და „საუვარელი ევაილია, მეტადრე ბავშვებისათვის“;

ვ) ესთეტიკური თვალსაზრისით სიტყვაც და ამ სიტყვით აღნიშნული საგანიც ძლიერ მიმზიდველია;

ზ) ბავშვებისათვის საუვარელი არაერთი ლექსია შექმნილი „ია“-ზე;

თ) „ია“-ზე ასევე შექმნილია მრავალი სიმღერა. სიმღერა კი „სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას და აჩუკებს ჰარმონიას, უსუსტებს და უსწობს ხეზრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, აკეთილშობილებს მის ბუნებას“;

ი) „ია“ იოლად დასხნატი საგანია და ნახატს ადვილად ამოიცნობს ბავშვი, ანუ შესაბამისობა სიტყვასა და ნახატს შორის ნათელია. „სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლესა და ხალისს. სურათის შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას – გარკვეულად, არასრულს სხეს სავნისას – სრულ სხედ“;

კ) წიგნთან შეუხვეველ ბავშვს სანამ ჩვევაში გადაუვა კითხვის მიმართულება (მარცხნიდან მარჯვნივ), შეცდომის შემთხვევაშიც კი (ე. ი. თუ მარჯვნიდან წაიკითხავს), ტექსტი იკვივა: „ია ია“ ზალინდრომია – მარცხნიდან და მარჯვნიდან ერთნაირად იკითხება ანუ – ასოები არ აერევა.

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „ასეთ დასაწეის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის... რამდენადაც ჩვენ ვიცით, არცერთ ენაზე არ იწყება ასე სამკვალთოდ წერა-კითხვის სახელმძღვანელო და არ იწყება სწორედ იმის გამო, რომ არცერთი სხვა ენა არ აძლევს ამის ნებას იქაურ ზედავოვებსა... თუ სხვა ხალხების ანბანში ვერ იზოვნით ამისთანა სრულსა და მარტოვს ჰორველს გაკვეთილსა, ეს წარმოსდგება ენათა თვისებისაგან, ნაკულუღვანებისაგან. სომეხთა ზედავოვებმა, მკვალთოდ, ბევრი

ემებზე თავის ენაში იმისთანა ფრიად მოხერხებული სიტყვა, როგორც „ი ა“; რათა მით დაეწყოთ თავიანთი ანბანი, მაგრამ ვერ იპოვებ“...

მეთოდის ავტორის აზრით: „ზირველი გაკვეთილი „დედაენის“ ანბანისა აკმაყოფილებს ყოველს ზედაგოგიურს მოთხოვნილებასა სასესიებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად, და ეს უნდა მიეწეროს ქართული ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა...“...

* საანბანე სახელმძღვანელოს შედგების ი. გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, ყოველი ახალი საანბანე სიტყვა შერჩეული არის დიდი რუდუნებით; იგი არის ბავშვისათვის კარგად ნაცნობი საგნის აღმნიშვნელი; ესთეტიკურად მიმზიდველი; ამასთანავე იოლად დასახატავი („სურათების შემწეობით ჯერ საგანი უნდა გაიცნონ ბავშვებმა, მერე მისი სახელი, რომელიც მისი გამობატვლების ქვეშ არის მიწერილი“). ყოველ მომდევნო გაკვეთილზე შემოტანილი ახალი ასო გრაფიკულად სიანლოვეს ავლენს წინა ასოსთან (ა, ი და თ...). საანბანე სიტყვა არის იოლად დასამარცხელი და ახალი ასო – მარცხლიდან მარტვიად გამოსაყოფი (შემდგებისდაგვარად საანბანე სიტყვაში თანხმოვანთ კომპლექსისგანაც არის არიდებული თავი). ამ პრინციპით აიგო „დედაენის“ მეორე და მომდევნო გაკვეთილები (თითი, საათი, თხა, თონი, ხე, უთო, მუა...).

* საკითხავ ტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სიტყვათა შერჩევასა და ტექსტში მათი დალაგების პრინციპს. ყველა სიტყვა არის საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გაზრდილი ბავშვისთვის ნაცნობი ან იოლად შესაცნობი. საამისოდ „დედაენის“ შემდგენელს (ი. გოგებაშვილს) ცნობილი მოღვაწეები უწევდნენ კონსულტაციებს; მაგალითად, ერთ-ერთ ექსპერტად დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ჰყავდა.

* მეორე საანბანე გაკვეთილიდან მოყოლებული ყოველ ახალ გაკვეთილზე ხდება თითო ასოს გაცნობა. ძირითადი პრინციპი ასეთია: „ერთ გაკვეთილზე – ერთი სიტყვა“. ამიტომაც მე-

ორე გაკვეთილად „თითი“ გამოიტანა; ესეც ძალიან საინტერესო მიგნებაა: თ მოხაზულობით ახლოსაა ი და ა ასოებთან; საგანი ძალიან ნაცნობია. თ-ს მიმატებით ნაცნობ ასოებთან (ა, ი) ოთხი ახალი სიტყვა იქმნება: *ა-თი, თი-თა, თა-თი, თი-თი*. სიტყვათა ასეთი დალაგებაც ძირითად ზრინცივს მიესადაგება („ნაცნობიდან უცნობისაკენ“); „*აქ ეოველი შეძგევი სიტყვა, განაადვილებლად კითხვის ზროცესისა, უნდა იწუებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც თავდება წინა სიტყვა*“.



თითი

თი თი

თ ი თ

თ

ა-თი. თი-თა. თა-

თი. თი-თი.

აი ია. აი თითი.

აი თათი. აი თითა.

ათი ია. ათი თათი.

ა თი თითი.

* ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასოთა სწავლების თანამიმდევრობას. მავალითად, „დღეანაში“ ჯერ *კ (საკა)* ისწავლება, მერე — *ჟ (იხვი)*. ი. გოგებაშვილი განმარტავს: არ შეიძლება მათი ადგილების გაცვლა (თავის ოპონენტებს უხსნის), „ჯერ იმიტომ, რომ მასვე გაეზუტება გენეტური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მოექცევა უფრო მარტივსა, რომელიც ზირველის ელემენტს შეადგენს (იგულისხმება გრაფიკულად), მერე იმიტომ, კ მკაფიოდ გამოთქმისათვის ბერად ადვილია ვ-ზე და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ეო-

ველს გვარს ასოსა, კითხვის ჰროცესს ადვილებს“. სხვა შემთხვევაში: ხ უსწრებს ს-ს. თითქოს ს უფრო მარტივია ხ-ზე, მაგრამ:



სოკო



ი ს ვ ი

სო კო
ს ო კ ო
ბ

ი ს ვ ი
ი ს ვ ი
ი

„ხ მარჯვნივ ნახევარ რგოლით თავდება; ასო ს-ს კი მარჯვნივ მრუდე რკალი აქვს, – და რადგან რგოლის წერა უფრო ადვილია მრუდე რკალზედ, ამიტომ ხ უფრო ადვილ საწერად უნდა ჩაითვალოს. ესეც რომ არ იყოს, ს-ს მეორე ადგილს ვერ მივსცემდით, რადგანაც იმისთანა ადვილ ასოსთან შეერთებით, როგორც არის ე, თქვენ ვერ შეადგენთ რეალურის, დასახატავი საგნის სახელსა, ხ-ს ნმარებით კი სდგება იმისთანა მარჯვე სიტყვა, როგორც ხე“.

ამ მეთოდის მიხედვით, ასოთა სწავლების თანამიმდევრობის მთავარი ზრინციანი არის: ბგერათა გამოთქმის სიადვილე-სიმძნელე (მარტივიდან რთულისაკენ); ბგერათა რავგარობა; ბგერათა სინტაქსური თვისებები; ბგერათა გამოყენების სინშირე; რამდენად ცნობილი საგნის დასახელებაში შედის ესა თუ ის ბგერა და ეს საგანი დასახატავად რამდენად მოხერხებულია; როგორია ამ ბგერის შესაბამისი ასოს გრაფიკული მოხაზულობა, თუ „რავდენს მასალას აძლევს სიტყვებისა და ფრაზების შესადგენად, რავდენად ადვილია საწერად და სხვანი“.

* საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, საანბანე წიგნი უნდა იყოს „ენობრივი სახელმძღვანელო“. ეს სახელმძღვანელო ისე უნდა აიგოს, რომ არა მარტო შეასწავლოს, არამედ უნდა შეაუფაროს ბავშვს მშობლიური ენა. „აქ ყოველი ახალი სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ გაკვეთილებში რამდენჯერმე, რათა ღრმად ჩაეებჭდოს ბავშვს მესხიერებაში“. „სახელმძღვანელო უნდა იყოს უმცდროდ;“ უმნიშვნელო მცდრომა საანბანე სახელმძღვანელოსთვის არ არსებობს; „ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწეისში“.

* საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ზოგადი პრინციპების მიხედვით, იგი უნდა გამოირჩეოდეს „წერის მასალის სიმდიდრით, ღირსებით; ელემენტარული იდეალების რაოდენობით... უნდა იყოს სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს იქითა და აქეთა საქართველობისა; საერთო და სამრეწლო სკოლებისა ერთად, უნდა დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გაერთიანებას“; არ უნდა იყოს მექანიკურად შედგენილი, ხელი უნდა შეუწეოს ბავშვის გონებრივ განვითარებას... იაკობ გოგებაშვილის თქმით, ასეთი მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო „წინ წასწეეს ხალხის განათლებას“.

* ი. გოგებაშვილის აზრით, საანბანე სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წიგნის საერთო ტექნიკურ მხარეს: შრიფტების ზომას, შრიფტების მონაცვლეობას, ინტერვალსაც კი ასოსა და ასოს შორის, სიტევისა და სიტევის შორის, სტრიქონსა და სტრიქონს შორის; სათაურს, ქვესათაურსა და ტექსტს შორის. ეს აუცილებელია ბავშვის მხედველობის ჰიგიენის დასაცავად, მისი მხედველობის ორგანოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ნორმალური მხედველობის შენარჩუნებისათვის.

* სწავლების პროცესში აუცილებელია საგანგებო ყურადღება მიექცეს წერის ტექნიკას, კალიგრაფიას, ასოების გამოყენების პრინციპს; ტრადიციული „წორე, პირდაპირი, მართებული“ წერის უპირატესობის დასაბუთებას „ირიბ, დახრილ“ წერასთან შედარე-

ბით. „ირიბული ხელის კითხვა მხელია, მავნებელია მსგავლობისთვის. ზირდანირი ხელის კითხვა ისეთივე ადვილია, როგორც ბეჭდურის“. აქ განსათვალისწინებელია ქართული ასოების გრაფიკული თავისებურებები (განსხვავებით ლათინურისაგან), და ისიც, რომ სწორე წერის დროს სხეული ნორმალურ მდგომარეობაშია, ირიბი წერის დროს კი – ანაბუნებრივ მდგომარეობაში, რაც „მავნებელია სხეულისათვის, დამამახინჯებელია მეტ-ნაკლებობით, მეტადრე ზატარაობის დროსა. როცა სხეული იზრდება და ძლიერ ეჭირება ნორმალური მდგომარეობა“. და საერთოდ, „ესეთეტიკურს მხარეს, სილამაზეს წერაში ერთი უპირველესი ადვილი უჭირავს“;

* საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი *ხეობრივი ზიროვნების აღზრდას ისახავს მიზნად*; ხეობრივ-ეთიკური ზრინციპები უნდა იყოს დაცული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენისას, რადგანაც *„ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა“* (ი. გოგებაშვილი).

* ი. გოგებაშვილის აზრით, *ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო „ეველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს საზოგადოდ“*; ეროვნული სულის გაღვივება და განმტკიცება საანბანე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიაა.

შეფასებანი

იაკობის „დედაენის“ გამოჩენა ახარესწე ქართულმა ზროგრესულმა საზოგადოებამ ზუსტად შეაფასა.

გამოვიდა თუ არა „დედაენა“, *დიმიტრი ვიფიანმა* თქვა: *„დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წივნი არის და საუცხოოდ არის შედგენილი*“. ღვაწლმოსილი მოღვაწის ასეთი შეფასება ზირველი და საამაყო ჯილდო იყო ახალგაზრდა ავტორისათვის.

„დედაენას“ დაეკისრა უმძიმესი მისია. ეს მისია კარგად განსაზღვრა *თეოდ სანკოიამ*: „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, ჰატივურილი – ოჯახებში. ანისტოკრატის ერცხვინებოდა ქართულად წმის ამოღება, თავმო-საწონად მიანხდა რუსულად ლაზარაკი; თითხე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყუვლებდა... და, აი, ასეთს განწირულს დროს გამოდის ი. ვაკეებაძვილი თავისი „დედა-ენით“ და ცდილობს, იმის საშუალებით შესულიყო სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შეფასების საფუძვლად „დედა-ენა“ ჰქონოდა; საძირკველი – მის თვალის ახელას, გააღამიანებას „დედა-ენის“ საშუალებით ჩაჭეროდა“...

წნობილი ჭეშმარიტებაა: ენობრივი მთლიანობა ეროვნული მთლიანობის საფუძველია. ამიტომ სურს მტერს ქართველთა ენობრივი დაქუცმაცება – ეს ეროვნული დაშლის საწინდარი იქნებოდა. იცის, რა თქმა უნდა, იაკობმა (და საერთოდ იმდროინდელმა ჰროგრესულმა ქართველობამ) ეს და „დედაენას“ დააკისრა ეროვნული კონსოლიდაციის უდიდესი მისია; *ზაქარია ჭიჭინაძე წერდა*: „ვაკეებაძვილმა თავის „დედა-ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ვეულა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწეებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაზარაკს, ვეულვან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“...

დაიხ, „დედაენამ“ „მეაცრად მეუტია უწივნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარხაკეტილობას, განავრცო სიტვეა ქართული და ამერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტვეულა, დააკავშირა“... (ვალერიან რამიშვილი).

შალვა დადიანი იაკობის ნათქვამს დაემყარა, როცა დაწერა: „ამფეთქებულ ნადმოსანივით მისრიალებდა „დედაენა“ ხვენს მიუვალს მთა-კლდეებში – თუშეთსა და სვანეთში, – მიდიოდა ბარად, მეუვეებოდა აჭარასა და მესხეთს და ვეულვან სძრავდა ენას საქართველოდ, ვეულვან აფეთქებდა გრძნრობას ეროვნულსა“...

შეიძლებოდა გავკვირდებოდინა... ფაქტია, უმძიმესი და უდიდესი მისია დაეკისრა „დედაენას“... ამისთვის განხდა იგი ამქვე-

ნად და ამ საპატოო მოვალეობას ღირსეულად ასრულებდა და ასრულებს დღესაც. იგი ქართველი ხალხისათვის იარაღია ქართველობის დასაცავად: „და თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედაენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა“ (დემნა შენგელაია)...

ბრძოლა „დედაენის“ დასაცავად

საბედნიეროდ ჩვენდა, ივენენ მოღვაწეები, ვინც სწორად დაინახეს „დედაენის“ ღირსებანი, სწორად შეაფასეს მისი მნიშვნელობა. სწორედ ამან ათქმევინა აკაკი წერეთელს: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოხატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ეურძმი ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაუვარა. ვანა ეს პატარა საქმეს! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართულმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძველი დაუღვას“.

მაგრამ, სამწუხროდ ჩვენდა, ივენენ ისეთებიც, ვისთვისაც ეს ჭეშმარიტება მიუღებელი იყო...

წერს ერთგან იაკობი: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემი სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოძეებით ვაუკეთესობებს, ათი იმდენი დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისგან“... ერთგან თავის მართლებიდან იმის განმარტებაც დასჭირდა, ცილისწამება რა არის – „ცილისწამება ჰქვიან იმისთანა სიცრუეს, რომელშიც შედის ბოროტი განზრახვა“... და სწორედ ამ ბოროტ განზრახვას ებრძვის იაკობი; ებრძვის, უმკლავდება და იმარჯვებს... თუმცა საშური დრო ისარჯება!...

ვის ებრძვის იაკობი, როგორ და რატომ?

იოსებ იმედიაშვილის თქმით, იაკობს „ბრძოლა უხდებოდა გარემო თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთან“... ივანე გომელაური იგო-

ნებს: „*იაკობი თავჯამოდებით, ბასრი კალმითა და მჭრელი ენით იცავდა თავის სახელმძღვანელოებს ეოველმხრივ მოხეული მტრებისაგან*. მტრები კი ბევრი ჰყავდა – შინაური და გარეული. შინაურები იყვნენ წვრილფეხა და განდიდება-გამდიდრების სურვილით შეპურობილი მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ „დედაენის“ და „ბუნების კარის“ დამცირებას, რათა მათ მაგიერ სკოლებისათვის მიეჩვენებინათ შეთითხნილი სახელმძღვანელოები და ამით გემრიელი ლუკმა აეღოთ ხელში. განსაკუთრებით „დედაენას“ ეცილებოდნენ, რადგან ის უფრო შემოსავლიანი იყო. გარეშე მტრები კი იყვნენ მთავრობის მოხელეები, მოყოლებული სასწავლო ოლქის მზრუნველიდან, ეველა მისი უურმოჭრილი ჩინოვნიკით, რომელთანაც არაფრად ეპიტნავებოდათ არც ზვიადი და განათლებული ჩვენი ჰედაგოგი და არც მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები“...

ერთი კონკრეტული მაგალითი „გარემესთან“ ბრძოლისა.

იყო ვინმე *კირილე იანოვსკი* – კავკასიის ოლქის მზრუნველი; მას ებარა სწავლა-განათლების საქმე კავკასიაში. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „*იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას*“. იანოვსკისთან ბრძოლა გრძელი თემას; ერთ შემთხვევას გავიხსენებთ.

იანოვსკიმ თვალი დაადგა „დედაენას“; იაკობისათვის უთქვამს:

– ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი რუსული ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა-ენისა“, რომელიც დიდ დროს ითხოვს თავისი გათავებისთვის. ქართული წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვექონდა ამის შესახებ მსჯელობა და შედეგ დასკვნამდინ მივედით: მოგცეთ წინადადება, ერთი ორად შეამოკლოთ „დედა-ენა“ და გვერდში ჰარალებულად ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც საკმარისად შეისწავლება და რუსული ენაც წინ წავაო!..

დაძეთანხმებით, მძიმე წინადადებაა. ფაქტობრივ, „დედაენის“ გამკვეება სურთ ქართული სოკლიდან. ერთი კვირა მისცა იანოვსკიმ იაკობს მოსაფიქრებლად. უთქვამს:

– თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თვითონ გამოცემის სახელმძღვანელოს და, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი „დედა-ენა“ გაიროუებაო...

ეს წინადადება კი არა, ულტიმატუმი!

იაკობი იცნობს ვერაგ იანოვსკის და შემოთავაზება „წერაკითხვის საზოგადოებას“ მოახსენა ეს ამბავი. ცხადია, ამ საზოგადოების წევრებმაც იციან იანოვსკის ინტერესები და „წინადადება“ და ამიტომაც ზოგმა ურჩია იაკობს, დაეხუდღეს შემოთავაზებულ წინადადებას:

– „დედაენის“ ნახევარს მაინც გადავარჩენთ, თორემო, იგინი გამოცემენ მახინჯს რასმე, ისიც რუსული ალფაბეტით და საქმე სრულად წახდებაო.

იაკობი კატეგორიული წინააღმდეგია, ურჩევნია, აიკრძალოს „დედა-ენა“, რადგან:

– „ახლანდელი სახით დამარხული „დედაენა“ მკვდრებით შეიძლება ძალე აღდგეს; მაგრამ დამახინჯებული კი საუკუნოდ მკვდარი დარჩებაო!..“ – ბრძენი იყო იაკობი!..

ბრძოლა გრძელდება. იანოვსკი არაა ის მოხელე, იოლად დაიხიოს უკან... იაკობი არგუმენტაციანე ფიქრობს... ერთი კვირის შემდეგ იაკობი ეახლა იანოვსკის და მოახსენა:

– თქვენი წინადადება კარგად ავწონ-დავწონე და იმ აზრზე დავუქეი, რომ მისი განხორციელება მავნებელი იქნება რუსულისთვისაც და ქართულისთვისაც. ეს ორი ენა სხვადასხვა ნათესაობას ეკუთვნის და ერთის ზედგოგოური თანდათანობა მეორისას ბევრად ეწინააღმდეგება. ზედგოგია მოითხოვს არა ჰარალელურს მეთოდს, არამედ შედარებითს...

იცის იანოვსკიმ რომ ჰროფესიონალს ესაუბრება და ამიტომ გუდასმით უსმენს... იაკობი განაგრძობს:

– ამ მეთოდის მიხედვით, ქართველმა ბავშვებმა ჯერ ქართული წიგნი უნდა ისწავლონ და მერე რუსულზე გადავიდნენ და ვეელა ნაბიჯზე აღარონ ერთმანეთს ეს ენები.

იაკობი ანგუშენტად თვით იანოვსკისავე სასწავლო გეგმას მოიუვანს. ეს გეგმა ახსოვს იანოვსკის, მაგრამ იმპერიული ინტერესის სხვას უკარნახებს და გადაწვევით ეტევის იაკობს:

– თქვენი ნებაა. მაგრამ იცოდეთ, რომ სანაცვლოდ თქვენის „დედა-ენისა“ ჩვენ თვითონ გამოვცემთ ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოსო...

არ გაჭრა იაკობის მცნინერულმა ანგუშენტაციამ. აკი შიმობდნენ კიდევ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრები.

მაგრამ იაკობი არ აპირებს უკან დახევას ... ახლა სხვა გზიდან მოუვლის; მუქარაზე გადადის:

– მაგ შემთხვაში მე უსათუოდ ვიხივლებ საქართველოს მეფესთან!..

ამის გამკონე იანოვსკი იქედნურად გადმოხედავს იაკობს და დამცინავად შეეკითხება:

– სად არის საქართველოს მეფე? საუკუნეზე მეტია, მეფე აღარ გვაუთ...

იაკობი მთელი სერიოზულობით უპასუხებს:

– არა, იგი არამც თუ არსებობს, მთელს რუსეთზე მბრძანებლობს. რუსეთის იმპერატორი მეფეა საქართველოსიც და მას მივმართავ საჩივრით და მოვასხეხებ, რომ მისი ერთგული ქართველი ერი განიცდის იმისთანა შევიწროებას, რომელსაც მოძორებულია ეოველი კულტურული ერი, რუსეთის საზღვრებში მოქცეული...

როგორც ჩანს, საუბარი კიდევ გაგრძელდა. ახლა იაკობია „მეტეუანზე“ გადასული; ბოლო სიტყვასაც იგი ამბობს ამ საკმაოდ მძიმე და საძიმ ზაქრობაში:

– ვწუხვარ, რომ თქვენის სურვილის სისრულეში მოევანა არ შემიძლიან.. წინააღმდეგ ამისა, მე სრული იმედი მაქვს, რომ სამოსწავლო საბჭოს ხელს ააღებინებთ ამ მეტად საწვენი და მავნე აზრის განხორციელებასზე და იძულებულს არ გამხდით სატანტო ზრესაში გადავიტანო ეს საკითხი...

იაკობმა გაიმარჯვა, საბჭომ ხელი აიღო თავის განზრახვაზე... იაკობი იუმორით ამთავრებს თხრობას: „და მეც ჩემი მხრივ ასეთი ხათრი გავუწიე მას: „დედა-ენა“ ერთი ორად გაუადიდეო“...

ეს იყო ერთი შემთხვევა გარეშე მტერთან ბრძოლისა. ფაქტი საშიში და საბედისწერო — იაკობის დამარცხება ქართული სკოლის დამარცხება იქნებოდა... სხვაც იყო „გარეშე“ მტრთან ბრძოლის ფაქტები და არა ერთი — ეგზარქოსთან თუ სემინარიის დირექტორთან; სამთავრობო კომისიასთან თუ ინსპექტორებთან... და თითქმის იაკობის მთელი ცხოვრების მანძილზე ეს ფრონტი აქტიური იყო.

* * *

„ბრძოლა უხდებოდა გარეშე თუ შინაურ მტერთან“, — იოსებ იმედამვილი წერდა...

„შინაურმა მტერმაც ძრისხანებით წამოაჭყო თავი“... — დანანებს ნიკო ლომოური...

როგორც ვთქვით, როცა „დედაენა“ გამოვიდა, რამდენიმე საანბანე წიგნი იყო ქართული. ორი ასპექტია: ერთი — არ სურს, კონკურენტი სასკოლმძღვანელოს ავტორს ირწმუნოს, რომ „დედაენა“ მის ნაცოდვილარს სჯობია; მეორე — (და ალბათ უფრო არსებითი) — არ ეთმობა ის შემოსავალი, რომელსაც საანბანე წიგნი ამდევს მის ავტორს... ამ მეორე „პრინციპს“ იაკობი „სახსრის ტრფიალსა და კუჭის პრინციპს“ უწოდებს...

ცილისწამებათა სერია, არაობიექტური შეფასება სწორედ ამ პრინციპს ემყარება უმთავრესად... და კიდევ მესამე: იაკობი დაუნდობელი პოლიემისტია: ქართველ კაცს არ უკვარს დამარცხება — არ შესწევს უველას ძალა, აღიაროს სხვისი უპირატესობა და იწეებოდან ახალ-ახალი შემოტევანი ოპონენტებისა...

ერთი წერილი აქვს იაკობს საინტერესო სათაურით: „უმცროების ამაუობა“ (1881 წ.) ასევე საინტერესო დასაწყისით: „დედაენას ისევ ესროლეს კენჭები“... დიან, ეს კენჭებია, ნაკლებად საშიში და ნაკლები ზიანის მომტანი!.. „დედაენას“ ვერაფერი დააკლესო, მაგრამ „ბუნების კარი“ ორჯერ ააკრძალვინეს სემინარიის სკოლმძღვანელობასო...

ერთ-ერთი ოპონენტის საპასუხო წერილში წერდა იაკობი: „მარტო უმცროება არ არის აქ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილაეს

„დედა-ენამ“ ცუდი საქმე უყო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დააღპო სტამბაში და იმიტომ გამოიღაშქრეს ისე ბრეივეულად „დედა-ენაზედა“.

არც ზირად შეურაცხყოფას ერიდებიან – *გოგებაშვილის ნაცვლად „მოგებაშვილს“* წერენ „ოპონენტები“... იაკობი იძულებულია, უსიამოვნო მისია შეასრულოს და ანგარიში წარუდგინოს მკითხველს, როგორია მისი შემოსავლები და როგორ ხარჯავს მას... მერე იკონებდა ფ. გოგინაიშვილი: „თავისი შემოსავლის, სულ ცოტა, ნახევარს, ი. გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა. უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდა შემწეობად“ და ა. შ.

უკიბინებდნენ ოპონენტები: „ხმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაგვაურისო“, სხვას არ გაახარებს, სხვა სახელმძღვანელოს არ გააჭაჭანებსო...

არადა იაკობი წერდა: „შეადგინონ ჩემ სახელმძღვანელოზე უკეთესი შინაარსიანი სახელმძღვანელოები და მაშინ სიამოვნებით გზას დაულოცავო“... არ იყო ეს ლიტონი სიტყვები. ცნობილია, როცა გაიგო იაკობმა, გ. იოსელიანმა შეადგინა „საღმრთო ისტორია“, თავისი წიგნის („საღმრთო ისტორიის“) გამოცემას აღარ ცდილა; ასე იყო მათემატიკის სახელმძღვანელოს შემთხვევაშიც...

„დედაენა“ კი არავის დაახავრინა – მასზე უკეთესი ვერავინ შეადგინა!.. თურმე ამბობდა: „ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ნებსას არ მივცემ, რომ უნიჭოდ შედგენილი და უხეირო სახელმძღვანელოებით დაამახინჯონ ქართველი ბავშვიო“...

და ამ ხანგრძლივ და დაუნდობელ ბრძოლაში იმარჯვებდა იაკობი. წერს ერთგან – „ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორცაა სიმართლე, ერთხელც არ დაუმარცხებულვარო“ და ასეც იყო!..



და გადარჩა „დედაენა“...

ანდერძი იაკობისა

თურმე სულთმობრძავი იაკობის უკანასკნელი თხოვნა ეს იყო, „დედაენას“ უნატრონეთო... თანაც ამბობდაო: „თუ დედაენას“ გაუკეთესებას მოაკლდება, მოკვდებაო“ და იმ ზრინციანებსაც გეთავაზობდა, როგორ მოგუყვარა „დედაენისთვის“...

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უანდერძა იაკობმა „დედაენა“. ანდერძის ერთ-ერთ ზუნქტში საგანგებოდ არის მინიშნება იმის თაობაზე, სახელამძღვანელოში რა სახის ცვლილება შეიძლება იქნეს შეტანილი და როგორ: „ოკველვარი ცვლილება ჩემს სახელამძღვანელოებში და წიგნებში შეიძლება იქნეს შეტანილი იმ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამკეობის ეველა წევრის მიერ, და მიღებულ იქნება დადგენილება გამკეობის ეველა წევრის საძი მეთხედის მიერ“...

იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წელს. „დედაენა“ ამ დროს ორ წიგნად გამოდიოდა: I – საანბანე ნაწილი; II – საკითხავი ნაწილი.



„დედაენის“ საანბანე ნაწილი იაკობის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოცნა, მეორე ნაწილი — 27-ჯერ. სავრთო ტირაქმა მილიონ-ნახევარს გადააჭარბა. ეს ისეთი ზატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, უზრუნველყო შემთხვევა...

და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ასრულებდა იაკობის ანდერძს. 1925 წლამდე „დედაენის“ გამოცემას კომისია ხელმძღვანელობდა (ლუარსაბ ბოცვაძე თავკაცობდა ამ საქმეს). 45-ე გამოცემა შედგა „დედაენისა“. მაგრამ... 1927 წლის 24 აპრილს არსებობა შეწყვიტა „წერა-კითხვის საზოგადოებაში“. იქამინდელმა ხელისუფლებამ საზოგადოების მისია ამოწურულად მიიჩნია და სახალხო სკოლა სახელმწიფო ზრუნვის საგნად გამოაცხადა... ჯერ განათლების სახალხო კომისარიატი და მერე განათლების სამინისტრო ჩაუდგა სათავეში ეროვნული განათლების საქმეს...

„დედაენაც“ მათი ზრუნვის საგანი გახდა; უფრო სწორად, უნდა გამხდარიყო...

1925 წლის შემდეგ „დედაენის“ გამოცემა შეფერხდა. კვლავ გამოვიდა 1935 წელს. ათწლიანი ლოდინის შემდეგ ისევ განახლდა „დედაენა“. წერდნენ: „ძირითადად ი. გოგებაშვილის ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდია მომარჯვებული ვ. ძიმიგურისა და ა. გვანარიას დედაენის 1935-1943 წლების გამოცემებში“... სიტყვა „ძირითადად“ იმას ნიშნავს, რომ არსებითი ცვლილებები შეტანილი მასში... ერთიც: მეთოდია მხოლოდ ი. გოგებაშვილისა, ხოლო ავტორებად ვ. ძიმიგური და ა. გვანარია მოიხსენიებიან...

და 1944 წელს გამოდის ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის მიერ იაკობის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილი „დედაენა“. ამ „დედაენას“ საბჭოთა „დედაენას“ უწოდებდნენ. ასე წერდნენ: „1943 წელს, როცა მრისხანე ომი მძვინვარებდა, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება — დავუბრუნოთ კლასების სახელმძღვანელოები ავტორული იაკობ გოგებაშვილის ზროგრესულ მემკვიდრეობას, კერძოდ, მისი „დედაენის“ პრინციპებს. ამ საქმეს კვალიფიციური კომისია ჩაუდგა სათავეში

და 1944 წელს უკვე გამოიცა ი. გოგებაშვილის ჰრინციანების მიხედვით შედგენილი საბჭოთა „დედაენა“ (ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის)“.

რას ნიშნავს „საბჭოთა დედაენა“? – ეს გულისხმობს იმას, რომ სახელმძღვანელოში ჭარბად არის შეტანილი საბჭოთა თემატიკა: ლენინი, სტალინი, ბერია, საბჭოთა აზრია, კრემლი და ა.შ. მერე რაო, შეიძლება მითხრას ვინმემ, ეს იყო იმდროინდელი რეალობაო; კი, მაგრამ ეს უკვე დარღვევაა იაკობის ერთ-ერთი მთავარი ჰრინციანისა: *პირველდაწვებითი (და არა მხოლოდ ის) სახელმძღვანელო თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისაგან, პოლიტიკური იდეოლოგიისაგან.* ეური მიუხედავად იაკობის ძმისშვილს; შალვა გოგებაშვილი იგონებს იაკობის სიცოცხლის ბოლო წუთებს. მითხრაო, „მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს ჩემს „დედა-ენას“ და გონივრულად მოიხმაროს იმის შემოსავალი... „დედა-ენა“ დიდი რამეა ჩვენი ერისთვის. *მეფე ერეკლეც რომ გველოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორც დავითოვე ამ ბოლო დროს“.* – ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვებია.

იაკობი ამას 1912 წლის 1 ივნისს ამბობს – საქართველო რუსეთის კოლონიას ამ დროს...

მეფე ერეკლეს დროს – დამოუკიდებელი საქართველოა...

იაკობის აზრით, პირველდაწვებითი სახელმძღვანელოსთვის ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს – სახელმძღვანელომ უნდა შეინარჩუნოს წინაპრების სამეარლომ უნდა შეიყვანოს, ეროვნული ცნობიერება უნდა ჩამოუყალიბოს; ხოლო პოლიტიკურ იდეოლოგიაში მერე თავად უნდა გაერეკეს!.. – ესაა იაკობის ჰრინციანი.

„დედაენა“ არ უნდა იყოს პოლიტიკურად იდეოლოგიზირებული. არადა „საბჭოთა დედაენა“ სწორედ ასეთი იყო!.. ეს უკვე ღალატი იყო იაკობის ერთ-ერთი მთავარი ჰრინციანისა!..

ჩვენს დროში „იმატა“ „დედაენებმა“ – 2009 წელს განათლების სამინისტრომ ჩაატარა საანბანე სახელმძღვანელოთა კონკურსი. „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ“ იაკობის „დედაენა“

მოამზადა საკონკურსოდ. მას კონკურენციას უწევდა ცნრა(!) „დედაენა“. ცხრავე წიგნს თავიანი ავტორები ჰყავდა...

ვთქვით ზემოთ: „დედაენა“ საავტორო სახელია – იაკობის მიერ შექმნილი და საგანგებოდ სახელმძღვანელოსთვის გამოყენებული. ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელოს ისევე არ შეიძლება სხვა ავტორმა დარქვას „დედაენა“, როგორც „ოთარანთ ქვრივი“ ან „სტუმარ-მასწინელები“ უწოდოს მწერალმა თავის ნაწარმოებს! ითქვას ეს, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას და ილახება იაკობის საავტორო უფლებები, ჰიროგნული ღირსება!.. იძარცვება იაკობი!...

ესეც ვთქვათ: მითუმეტეს გაუმართლებელია „დედაენა“ ეწოდოს საანბანე სახელმძღვანელოს, რომელიც არაა აგებული „აი ია“-ს ზრინციანზე. არის ერთი ასეთი ქართული ანდაზა: „თურაშაულის ჰატრონი ტუქში ეძებდა ჰანტასო“. „აი ია“-ს ჰატრონი რომ საანბანე სახელმძღვანელოში ჰირველ გაკვეთილზე ა ასო-ბგერას „აკვარიუმით“, „აქლემითა“ და „არწივით“ ასწავლის, ამას ჰქვია „ჰანტას ეძებდა“... ეს წიგნი დღესაც სკოლაშია, გოგებაშვილის „დედაენა“ კი... თუმცა განვაგრძოთ მსჯელობა.

ზემოხსენებული 9 ალტერნატიული „დედაენიდან“ 5 „აი იას“ ზრინციანზე იყო აგებული; ავტორებად კი სხვები (და არა იაკობი!) ეწერებოდნენ!.. ესეც მიტაცებაა იაკობის ინტელექტუალური საკუთრებისა...

და ჩატარდა კონკურსი... განათლების სამინისტრომ „არავის აწყენინა“ და გრიფი მიანიჭა საკონკურსოდ წარდგენილ 10-ვე სახელმძღვანელოს!

ანუ: ჩატარდა არა კონკურსი, არამდე – რეგისტრაცია!..

ერთადერთი სიკეთე, რაც ამ კონკურსმა მოიტანა, ის იყო, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ქართულ სკოლაში დაბრუნდა!

...მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა: 2011 წელს განათლების სამინისტრომ კვლავ გამოაცხადა ქართული ენის სა-

სელმძღვანელობის კონკურსი და... იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ „ვერ დანაკმაყოფილა საკონკურსე ჰირობები“... სხვათა „დედაენებმა“ – კი...

ქართულმა სკოლამ „უარი თქვა“ იაკობის „დედაენაზე“ ჯერჯერობით...

არადა იცით, რა ითქვა იაკობის „დედაენაზე“?

– *გალაკტიონი: „დედაენა“ და „ბუნების კარი“ სასელმძღვანელობი კი არა, უდიდესი ჰოეშებია. მე თანახმა ვიქნები, ებმევიდეს ეს წიგნები, არა როგორც სასელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად!*“ – ჰოეზიის უკეთესი „ექსპერტი“ ჩვენ არ გველია, ვენდოთ გალაკტიონს!..



– *დემნა შენგელაია: „ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში აიღებს“...*

– *მუხრან მაჭავარიანი: „მესმის და ვხედავ, – როგორ იკერიებს ჰატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“. და სხვა... და სხვა...“*

უკვდავება „დედაენისა“

„დედაენა“ „ვეფხისტყაოსანთან“ დააწვევილეს; ჭკმძარიტად: მეორე ათასწლეულში საქართველოში ეს ორი დიდი წიგნი შეიქმნა, რომელთაც განსხვავდრეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის სახე...

იცის ქართველმა კაცმა ფასი თავისი უზირველესი წიგნებისა და ამიტომაც ორადორ წიგნს გადაუხადა იუბილე – „ვეფხისტყაოსანსა“ (1966 წელს) და „დედაენას“ (1976 წელს)!..



იცის ქართველმა კაცმა ფასი თავისი წიგნთა წიგნისა და ამიტომაც ერთადერთ წიგნს აუგო მეგლი – „დედაენას“ (1983 წელს. მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი)...

და ვიცით ფასი „დედაენისა“ არამარტო ქართველებმა: 1960 წელს ვენესუელაში, ქალაქ კარაკასში, გაიმართა მსოფლიოს ენათა საანბანე სახელმძღვანელოების გამოფენა-კონკურსი. იაკობის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილმა საანბანე სახელმძღვანელომ

პირველი ადგილი და სიკვდილი დაიმსახურა!.. ეს არის მსოფლიო აღიარება „დედაენისა“!

და ბოლოს:

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების წარდგინების საფუძველზე 2013 წლის 12 მარტს საქართველოს კულტურის სამინისტრომ „დედა-ენას“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს – მიანიჭა ანამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

2014 წლის 14 აპრილს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№295) ანამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „დედაენას“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“ – განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

ასე რომ: „დედაენა“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი – ანამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლია.

ეს უკვე უკვდავების განაცხადია!

1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№83) გამოქვეყნდა ცნობა: „როგორც შევიტყუეთ, ბ-ნ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის ზატვიისმცემელთ მისდა ზატვისსაცემად, მისი ხალიტერატურა და საზედგოგო ახნარეზხედ მოღვაწეობის 35 წლის მესრულების გამო, განუზრანაუთ სადილი გამართონ“. იმავე გაზეთის ერთ-ერთ მოძღვენა ნომერში (№85) იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის განცხადება: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სხანს, ზოგიერთ ქართულს მოუწადინებია გამართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვანსენებ და ვთხოვ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავის წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უხემოდ ხაივლის. ჯერ ქართულმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე მესანებ ხვენი მთავარმოღვაწეებისა, რომელთაც ხემზე უფრო დიდხანს უძოქმედნიათ და ხემზედ უხომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მუინვარს დირსეული იუბილეები გაუმართონ და მერე გაუწიონ თავანხანობა სერებსაც, თუ არ დაუძლიათ“.

„მუინვარი“ ილია ჭავჭავაძეა, „იალბუზი“ – აკაკი წერეთელი, ხოლო „სერი“ – თვით იაკობ გოგებაშვილი... მთავარმოღვაწენი...

ბევრი რამით არის ეს ფაქტი ხაინტერესო. ამჯერად ამ მთავარმოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულება მაინტერესებს. ამ მცირე მონათრობიდანაც ხანს იაკობის დამოკიდებულება ილიასა და აკაკისადმი. როგორია ილიასა და აკაკის დამოკიდებულება იაკობისადმი? ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულება?.. მოდი თემებზე ვინაუბროთ.

სახუბარი ჰირველი: ილია და აკაკი

ქართული კულტურის ისტორიაში, ალბათ, არავის შვენის გვერდგვერდ დგომა ისე, როგორც ილიასა და აკაკის.

„გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთსე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით“, – იტყვის ცალად დარჩენილი აკაკი წერეთელი და გზას დაულოცავს წყნური საქართველოსკენ ილია ჭავჭავაძის ნათელ სულს.

მართლაც: ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ჩვენი ერისა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ილიასა და აკაკის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. უფრო სწორად, ამ ნახევარი საუკუნის გარეშე ჩვენი ეოფა, არსებობაც კი – წარმოუდგენელი იქნებოდა. „სახოგადოდ, ქართველი ინტელიგენციის ისტორია ამ ორი ჰიროვნების გამოსვლით იწეება“, – ბრძანებს გალაკტიონი და არაა ძნელი გასაცნობიერებელი ის ფაქტი, რომ ქართველი ინტელიგენციის არსებობას, მისი ეოფის აზრსა და მიზანს ილიასა და აკაკის ნაფიქრალ-ნაზრევი განსაზღვრავს დღესაც. „ილიას გზით მივიღვართო“ – ესაა ვეკლასე დიდი არგუმენტი მათთვის, ვინც ქვეუნიის მოკეთეობას იჩემებს, ცდილობს, მამულისმოყვარედ წარმოახინოს თავი...

„ლიტერატურის ჰრესტიკის ასამაღლებლად საჭირო იყო შეიარაღებული ახალგაზრდობა, რომელსაც ცოტათი ნიადავი და ახ-ზარეზი სჭირდებოდა სამოქმედო და რომლის დრომა ხელში აიღეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა“ (გალაკტიონი).

და ეს დრომა არაერთხელ შეირსა, დაიხარა... საბედნიეროდ, დღეს კვლავ ეს დრომა წინამძღვრობს ქართველს ერს...

* * *

XIX საუკუნე ერთ-ერთი უძძიმესი საუკუნეა ქართველთათვის, საქართველოსთვის: ჩვენ დავეარკეთ ეროვნული დამოუკიდებლობა... ჰირველად ჩვენი არსებობის მანძილზე ქართული ენა კარგავს სახელმწიფო ენის ფუნქციას; ქართული ლამის „მინაურობაში სახმარ ენად იქცა“... ავორდა ბინძურ ტაღლად რუსული იმპერიული აზრი – ქართველები, მეგრელები, ლაზები და სვანები სხვა-



აკაკი: ვარაუდობა ვადავებს ჩვენ რაიმანდებზე. ნახევარი საუკუნის
ვანმადელობაში ერთს უცოდეს ვერცდილი...

კალაქტონი: სწავლად, ქართული ინტელექტუალის ძეგლია
ამ თარი მითრებებს ვამბედილი იყრება.

გრ. რობაქიძე: აქაი და ილია ვერცხვია, რომელიც დასცილდა-
ნენ ერთმანეთს, მანამ „წიგლები“ დაიწერა მანამ.
ახრეანი სან ერთს ვერცხვია, სან მეთაურს, „წიგლებში“
ეს ჩვეულებრივი ამბავია.

დასწავა ხალხები ანიანო... მეტიც, იმპერიის იდეოლოგები საუბ-
რობენ, საქართველოში სახლობენ ქართველები, კახელები, იმერ-
ლები, აჭარლები... შეიქმნა რეალური საფრთხე საქართველოს

დაძლისა, დაქუცმაცებისა, ურთიერთდანიშნულებისა, ქართული ენის გაქრობისა...

და ამ დროს „წყნამ წვალობად, ნუგეშად“ ილია ჭავჭავაძე მოგვიუვლინა... დიანს, ილია „მეოხედ ჩუენდა ქრისტემან მოგვანიჭა!“

როგორც ჩანს, იმ მნებებდობის ქაშს დმერთმა არ მიიხნია საკმარისად ილია და სამიოდუ წლის შემდეგ აკაკი წერეთელი მოგვიუვლინა „მეოხად ჩუენდა ქრისტემან“; და იაკობ გოგებაძვილი მოუვლინა ასევე „მეოხად ჩუენდა ქრისტემან“ საქართველოს, ქართველ ხალხს...

და თითქმის ერთდროულად: კახეთში – ილია, იმერეთში – აკაკი, ქართლში – იაკობი...

ქართლ-კახეთი-იმერეთი... იაკობი-ილია-აკაკი...

ნებისმიერი მათგანი დამშვენებდა ნებისმიერ ერის ცხოვრებას. ერთ-ერთი მათგანიც შეიძლება საკმარისი ეოფილიყო ერთი ეპოქისათვის... ქართველებს დმერთმა ეს სამეული გვიწვალობა!..

და გადარჩა XIX საუკუნე!

და გადარჩა საქართველო!

* * *

დღეს ჩუენი საუბრის თემა იქნება ილია და აკაკი.

ილია და აკაკი!.. ილია თუ აკაკი?..

„ალებათ, ეს ზარალელი მუდმივ დარჩება ქართულ ლიტერატურაში, კიდევ უფრო ჭირვეული დაეჭვება: რომელი უფრო მადლა დვას?“

„აკაკი და ილია ტუუაზებია, რომლებიც დასცილდნენ ერთიმეორეს, მაგრამ „ტოლები“ დარჩნენ მაინც. არჩევანი ხან ერთს ერგება, ხან მეორეს. „ტოლებში“ ეს ჩუეულებრივი ამბავია.

ხშირად ერთისა და იმავე ზირის გუენებაში ხდება ხან აკაკის არჩევა, ხან ილიასი. სხუანაირი, მაგრამ ერთფასეულნი – აი, ტოლების სასომი. თუ ვინმე აირჩევს ხან ერთსა და ხან მეორეს, ეს არც ზირველის ბრალა და არც მეორესი“, – ასე გრიგოლ რობაქიძე ფიქრობს და არა მხოლოდ იგი; ეს ფიქრი ჩუენიცაა, სასოგადო ფიქრია...

ასეთ ფაქტსაც გაიხსენებს ილია ზურაბიშვილი: „ვთქვით, რომ საღამო იყო გამართული საქველმოქმედო მიხნით. თუ ვინმე იტყობდა – ილიამ ეს ლექსი წაიკითხაო, მსმენელი უგებველად შეეკითხებოდა – აკაკიმ რაღა წაიკითხაო? იმისდა მიუხედავად, იღებდა აკაკი ამ საღამოში მონაწილეობას თუ არა. მას ვერც წარმოუდგენია, რომ იქ, სადაც ილია იყო, შეიძლება აკაკი არ ეოფილიყო“.

ბეგრი რამის მთქმელია ეს მოგონება...

ილიასა და აკაკის ურთიერთობა მრავალი ლეგენდის, ამბის – ტყუილისა თუ მართლის – საფუძველი გამხდარა.

გალაკტიონი წერს: „უკვე არაფისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს აკაკის და ილიას ერთმანეთში დამოკიდებულება. ველიჩკომ რაფიელ ერისთავის იუბილეზე ამხანაირი სადღეგრძელო დალია: ვისურვებ, რომ აკაკის ილია უეუარდეს და ილიას – აკაკი... იმავე იუბილეზე მკოსანმა გრ. აბაშიძემ უსაუვედურა: ეს რა ამბავია, ჩუენი ორი გამოჩენილი ჰოეტი სხედან და ხმას არ იღებენ მაშინ, როდესაც ამდენს ეოველი მხრიდან შეკრებილ საზოგადოებას ისინი ძვირად ნახავენო. აკაკის და ილიას ამხანაირ დამოკიდებულებას იდეური ხასიათი ჰქონდა“... – გალაკტიონი ცდილობს, საფუძველი დაუძებნოს ამ ნაღვლიან დაფიქრებას და ახსნაც მოგუცეს; გაამართლოს თუ გაანათილოს ამგვარი აზრი: „მაგრამ ეს ხომ წარსულია. თვით ილიას დასაფლავების დღეს აკაკი მწარე ცრემლებით სტიროდა და ასე მოიქცეოდა ილიაც, რომ აკაკის ცხედარი დაენახა“.

ეს კი, მაგრამ, როგორც ჩანს, ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულება კარგისა თუ ავის ფანტაზიისათვის იძლეოდა მასალას და აგორდებოდა ტალღა ტყუილ-მართლის.

ილია ზურაბიშვილი თავგამოდებული ამტკიცებს: „რა ჰქონდათ სადავო და საცილო ილიასა და აკაკის? სად და რაში გადაჯვარდინდებოდა მათი გზები? მხოლოდ ერთში – სამშობლო ქვეყნის სიუვარულში, მისთვის მტლად დადებაში...“

არასოდეს ილია აკაკის და აკაკი ილიას არ შესცილებია საწირადო საქმეში. არსად ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგედ არ გამოხუვან არც ჰირად და არც საზოგადოებრივ საქმეში...

და ქართველი ხალხის დიდი უძრავლესობა ისე უყურებდა ილიას და აკაკის, როგორც საქვეყნო საქმეში თანამებრძოლთა სინონიმებს, თითქოს მათ შორის არავითარი განსხვავება არ ეოფილიყო, მის თვალში ილია და აკაკი თითქო განუყოფელი ტყუნი იქნა იყო, ერთი დედის მუსცლით ნამობი. სადაც ილიაო, იტკოდნენ, უმწველად ზედ აკაკიც უნდა დაეყოლებინათ და ჰირიქით...“ – ეს მოგონებაა მათივე თანამედროვისა...

და მინც: როგორი იყო ურთიერთდამოკიდებულება ილიასი და აკაკისი? ჰქონდა საფუძველი ნატურას – უყვარდეთ ერთმანეთიო?

რბ თქმა უნდა, ამ ნატურაში არ ჩანს, რომ მათ არ უყვარდათ ერთმანეთი. აქ უფრო სხვა რამ არის, ვფიქრობ, ხაზგასანსმელი:

- ერს როცა ილია და აკაკი ჰყავს და თუ მათ ერთმანეთი არ უყვართ;
- თუ მათ ერთმანეთს ანგარიში არ გაუწიეს;
- თუ ისინი ერთმანეთს მხარში არ ამოუდგნენ;

– თუ ისინი სხვადასხვა მიმართულებით დააწირებენ საქვეყნო საქმის გაძღოლას;

– თუ ერთმანეთის საწინააღმდეგო საქმეს უთავადაცებენ – დაზარალებდა საქვეყნო ინტერესი... არა, დაზარალებდა არ არის ის სიტუვა... ილიასა და აკაკის რანგის მოღვაწეთა უსიყვარულო ურთიერთდამოკიდებულება უბედურების მომტანი იქნება რავინდარა ქვეყნისთვის... იცის ეს ქართველმა კაცმა და ამიტომაც თავის წარმოდგენაში შეაერთა და შეასისხლხორცა ერთმანეთთან ილია და აკაკი.

თუმცა, რაღა გავაგზმელო, ეს თავად ილიამ და აკაკიმ სხვაზე უკეთ იცოდნენ, სიმულვილით დანგრეული ქვეყნის სიყვარულით შენებაც მათ გვიქადაგეს.

– ერთმანეთის მიმართ?..

– სადავოზე დავობენ, საკამათოზე კამათობენ, სანაქროზე ჰაექრობენ... და საქებას აქებენ, სადიდებელს ადიდებენ...

* * *

XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენცია საკამოდ მრავალრიცხოვანია და ღირსეული. საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვე-

თა ორი ფიგურა; იმთავითვე დაწვეილდა ორი მათგანი — ილია და აკაკი. სწორედ სამოღვაწეო ასპარეზზე მათი გამოხსენებით იწვეება ქართული ინტელიგენციის ისტორია — გალაკტიონი ასე თვლის.

დიას, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოხსენისთანავე დაწვეილდა ეს ორი სახელი.

ვინმე გ. ბარათოვი „ცისკრის“ რედაქტორს წერილს მიწვეწეს: „გადაიკითხეთ მისი (ი. ჭავჭავაძის - გ.გ.) თხზულებები და მამინ, თუ იპოვით ერთ მარდს ქართულს ლექსს, როგორსაც შეხვდებით მეტადრე უფ. აკ. წერეთლის თხზულებებში, ბოდიშ ვიხდი...“ 1861 წელია; ილიას ცნობილი წერილი („ორიოდე სიტყვა...“) გამოქვეყნდა „ცისკარში“ და, რა თქმა უნდა, გ. ბარათოვის უპირველესი მიზანი ილიას დამცირებაა, ამისთვის აკაკის მოიძველიებს...

დავით ჩუბინაშვილი ქრესტომათიას შეადგენს. ალექსანდრე ცაგარელი დაიწუნებს ქრესტომათიას, აკრიტიკებს შემდგენელს იმის გამო, რომ მასში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები არ შეუტანია: „ეს ორი ჩვენი მწერლები ისე ამაღლებულნი არიან წარსული საუკუნის მწერლებზედ ნიჭით და ტალანტით, როგორც მზე მიწისგან“, — ამას ალ. ცაგარელი იტყვის. თუძცა, რა თქმა უნდა, ეველა ასე არ ფიქრობს, არ იქცევა ასე. დ. ჯანაშვილი დ. ჩუბინაშვილს ექომაგება, ალ. ცაგარელს უპირისპირდება და საკმაოდ უსიამოვნოდ მოიხსენიებს ილიასა და აკაკის: „...თქვენ ჩუბინოვს იმისთვის ღანძლავთ, რომ იმას თავის ქრესტომათიაში ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის ლექსები არ დაუბეჭდია. ამას ისე დაუფიქრებინართ, რომ წარმოგიდგინათ: ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი ასეთი დიდი გენიოსები არიანო, რომ რუსთაველს არ დაუვარდებინანო... იმასაც გეტყვი, რომ როგორც შენ, აგრეთვე ილ. ჭავჭავაძეს და აკ. წერეთელს არაფერი არ გაუკეთებიათ... იმათ მწერლობა არ წერას უდრის... იმათ მეტი შეუძლიათ გააკეთონ, მაგრამ სიხარმადისა გამო არ აკეთებენ, ამის გამო იმათი ნიჭი ჩვენთვის სრულიად უნაყოფია“...

1865 წელია!..

ილია და აკაკი უკვე ჰრობლემებს უქმნიან სალიტერატურო ასპარეზზე კარგა ხნის დამკვიდრებულთ.

აქებენ? — ერთად აქებენ.

არ მოსწონთ? — ერთად ამბობენ აუგს...

არცაა გასაკვირი. სუთიოდვე წელია გამოჩნდნენ ანზარეზზე ილია და აკაკი.

მოსწონთ ან არ მოსწონთ; აფასებენ ან ვერ აფასებენ, მაგრამ გვერდს კი ვერ უკლიან.

ს. მესხი განხეთის გამოცემას აპირებს; სრულაიდ საქართველოს უურადღების მიწერობა სურს. აქაც აკაკი და ილია არიან მთავარი ნუგეში რედაქტორისა: „იმერეთს აკაკის შემწეობით დავიჭერბ და კახეთს ილიკოს დახმარებით“, იტყვის.

ეს 60-იანი წლების დასასრულია...

1871 წლის ზოლემიკა საყოველთაოდაა ცნობილი — „მამათა და შვილთა ბრძოლაზე“ მოგანსენებთ. მთელი თაობის ზოზიციის წარმოსახენად მარტო ილია და აკაკიც საკმარისია.

1875 წლის აპრილია. სალიტერატურო საღამო გაიმართა. განხეთი „დროება“ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს: „...პირველი ქართული სალიტერატურო საღამო ისე მძეინივრად ასრულდა, რომ ჩვენ სრულებით არ მოველოდით. მაგრამ ნამდვილი დამამშვენებელი და გამაცხოველებელი ამ საღამოს იყვნენ: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე“.

თანმიმდევრობა ჩამოთვლისა იცვლება: ილია და აკაკი... აკაკი და ილია...

1879 წლია. გ. თუმანიშვილი თავის მიერ შედგენილ აღმანახში იმდროინდელი ქართული ჟურნალ-განხეთების მიმართულებას მიმოიხილავს. დასახებით იტყვის: „ესლანდელი ქართული განხეთების მიმართულების გაუღენა ვერ აიცდინეს თავიდან ვერც იმისთანა ნიჭიერმა ზოეტებმა, როგორიც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელია“.

1884 წელია. არტურ ლაისტი ჩამოდის საქართველოში. ილიასთან სტუმრად მეოფი უცხოელი გაეცნობა აკაკის. მერე მოიგონებს: „ჩვენი განცობის პირველ დღეს მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი — ილია და აკაკი — საქართველოს მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას განახსნიებდა“.

უცხოელი მოკეთისთვის სხვა ქართველი მოღვაწის დასახსნათებლად ილიასა და აკაკისთან ამ მოღვაწის დამოკიდებულება

არსებითი, თვით იაკობ გოკებაშვილს როცა ესება საქმე, მაშინაც კი... არტურ ლაისტი იაკობსე საუბრობს და ვითომ „სხვათაძორის“ იტყვის: „იაკობი წელიწადში ერთხელ ნადიმსაც გადაიხდინდა, რომელზედაც, სხვათაძორის, აკაკი და ილია იყვნენ ხოლმე“...

არტურ ლაისტს ამ ორი ქართველის გაცნობით მიღებული ზირველი შთაბეჭდილება ბოლომდე გაჰყვა და ცხოვრებამ კიდევ უფრო განუმტკიცდა. ილიასა და აკაკის შორის ურთიერთობის მცირე შეცვლაც კი შემოთქმას იწვევს: „აკაკი წერეთელმა უკლო სინარულს ილიასთან, ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ორივე მგოსანი კვლავ სმირად ხვდებოდა ერთმანეთს დავით სარაჯიშვილის სახლში. წინანდებურად საუბრობდნენ, თუმცა მათ საუბარს თავდაჭერილობა ემჩნეოდა“.

საზოგადოება ინტერესით ელის ილიასა და აკაკის ყოველ შეხვედრას საზოგადო ანაზრესზე. 1884 წელს გაზეთი „დროება“ აცნობებს და შეამზადებს მკითხველს საინტერესო ფაქტისთვის: ილია ჭავჭავაძე ლექციებს ამზადებს „ვეფხისტყაოსანზე“ და შესაძლებლობა გვექნება, ერთმანეთს შევადაროთ ილიასა და აკაკი შესედულებები.

1889 წელია. აკაკის ზენია დაენიშნა. ნ. ნიკოლაძე ფრიად კმაყოფილია, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ აღნიშნავს ამ ფაქტს; აკაკის შემოქმედებას მიმოიხილავს იქვე და ილიას შემოქმედებასთან შეადარებს მას... დიან, ილია თითქოს არაფერ შუაში უნდა იყოს, მაგრამ ვის ეკუთვნის ზირველობა, ილიას თუ აკაკის, ამ წერილში ამახვეცაა მსჯელობა...

1885 წელია. იაკობ გოკებაშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას წერილობით დასაბუთებას წარუდგენს ილიასა და აკაკის ამ საზოგადოებაში საზატიო წევრობად არჩევის გამო. იაკობი წერს: „კრება ერთხმით დამეთანხმება, რომ ყველაზე უდიდესი სამსახური ქართული მწიგნობრობის წინაშე მიუძღვის ორ ჩვენს სასიქადულო ზოეტს – ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს“. გაზეთი „ივერია“ ამის თაობაზე აღნიშნავს: „კრებამ აღტანებულის ტაძის ცემით მიიღო ეს წინადადება“.

* * *

მთელ საუკუნეს გასდევს ილია და აკაკი დღიდან მათი საქვეყნო საქმეზე დადგომისა.

ეპიკურებით მათთან ურთიერთობა, მათი სიანხლოვე, მათი ნაცნობობა.

„ჩვენს ოჯახში დიდ აკაკისთან ერთად დიდებულ ილიას კულტი იყო გაძეფებული“, – თავმოწონებით გაიხსენებს შალვა დანიანი და ეს ფაქტი მისთვის საბუთია ოჯახის ღირსების წარმომჩენი...

რუსუდან ნიკოლაძის მოგონებიდან: „სამუდამოდ ჩამრჩა გულში დიდი ხუთეული

ილია – ბუმბერაზი.

აკაკი – ჩვენი მაშინდელი სავარდო და სამაისო ქუთაისის ცა-ფირუზ-ხმელეთ-სურმუნტ ქვეყნის ტკბილი მომღერალი...

ნათლია კირილე – სამშობლოს ჭირვარამით დაფიქრებული.

გიორგი წერეთელი – „კვალის“ რედაქციის ოთახში, თავის საწერ მაგიდასთან „მესამე დანის“ ახალგაზრდა „გურია-სამეგრელოთი“ კარმემორტყმული.

და ბოლოს, ნიკო ნიკოლაძე... ის ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, მამა იყო“...

სანიტერსოდაა დანახული და შეფასებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინტელექტუალური საქართველო.

როცა იაკობ გოგებაშვილს თანამედროვეებმა შეჰბედეს და დიდი დამსახურების გამო მადლი მოახსენეს, იაკობს მოკრძალებულად უპასუხნია: „მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდებას, რომელიც მე თქვენ მომიძღვნით, მე ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი გამოიკეთებია, მე ვეჭვობ, რომ თუ რამე გაუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დანმარებით და ხელისშეწყობით... თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახლმძღვანელოებს „დედა-ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკიე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დანმარებით და ხელშეწყობით... ამ საქმეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბუღბუღს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახლმძღვანელოების შედგენაში მუდამ აქტიურად მუშაობდა, ხელს მიწყობდა და მიგვიყვებდა ყველა

იმათ, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გაწვდისა“ (ილია ბანტაძის მოგონებებიდან).

აქ ერთია დიდი იაკობის თავმდაბლობა, მეორე – ჭკმძარბობა: XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვეულებ დიდი ეროვნული საქმე ჰირდაზირ თუ არაჰირდაზირ ილიასთან და აკაკისთან იურის თავს; ჰირდაზირ თუ არაჰირდაზირ ილია და აკაკი არიან სათავე ეოველივე ეროვნული სიკეთისა.

თავის მოღვაწეობაში ილიასა და აკაკის დამსახურების ამგვარად დანახვა, წარმოჩენა არ ამდაბლებს იაკობს; ჰირიქით – მისთვის ჩვეულ და დამახასიათებელ სიმღელეს ინარჩუნებს იგი... ილიასა და აკაკიზე ურდადების ამგვარი გამახვილება მის ნაღვაწს კიდევ უფრო მეტ ღირსებასა და ფასს შესძენს...

* * *

ილია და აკაკი ქართველი კაცის წარმოდგენაში უფრო დიდია, ვიდრე ჰოეტი, ან მწერალი, ან, საერთოდ, მოღვაწე... ეს ეპითეტები სხვასაც შეიძლება მიესადაგოს. ილიასა და აკაკისათვის მათი ღვაწლის შესაფერისი ეპითეტები უნდა მოვიძიოთ... გვაქვს კი ქართულ ენაში? რა მოგახსენოთ!.. კარგად თქვა სერგო კლდიაშვილმა: „ჩვენი, ახალგაზრდების, წარმოდგენაში ჰოეტები იყვნენ ვანტანგ და გრიგოლ ორბელიანები, მამია გურიელი და სხვანი. ხოლო აკაკი, ისე როგორც ილია, სულ სხვა იყო... ილიასთან ერთად აკაკიმ რამდენიმე თაობის მაგიერ მიიღო ტანჯვა და ზიან მძიმე ტვირთი. იმ მძიმე უღლის გაწევა, რომელიც წარსულში ჩვენი დიდი მეფეებისა და მოღვაწეთა მოვალეობას შეადგენდა, მეცნრამეტე საუკუნეში წილად სვდათ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ერის იმედი და წინამძღოლნი ისინი იყვნენ; აკაკი წერეთელმა, ილიასთან ერთად, ახალი საქართველო დაიწყო. ილიასა და აკაკის გამოჩენასთან ერთად, ჰირველად გაისძის ძლიერნი ხმა ხალხის წიადიდან, ერის მუაგულიდან“...

სანიტერესო ფაქტი: თითქოს არაფერი დამავდესო, ერთ შემთხვევაში რომ ილიას დაასახელებს ჰირველად, მეორე შემთხვევაში – აკაკის: ილია და აკაკი, აკაკი და ილია...

* * *

ილია და აკაკი...

მადალი ნიჭის შეფასებებში თითქოსდა ერთმანეთს ეჯიბრებიან.

1865 წელი. ჟურნალ „ცისკარში“ კრიტიკულ წერილს აქვეყნებს აკაკი. მოუხსნინოთ: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ ერთ ტანტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვარად დაუვიწყარები არიან, ერთს გაუწვევტელის ჯატვით გადაბმულები ერთის მეორესედ: ერთის უმეორისოდ ვაგება ძნელია“...

სანიტერესო განსენება: ნიკო ნიკოლაძე წერს – „მხოლოდ თ. აკაკი წერეთელს შეუძლია ამოუდგეს გვერდში თავ. ნიკ. ბარათაშვილს, და ამ ორმა მგოსანმა სავსებით ამოწურა მიმდინარე საუკუნის საქართველოს ნამდვილი ზოეზია...“

ნ. ბარათაშვილთან აკაკი ილიას დააწვევილებს, ნ. ნიკოლაძე – აკაკის... ალბათ ამიტომაც ამბობს ივანე გომართელი: „ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სამებაა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სიწმინდეს, დიდებას, მშვენებას და სიამაფეს – მე-19 საუკუნის განმავლობაში. სამივემ ქართული ზოეზია ააუვავეს და ევროპის ზოეზიას ამოუყენეს გვერდით. თუ ინგლისელები ამაყობენ ბაირონით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ბარათაშვილით; თუ ფრანგები ამაყობენ ვიქტორ ჰიუგოთი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ილია ჭავჭავაძით; თუ რუსები ამაყობენ ჰუშკინით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ აკაკი წერეთლით. ის ერი, რომელსაც შეუძლია ერთ ხანაში ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის წარმოშობა, არ მოკვდება, ამისთანა ერს დიდებული მომავალი აქვს... ერთის სიტყვით ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა...“

ხვეით აკაკი წერეთლის კრიტიკულ წერილზე ვსაუბრობდით... იქვე, იმ წერილში, აკაკი ილიას რუსთაველის ზოეტურ მემკვიდრედ წარმოადგენს: „მისთვის შეუენე აქ ჭავჭავაძესა და ბარათაშვილს, რომ ეგება ჩვენმა განათლებულმა სწავლულებმა, რომელთაც ჯიბეში ხელი ჩაუწვევათ და დაცინების მეტს არას აკეთებენ, ეგება იმათ მოჰკიდონ ხელი და კრიტიკულად ვაარზიონ ჩვენი მწერლები. თუძცა ბუვრჯერ

გამიგონია იმათგან, რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და დაჰსწეროს მისი განხილვანი. მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთველი, ბართათვილი და ჭავჭავაძე, სტეუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო“.

ზუსტია და შეუძნდარი აკაკი: „ჩემის აზრით, მისი „აკაცია ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტათ რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“.

აქაც უნდა დავეთანხმოთ, ალბათ: „ჭავჭავაძე თუმცა ჭავჭავაძე-ტოთ სწერს ლექსებს, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს მის ლექსებს ჩვენთვის“..

ილიას „ზოეტი“ გამო აღტაცებას ვერ მალავს აკაკი: „აი, რას ამბობს ზოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი, რას ნიშნავს კაცობა და არა ბუღბუღობა!..“

გავისხენოთ: ეოფელივე ამას 25 წლის აკაკი წერს სამიოდე წლით უფროს თანამოკალამეზე. ალბათ ასეთ შემთხვევასაც გულისხმობდა ილია, როცა წერდა: „გულს გული იცნობს და ღონეს ღონეო“.

მოგვიანებით, 1879 წელს, ანტონ ფურცელაძე აკაკის ბრალს დასდებს მიკერძობაში. საზოგადოებას ივიწეებ და ჰიროფუნულ ინტერესებს ემსახურებიო... ილიაც აუგად იქნა მოხსენიებული ამ წერილში...

აკაკი უპასუხებს ა. ფურცელაძეს და ამ საპასუხო წერილში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდება აკაკის დამოკიდებულება ილიასადმი; ასეთი მზგალითი მოჰყავს: „ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ თქვენ არ ბრძანდებოდით (ა. ფურცელაძეს მიმართავს — გ.გ.), რომ ილია ჭავჭავაძეს ღმერთ-კაცს ეძახდი და მეშვიდე ცაზე აგეავდით? მაშინდელი თქვენი თაყვანის-ცემა კერძ-მსახურებას გადადა... მე კი მაშინ სხვა აზრისა ვიყავი ჭავჭავაძის შესახებ; მომწონდა, ვაფასებდი, სასარგებლო და ნიჭიერ კაცად მიმაჩნდა, და მსურდა, რომ იმისთანა სხვებიც გამოსულიყვნენ ჩვენში. ღმერთ-კაცად და გენიოსად ვერა ვხედავდი და არც კერძ-სალოცავად გამიხდია ჩემთვის. ამ აზრს მე არ ვუფარავდი, ვაწყნარებდი და მისთვის ბევრი უსიამოვნებაც გადამხდომია!.. დღეს, როდესაც ათმა-თხუთმეტმა წელიწადმა გაიარა, მე ილია ჭავჭავაძე თუ უფრო არა, ნაკლებად მაინც აღარ მიმაჩნია. ნი-

ჭი არ მოჰკლებია, სწავლა და გამოცდილება მეტი აქვს და ნამსახურნიც მეტი მიუძღვის, რომ უფრო დავაფანსო და მივიჩნიო. თქვენ კი, არათუ აღარ სწვალობთ ადრინდულად, გინდათ, რომ ქვესკნელში ჩაძვრინოთ და ან დედამიწასთან გაასწოროთ. და რისი ბრალაია ეს, თუ არა ზიზღობის ან ტვინ-თხელობის? ცხადია, თქვენ ან მაშინ სტუქოდით და სცდებოდით, ან ახლა!..“

ერთგან ამბობს აკაკი: „არავისი მეშინია, გარდა ერთის – ჩემის სინდისისა და ჩემის თავისაო“. სწორედ სინდისისა და გულის ნაკარნახევი ჩანს ზემომოყვანილი მსჯელობა.

ზოგადად, ჭეშმარიტებისადმი და, კერძოდ, ილიასადმი დამოკიდებულების კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აკაკის სიტყვა, თელავში თქმული, სადიღზედ. მცირე ამონარიდი: „შატარა ცისარტყელა ვერც ათობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნათ არის მიჩნეული. გვალვის დროს ერთი შატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში განჩენილი, ქვეყანას ახარებს, შეჩერდებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო, შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ შატარა ნაგლეჯს სხვებიც შემოუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანჯღღებელიო. საკვირველია, მესამოცე წლებშიც, როდესაც მამათა სქესის ახალ-თაობა გამოღვიძებას აპირებდა, ის შატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე... ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზედ მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ ბეთლემათ დაუნიშნავს განგებას და ღმერთმა ინებოს!“

(არადა, იონა მეუნარგია წერდა, აკაკის „კარგი არავისზე ემეტებოდაო“).

ეს აკაკიმ კახეთში მეორე სტუმრობის დროს ნადიმზე თქვა თელავში 1897 წლის 15 სექტემბერს. თხუთმეტოდე წლით ადრე, კახეთში ზირველი მოგზაურობისას, 1882 წლის 17 აგვისტოს იმავე თელავში, ისევე ნადიმზე ასეთი რამ თქვა: „ძველადაც საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავგანწირულ მამულიშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რანგში ყოფილან და მომავალშიც, იმედია, თქვენი შვილები თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამორჩებიან. ჩვენ დროსაც მეთაური

და მოწინავე იყო თქვენზე შვილი, თ. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამწარტანობით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც ახლა მე გეხსენებ, იმედი მაქვს, თქვენზე თანხმობით, ვისურვოთ, რომ ძალე გამწაველებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულიძვილები“.

15 წლის შუალედით წარმოთქვა აკაკიმ ეს სიტყვები; თითქმის ერთსა და იმავე საზოგადოებასთან. დამოკიდებულებები არ იცვლება, შირიქით...

(არადა, იონა მეუნარგია წერდა, აკაკის „კარგი არავისზე ემეტებოდა“...).

მოგვიანებით, 1911 წლის ზაფხულში აკაკიმ მესამედ იმოგზაურა კახეთში; თელავში 31 ივლისს საზეიმო საღამოს შემდეგ ვახშამყე ჰოტელმა ილიას სადღეგრძელო შესვა. სიტყვა „სახალხო კახეთში“ დაიბეჭდა სათაურით „ილია-მზე“:

„ერთ გლეხგანს ეგონა, მზე თავის სოფლის გორაკიდან ამოდიოდა და წავიდა მის დასაჭერად. მაგრამ დაინახა, რომ მზე მეორე გორაკიდან ამოვიდა. გადავიდა, მაგრამ მზემ მესამე გორაკიდან ამოჰყო თავი. აქაც აბობლდა და კიდევ შეხვდა. ბოლოს ერთ განდევილს შეხვდა, რომელსაც შესჩვილა. განდევილმა უხანსუხა: მზეს ვერავინ დაიჭერს, იგი ყველგან და ყველგან ანათებსო. ასე დიდებულია ილიას სახელიც. მისი სამშობლოს – ვერლის გარდა ყველგანაა და ყველგანათვის ანათებს“.

(არადა, იონა მეუნარგია წერდა...).

აკაკის შირველმა სიტყვამ, თელავში წარმოთქმულმა, თვით ილიასაც, როგორც ჩანს, სზუნანირად აუშგერა გული; იგი, მისივე სათაყვანო ბართაშვილი რომ იტყოდა, „უსყიდველი მსაჯული იყო“. და ეს, ქებაზედ საკმაოდ სიტყვაძუნწი, მიუკერძოებელი და უსყიდველი მსაჯული აღტაცებაში მოუყვანია აკაკის მიერ ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვას:

„კითხულობ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დანაშაუბნით, სიტყვა – აზრს, თუ აზრი – სიტყვას; ისე შეხავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტყურვე სიტყვისა აზრის მძვენირებასთან. ყოველი წესი ორბატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გაჭრას, როგორც

მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიძნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია“.

ნიშანდობლივია: იქ, სადაც შური და ეჭვი ბუდობს, უფროსიან და გაურბიან ერთმანეთის ქებას. ეოველ ჩვენგანს ალბათ გაცდილებით მეტი კრიტიკა (რა თქმა უნდა, არაობიექტური), მაგება, აუცი მოუსმენია თანამედროვე მოღვაწისაგან თავისი თანამედროვე მოღვაწის მიმართ, ვიდრე ქება; ქება გულისხმობს მომდინარე... როგორც ჩანს, სხვა ფასი აქვს თანამოკალმის ქებას... კლასიკოსთათვის – ილიასა და აკაკისათვის – და, საერთოდ, ჭეშმარიტი მამულისმოყვარისათვის ქებაც და კრიტიკაც ერთ მიზანს ემსახურება: საზოგადო საქმეს უნდა წაადგეს, მაგალითი უნდა გახდეს სხვათათვის.

იმ შესვენებებმა, რომლებიც აკაკის ჰქონდა გორსა და თელავში და იმ სიტუცამ, რომელიც სადილზე წარმოთქვა აკაკიმ კახეთში, ილიას ურადლება მიიპყრო. წერდა: „ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიც თითქმის ჩვეულებად შემოდის ჰატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცი, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუღვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო დროს კახეთში...“

მთელი წერილი, რომელსაც „მინაური მიმოხილვა“ ჰქვია (1882 წელი, სექტემბერი), ძირითადად, აკაკი წერეთლის 25-წლიანი ღვაწლის შეფასება-დაფასებას წარმოადგენს. უფრო სწორად, ილია აკაკის მაგალითზე ცდილობს დანახუთოს, როგორ უნდა დაფასება ქვეყნისა და ერისათვის გაწეულ ღვაწლს: „ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარი თვალთ იხანსულა. ვამბობთ იხანსულა, იმიტომ რომ საქართველოს და ქართველის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის ჰატივისცემა, რა ჰატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს ჰოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკავებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარტილიანი სიტყვა, თავისი სიტყვრფით საფსე ქართული“. „სიტყვრფით საფსე ქართული“ – სამი სიტყვით აკაკის შემოქმედების უკეთესი დასასიათება შეუძლებელია...

გახსოვთ აკაკის აღტაცება, ზემოთ რომ მოვიყვანე? — „აი, რას ამბობს ზოეტი! ჭაუჭაუაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი, რას ნიშნავს კაცობა!...“ თითქოს ერთმანეთს გაეჯიბრნენ ერთმანეთის აღტაცებულ ქებაში. ილია: „ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუძარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საუვარჯელს საქართველოს! გაუძარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს უურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულისშვილობისათვის!“

გამოთქმა — „კომენტარი ზედმეტი“ — ასეთ შემთხვევაში გახნდა ალბათ...

მოდით, აკაკისა და ილიას თაობაზე იაკობის კომენტარიც მოვისმინოთ: „აკაკისა და ილიას შორის ზირად მეგობრობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ იდეური ურთიერთობა და ზატვიცნება კი დიდი იყო... წაიკითხეთ თელავში ნათქვამი სიტყვა აკაკისა, კამათი მისი ილიასთან „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ბოლოს მისი სიტყვა ილიას დაკრძალვის დღესა და თქვენ დიდს სიამოვნებას იგრძნობთ, როდესაც დარწმუნდებით, რომ აკაკი თითქმის უპირატესობას ამლევს ილიას და ეს მოძნობლავს შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს ჩამომავლობაზე, როცა გაქრება ჭორები შესახებ აკაკის მიერ კერძოდ ნათქვამისა ილიაზე... სწორედ ამის გამო უნდა სწეხოდან აკაკის ფრანზ ბატონის ვ. წერეთლისა: „აკაკი რომ არ ეოფილიყო, ჩვენი ლიტერატურაც არ იქნებოდა“; როცა იგი ძლიერ ამცირებდა ყველა ჩვენს დანარჩენს მეგობრებსა“.

* * *

თანამედროვენი თვალეში შეჭურვებენ ილიასა და აკაკის; აინტერესებთ მათი ურთიერთდამოკიდებულება, რას ფიქრობენ ისინი ერთმანეთზე... და საერთოდ, საზოგადოება უპირველეს ყურადღებას მათ მიაპყრობს...

დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა. დაკრძალვაზე აკაკიმ ლექსი წაიკითხა — „სახსოვარი“. ივანე გომელაური მოიგონებს: „ლექსი შესდგებოდა სულ სამი კუპლეტისაგან. ილიამ რომ მოისმინა, ჩა-

ულანარაკა თავის გვერდზე მდგომ გიგო ეიფიძეს – კარგი ლექსი იყო...“

1875 წელია. სალიტერატურო და სამუსიკო საქველმოქმედო საღამო იმართება. მონაწილეობენ დ. ეიფიანი, რ. ერისთავი, ჰ. თაბუკაძეილი, გ. ჩიქოვანი, ილია, აკაკი... გაზეთი „დროება“ წერს: „ნამდვილი დამამშვენებელი და გამაცხოველებელი ამ საღამოსი იყვნენ: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე...“ ი. მესხიშვილი წერილს მისწერს გრ. ორბელიანს. ისიც ამასვე გასაზრავს – ილიამ და აკაკიმ დამამშვენესო საღამო.

საინტერესო განსჯება: „მამათა და შვილთა ბრძოლა“ ახალი მინელებულია. გრიგოლ ორბელიანი აღფრთოვანებას ვერ მალავს სალიტერატურო საღამოზე ილიასა და აკაკის წარმატებებით. ვერ მალავს კი არა, არ მალავს. იონა მუნანდვიას მოგონებებიდან: გრ. ორბელიანი აკაკის ნაწერს ისე არ წაიკითხავდა, რომ გვერდზე კარანდაშით არ მიეწერა: „ბარქალა აკაკია“, „ინმალაჰ აკაკი“... ამას გრ. ორბელიანი ამბობს „ხარბუზა გენერლის“ ავტორზე...

ესეც დიდებული გაკვეთილია, კლასიკოსთაგან ჩატარებული...

რაფიელ ერისთავს იუბილე გადაუსადეს – სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის 50 წელი აღნიშნეს ზეიმით. გაზეთი „ეკალი“ ამის თაობაზე ვრცელ ანგარიშს მიაწვდის მკითხველს.

„შუადღე ახლოვდებოდა, რომ იუბილარი ღანტოთი, მშვენიერი წვეილი თეთრი ცხენებით შემბული, მობრძანდა ქაშუეთის ეკლესიაში. მის გვერდით ისხდნენ თ. ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი... შემოიყვანეს სცენაზე, საცა იყო მისთვის ტახტი გამართული; იქით-აქეთ მიუსხდნენ თ. ილია ჭავჭავაძე და თ. აკაკი წერეთელი... გაიმართა ნადიმი... ტოლუმბაშთ არჩეული იყო გ. ეზრანგოზიშვილი, რომელმაც დალია ჯერ იუბილარის სადღეგრძელო, შემდეგ აკაკისა და ილიასი ერთად“...

ამ საიუბილეო საღამოს ნინო ჩხეიძე ასე გაიხსენებს: „ეს იყო ზირველი იუბილე ქართველი მოღვაწისა. რაფიელ ერისთავი გამოიყვანეს სცენაზე დიდმა ილიამ და აკაკიმ. სიკვდილამდე არ დამავიწყდება ამ სამი ბუმბერაზის სცენაზე გამოჩენა. შუაში იდგა აღელვებული რაფიელი, აქეთ-იქით უდგნენ ჩვენი ქვეყნის დედაბოძნი ილია და აკაკი. დამსწრე საზოგადოების სინარულს და

აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩვენი ლიტერატურის სამი დიდი წარმომადგენელი ერთად წარსდგა საქართველოს ყოველი კუთხის წარმოგზავნილთა წინაშე. მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა და ისე მიესალმა თავისი ერის მძევნებათ“.

ეს რაფიელ ერისთავის იუბილე იყო...

აქ უთქვამს, ამ საღამოზე რუს ჰოეტს – ვასილ ვეელიჩკოს: „ვისურვებ, რომ აკაკის ილია უფვარდეს და ილიას აკაკი“.

უცნოელი ჰოეტის ამგვარ სადღეგრძელოს აღუშფოთებია თავად აკაკი და არა მარტო აკაკი, როგორც ჩანს: როცა გახეთი „კვალი“ ამას აღნიშნავს და იქვე, ინფორმაციაში, აკაკის სანახუნო სიტყვასაც ბეჭდავს; უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ფაქტით თანადგომა გამოხატეს აკაკის აზრისადმი: „ამის ზანსხად აკაკიმ თქვა საყოველთაო განსაცნათ: „ამ ბატონმა რუსის მწერალმა უადგილოთ და უსაფუძვლოთ ინატრა, რომ ქართველ მოღვაწეთა შორის თანხმობა და სიუვარული იყოსო. ცხადია, რომ ეს ანობებს განაცონებით და მამასადამე ჩვენშიც ყოფილან ზოგიერთები ამავე აზრის. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს დიდი შემცდარი აზრია!.. რაღა საჭიროა იმისი ნატურა, რაც ანსებობს და ხელში გვიჭირავს...“

ამას აკაკი ილიას თანდასწრებით ამბობს...

დაიხ, ორი გენიოსის გვერდიგვერდ ცნოვრება ათას ფიქრს აღძრავდა მათ თანამედროვეებში; ათას ჭოროსა და მართალს ამლეკვდა საფუძველს...

ილია ზურაბიძეილის მოგონებიდან: „ერთხელ, თუ არ ვცდები, ანტონ ფურცელაძეს უთქვამს ილიასათვის, – რა არის, კაცო, შენ სულ აკაკის ქებაში ხარ, ის კი ზეზეულად გთხროსო, ან რაღაც ამის მსგავსი. ამაზე ვითომ ილიას უზანსუნია – შეიძლება ორივენი ვცდებითო. დარწმუნებული ვარ, ეს მახვილი სიტყვა აკაკიმდე რომ უმანკო სახით მისულიყო და მზითვად ბევრი ხართაული რამ არ მოჰყოლოდა, სულ სხვა გვარისა და სხვა მნიშვნელობისა, აკაკის ძალიან მოეწონებოდა, როგორც მოსწრებული თქმის ფასის მცოდნე აღამიანს. აკაკი სიცილით თავათვე ვიამბობდათ, ილიას ჩემზე ასე უთქვამსო. ისე როგორც თავისი კუჭკუჭს სიცილით სიამოვნებით გვიამბობდა ხოლმე ერთი ნათესავი ქალის უნებურ, მაგრამ მეტად ორლესულ ზანსუებს“.

ილია შურაბიძე იმასაც დასძენს, რომ აკაკი „აღბათ საოხუნჯოს ილიაზე არაერთხელ იტყოდა რასმე. რასაკვირველია, არა მტრობით და ძულვით, არამედ იმიტომ, როგორც ბედოვლათი კაცი ფუფს, იგი ბესესავით აბნედა თავის მახვილ სიტუვას...“ დიან, თურმე „იუენენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ აკაკის დამცირებას ილია ჭავჭავაძის თვალში. მაგრამ ილია ჭკვიანი კაცი იყო და თავის დღეში სიამოვნებას არ იგრძნობდა აკაკის ცუდის თქმით,“ – ასე იგონებს ივანე ელიაშვილი.

ეშმაკი მაინც არ ასვენებს მავანს... იმავე ივანე ელიაშვილის მოგონებიდან: ერთმა ჩვენმა ლიტერატურულმა მოღვაწემ საქვეყნოდ გამოაცხადა: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ორივე დიდი ზოეტები არიანო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ილია ჭავჭავაძე სანამ რასმე დასწერდეს, ეძინება, ამუშავებს თავის გონებაში მასალასო და როცა დაამზადებს, მაშინ მიუჯდება მაგიდას და დასწერს დიდებულ რასმეო. აკაკი მოუფიქრებლად მიუჯდება მაგიდას და აგრეთვე დასწერს დიდებულ რასმეო“. აზრი და მიზანი ამგვარი დაპირისპირებისა არაა ნათელი არც მოგონების ავტორისათვის და არც ჩვენთვის... ისე, როგორც ჩანს, აკაკი გულდაწვევით იყო მისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო... ერთი პირადი წერილიც მინდა გავიხსენო, ილიასეული დიდი იუმორით დამშვენებული. ადრესატი იონა მეუნარგიაა. წერილი ასე იწყება: „დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე, ამისთანა გაჭირვების დღეს, ვსტირით და ვღრიალებთ უშენობის გამო, მაგრამ რა გაეწეობა?“ – ამ ტონში, ამ განწყობით გრძელდება წერილი: „შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“. თუცა გრძელა, მაგრამ შენთვის ზედგამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ ობედ-ად გადააქციოს; მაშინ შენ სხვისი სადილების მამებას გეძახოდან და დაგცინოდან. ორში ერთი ამოიწიე და ტელეგრამით მაცნობე“... – აქაც აკაკი ახსოვს, და საინტერესოდაც.

* * *

და მაინც:

როგორც ჩანს, ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე გავრცელებულმა ჭორ-მართალმა შეაწუხა აკაკი. ველიჩკოს საჯაროდ გასცა ზანუსხი. ერთი ხელნაწერი წერილი შემოგვრჩა აკაკისა (გამოქვეყნდა 2001 წელს კრებულში „უცნობი აკაკი“, უსათაურო), სავარაუდოდ 1894 წელსაა დაწერილი. როგორც ჩანს, აკაკის არ უცდია დაბეჭდვა. წერილი ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულებაზეა. მოიბოდიშებს აკაკი: „საჯაროდ თავისთავზე საუბარი არც სასურველია კაცისათვის და არც მოსაწონი, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გარემოება ჩაითრევს და გამოიწვევს საზანსხოდ. სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ ჩვენც ახლა და ბრბოს აზრს, მე და ილიას შესახებს, მკობნისაგან ბეჭედდასმულს (გამომცემლის აზრით, უნდა იგულისხმებოდეს გრ. აბაშიძეო; რა წერილზეა საუბარი, არ ვიცით – გ.გ.), უზანსხოდ ვერ გავუძეებ, მით უფრო, რომ მარტო ჩვენ არ გვეყება და შიგვე უნდა მოყვენ სხვებიც საზოგადოდ“...

არ უნდა დასჭირვებოდა ამის დაწერა (როგორც ჩანს, დაბეჭდვა მაინც გადაიფიქრას!), მაგრამ უთქმელობაც ვერ შეძლო და ჰქუება: „ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ და არასოდეს ერთმანეთთან ზირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არ გვექონია. ზირიქით, გარდა სიამტკბილი შეგრა-შეხვედრისა და ზრდილობიან, დარბაისლურ სიტყვა-ზანსუხისა ერთიმეორისაგან არა გვინახავს რა, ან კი რა გვექონდა გასაყოფი, რომ ერთმანეთში უთანხმოება მოგვსვლოდა? რა მაქვს მისთანა, რომ იმას შეეხარბოს? ან რას ვემბ მისთანას, რომ ილიას აქვს და მეც მომენატროს? მართალია, ერთსა და იმავე განეყენებულ მიზანს საზოგადოს და არა საზირადოს მივევართ თავისკენ, მაგრამ გზა სხვა და სხვაა და არ მოხერხდება, რომ ერთმანეთს გადაველობთ და მსუფულობა შეუფერხოთ ერთმა მეორეს! „რომში ეველა გზით შეიძლება შესვლა“ – ნათქვამია და თუ ჩვენც, ერთი მიზნის მიმდევარნი, ორი სხვა და სხვა გზით მივდივართ ცალ-ცალკე – ის აღმოსავლეთის და მე დასავლეთის გზით, ეს არ ნიშნავს უთანხმოებას და მტრობას. და ან კი რა საჭიროა, რომ როცა ილია თავის საკუთარი გზით მიისწრაფის, მეც მაშინ

თან ვახლდე, მისი საუზალი მიმქონდეს და აბჟანდს დაუწევდე სოლმე? ან როცა მე ჩემი გზით მივდივარ, რათ უნდა უეჭველათ ჩემ გვერდში იდგეს ილია ჭავჭავაძე?..“

წესით არ უნდა გამხდარიყო საჭირო ამგვარი განმარტებები. ამიტომაცნაა, აკაკი, ერის მოძმეობის მაფიცარი, ბრბოს უწოდებს იმას, ვინც ილიასა და აკაკიში მოქიშვეებსა და მოწინააღმდეგეებს ხედავს... ვისაც უკვირს, რომ „აკაკი ილიას ეოველგვარ ნაწერს ქების ტაშს არ უკრავს და ეოველგვარ მის საზოგადო მოღვაწეობას არ ეთანხმება! სჩანს, რომ ემტერება და სძულსო! (ამას აკაკი წერს ზემოხსენებულ წერილში კრებულიდან „უცნობი აკაკი“) იგივენი ჩემ შესახებაც ილიახედაც ამას ჰფიქრობენ. იმათ ჰგონიათ, რომ სიუვარულის და მეგობრობისთვის ეიზილბაშური სათვალთმაცხო თეთრი კბილების ჩენაა საჭირო... თუ მტერხედაც კარგი ითქმის და მოუვარეხეც ძვირი, ვერ წარმოუდგენიათ!..“

* * *

სამწუხაროდ, ერთმანეთისადმი ჰირადი წერილები არ შემორჩენილა მრავლად. უფრო სწორად, ორი წერილი შემოგვენახა ილიასი, აკაკისადმი მიწერილი.

ერთი უთარილოა; მოკლე წერილი, სადარბაზო ბარათზე დაწერილი: „ღმერთსა ვთხოვ, აკაკი, შენს მშვიდობას და ჯანმრთელობას. იუავ კარგად და დღეგრძელ, შენის საუვარელის ქვეყნის სასახელოდ“.

მხელად დაიჯერებს კაცი, რომ ამ წერილის ავტორისა და აღრესატის ურთიერთობაზე რუს ჰოეტს სანატრელი ჰქონოდა, უუვარდეთ ერთმანეთით (კვანსოვს: ველიჩკომ ასე ინატრა რ. ერისთავის იუბილეზე).

ეკ კიდევ არაფერი. 1886 წელს ილია აკაკის წერილს მისწერს, სთხოვს მონაწილეობა მიიღოს გაზეთ „ივერიაში“... თხოვნაც არის და თხოვნაც. გვაოცებს ილია სიუვარულის გამონატვის ზომიერებითა და სიღრმით; აკაკის ჰიროვნებისადმი მოკრძალებითა და მისი ღვაწლის ჰატვიცხემით... რაღა გავაგრძელო, ორიოდ მცირე ამონარიდი ჩავიკითხოთ:

„ამაო აკაკი, მე შენ ვერ გავიკადნიერდი და ვერ მოვართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომლებიც სხვებს გავუგზავნე. სხვები

სხვები არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულისშვილობისამ მი-
იძულა, ჩვენი ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებუ-
ლი წერილი მომეერთმია და მეთხოვა, გაგემძვენიერებინა ჩვენი
გაზეთი შენის ნიჭის ნამუქითა...

...მაინც და მაინც გთხოვთ — დარწმუნებული იყო, რომ შე-
მეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის მეც
ერთი გულწრფელი ძადიდეელი დამფასებელი შენის 25 წლის
ღვაწლისა ვეოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

გთხოვთ იმასაც მიაქციოთ ყურადღება, „შენობით“ მიმართვა-
ში რამდენი სითბო, უმუალობა, ახლობლობაა. ეველას არ მიმარ-
თავს ასე ილია. სხვებს უმეტესად „თქვენობით“ მიმართავს. გაზე-
თის მომავალ თანამშრომლებს — ალექსანდრე ეახბევს, სოფრომ
მკალობლიძეებს, ნიკო ლომოურს, დავით კარბიჭაძეებს და
სხვებს — კოლექტიური წერილი მისწერა, სტამბაში ნაბეჭდი ტექ-
სტი...

აქ არ შეიძლება არ გაგვანხენდეს ერთი ფაქტიც: უფრო ად-
რე გაზეთი „დროება“ მკითხველს აცნობს, რომ აკაკი წერეთელი
აპირებს „სახალხო გაზეთის“ გამოცემას და რომ ამ გაზეთში
ილია ჭავჭავაძე ითანამშრომლებსო... — აკაკის თავისი გაზეთისა-
თვის აუცილებელად მიანინა მასში ილიას მონაწილეობა; ილია
თავისი გაზეთისათვის აუცილებელად თვლის მასში აკაკის მონაწი-
ლეობას...

ილია ზურაბიძეების თქმისა არ იყოს, ჩვენ არ ვიცით, ზე-
პირად ვინ ვისზე რა თქვა; მაგრამ დაზუსტებით ვიცით, რასაც
წერენ; ეველასფერი ასე უნის აწონილ-გაზომილია, მოფიქრებულია...
იცინან, რომ ამას მოითხოვს საზოგადო საქმის ინტერესი, მკითხვე-
ლის ჰატივისცემა, თანამოკალმის ღირსების შეფასება-დაფასება და
პირადი თავმოყვარეობა-ჰატივმოყვარეობა... გვანწავლიან, რომ ეო-
ველივე ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. აქ, ამ ახრის საბუთად,
ერთ ამონარიდს ჩავიკითხავ ალ. ფრონელის (ეიფშიძის) ნაამბობი-
დან:

„ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სა-
სწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ ჰასუსს ახლავს მოი-
თხოვდა; წერილი მრისხანე იყო... ილია თავის კაბინეტში შევიდა

მასუხის დასაწერად. გაიარმა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა... ბოლოს როგორც იყო, გამოვიდა და წაგვიკითხა, რაც დაწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი-ექვსი... მეტიმეტი თავაზიანი და თანაც მტკიცე იყო...”

აღ. ფრონელი განაგრძობს თხრობას: როცა გააკვირვებ გამოთქვით ამდენი დახარჯული დროის გამო, „ილიამ გვიმასუხა: იაკობ გოგებაშვილი ჰატარა კაცი არ არის. ბევრი რამე, რასაც ის მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის სვედრი განდესო...”

ესეც, ალბათ, შეუდარებელი მაგალითია ერის კულტურისა და ისტორიის ჰატივისცემისა; ყოველგვარი ჰირადული უნდა დათრგუნოს საქვეყნო საქმეზე ფიქრმა... ეს ჰრინციანი უდევს საფუძვლად ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულებას...

ამიტომ, ზომავს და წონის ყოველ სიტყვას ილია, როცა აკაკის შესახებ საუბრობს; ამიტომ ეძებს და არჩევს აკაკიც ილიას შესაფერის სიტყვა-გამოთქმებს.

ურთიერთჰატივისცემა, ერთმანეთის ავტორიტეტის შეფასება-დაფასება აკაკი წერეთლის ამ ნაამბობიდანაც ჩანს:

„ერთხელ განსვენებული ილია ჭავჭავაძე შემოვიდა ჩემთან და მითხრა: დავიღუპეთო!.. თუტრი ხელიდან გამოგვაცალეს და ასე კარგად დაწებული საქმე უნდა შევახეროთ ამ სეზონში და ეს ხომ დაღუპვანო. მეც ჩემი გულდაწვევტა გამოვუცხადე. მერე მომიბრუნდა და მითხრა, მოდი ერთი შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელი! იმერელი ხარ და ეგებ მოახერხო რამეო?

– მე მაგგვარ საქმეს ვერ ვიკისრებ!

– შენ მხოლოდ მიიღე შენს თავზე და სხვებზე დიდად არ გაგრჯით. რაფიელ ერისთავს თანაშემწედ მოგცემთ, იონა მეუნარგიას სეგრეტარად და ისინი წაიყვანენ საქმეს! შენ მხოლოდ იმეთაურე!..

– კეთილი! მაგრამ ეგ უფრო მოუხერხებლად მიმაჩნია, ქართველი ერთი თუ ადგია საქმეს, მოერევა, გააკეთებს, მაგრამ თუ სხვებიც ამოუღვნი გვერდში, ერთმანეთს გააღაყენებ და დავიღუპება მათი საქმე. ჩემი შესერულებით ერთი ვევალა – გძირია და ორი კი – რა მოგახსენოთ.

– ეგ თქვენში თუა, იმერეთში, თვარა ჩვენში არა!.. მაშ, რად-
განაც მავრე ჰფიქრობ, შენ იკისრე მარტო...“

ილიას აქვს ვრცელი ჰოეტური ნაწარმოები „ორ-ხმინი სა-
ხალწლო ოპერეტი“ – ერთგვარი შეხუბრება თავის თანამედროვეებ-
თან. აკაკის შესახებ „აკაკისებურად“ წერს.

„დაუბერდი, დავხანანაკდი,
წვერი შემექმნა ჭაღარა...
ტეუილს ვინ ჩივის? მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა...“

(გავახსენდათ, რა თქმა უნდა, აკაკის „ჭაღარა“).

თავისი თავიც ჰქავს გამოუვანილი ამ ოპერეტაში და ილია
ამავე ჰანგზე ათქმევინებს ილია ჭავჭავაძეს:

„დაუბერდი, დავხანანაკდი,
წვერი გამინდა ჭაღარა,
ზოილი აბუხად მიგდებს,
ხონელი მწუალობს აღარა...“

სხვათა მიძარტ სხვაგვარად წერს... ეს ილიას მიერ კიდევ
ერთი აღიარებაა აკაკისი, მისი ჰოეტური ოსტატობისა და სურვი-
ლი აკაკის გუერდით დგომისა...

* * *

ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ვნა-
ხეთ, საზოგადო ინტერესებით ნაკარნახევი ურთიერთობაა...

საინტერესოა უცხოელის თვალთ დანახული ილია და აკაკი.
არტურ ლაისტი წერს: „მართლა იყვნენ ისინი რაჟიფნი? დიას, ეს
ასე იყო, აკაკი და ილია ახლო მეგობრები არ ეოფილან, მაგრამ
წინააღმდეგობის მიზეზებს ამკარად როდი ამკლავებდნენ. ამიტომ
არიან ორთავენი ჰატევისაგემინი. ორთავეს კარგად ვიცნობდი და ვი-
ცი, რომ ისინი მაღაუდნენ თავიანთ გრძნობებს. უნდა ითქვას,
ორთავე, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსები, ისე ეჭვობოდნენ
ერთმანეთს“.

როცა ერთმანეთს მიძარტავენ, როცა ერთმანეთზე საუბრობენ,
უპირველესად იმას უწევენ ანგარიშს, რისთვისაც საუბრობენ და
ვისთვისაც საუბრობენ.

თქვა აკაკიმ ერთგან და გავიმეორეთ უნდა: არ იყო ეს და-
მოკიდებულება ბრმა მორჩილება ერთისა მეორის ავტორიტეტის
წინაშე. ერის წელელის დაამების სურვილი ამეგობრებთ, ახლო-
ებთ, ერთ უღელქვეშ დააყენებს მათ...

აკაკის აქვს ჩანაწერი, სადაც აშკარაა ჰატივისცემა ილიასა-
დმი, თუმცა, ცდილობს, შეინარჩუნოს ჰიროუნული სახე და ვინმეს
თვალში ილიას მიმბამველობა არ გამოიჩინოს: „ნასადილევს ფო-
ტოგრაფმა ჩემი სახლი გადაიღო და, ვინც მოისურვა, სტუმრებიც.
მაგრამ თვით ამ ფოტოგრაფს შეუძლიან დაამოწმოს, რომ მე მისი
მოსვლა არ მცოდნია და შემთხვევით იყო ჩემთან მოსული. დიდ-
ხანს არ ვაძლევდი ნებას, რომ იმ დღეს გადაეღო ჩემი სახლი და
კარმიდამო, მაგრამ სხვებმა რომ მოინდომეს, ძალა დამატანეს და
მეც ველარ გაუტყხე მათ ხათრი. მაშინ ბევრს უკვირდა ჩემი ჯიუ-
ტობა, მაგრამ არ გამიმხელია მიზეზი და ახლა ვიტყვი: მე ვიცი
გამოცდილებით, თუ რა სიფრთხილე მძარტებს ეოველ ნაბიჯის
გადადგმაზე, რომ ჩემზე შემოსეულმა მწვეარ-მაძებრებმა ეფა არ
დამიწონს!.. გამიგონია და ვიცი, რომ ჩვენი სახელოვანი თავ-
ილია ჭავჭავაძე, სხვათა შორის, ეოველ წლებით, ოც მკათათვის
ინდის დღესასწაულს! ეოველთვის მიდიან ხოლმე ფოტოგრაფები,
რომ მისის სტუმრებიანთ გადაიღონ... ეს რომ ვიცოდი მე, ვიფიქ-
რე: მეც თუ ახლა ფოტოგრაფს დავრთე ნება, ის მეუფარი დასი,
რომელიც აგერ ორმოცი წელიწადია შორიდან მიღრენს და საკბე-
ნად არ მხოგავს, ამ უბრალო შემთხვევას დაიხვევს ხელზე და
ღრეჭით გააუწელებს ხმას ხალხში, რომ მეც ვითომ ილიას მიმბამ-
ვით მიმეგვანოს იმ დღეს ფოტოგრაფი!.. ეს მეუკადრისებოდა მე და
მიტომაც არ მიხდოდა ნებართვის მიცემა“.

* * *

არის ურთიერთშორის ახრთა სხვაობაც; შეუთანხმებლობა; და-
ვანც...

რა იყო საგანი მათი დავისა, კამათისა, ჰაექრობისა? — არ
იყო ეს დავა-კამათი-ჰაექრობა ჰირადული; საზოგადო ინტერესი
განსახლვრავდა და წარმართავდა მას...

ეს დავა-კამათი-ჰაექრობა არასოდეს ხდებოდა ჰიროუნული ინ-
ტერესების შელახვის ხარჯზე, რადგან იცოდნენ, რომ რომელიმე

მათგანის ზიროვნული ღირსების შელახვა საზოგადო ინტერესებს დააზარალებდა – ღირსებაშელახული ეროვნული მოღვაწე ერისთვისაა საზიანო...

ამიტომ ჰრინციანულ საკითხებზე ერთმანეთს არას უთმობდნენ... ასე იქმნებოდა სწორუპოვარი მაგალითები ტემპარატი მამულიშვილობისა...

კიდევ ერთხელ გაუხსენოთ ზოგი ფაქტი აკაკისა და ილიას ურთიერთდამოკიდებულებისა, თვალი მივაღწეოთ მათ ურთიერთობებს... კიდევ ერთი გაკვეთილი ჩავიტაროთ მამულისმოყვარეობისა.

1899 წლის „მოამბეში“ კიტა აბაშიძის სტატია დაიბეჭდა – „თავადი აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკი“. „ივერიამ“, როგორც აკაკი იტყვის, „ობოლ მარგალიტებად სანიმუშო ადგილები ამოჭკობა მკითხველის მისახარებლად“. განაწეუნდა აკაკი კ. აბაშიძის სტატიაზე. კიდევ უფრო მეტად იმან განაწეუნა, რომ „ივერიამ“ გადაბეჭდა... და წერილს მისწერს „ივერიის“ რედაქტორს; „აკაკის კრებულში“ დაბეჭდავს. აკაკის განაწეუნება სათაურიდანვე გამოკრთის – მეტისმეტად ოფიციალურია: „ბატონო „ივერიის“ რედაქტორო, თავადო ილია გრიგოლის ძეგლ“

ჩვენ იმის განსჯაში არ შევალთ, ამ დავაში ვინ იყო მართალი. გვინტერესებს განაწეუნებული აკაკის დამოკიდებულება რედაქტორთან – ილია ჭავჭავაძესთან. წერილი ასე იწყება: „იმდენი იცოცხლეთ, რამდენი თქვენი შესახები წერილი „კრებულის“ რედაქციას მოსვლოდეს და მოსდიოდეს დღესაც. მაგრამ ჩვენ კი არ გამოგვიჩინდეს საქვეყნოდ... არ ვბეჭდავთ, რადგან ზოგი მათგანი უმნიშვნელოა და ზოგიც ისე წერილმანი, რომ იმათ გამო თქვენისთანა კაცის უსრდელად შეხება და უკადრისად მოხსენიება უმართებულად მიგვაჩნია. თქვენი რედაქცია კი, თქვენო ბრწვინვალებავ, ჟინჟლითა და კელაპტარებით ეძებს ამგვარ რამეებს ჩემ შესახებ“...

უკმაყოფილება, განაწეუნება, არაობიექტურობა (მისი აზრით) აკაკის არ აკარგვინებს ჰატივისცემას რედაქტორის მიმართ.

გახსნავს და მიანიშნებს იმასაც, რომ განაწეუნება არაა გამოწვეული ზიროვნული ჰატივმოყვარეობით; მიაჩნია, რომ ამგვარი წერილების ბეჭდვა საზოგადო საქმეს ავად წაადგება, საქვეყნო

საქმე წააგებს: „დღესაც კიდევ ავიტანდი, რომ მარტო ზირადად მე მენებოდეს და არა სასოგადოსაც, რომლის წაურეება აღარ შემძლია. ეთხოვთ, რომ სხვანაირად არ გამოვით ეს ჩემო წყმომოყვანილი სიტყვები!.. მე ამით იმას კი არ მოგახსენებთ, თუ რადგანაც მე თქვენს შესახებ არასა ვბეჭდავ ჩემს ჟურნალში, ნუღარც თქვენ დაბეჭდავთ ხოლმე ჩემ შესახებ თქვენს გაზეთში-მეთქი!.. სრულიადაც არა!.. ზირიქით, დიდთანც დამავალვებთ, თუ არ დამივიწყებთ და გამოაქვეყნებთ ხოლმე, რადგანაც მე ჩემს სიცოცხლეში მისთანა არა ჩამიდგენია რა – არც სასოგადოთ და არც კერძოდ, რომ მისი გამოაშკარავება მერცხვიანობადეს“.

დამოკიდებულება იმ ფაქტთან, რის გამოც აკრიტიკებენ, ზათოსი და ზოხიცია აკაკისა ნათელია... უკომპრომისოა მსჯელობის დროს, მაგრამ არ გამოჩნება მხედველობიდან, რომ ილიას ავტორიტეტს ტყუილუბრალოდ არ შეეხოს. წერილს ასე დაასრულებს: „ვერ დავიჯერებ, რომ ეს სტატია, სადაც ამდენი უმართებულობაა, თქვენ წაკითხული გქონდეთ დაბეჭდვამდე და თქვენი ნებართვით ეოფილიეოს „ივერიაში“ გადაბეჭდილი? ეოველ შემთხვევაში ვუცდი თქვენს ზასუსს, თქვენო ბრწყინვალებაჲ, ბატონო რედაქტორო“... დიას, ზოლემიკური კულტურა XIX საუკუნისა სამავალითო და მიუღწეველი ჩანს დღევანდელობისათვის.

ილიას „ივერიას“ სხვა დროსაც გაუნაწევენებია აკაკი წერეთელი. აკაკის მიერ თარგმნილი „ხანის ვეზირის“ (ახუნდოვის ჰიესა) ავტორობა მთარგმნელს მიაწერეს და გააკრიტიკეს მწვავედ. განაწეუნდა აკაკი, მაგრამ რედაქტორის მიმართ ზომიერების გრძნობა არ დაუკარგავს. ამ შემთხვევის გამო ილია ირონიით წერდა: „საკვირველი კაცია ჩვენი ზატივცემული თ. აკაკი წერეთელი. იტყვი რასმე იმაზე, ჰჯავრობს და არ იტყვი, ამაზეც სწერებაო“...

ერთმანეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება სხვა შემთხვევაშიც გამოუვლენიათ. იონა მეუნარგია მოიგონებს, რომ აკაკიმ ენობრივად გაუსწორა ილიას ზოემო (რომელი, ამაზე არასამბობს)... მაგრამ ზოლემიკური კულტურის კლასიკურ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ ილიასა და აკაკის ზაეწრობა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე. ვიეორებთ: საკითხის არსი არც ამჯერად გვაინტერესებს. თვალის მივადევნოთ, როგორია დამოკიდებულება მოზაეწრეთა სადის-

კუსიო თემისადმი, ერთმანეთისადმი... რა განსაზღვრავს ზოლემიკის ტონს... მოკლედ, კიდევ ერთი გაკვეთილი ჩავიტაროთ მთავარმოღვაწეთაგან ზოლემიკური კულტურის თემაზე.

* * *

მაშ ასე:

„ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე კამათობენ ილია და აკაკი... ამ ზოლემიკაში უაღრესად კოლორიტულად წარმოჩინდება როგორც ერთი, ისე — მეორე.

ერთიერთზატვიცნემა, მონაქრისადმი ანგარიშის გაწევა, ერთმანეთის დაფასება...

მაგრამ ჭეშმარიტებისადმი უსაზღვრო ერთგულება: უკომპრომისობა საზოგადო ინტერესებით ნაკარნახევი.

მწარეა კრიტიკა ილიასი აკაკის მიმართ:

„ეს მეტიმეტი დაქვეითება ჰეგასზედ მჯდომი ცხენოსნისა“...

„ეს ამისთანა გზა კულევისა სად მიიუვანს კაცსა?“

„ჩვენ ვერ მიგვიგნია, რისთვის მოჰსურებია ბ-ნს აკაკის რუსთაველის ასე დაქვეითება“.

„რუსთაველის ტიპებს ამ ზაწია ჯუჯარუტანიდამ სინჯავა-კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცაღკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცადკაცობას თვალი გადაეგლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“...

„ეს ნაწილი ლექციისა მეტიმეტად უკემური რომ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტად მოსაწეენი იყო“...

„ჩვენის ფიქრით, შემდგარი დედანზრი წარმომღვარა ბ-ნმა ლექტორმა წინ“...

ღიან, ის, ვინც რუსთაველი დაქვეითა, მცდარი გზა აირჩია კულევისა, ზაწია „ჯუჯარუტანიდამ“ სინჯავს რუსთაველის ზოემას, უკემურ ლექციას სთავაზობს მეითხეულს, მცდარ დედანზრზე დამეარებულს — აკაკი წერეთელია, ილიას აზრით.

მიუხედავად ამგვარი შეფასებისა, ურადლება მივაქციოთ ილიას დამოკიდებულებას აკაკის ზიროვნებისადმი — როგორ მიმართავს, როგორ მოიხსენიებს:

„ბ-მა აკაკი წერეთელმა საჯარო ლექცია...“

„ბ-ნ აკაკის აზრსა...“

„პატრივცემულ ლექტორს კვალდაკვალ მიეუფეთ...“

„ბ-ნი ლექტორი თავის რთულს და მძიმე საქმეს...“

არც ერთხელ აკაკი წერეთელი ეპითეტის გარეშე არაა მოხსენიებული; მითუქეტეს, მხოლოდ გვარით. თუმცა, ერთგანაა მხოლოდ ეპითეტის გარეშე ლექტორად მოხსენიებული, ისიც დადებით კონტექსტში: „ლექტორმა მწარე მართალი ამჯობინა ტკბილსა ტყუილსა...“

უფრო მეტიც: არათუ აუგად მოხსენიება, უპატრივცემულო დამოკიდებულება ჰიროფნებისადმი, არამედ აკაკის დამსახურების, ღვაწლისა და ტალანტის ილიასეული შეფასებაც უმურველად გვაქვს ამ წერილში:

„ეს აზრი, რომ რუსებსაც აცოდინოს კაცმა – რა ღირსებისაა ის სულიერი განძი, რომელიც სამკვიდროდ და სასახელოდ უანდერმა ჩვენმა წარსულმა ჩვენ ერსა, – მეტად მოსაწონი აზრია და დიდის თანაგრძნობის და მადლობის ღირსიცა ჩვენს მიერ...“

„ამიტომაც მეტის-მეტად ბედნიერ აზრად ვსახავდი ბ-ნ აკაკის აზრსა...“

„ამ აკიდოზედ ბევრი მართალი მარგალიტები ახსნა ლექტორმა გონებადმანვილობისა, ღამაზის შედარებებისა, როგორც აკაკის ბედნიერის ნიჭის ამბავი მოგუხსენებათ...“

„ჩვენის ფიქრით, ამ საზომით, ამ საწუათით უნდა შედგომოდ ბ-ნი ლექტორი თავის რთულს საქმეს...“

ფაქტია: პატრივისცემა ჰიროფნებისადმი, თუმცა შეუგუებლობა მიუღებელ აზრთან. სხვაგვარად: ჰიროფნულმა პატრივისცემამ, ჰიროფნებისადმი კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ საზოგადო ინტერესი არ უნდა დააზარალოს; ჭეშმარიტებისათვის არ უნდა გვალაღატებინოს.

ეს წერილიც ილია ჭავჭავაძისა ერთგვარი გაკვეთილია, მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჰიროფნული დამოკიდებულება საზოგადო ინტერესით ნაკარნახევი.

გავიხსენოთ ჰრინციანი ილიასი, საფუძველი კრიტიკული განწყობილებისა, თავის ჰიროფნულ კრიტიკულ წერილში რომ გადმოსცა „ორიოდე სიტყვა...“: „იქნება თავად ერისთავმა გვიწუინოს ეს ჰიროფნულად მიმართული სტატია. არა ვგონია. ჩვენ უველანი ქართული ენის

ხმარებაში ცოდვილი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდუე კაცი იყო საქართველოში, რომ ჩვენი ბორტება ერთიანად ასწეროს და დავანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის-მოყვარე“.

ღიან, მამულისმოყვარეობა, მწარე სიმართლის თქმა ტკბილი ტუილის ნაცვლად; მოყვრისადმი ჰიში ძრახვა...

იმ ჰირველ წერილში ილია განაცხადის სახით წარმოგვიდგენს თავის აზრს: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გავსწორებას“.

მამული, ენა, სარწმუნოება – სამება და ერთაწება ილიასათვის; მამულისმოყვარე – ამ სამების ერთგული და უანგარო მსახური. მამულისმოყვარეობას დაფასება უნდა: მამულისმოყვარის დამცირება ეროვნული ინტერესის შელახვაა; აი, ეს არ უნდა ემატიოს ვინმეს, თვით აკაკისაც კი, – ესაა ილიას აზრი.

„ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვანინა და მოგვიტყვონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დაუთმობთ“, – ასე დაასრულებს ილია წერილს და „მოგვიტყვონო“, უბრველესად, აკაკის მიემართება; და მიემართება უმთავრესად მკითხველს, რათა კრიტიკა აკაკის აზრისა და აკაკის ჰიროვნებისა აუგად არ მიიხირონ; რომ ამით აკაკის დამსახურება ერის წინაშე, მამულისმოყვარის ღვაწლი მამულის წინაშე არ დაამციროს; გავისსენოთ: ცოტა ადრე (ეს კრიტიკული წერილი „ფეხისტეაოსის“ გამო ილიამ 1887 წელს გამოაქვეყნა) აუცილებლად მიანხნდა: „...ჰატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა...“ – აკაკის შესახება საუბარი!..

ერთგან ილია თავის მომავალ კრიტიკოსებს წინასწარი მადლობით მიმართავდა: „თუ ღმერთი გავვიწერა და უხეიროდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სინარულით და მადლობით მივიღებთ“. ამ შეგნებით აკრიტიკებს ილია სხვასაც... და კერძოდ, აკაკის.

ესეც გაკვეთილია, მაგალითი საშვილიძვილო...

მიზანი და განწეობა ილიასი ნათელია.

როგორ აღიქვა და მიიღო ეს ეს კრიტიკა აკაკიმ?

გრიგოლ რობაქიძე ასეთ მოგონებას გვთავაზობს:

„მანსოვს: ჩამოვარდა ლანარაკი რუსთაველზე.

– ჩემი წერილი რომ წავკითხავს რუსთაველზე? (აკაკი აბო-
და – „რუსთაველი“, უოველთუის).

მეგითხება იგი.

– როგორ არა?!

ვამდევე ზასუსს. ზაუსა.

– ალბათ ილიას გარჩევანც გექნება წაკითხული, ჩემი წერი-
ლის გარჩევა!

– წაკითხული მაქვს.

ზაუსა.

– მერე იცი რა? მე ამ ზასუსის ზასუსი დავწერე. ილიას
ახრები დავარდვიე.

– სადაა ზასუსი?

– წარმოიდგინე: ილიამ გაიგო ეს, მოვიდა სტამბაში, შეის-
ვიდა მთელი გამოსცემა – ილია მდიდარი იყო – და ცეცხლს მი-
სცა.

მე გამტკრებით ვუცქეროდი (აბა, „გამტკრების“ გარდა სხვა
რა არგუმენტი „მოვივიდოდა“ ამ წამს?).

ეს კიდევ არაფერი.

ეს შეთხზული ამბავი მან სიტყვა-სიტყვით საჩხერეში გაიმეო-
რა. იქაც გამტკრებული ვუცქეროდი“.

იცის გ. რობაქიძემ, რომ უცნაურ მოგონებას გვთავაზობს და
კომენტარიც ისეთი გაუკეთა, ილიას, აკაკის და თვით გ. რობაქი-
ძეს რომ ეკადრებოდა:

„ეკ ამბავი ორივეჯერ ისე მოჭევა, რომ არც ერთხელ არც
ერთი ხაზი ღვარძლისა მის სახეზე არ შემინიშნავს. ეს უფრო მისი
ფანტაზიის „თამაში“ იყო: ისე აგათამაშებულ“, რომ ბოლოს და
ბოლოს თვითონაც სჯეროდა“.

იონა მეუნარგიას მოგონებაც მოვიძველიოთ: როგორც ჰყინე,
აკაკიც მახვილსიტყვაობისათვის ხანდახან ჭკმძარიტებასაც დალა-
ტობს.

თვითონ ამბობს „ტყუილასა, ბზუილასა“... ტყუილას ხმა რომ
გაუგდეს, იყო დრო, მართალსაც არ უჯერებდნენ.

განსვენებულმა თეიმურაზ ლექავამ არ დაუჯერა რაღაც იყო აკაკის, დანაძლეუდნენ და, რომ აკაკი ძართალი გამოდგა, ლექავა ნახევარი საათით დაანოქეს ნიკოლაძის სახლში.

თვითონ თითქოს დასცინისო თავის თავს.

„თამარ ცბიერი“ რომ დაიბეჭდა, აკაკიმ ერთი ცალი მომცა სახსოვრად. რომ დააწერა წიგნზე – „სახსოვრად იონა მეუნარვიან აკაკისაგან“, მას უნდოდა რიცხვიც მიეწერა, გავრამ რომ მოაგონდა ზირველი აზრილი იყო, კალამი ხელიდან გაავლო – „არ დამიჯერებენო“...

ამ თემაზე საუბარს გ. რობაქიძე „ფანტაზია თუ ფანტასტიკას“ დანარქმევს. სათაურშივე ჩანს შეფასება აკაკის ამგვარი ქცევისა... თუმიცა მოეუხმინოთ:

„აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა. თანვე ტყუილი იცოდა დიდი, რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის „ტყუილს“ რაღაც სხვა იერი ჰქონდა: „მოტყუება“ კი არ უნდოდა (რამე ზირადი მიზნით). „ტყუოდა“ ისე, თითქო ჰსურდა ესამოხვნებია მობანსე. უსმენდი აკაკის და გიკვირდა მისი „ფანტაზია“. საკვირველი კიდევ ის უფრო იყო, რომ თვითონვე სჯეროდა, რასაც ლაშარაკობდა.

ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო...

ასე რომ, ილიამ გაზეთის ნომერი შეიძინა და ცუცხლს მისცაო, „აკაკური“ ფანტაზია ჩანს (ტერმინისათვის: აკაკი თავად წერს ერთგან – „აკაკურად ვწერო“).

მაგრამ სათავეს საიდან იღებს? ჩემთვის გამოცნანა ის, რასაც აკაკი საშასუხო წერილში წერს:

„ჩემი საუბარი რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“ ჯერ არ დაბეჭდილა, და თუ რატომ არა, ეს ბატონმა ჭავჭავაძემ უკვლახე უკეთ იცის“... რა იცოდა ბატონმა ილია ჭავჭავაძემ? მაგრამ ამას არა აქვს ამჯერად ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ჩვენთვის ისაა, როგორ შეხვდა, როგორ აღიქვა ეს კრიტიკა აკაკიმ.

აკაკი ზასუხს წერს; ცალკე წიგნაკად იბეჭდება იმავე 1887 წელს. წერილს ასე დაასრულებს: „რაცა ვთქვი – გულწრფელად იყო გამოთქმული. და ახლა დიდი სიამოვნებითა და ნატვრით ველი იმ დროს, როდესაც იმავე საგანზე ბატ. ჭავჭავაძე წარმოთქვამს თავის საკუთარ აზრს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე დიდი

სიამოვნებით ჩემი საკუთარი ეურით მოვისმენ მის საუბარს და შემდეგაც დიდი დაკვირვებისა და მოფიქრების შემდეგ დავაფასებ შეძლებისდაგვარათ და ცხრა თავიან დევით ისრებს არ გავტოვრცნი ძლევაძმოსილი უქვევლობით. ამას მოითხოვს როგორც რუსთაველის დიდი ვინმეობა და ბატ. ჭავჭავაძის ღირსება, ისე ჩემი საკუთარი თავის ჰატივისცემა“.

მივაქციოთ ეურადლება: ზოლემიკისათვის, დისკუსიისთვის აკაკი სამ ზირობას წამოაყენებს:

1. საზოლემიკო, სადისკუსიო საგნის, თემის ღირებულება („რუსთაველის დიდი ვინმეობა“).

2. მონაქერის ღირსება, უნდა ღირდეს მასთან კამათი („ბატონ ჭავჭავაძის ღირსება“).

3. საკუთარი თავის ღირსებისა და ზასუნისძებლობის შეგრძნება („საკუთარი თავის ჰატივისცემა“).

საზასუნო წერილი აკაკი წერეთლისა ამ ზრინციანების მიხედვით აიკო. საერთოდ, ვისაც ზოლემიკური წერილებისათვის თვალი გადაუკლია, დამეთანხმება, რომ საკმაოდ მკაცრი, დაუნდობელი, ენამწარება აკაკი – როგორც ზოლემიკოსი. ილიას მიმართ ტონი სწავგვარია, უღრმეს ზიროვნული ჰატივისცემით გამსჭვალული. რამდენიმე ამონარიდი ამის დასტურად:

„ბატ. ჭავჭავაძის სიტყვას, როგორც საკულისხმოსა და ეურადსაღებს, ცალუბად მიგებება არ შეჭყერის და ჩვენც ჩვენი შეძლებისა და გვარათ სიმდაბლით, გულწრფელათ მიუგებებთ“.

„ბატონი ილია ჭავჭავაძე გამობრძანდა მოძღვრათ...“

„ეწუხვარ, რომ ამას ვამბობ ჰატ. ილია ჭავჭავაძეზე, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია შევიწამო ის, რაც არ მითქვამს...“

„თავის წერილებს ილია ჭავჭავაძე ისე ათავებს, როგორც შეშენის სახელგანთქმულ კაცს...“

ასეთი შთაბეჭდილება რჩება: მახვილი და „მწარე“ სიტყვის დიდოსტატს, აკაკის, ზოგჯერ თითქოს კალამი გაექცევა ჩვეულებისამებრ, მაგრამ ახსენდება, რომ ილიასთან აქვს საქმე და დროზე დაიოკებს სურვილს... მაგრამ სათქმელს მაინც ამბობს, ოღონდ ქარავმულად, თითქოს მკითხველი ამბობს, სხვა ამბობს და არა აკაკი წერეთელი!...

ამონარიდი აკაკის საპასუხო წერილიდან: „ხანდახან არათუ ფრანგების და სიტყვის, ერთი მარცვლის ჩამატებით ან გამოკლებით შეიძლება ახრი შესცვალოს კანცმა. აი, თუ გინდა ეს მაგალითი ავიღოთ. მე ვამბობ: „ბატონი ჭავჭავაძე არ ყოფილა ლექციაზე და რაც წარმოსთქვა მის შესახებ, გულწრფელად მოსვლია და არა სხვაგვარ რამ კრიმინალულობით და სხვ. ეს რომ ვინმემ შესცვალოს ამ გვარით: „ბატ. ილია ჭავჭავაძე არ ყოფილა ლექციაზე და რაც წარმოუთქვამს მის შესახებ, გულწრფელობით არ მოსვლია, გარნა სხვაგვარკრიმინალულობით და სხვ. ეს ჩემი ბრალი იქნება?..“

სანიტერესო ფაქტია: აკაკის წერილი არ დაბეჭდილა; ილიას ლექცია არ მოუსმენია; სხვის ნაამბობს, ინფორმაციას დაეუბნო და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აკაკის ნააზრევი. საპასუხი წერილში აკაკი მისამართებს დააზუსტებს, ამბის მიძტანს დააკისრებს უპირველეს მასუხისმგებლობას.

„საზოგადოთ ჩემს ლექციებზე მე არ ვეკულებოდი იმ ზოგიერთებს, რომლებსთვისაც საჭირო გახდა განმეორებით უბნობა, მაგრამ ახლა კი ჭავჭავაძის წერილებით ჩანს, რომ თურმე ჩიხინიც ყოფილა საჭირო! ამას მე ვერ შეუჭკადრებ საზოგადო მსმენელებს და მით უფრო ჭავჭავაძეს... „სახიხინო“ მიმაჩნია მხოლოდ ის მცირე გუნდი ზოგიერთებისა, რომელთაც ჩემი სიტყვები თავისებურათ გაიგეს და რომლის აუოლითაც ბატ. ილია ჭავჭავაძემ სამსჯავროზე გადმოდგა ფეხი ბანის სათქმელად“.

ამას აკაკი წერილის დასაწყისში ამბობს. ამით თითქოს ილიას ჰიროზებისადმი ბოდიში მოიხადა, რადაც ტვირთისაგან თავი გაითავისუფლა. მეტი თავისუფლება შეიძინაო და მეტი ჰილზილი გაურია სათქმელს; მწარე და დაუნდობელი ხდება:

„ნამეტანი გამჭირახობა იგივე გულთამხილაობაა, მაგრამ გულთამხილაობა მხოლოდ ის უნდა ამოიკითხოს სხვის გულში, რაც იქ წერია და არა ის, რაც თვითონ სურს, რომ ჩაწეროს...“

„ეს კილო ბატ. ჭავჭავაძესაც კარგად შეუთვისებია, რომ მით უფრო ხელმძღვრეთ ვეტეორნოს ისარი, მაგრამ ის კი ავიწვდება, რომ ისრათ ნამდვილი საბუთი უნდა იხმაროს და არა მისგანვე შეწამებული!..“

„თუ მე მართლა ვერ მოვახერხე ჩემი ახრის ნათლად და გასაგებათ გამოთქმა და საბუთებიც შეირიანი ვერ მოვიტანე, მაშინ

ჯერ უნდა ის ჩემი საბუთები გაერჩინა, დაემტკიცებინა მათი უვარ-
გისობა ბატ. ჭავჭავაძეს და მერე თავის საკუთარი საბუთებითა და
უფრო საგულისხმო ღოღლიკით გამოელაშქრა“.

რასაც აკაკი ამბობს, ანბანური ჭეშმარიტებაა ჰოლემიკისა.
მწარე საუვედურს ვერ ასცდა ილია; ვერ უშველა მისამართების და-
ზუსტებამ. გრძნობს ამას, როგორც ჩანს, აკაკი. ესამუშება კიდევ
ამგვარი საუვედურები ილიას მიძარტ და თვითონვე ცდილობს,
ილიას ამგვარ ქცევას ახსნა მოუძებნოს, გამართლება:

„აქ რასაც ბრძანებს ბატ. ჭავჭავაძე, ვეველ კარგია, მაგრამ
საიდან წარმოუდგენია ის, რომ ვითომ ჩემი აზრი და ჩემი ნათქვა-
მი იყოს ესეები ვეველ და არა საკუთარი მისი ოცნება?.. მე ფიქ-
რადაც არ მომსვლია, რასაც ბატ. ჭავჭავაძე ასე გულდაგულ მწა-
მებს. და რამ აიძულა? ვერ გაიგო? შეუძლებელია! განზრახვით
გადაასწავფერა? რა საფიქრებელია! აბა, რა? ის, რომ, უთუოდ,
როდესაც მე დაბლა ვიდოდი, ის აღმა ჰფრენდა მაშინ: არ მისმინა,
არ უგდო უური ჩემს საუბარს და განაცონებს მიენდო!..“

იშვიათი მაგალითია და დიდი გაკვეთილი ჰოლემიკური კულ-
ტურისა; საკუთარი ნაზრევის სისწორის მტკიცების ცდა, მოწაქე-
რისა თუ საკუთარი თავის ჰატივისცემა, თავმდაბლობის მომენტის
წინა ზღანზე წამოწევა, საკუთარი ჰატივმოყვარეობის შელახვის
ნარჯზე ოზონენტის ჰიროფული ღირსების ხელუხლებლობა:

„ეგება ჩემი ნათქვამი ბუნდოვანი იყო და გაუგებარი, რადგა-
ნაც მე ვერ ვახერხებ კეცა-კეცათ საუბარს და ეოფელთვის უბრალო
სიტყვებით, მდაბიო ლექსებით გამოფთქამ ჩემ აზრს?..“

თუძცა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს ჩემი კომენტარი — სა-
კუთარი ჰატივმოყვარეობის შელახვის ნარჯზე-მეთქი. როცა აკაკი
ოზონენტის ღირსებას უფრთხილდება და იცავს, ამით საკუთარ
თავს სცემს ჰატივს, საკუთარ ღირსებას და ავტორიტეტს იცავს!

* * *

ღიან, იციან ერთმანეთის ფასი. ჰატივს სცემენ ერთმანეთს,
წარმოახეწენ და ბაიზალივით მალლა ასწევენ ერთმანეთის ღირსე-
ბებს — სხვათა დასანახად და სამაგალითოდ...

„ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწოდით,
ერთი გზით დავდიოდით“, — ჩასძახებს უკანასკნელ გზახე მიძა-

ვალ ილიას აკაკი და ქართველი კადისთვის არ სჭირდება კომენტარი ამ სიტუაციებს.

გალაკტიონი მანც იტყვის: „თვით ილიას დასაფლავების დღეს აკაკი მწარე ცრემლებით სტიროდა და ასე მოიქცეოდა ილიანც, რომ აკაკის ცხედარი დაენახა“. დიან, და იმასვე იტყოდა, რაც აკაკიმ თქვა...

დიდი იაკობი ილიას შესახებ წერს: „იქნება არც ერთს მოსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის.“ შეუმცდარია ალღო დიდი ქართველისა, მაგრამ მანც მგონია, რომ ამ კონტექსტში შეიძლება ილიას ნაცვლად აკაკის სახელიც ჩავსვათ... და ღრმად მწამს, თვით იაკობის სახელის ჩასმაც შეიძლება...

და ეს ბედნიერებაა ერისა.

საუბარი მეორე: ილია და იაკობი

* * *

უთქვით: XIX საუკუნის I ნახევარში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი „მეოხად ჩვენდა ქრისტიმან მოგვანიჭა“.

ეს სამება — ილია, აკაკი, იაკობი — ნებისმიერი კულტურული ერის ისტორიას დაამძვენებდა. ის კი არადა, ერთ ეპოქას ერთი მათგანიც ეყოფოდა! დიანს, XIX საუკუნეში ღმერთმა უზარმაზარი წვალობა გაიღო ქართველებისათვის...

ერთგულ მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულების მაგალითად, გაკვეთილად მომავალი თარბებისათვის უნდა მივიჩნიოთ იაკობისა და ილიას ურთიერთდამოკიდებულება...

ერთგან რევანს ინანიშვილმა დაიჩიულა: „ნუთუ მართლა არაფერს კითხულობენ ერთმანეთისას ჩვენს სამშობლოში? და, თუ კითხულობენ, ნუთუ არაფერი აღაფრთოვანებთ“... გასაგებია მწერლის გულისტკივილი... თუ ამ აზრს მუხრან მატყვარიანი ფიქრსაც მივაშველებთ („ადამიანს შეუძლია მხოლოდ საკუთარი თავი დაანახათ, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა იგი სწვას ანასათებს“), კიდევ უფრო დიდი ფასი მიეცემა კლასიკოსთა ურთიერთდამოკიდებულების გაკვეთილებს, ერთი მეორის მიმართ უმურველად გაღებულ შეფასებებს...

იაკობი და ილია...

* * *

იაკობი წერს ილია ჭავჭავაძის შესახებ: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის...“

ილიას როლის ასე ზუსტად შეფასება მხოლოდ იაკობს შეეძლო. ერთგან მოვიხმეთ იაკობისეული შეფასება აკაკისა: „აკაკი ზატარა საქართველოა“. ეს აზრი ასე გრძელდება: „მაგრამ ამ დღებულს სანჯელს მარტო მას ვერ დაუუსაკუთრებთ, რადგანაც თვით



Օձկո՞մ: *Երբեք չեմ շահել մեծագույն ջրհուսն ևս միտնելով
սմուշդեմ մեծիկեղծուհի տարևս շահեալով, ամբողջով
սիկն զգուս քաղվադսիկն նախառըղծուհեստղով.*



ილია: „დოდაურს“ მითქვამდა
სიხარულსაა ჟამთა ჟამში,
ქმნადა ქმნადა, ვასუგობა
ყობათს მწიბრობსადაც დოდა მათში.
მით მწიბას აბრინ ჟამთქუნიქს,
თუ ქუთა მათდაც ვამში...
სიყუას სრუდაც ვუდას სწიქობს,
დოდა-რს მით აბს ქამში.

აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, ჰატარა საქართველონი სხვანიც გუყავს: რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“. ცხადია, ასეთ შეფასებებს კომენტარს ვერ შევბედავთ – ასეთი შეფასებებით უნდა დავტკბეთ, ვიამაყოთ...

ძირითადად ამგვარ შეფასებებს იაკობი ილიას გარდაცვალების შემდეგ აკეთებს. მანამდე? მანამდე ერთმანეთის საქებრად დროს არ კარგავდნენ, საქმეს აკეთებდნენ. უფრო თანამედროვეთა მოგონებებში იჩენს თავს მათი ერთმანეთის მიმართ გამოთქმული შეფასებები.

ალ. ფრონელს (ალ. ეიფშიძეს) უამბია ილია ზურაბიშვილისათვის: „მე და გიგა (გრიგოლ ეიფშიძე, – „ივერიის“ რედაქციის გამგე) ერთ საღამოს ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ ჰასუსს ახლავე მოითხოვდა. წერილი მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილი. იგი ეხებოდა „ივერიაში“ რომელიღაც დაბეჭდილ თუ დასაბეჭდ წერილს, არ მახსოვს, რაზეო. ილია თავის კაბინეტში შევიდა ჰასუსის დასაწერად. გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა. ჩვენ გააკვირვებაში ვიყავით, – განა რასა სწერდა იმოდენას... დაბოლოს, როგორც იყო, გამოვიდა და წაგვიკითხა, რაც დაწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი-ექვსი. ჰასუსის შინაარსი არ მახსოვს, მაგრამ იგი მეტისმეტად თავაზიანი და თანაც, მტკიცე იყო. როდესაც მე და გიგამ განცვიფრება გამოვუტყვით ჰასუსის მეტისმეტი თავაზიანი კილოს და ჰაწია ბრათვე დახარჯული დიდი დროის გამო, – ილიამ გვიანასუსა: იაკობ გოგებაშვილი ჰატარა კაცი არ არის. ბევრი რამ, რასაც ის მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის სვედრი გახდეს... – შემდეგ კაბინეტში რომ შევიხედე, მთელი იატაკი გადახეული ფოსტის ქაღალდებით მოშინძლული ვნახე“...

აქ ერთი დეტალია საინტერესო: იაკობის წერილი „მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილი“... ალბათ სიტყვა „უკმეხად“ არასწორადაა გამოყენებული... მკაცრი, ჰირდანირი, მოურიდებელი... ილია და იაკობი ხშირად კამათობდნენ ერთმანეთშიო (ს. მკალაბლიშვილის მოგონებიდან)... ისიც გავისხენოთ, როგორი „უნდობელი“ კამათი ჰქონდა იაკობს აკაკისთან... ეს წესი იყო,

ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევი... ალბათ ისიც ნიშანდობლივი ფაქტია, რომ იაკობი და ილია ერთმანეთს „შენობით“ ელანარაკებისან... ერთი წერილია შემორჩენილი იაკობისა ილიასადმი მიწერილი. ასე იწეება: „ძმაო ილია“ და ასე მთავრდება „შენი ი. გოგებაშვილი. P. S. იმედი მაქვს, რომ ამ ცნობებს შენებურად, კარგად გამოიყენებ...“ ასევე „შენობით“ ესაუბრება იაკობი ჰირად წერილებში აკაკის... სხვას, მაგალითად ს. ხუნდაძეს, ა. ჯუღელს და მრავალს – „თქვენობით“ მიმართავს...

ასე რომ, სიმკაცრე და ჰირდაჰირობა ურთიერთდამოკიდებულებაში ტექსტარტებისადმი მსახურებით არის ნაკარნახევი... იცის ერთმაც და მეორემაც... ეს ვერ აქარწელებს ჰატვიისცემას ურთიერთისას... ჰირიქით...

ცნობილი მოღვაწე ილია ბახტაძე იკონებს: 1903 (თუ 1904) წელს გაიმართა სახალხო და სამრეკლო სკოლების მასწავლებელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა იაკობ გოგებაშვილი. მას „მეტად შინაარსიანი და მიმზიდველი“ სიტყვა უთქვამს. კრების დამთავრების შემდეგ იაკობისათვის სადილი გაუმართავთ. თამადას – მასწავლებელ ჰოლიკარზე ლორთქიფანიძეს – ჰირველად იაკობის სადღეგრძელო შეუსვამს... იაკობს ურცელი სამადლობელი სიტყვით მიუმართავს ჰედაგოგებისათვის. რამდენიმე მონაკვეთს დავიმოწმებთ:

„...მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდების, რომელიც თქვენ მომიძღვენით; მე ქართული ხალხისთვის ბეგრი არაფერი გამოიკეთებია, მაგრამ თუ მართლა რაიმე გავუკეთე ქართულ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დანმარებით და ხელშეწყობით. მე როდესაც შევეცადე საქართველოს შელახული უფლებების, კულტურის და ენის დაცვა, ვგავ-უორნებივით შემომესიენ ჰედაგოგების ქურქში განხეული რუსი მოხელეები, ჩემდა სამწუნაროდ ამათ გვერდში ამოუდგნენ ზოგიერთი გამყიდველი, ფულისა და ხინ-მეღლები მოეყარული ქართველები და, აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი თავს მესნმოდნენ, ჩემი ერთად-ერთი იმედი, მფარველი და ნუგეშის მომცემი ილია ჭავჭავაძე იყო. ილია ჭავჭავაძე მუდამ ლომივით ესნმოდნ თავს და ანიავებდა

კატკოვს, იანოვსკის და ეველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა სახის მოჭორილი ამბებით ცდილობდნენ შეებღაღათ საქართველოს საუკეთესო წარსული, ქართველი ხალხისათვის ზირიდან ამოგულიჯათ თავისი საუვარელი მშობლიური ქართული ენა და მოესწოთ ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამჟღავნებდა და ეხლაც ამჟღავნებს...“

იაკობს სამადლობელი სიტყვა ასე დაუმთავრებია: „თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძვანელოებს – „დედა-ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვო“ საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დახმარებითა და ხელისშეწყობით... ფიზიკურად მე ძალიან სუსტი ვარ და ეს ფიზიკური სისუსტე, გამოტყნით უნდა გითხროთ, მუდამ მიშლიდა და ეხლაც მიშლის ხელს ღირსეულად გავმკლავებოდი ჩემ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ქართული ერის, ენის და კულტურის მოსწონებზე ოცნებობდნენ. მაგრამ ჩემ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე მუდამ იმედად და ნუგეშად მდგარა და ეხლაც მიდგას ვკერძო...“

იაკობს თავის სამადლობელ სიტყვაში აკაკი წერეთლის როლზეც უსაუბრობს: „ამ საქმეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბუღბუღს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახელმძვანელოების „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ შედგენაში მუდამ აქტიურად მენხმარებოდა, ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ეველა იმათ, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩემი სახელმძვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელების...“

ასეთ სიტყვასე რაიმე კომენტარი ჩემგან უხერხულია...

აქვე აკაკი წერეთლის აზრიც მინდა მოვიხმო: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერჯით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს დამსახურს უწევს ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენასზე“ არ ახილავს თავლები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ

ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართული ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართულ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ურძში ჩააწვეთა, ქართულ ხალხს ქართული ენა შეაუვარა. განა ეს ზატარა საქმეს! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას...”

ილიას მსგავსი ჩანაწერები არ დაუტოვებია — არა სხეოდ, მაგრამ 1895 წელს სახალწლოდ გახეთ „ივერიანში“ გამოუქვეყნებია ლექსი „ორხმიანი სახალწლო ოპერეტი“. ესაა სახალწლოდ სახუძარო შეხმანება ილიასი თანამედროვე მოღვაწეებისადმი. ბოლო, XII მონაკვეთი, იაკობ გოგებაშვილს ეძღვნება:

„ხეძი აწ ცანით უოველმან,
მას ვაქებ, ვინცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართულისა:
მაგარი ვითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ერმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.

დედა-ენა ზირველაღვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტებილი ტებილად განაგონი,
ერმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
დედა-ენა მით არს კარგი.“

ჰოეტის დამოკიდებულება — ზატვიისცემა, დაფასება — ადრესატისადმი კიდევ უფრო საცნაური განდება, თუ ამ „ოპერეტის“ სხვა ადრესატებისადმი ილიას იუმორზარვე კრიტიკულ დამოკიდებულებას გაუთვალისწინებთ. აქ კიდევ ერთი ფაქტია საგულისხმო:

1894 წელს იაკობ გოგებაშვილს ზოლემიკა აქვს აკაკი წერეთელთან (საგრამატიკო საკითხებზე). ზოლემიკამ ფართო ხასიათი მიიღო; „კვალში“, „ივერიანსა“ და „მოამბეში“ გამოქვეყნდა საკმაოდ საინტერესო წერილები. იაკობს დაუზირისზირდა გიორგი წერეთელიც. ეს დაზირისზირება საკმაოდ უსიამოვნო იყო. იაკობ-

მა ღირსი ზასუხი გასცა მოწინააღმდეგეებს (გ. წერეთელსაც). ეს ხანგრძლივი ზოლემიკა იყო. ყველაზე აქტიური ამ ზოლემიკაში გიორგი წერეთელია – საკმაოდ მკაცრიც და ზოგჯერ ზედმეტად თამამიც (ნუ ვიხმართ სხვა ეპითეტს...). 2-3 ნოემბერს გაზეთი „ივერია“ ბეჭდავს იაკობის წერილს „სიმაღლეს ვერსად წაუხვალთ (ზასუხად გ. წერეთელს)“. სამწუხაროდ, ეს წერილი 10-ტომეულში არ შესულა. დეკემბრის ბოლოს ქურნალი „კვალი“ (№50) ბეჭდავს გ. წერეთლის წერილს – „რიდე აიხადეთ! ჰეგდონიმს სიმონისძეს“. წერილში გ. წერეთელი ი. გოგებაშვილს სამედიცინო სანსამართლოში იწვევს... ფაქტობრივ ამით დასრულდა ხანგრძლივი ზოლემიკა იაკობისა და მის ოპონენტებს შორის 1994 წელს. ილია ტავტავაძე ამ ზოლემიკაში არ ჩარეულა, მაგრამ ამ დავა-კამათში იგი იაკობის მხარდამჭერი რომ არის, „ორწმიანი სახანა-წლო ოპერეტიდანაც“ ჩანს. ზოეტი იაკობისადმი მიმართვის შემდეგ „ხოროს“ ათქმევინებს:

„მოგანსენებთ, ეგე სწავლა
 ჩვენთვის ეოვლად სოფლად ჰღირდეს,
 მაგრამ რა ვქნათ, როგორ გავძლოთ,
 როს ჩვენ ჭირი შინვე გავჭირდეს?

როს გიორგი წერეთელი
 დედა-ენას სთხრიდეს, ჰრეუნიდეს,
 და ძაინც კი კადნიერად,
 მის განწმენდას იქადიდეს?

არ მიიღოს მან შენგან წვრთნა,
 არ გისმინოს, ნუ გიკვირდეს,
 გონიერსა მწვრთელი უყვარს,
 უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

ცხადია, ეს იყო ის მხარდაჭერა და თანაგრძნობა იაკობისადმი, რის შესახებაც იაკობი საუბრობდა სამადლობელ სიტყვაში.

სხვათა შორის, იაკობს როცა სურს, თავის აზრს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, იტყვის, ილიაც ამ აზრისააო. ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ მათ ჰქონდათ წინასწარ ამ თემაზე საუბარი...

ასე რომ, იციან ფასი ერთმანეთისა და, რაც მთავარია, იმ საქმისა, რასაც ემსახურებიან!... ისიც იციან, ამ საქმის წარმატებისთვის რა მნიშვნელობა აქვს ერთმანეთის მხარდაჭერას, თანადგომას...

* * *

ნუ ვიფიქრებთ ისე, რომ იაკობი ილიას სიტყვითა და საქმით ისე იყო მოხიბლული, უველადფერში ეთანძმებოდა, მხოლოდ აქებდა და აღიღებდა... სოფრომ მკალობლიძეილი იკონებს, „ილია მძლავრი იყო ღაზარაკში; მას სძირად ეკამათებოდა იაკობ გოგებაშვილი, რომელიც დიდად ნაკითხი იყო და ილიასავით მისდევდა თანამედროვე ლიტერატურასა“...

თუმცა ეს არ იყო საჯარო ზაქრობა, ისეთი, ილიასა და აკაკის რომ ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ანდა იაკობსა და აკაკის რომ ჰქონდათ ენის სიწმინდის თაობაზე. ესეც საგულისხმო ფაქტია — იაკობი და ილია ურთიერთობას ზირადად აკვარებდნენ, ისე, ზემოთ რომ ვისაუბრეთ, ილია ზურაბიძეილის მოგონება რომ მოვიხმეთ.

ერთმანეთის კრიტიკას რომ არ უფრთხიან და არ ერიდებიან, ამის კარგი მაგალითიც გვაქვს. 1889 წელს იაკობი განუთ „ივერიაში“ (№ 73) აქვეყნებს ფლეტონს „საღამო წერა-კითხვის საზოგადოებისა“. როგორც ჩანს, ხარება დღეს, 25 მარტს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გამართა სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. როგორც იაკობი იტყვის, „ამ საღამოს ჰქონდა ორი თავისებურება: წმინდა ქართული ხასიათი და სიფართოვე პროგრამის“. და იაკობი მიმოიხილავს საღამოზე წარმოდგენილ ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნიმუშებს — იაკობისეული პროფესიონალიზმითა და ობიექტურობით. საორკესტრო ნიმუშები, საგუნდო სიმღერები, სოლო შესრულება... ლექსები, ვოდვილი... იყო ასეთი შეფასებებიც: „მოხლოვი ცქრიალა, ოცნებიანის მოზარდის ქაღისა ისეთი არტისტულის ღირსებით შეასრულა ქაღბატონმა საფაროვისამ, რომ ნამდვილს აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება“... მაგრამ იყო ასეთი შეფასებაც — „გამოვიდა ბ-ნი კოტე მესხი. ცუდს მდგომარეობაშია თეატრი, როცა ხამი ვინმე გამოდის სცენაზედ. მას ფერი მისდის, ემინიან, არ შევრცხვეო.

საზოგადოებასაც ემინიან, არ შერცხვესო. აქეთაც შიში სუფევს, იქითაც "... და სხვა.

საღამოზე ილია ჭავჭავაძეს წაუკითხავს ნაწევრები „ოთარანთ ქვრივიდან“ (გიორგის სიკვდილის ეპიზოდი). იაკობი დეტალურად აანალიზებს ილიას დეკლამაციას; და ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ილიასადმი მიმართებით, არამედ დეკლამაციის წესების, მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით. მოვიყვან ვრცელ ამონარიდს იაკობის ფელეტონიდან:

„საქმე თ. ი. ჭავჭავაძესდ მიღვა. იგი გამოვიდა დინჯად, გამალა კათედრასზედ რვეული და დაიწყო კითხვა „ოთარანთ ქვრივიდან“ გიორგის სიკვდილისა. ისეთი სინჟე ჩამოვარდა, რომ წალაში ბუჩის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდის არ შესუსტებულა. მაგრამ მოეწია იგი მიზანს? სამტირალო სცენის წამკითხველმა ცრემლი უნდა მოჰგვაროს მსმენელს, — მხოლოდ ამ შედეგით ცხადყოფს იგი თავის ხელოვნების ღირსებას. გიორგის სიკვდილი სწორედ სატირლად არის აღწერილი, ხოლო ავტორის კითხვამ ვერც ტირილი გამოიწვია საზოგადოებაში და ვერც ცრემლები დაახვეინა ვისმე. მართალია, სრული მართალი, რომ თეატრში დატრიალდა ნამდვილი სიმწუხარის ატმოსფერა, მაგრამ ეს ნახევარ გამარჯვებად უნდა ჩათვალოს. რად მოხდა ესა? რატომ ცოტადენი ცრემლი მანინ არ დაიფრქვა? იქნება კითხვის ნაკლის ბრალი იყო? არა გვგონია. მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიცს მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგვიროდ შემკულია ბუნებრივის მკითხველის ღირსებით: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწვე-დაწვევა რიგზე მიჰყავს, გამოძეტველება და მოძრაობა ზირისახისა შეესაბამება წასაკითხის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა კაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობასა, რომელსაც-კი იზურობს სიტუვები და ფრანზები წასაკითხისა. მამ რატომ არ გამოიწვია მსმენელებში მისმა კითხვამ შესაბამისი ძალის გრძნობა? იმიტომ, რომ ილია წიგნში კითხულობდა და არა წეზირად ამბობდა...

„მკითხველმა წეზირად არ იცის წასაკითხი, წიგნში იხედება, ხმა მოკლებულია თავისუფლებას, მიდის ქვევით, იატაკისაკენ, და იქითგან უკმდეგული იფანტება თეატრში. ხმას ეკარგება სიმკვირ-

ცნლე, გამოძეველება, სიძაფე და შთანბეჭდილება ერთი ორად და სამად სუსტდება. სამაგეოროდ, როცა მკითხველი წიგნში არ იხედება, ჰირი საზოგადოებისაკენ აქვს მიქეული და ზეზირად ამბობს, მაშინ მისი ხმა სრულიად თავისუფლად მოძრაობს, კაფიოდ გაისმის, ჰირდაზირ მიდის მსმენელთა ყურებადის და შესაფერ ჩასახულებას ჰბადავს მათ გულსა და გონებაში... ამ გვარადვე უცულის სიმღერას ზეზირად მისი თქმა და ნოტებში ცქერა. შეადარეთ ის შთანბეჭდილება, რომელიც გიორგის სიკუდილმა მოახდინა, იმ ძლიერ ჩასახულებასთან, რომელიც დაჰბადა მსმენელებში ლექსების ზეზირად წარმოთქმამ ილიასავე მიერ და თქვენ დამეთანხმებით, რომ ჩვენ სწორედ მართალს ვამბობთ. ან წარმოიდგინეთ, რომ კ. მესხის რკინის გზის სცენა რვეულში წაეკითხნა და არა ზეზირად ეთქვა და ოდნავადაც არ ამიხირდებოთ, თუ გეძევეთ, რომ ერთი ხუთად წააგებდნენ სცენაც და არტისტიც ამ ცვლილებით. ისიც-კი უნდა ვთქვათ, რომ გიორგის სიკუდილი მარჯვე არჩევანს არ შეადგენს სცენისათვის. ავტორის ნაწერებში მოიზავება ბევრი ათჯერ უფრო სცენახედ ზედ გამოჭრილი ადგილი და რატომ დასდგა ამ არჩევანზედ, არ გვესმის. თუნდ ავიღოთ „კაცია ადამიანიდგან“ ლუარსაბის სიზმარი. ილიას რომ ზეზირად დაესწავლა ეს ადგილი, მაღალ ნიჭიერებით და მახვილობით სახსე, და თავისუფლად წარმოეთქვა საზოგადოების წინაშე, ისეთს ინტენსიურს სიამოვნებას დაჰბადებდა მასში, ისეთს ძლიერს ტამის კერას გამოიწვევდა, რომ ვგონებ, თეატრი მაღა აიწვედა“.

* * *

იაკობი და ილია — ეს იმ დროის საქართველოს ორი ბურჰი, ორი დიდი იმედი იყო. თედო სასოკიას მოუესმინოთ: „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახელაფანი ადამიანი იყო იმ დროს ქართველი საზოგადოების ნამდვილი ჰატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი. თუ რაიმე ჰოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა საკითხი და გაზეთში მტრისათვის ჰასუხის გაცემა იქნებოდა საჭირო, მაშინვე ეველა ილია

ჭავჭავაძეს მიაწერობდა თვალებს: ენახოთ, რას იტყვის ილია: მარტო იმას შეუძლია მტერს ზირი დააოფინოსო, ჩვენს თავს აბუხად არავის ააგდებინებსო (კატკოვი, სუფორინი, „ქვათა ღაღადი“, 1897 წელს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის სულისჩამდგმელთა თავკასულობის წინააღმდეგ გამოლაშქრება და სხვა). მეორე მხრით, როცა სწავლა-აზრდის შესახებ საკითხი წამოიჭრებოდა, როცა სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ საქმე იყო გასარჩევი თუ გადასაწყვეტი – იაკობ გოგებაშვილს დავუწვევდით ცქერას: ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისაგან ხსნას“.

* * *

იოსებ იმედაშვილი წერდა: „სამშობლოს სადარჯჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე მტრის წინააღმდეგ ხმალამოღებულყო“. როგორ ფიქრობთ, ვის გულისხმობდა ავტორი? ცხადია, უპირველესად ილიას ვიგულისხმებთ და მართალიც ვიქნებით... თუმცა ამ შემთხვევაში ი. იმედაშვილი იაკობს ასხამდა ხოტბას... და, რა თქმა უნდა, მართალი იყო!...

ისევე გავიხსენოთ თედო სახოკიას მოგონება: „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი – აი, ეს ორი სახელთა ადამიანი იყო იმ დროის ქართველთა საზოგადოების ნამდვილი ჰატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი“.

და „სამშობლოს სადარჯჯოზე ბასრი კალმით“ მდგარი – „ილია ჭავჭავაძეცა და იაკობ გოგებაშვილიც ოღონდაც რომ ჰგრძნობდნენ თავიანთს ამ მძიმე როლს, რომელიც სრულებით ბუნებრივად დაეკისრათ გაჭირვებაში მეოფე თანამემამულეთაგან; ორსავე შეგნებული ჰქონდა მთელი სერიოზულობა ამ როლისა და მასუსხისმკებლობა ხალხის წინაშე. და ისინიც, თავიანთ სფეროში თავდაუსოგავად იღვწოდნენ“ (თ. სახოკია).

დიან, თავიანთ სფეროში. თუმცა იყო შემთხვევები, როცა საჭირო ხდებოდა ორთავს შეერთებული ძალით შეეციათ ქართული საქმის მტრისათვის. ასეთ ფაქტს იხსენებენ.

1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი განხეთ „კავკაზ“-ში აქვეყნებს წერილს საქართველოში სახალხო სკოლების მოწეობის შესახებ.

ვინ იყო იანოვსკი? – ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკისეუ დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“. ეს გეგმაც მისი საერთო მიზნის ნაწილი იყო: სახალხო სკოლაში ქართული ენა უნდა მოესწო... შეშფოთდა ქართული საზოგადოება. იაკობი წერს: „ეს წერილი იანოვსკისა დაბეჭდილი იყო გაზეთს „კავკაზში“ და იზერობდა მის შესხედულებას სახალხო სკოლების მოწეობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. ზასუხის დაწერა რედაქციამ მე დამავალა; მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გაძიწინილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს ზასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ეველა საჭირო მასალას მე თვითონ მიუტან, სამაგეროდ, როცა ამ დღეებში იანოვსკის ზღანი გამოვა, მის განჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა“...

ამ ფაქტს ასე იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი: „გარემე მტრებთან, მეტადრე თუ ესენი შეესებოდნენ მის წმინდათა-წმინდას – „ქართველის ბედს“, ილიამ შებრალება არ იცოდა, სასტიკი იყო, მკაცრი... ასევე იყო საქმე, როდესაც ქართველების დაუძინებელმა მტერმა, სახელგანთქმულმა განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ განიზრანა ერთი კალმის მოხმით მოესწო ქართულის სწავლება სკოლებში. ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში ეველა ქართველ მამულიშვილს უსათუოდ მოაგონდებოდა ილია. ის იყო გაჭირვების ტალკვენი. თვით იაკობ გოგებაშვილი, ეს ერთგული მოამაგე ქართული სკოლისა, ეს დაუაღავი გუშავი ქართული ენის ხელშეუხებლობისა, ის გოგებაშვილი, რომელსაც ჭკუანც მოსდევდა, ცოდნაც და კალამიც კარგად ემორჩილებოდა, ესეც კი ილიას მიაშურებდა და ეტყოდა: „გაგვიძიქ, ბერო მინდიაჲ! კარს საფრთხე მოგვდგომიაო“, გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას ჰირიდან გვგლეჯენო“...

და შეიკრა ერთობა: ილია – იაკობი!... და – გაზეთ „დროებაში“ (№ 33, 1881 წ.) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“. ეს არის ილიასეული „რკინის

ლოკიკით“ დაწერილი წერილი იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედა-ენაზე სწავლას სახალხო სკოლებში. ილია იანოვსკის აცნობს ცნობილი რუსი და ევროპელი ჰედაგოგების აზრს ამის თაობაზე: „ჩვენ მოგვეყვას ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს, ვითომც ბ-მა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ეველამ, დიდმა და ჰატარამ შეიტეოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხეველად ვთხოვლობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიუვარულით არ მოგვადის. ვკითხულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების განსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების განსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათანსირებისაა, — და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“...

წერილი საკმაოდ ვრცელია. დასკვნა ლოკიკური და ჰირდა-ჰირი: „იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს. ამ ორივე — სულ სხვადასხვა საგნის — შეხვედრა არც ერთს დააერის ხეირს და არც მქორესა“.

და გაზეთ „დროების“ 50-ე ნომერში ქვეყნდება იაკობ გოგუბაშვილის წერილი „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა“. ილიასეულ დიდებულ წერილს იაკობისეული პროფესიონალური სტატია მოჰყვა — დეტალური ანალიზი „იანოვსკის ჰლანისა“... საინტერესო ჩანს ისიც, რომ იანოვსკის საგაზეთო წერილთან შედარებით „ჰლანი“ კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა თურმე (ცხადია ქართული ენის საზიანოდ!...). იაკობი: „რამ განგვაცვიფრა? ბევრმა რამ. ჰირველად იმან, რომ ბატ. იანოვსკის წერილის და გეგმის, ანუ ჰლანის, შუა ამკარა უთანხმოება და წინააღმდეგობა ვპოვეთ“, — წერს შემოფოთებული ავტორი... შთაბეჭდილება ასეთია: იანოვსკიმ ქართული საზოგადოება შეამძადა (საკმაოდ რბილად) სახალხო სკოლე-

ბის რეორგანიზაციისათვის და „ზღანით“ ეს რეორგანიზაცია და-
ასრულა განცილებით მძიმე შედეგებით!...

ილიას მკაცრ და ანტიუმენტურულ წერილს დაემატა იაკო-
ბის საქმის ცოდნით, ძალადი პროფესიონალიზმით გაჯერებული
წერილი და გადაწხა ქართული სახალხო სკოლა გარუსებას...

აი, ამას გულისხმობდა თ. სახოკია (გვანსოვს, ცხადია),
როცა წერდა – „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი – აი,
ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროის ქართველი საზო-
გადოების ნამდვილი ჰატრონი, მოამბაგე და ჭირისუფალი“.

როცა იაკობი იანოვსკის წერილისა და „ზღანის“ თაობაზე
ილიასა და მას შორის შრომის განაწილებაზე საუბრობდა, გან-
მარტავდა: „ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის
პირველი არ იყო. როცა გორის საოცტატო სემინარიიდან დასა-
ბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ან-
ბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერი-
ლი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასწრად
ავუკვდო – იმას „იკურიაში“ და მე „დროებაში“, და კიდევ შევას-
რულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწვალდა“.
ესენ საინტერესო ამბავია, და ცოტა უფრო ვრცლად.

1876 გორის ქართული პროსემინარიის მასწავლებელს – ნა-
თიევს – მზრუნველისათვის დასაბეჭდად წარუდგენია წერა-კითხვის
სასწავლი სახელმძღვანელო – რუსულ-ქართული ანბანით შედგენი-
ლი. ილია ასე განმარტავს: „აი რა ანბანია. ნათიევს სისძარბო
უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსულის ასოებით უნდა დაი-
წეროსო. აუღია და თავის ანბანში მივა და შიგ ქართული სი-
ტყვები ჩაურთავს რუსულის ასოებით. რადგანაც რუსულს ანბანს
აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ნიშნების გამოკანსატავად, ამი-
ტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუ-
სული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა და ამ ახა-
ლის ასოებით შეუვსია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბა-
ნიც გაუძიდებია. აქ სწორედ უფ. ნათიევს ორი კურდღელი ერ-
თად დაუჭერია. ბარაქალა მის ფენმარდობას და სისწრაფეს!“ –
ესაა ამონარიდი ილია ჭავჭავაძის წერილიდან „ვიცინოთ თუ ვი-

ტიროთ“; რომელიც „ივერიისში“ გამოქვეყნდა (№ 10, 1877). გა-
სეთ „დროებაში“ (№ 74, 75, 77) ქვეყნდებოდა იაკობის წერილი
„სამწუნსარო მოვლენა ჰედაგოგიაში“, რომელიც ფაქტობრივ გა-
გრძელებას ილიას წერილისა. ნათიევს ი. ჭავჭავაძის წერილი
„ვიცინოთ თუ ვიტროთ“ გინებად მოსჩვენებიაო, — წერს იაკობი,
— „როდესაც რომ მთელ წერილში არ არის ნახმარი მის შესახებ
არცერთი შეურაცხყოფი სიტყვა, ჰაზრები მართალია მწარეა, მაგ-
რამ დაძვრმა რა ჰქნას, თუ ფაქტები, რომელსაც ეს აზრები შეე-
საბამებთან, ცუდი თვისებისანი არიან“. იაკობი თითქოსდა აგრძე-
ლებს ილიასეულ მსჯელობას; თითქოსდა აზრის „სიმწარეში“
ეჯიბრება ილიას: „თუ კაცს მახინჯი სახე აქვს, სარკეს ბევრიც
რომ დაემდუროს, მით ის ზირის სახეს ვერ გაილამაზებს. აგრეთ-
ვე ფონს ვერ გავა მრუდეთ და უკუდმართად მოძქმედი ზირი, რაც
უნდა ბევრი იტლიკინოს და იუვიროს მლანძღავენო, როდესაც მის
უკუდმართს მოქმედებას ამხილებენ“...

და ეს ორი წერილი („ვიცინოთ თუ ვიტროთ?“ და „სამწუ-
სარო მოვლენა ჰედაგოგიაში“) საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის,
რომ „მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწვალებულიყო“...

ეს იყო შეერთებული ძალა ილიასი და იაკობისა ქართული
საქმის სასიკეთოდ!...

* * *

არხილ ჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში“ წერილი გამოაქვეყნა
„ზუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე“. ავტორს ილია ჭავჭავაძისეუ-
ლად მიუხეცია „ივერიის“ შინაური მიმოხილვიდან შემდეგი ამო-
ნარიდი: „ჩვენში ჰატრიოტობა სხვა თვისებისა, სხვა გვარის ხასი-
ათისაა: იგი ივერობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვა-
რულისას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია-რა. ვი-
სიმე სიმუღვილი, დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების
წადილი, სრულიად არ იზოგება. ჩვენს ჰატრიოტებს სურთ აღდგე-
ნა და დაცვა ჩვენის უფლებებისა, ეროვნებისა, თვითმართველობისა,
ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს შეუძ-
ლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა“...

თავისთავად საინტერესო ფაქტია: შინაარსობრივად, იდეურად
იაკობის ნააზრევი ილიასეულად მიუხეცია დიდად ნიჭიერს ავ-

ტორს — აწილ ჯორჯამეს. ამის თაობაზე კომენტარს თავად იაკობი გააკეთებს და განმარტავს, რა განდა ავტორის შეცდომის მიხედვით: „ბატონმა აწილ ჯორჯამემ „ცნობის ფურცელში“ მიმოხილვის ავტორად კი დასახა თვითონ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ნამდვილად კი საქმე სრულიად სხვანაირად იყო: ეოველ-თვიურს მასწავლებლობას ჟურნალებში შეიტყუებდნენ უწევდა ზირად თვითონ რედაქტორი. მხოლოდ ამ მიმართვისათვის მან ვერ მოცდა, რადგანაც ბანკის საქმეებისათვის ბაქოში წავიდა და დამავალა დამეწერა მიმართვა ჟურნალისათვის, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე. ამ მიმოხილვის გარდა მე დაწვერე კიდევ მხოლოდ ერთი მიმოხილვა. ეველს დანარჩენი მიმოხილვები, ამ ორის გარდა, ეკუთვნის ილიას მადლიანს კალამსა“...

საინტერესო ფაქტია: იაკობის განმარტების მიხედვით ის კი არ არის, ჩემი „მიმართვა“ სხვისი არ გეგონათ; არა, ილიას მადლიანი კალამის ნაყოფი არ გეგონათ ჩემი უბრალო მიმართვა... ილია უკეთესად დაწერდა, დრო რომ ჰქონოდა...

* * *

ერთი ფრიად საინტერესო ფაქტიც — იაკობისა და ილიას როლი ნიკოლოზ ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების საქმეში.

დავით კასრაძისათვის ზეტრე მირიანაშვილს უამბია: „მე განჯამი კარგა ხანს მომიხდა სამსახური მასწავლებლის თანამდებობაზე. გულს მიკლავდა ნიკო ბარათაშვილის ობლად მივდებოდი საფლავი. თბილისში სამსახურებრივი დავალებანი მოვიმიხედე და წერა-კითხვის საზოგადოებაში ვინახულე იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ვაუწყებარე ჩემი გულის დარდი. ის მაშინვე დაფიცურდა: ეს რა კარგი ახრი მოგსვლია, ნიკო ბარათაშვილი უნდა გადმოვასვენოთ. მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა, თუ გვსურს, რომ გადმოსვენება უფრო სახელგანთი იყოს და დიდმნიშვნელოვანი, ეს უნდა იკისროს არა ნიკოს ნათესაობამ, ან კერძო ზირებმა, არამედ საზოგადოებამო.“

— რომელმა საზოგადოებამ? — შევეკითხე და იქვე ზასუნი მივიღე.

— რა თქმა უნდა, წერა-კითხვის საზოგადოებამ!

იაკობი მაშინვე გაექანა ილიასთან, როგორც სასოგადოების მთავარ ხელმძღვანელთან. ილია აღფრთოვანდა, დაუყოვნებლივ მოიწვია გამგეობა და 1892 წლის 9 ოქტომბერს ოქმში შეატანინა სასოგადოების დადგენილება, რომ „ეთხოვოს თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის). ეს ოფიციალურად, რა თქმა უნდა, გადმოსვენების ინიციატივა კი ისევე წერა-კითხვის სასოგადოებისა იქნებოდა... ნებართვის აღება გაძნელდა, მაგრამ გრიგოლმა მანინც მოახერხა“...

ესეც კიდევ ერთი საჭირო ქართული საქმე, რომლის ინიციატივა და ორგანიზაცია იაკობსა და ილიას ეკუთვნოდა...

* * *

გაზეთ „ივერიამი“ (№ 83, 1900წ.) მოუთავსებიათ ასეთი ცნობა: „როგორც შევიტყუეთ, ბ-ნ იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის ჰატევისმცემელთ, მისდა ჰატევისაწყმად, მისის სალიტერატურო და საჰედაგოგო ახარეყსედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრანხავთ სადილი გამართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოსხადებული“.

როგორც ჩანს, ამ განზრანხვის თაობაზე თავად იაკობსაც გაზეთიდან შეუტყუია და მოკლე ბარათით მიმართა. ეს წერილი გამოქვეყნდა „ივერიის“ 85-ე ნომერში (1900 წ.): „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან ჩანს, სოგიერთ ქართველს მოუწადინია, გამიმართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვანსენებ, და ეთხოვ დიდი თხოვნით ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უხემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა სასოგადოებამ უნდა გადაინადროს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემსე უფრო დიდხანს უმოქმედნათ და ჩემსედ უსომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუხსა და მუხინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“.

მ ე ი ნ ვ ა რ ი და ი ა ლ ბ უ შ ი ი ლ ი ა და ა კ ა კ ი ა რ ი ა ნ ს ე რ ი — თავად ი ა კ ო ბ ი ...

საიუბილეო სადილი ჩაიშალა... უარის მოტივი გასაგებია: ჯერ ილიასა და აკაკისათვის არ გადავიხდით იუბილეო...

10 წლის შემდეგ, 1910 წელს ისევ მოუსურვებიათ იაკობისათვის იუბილეს გამართვა. იაკობი წერილს სწერს „სახალხო გაზეთის“ რედაქციას (1910 წ. № 36). წერილის სათაურია „უარის მოხსენება“. ისევ მიუძღრით წერილს: „ბატონი გიორგი იოსელიანი დასავლეთ საქართველოდან წინადადებას ამღვეს ქართველს საზოგადოებას იუბილეი გამომართონ. თანაც დასძევს: როგორც ჩვენ ვიცით, გოგებაშვილის ხასიათი, იგი უარს იტყვისო; მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუძალოს საზოგადოებასა.“

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

როცა ათის წლის წინად იწვევს წერა ჩემის 35 წლის იუბილეს გადახდის თაობაზე, კატეგორიული უარი განვაცხადე და ასეთი დავასახელე: ჯერ ქართული ლიტერატურის იალბუხებს გაუმართეთ ღირსეული იუბილეი და მერე სერების იუბილეზე იფიქრეთ მეთქი.

მასუკან ერთს იალბუხს ქართველმა საზოგადოებამ დიდებული იუბილეი გაუმართა; მაგრამ მეორე იალბუხს ქართველთა ხელმა ღვთაებრივი შუბლი გაუგმირა ტყვიით.

ჩანაკვირდით ამ უკანასკნელს საზარელს ფაქტსა, გაიხსენეთ ჩემი მაშინდელი უარის მოტივი, საბუთი, და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ჩემთვის ეოვლად შეუძლებელია ფსიქიურად და წნეობრივად დავთანხმდე იუბილეს გამართვაზე“...

წერილი გრძელდება იმაზე მსჯელობით, რომ საერთოდ იუბილეს გამართვა, ღვაწლის დაფასება საჭიროა, თუმცა ითხოვს იაკობი, „ჩემს შესახებ გთხოვთ დიდი თხოვნით, ტყვილად ნუ შეწუნდებით“...

იაკობის იუბილე არც ამჯერად შედგა...

იაკობს აქვს ერთი მხატვრულ-პუბლიცისტური წერილი „სარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“. წერილი გამოქვეყნდა ლიტერატურულ-მხატვრულ აღმანახში „აკაკის დღეები საქართველოში (1908 წ. №2)“.

„სარაკო სინამდვილე“ – აკაკის იუბილეა. ბედნიერად რაცხს თავს იაკობი, რომ მოესწრო ამგვარ იუბილეს, „მე სიამოვნებას ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩვენმა ერმა, უკიდურესად

შევიწროებულმა ეოველი მხრით, შესძლო ღირსეულად დაეჯილდო-
ვებინა ზნეობრივად მაინც თავისი ღირსეული შვილი... წერილის
პირველი ნაწილი სწორედ ამ ბედნიერების განცდის აღწერაა...

ამ „სანარკო სინამდვილეს“ იაკობს რაღაც უფერძკრთალებდა
– „მაგრამ ჩემს უღრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამორეკვე-
ლი ნაკლი ამცირებდა, ასუსტებდა. ეს ნაკლი შავი ეორანივით
ჩამხნაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა“... რა იყო ეს
ნაკლი? – სწორედ „საიუბილეო ოცნებაშია“ საუბარი ამ ნაკლ-
ზე... „სავარძელში მოთავსებულმა თავი მივეცი ტკბილ-მწარე ბუ-
რანსა“ და...

როგორც ვთქვი, წერილის მეორე ნაწილი – „საიუბილეო
ოცნებაა“; ცოტა ვრცელია, მაგრამ უნდა გადმოვწერო; ვინც
იცის, კიდევ ერთხელ დატკბეს; ვისაც არ წაუკითხავს, მიიღოს
პირველი წაკითხვის ბედნიერება:

„უსცებ ხელ-ახლად გაუჩნდი თეატრში, და ვინილე უნეტარესი
სურათი. აკაკის დიდებული რაინდული სახე მიეღო და აშლილს
საზოგადოებას ეუბნებოდა: ერთ წამს, მხოლოდ ერთ წამს კიდევ
მოითმინეთ. ცოდოა, დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახელო, სა-
ნარკო იუბილეი დაუგვირგვინებელი დაგვრჩეს... საზოგადოება და-
წუნარდა, დასხდნენ ეველანი და სმენად გადაიქცნენ.

– ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამ ჟამად, მაგრამ ერთი
რამ სწამლავს ამ ბედნიერებას, – სთქვა აკაკიმ.

– რა? რა? – სიმწუნარით შეეკითხა მას სამი ათასი პირი
ერთად, ერთხმოდ.

– ის, რომ ჩვენ ვერ ვეღირსენით იმის იუბილეის, რომე-
ლიც იყო დიდი პოეტის, დიდი მამულიშვილის და დიდი ადამი-
ანის და რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სა-
მშობლო.

ურიცხვს მსმენელთა შორის არც ერთს არ მოხვლია აზრად
ეკითხნა აკაკისათვის, ვისზე ლაპარაკობდა იგი, რადგანაც ელვის
სისწრაფით, ეველას გონებაში გამოისახა ერთი და იგივე დიდებუ-
ლი სახელი.

აკაკიმ განგრძელა: დიად, ჩვენ ვერ ვეღირსენით ილია
ჭავჭავაძის იუბილეის. მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავზე. ჩვენ
არამც თუ ვერ შევამკეთ იმისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვი-

ნებითა, არამედ ხელი ვერ შეუუძაღეთ ჩვენის ერის მტრებსა, რომელთაც ილიას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა... მთელი ნახევარი საუკუნე ილია და მე ტოლათ ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს სამსახურისას, — მომიკლეს, ჯვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცაღად, უტოლოდ, ობლად... დიდება და თაყვანისცემა მოწამე ილიას უკუნითი უკუნისამდე, გაათავა აკაკიმ და მწუნარე თვალებიდან მღუღარე ცრემლის ნაკადული წასკდა.

„ამინ!“ შესძახა სამგლოვიარო ხმით სამი ათასმა მსმენელმა და ფეხზე უძალ წამოდგარმა, თავი მოიხარა, საერთოდ.

ამ რაინდულს სიტყვებს და საქციელს მოჰყვა აუწერელი მოვლენა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც ეღიწნენ მოციქულნი სული წმიდის მოფენის ქამსა. აკაკის თავზე გაჩნდა ვეებერთელა აზრიანებული კელაპტარი, ეველა მსმენელის თავი შეიძკო ჰატარა ჰატარა კელაპტრებით და თეატრმა საარაგო კაძეაში დაიწყო. მერე დაიძრა აკაკის კელაპტარი და შუა თეატრში ძაღლა ჰაერში გაჩერდა. მისკენ გამოქანდნენ ეველა სახის კელაპტრები. გარს შემოეხვივნენ და შექმნეს მომხიბლავი სურათი. ბოლოს ამ ურიცხვის ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელაპტარი გაუძღვა ზეით, თეატრის ბანი გაირღვა და კელაპტართა გუნდი წავიდა ძაღლა, ძაღლა ზეცაში.

„კელაპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელის ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა“, შევძახე ისეთი ძაღალი ხმით, თითქო ილიასათვის მიხდოდა გამეგონების ზეცაში, და... გამომეღვიძა.

„ღარჩა, ღარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული“, ამოვიკენესე და ცრემლი ვეღარ შევიკავე, ვერ შევიკავე იმის გამოც, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ, იგი სახელოვანს იუბილეის დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის. მაგრამ თვალი დაუდგეს სამოცდა მეცხრე წელს, იმ ჭირს, რომელსაც რუსთველი ეველა ჭირზე ძნელს ეძახის...“

ნუ დაგვავიწუდება — ეს „ოცნება“ იაკობისა აკაკის საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა 1908 წელს!..

იუბილეს მიმართ ილიას დამოკიდებულებაც ისეთივე ეოფილა, როგორც იაკობისა. შიო მღვიმელი იგონებს: როცა ილიას იუბილეს გამართვა გადაწყვიტეს და ეს ამბავი ილიას აცნობეს, „ილია ჭავჭავაძემ ჰირველსავე გაგონებაზე ხელები გაანსავსა და სრული უარი გამოაცხადა მისი იუბილის გადახდაზე.“

მაშინდელმა მწერალ-მოღვაწეებმა ბევრი სწერეს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს შესახებ, მაგრამ ტყუილად.

სხვათა შორის სანოს (სტეპანო ჭრელაძევილი) ჰქონდა მთავსებული განხეთქი ერთი თუ ორი ფელეტონი ზემოხსენებულ იუბილეს შესახებ, მაგრამ, როგორც აღნიშნე, ვერც სანომ და ვერც მთელმა ქართველმა მოღვაწეებმა ვერ დაიუბნულეს ილია. სთქვა და გაათავა. იტყოდა და ზედ ისეთ ბეჭედს დასვამდა, რომ მას ვეარზუინ წააშლევინებდა. თავის სიტყვის ბატონიც იყო და ჰატონიც“...

(სხვათა შორის, ასევე ახასიათებდნენ იაკობსაც... „იაკობი სულ მუდამ თავისს ნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო“ — შიო მღვიმელი).

თუ იაკობი საერთოდ იუბილეების გამართვის წინააღმდეგი არ იყო, ილიას არცთუ დადებითი აზრი ჰქონია იუბილეს შესახებ, იტყოდა, „ეს იუბილე ერთგვარი ევენობა არისო“ (ე. თაყაიშვილის მოგონებებიდან)...

თუმცა საინტერესოა ისიც, რომ ილიას იუბილეს გადახდის წინააღმდეგი მთავრობაც ეოფილა. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „რივი მიღვა თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, თავისი ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა, უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ევენობა არისო“. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ ბოლოსა და ბოლოს დათანხმდებოდა. ასე იცოდა ხოლმე ბანკის არჩევნების დროსაც: ჯერ იტყოდა, აღარ შემძლია, ვეღარ გაუძღვებიო, მაგრამ როცა აირჩევდნენ, უკვე აღარაფერს ამბობდა... საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწვეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ

გზაუნიდნენ ილიას გაზეთის რედაქციაში. კომისიაც იყო შექმდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დაართო მას ამ იუბილეს მოწეობისა. არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლანაზარაკებისას გააფრთხილეს საიუბილეო კომისია. მაგრამ უთხრეს კი, სჯობს, ნუ ითხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთო“...

მოკლედ: სიცოცხლეში იუბილე არ ღირსებია არც ილიას და არც იაკობს... ორივე ჰრინციანული წინააღმდეგი იყო ამისა...

* * *

ილიას გარდაცვალება იაკობისათვის, ისევე როგორც სრულად საქართველოსთვის, თავზარდამცემი ფაქტი იყო. ნინო ნაკაშიძე იგონებს:

„როდესაც ხმა გაუარდა წიწამურში ილია ჭავჭავაძე მოკლესო, თბილისში ეველა აწრილდა და ეველა სადაც მიროდა ამბის განსაგებად. ჩვენც „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში გავიქვეცით. გზაში იაკობს წამოვეწიეთ. შემოგვხვდა აგრეთვე ირ. ევლოშვილი, რომელიც ტიროდა და იაკობი რომ დაინახა, შორიდანვე შესძახა:

– ბატონო იაკობ, რომელი ქართველის ხელმა გაუხვრიტა ილიას შუბლი, განა ეს შეიძლება, განა ეს დასაჯერებელია, ბატონო იაკობ?

იაკობი ერთ წუთს შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევე უსიტყუოდ წავიდა“... იაკობს ზუსტი ინფორმაცია აინტერესებს. „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში უამბეს, როგორ მოხდა მკვლელობა წიწამურში. „იაკობი ჰირმოკუმილი, ხმა-ამოუებლივ უსმენდა და თვალებს იწმენდა ცხვირისაზოცით“; – წერს ნინო ნაკაშიძე, – „ჯდა გაქვავებული ქანდაკებასავით, გაფითრებული. ცივ წვალს არასოდეს არ სვამდა, უცებ დაღია“...

წიწამურის ტრაგედია 1907 წლის 30 აგვისტოს მოხდა. 8 სექტემბერს, ილიას დაკრძალვის დღეს, გაზეთ „ისარში“ (№ 197) იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წერილი „შურისძიება ისტორიისა“. ამ წერილში იაკობი ილიას მკვლელობას ქრისტეს ჯვარცმას აღარებს: „შეუდარებელია, უებრო შურისძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები ამ აზრზე დგანან, რომ ქრისტეანობა ზატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნა-

მირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს სასარკელ სიკვდილს მიუცემთ, მასაც სამინლად დაუამცირობთ და მის სწავლასაც ამოუფხვრითო და გაუაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ სასარკელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ გააღმერთა იესო, განადა იგი საგნად უსასწვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიუვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალათი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძე უკუნითი უკუნისამდე“.

იაკობის აზრით, „სწორედ ესევე აცხადდება (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერეს ჰოეტსა და დიდ მამულიძვილზე, რომელსაც ესლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიანრობით მთელი ქართველობა, ვარდა ბნელეთის ნაბიჭვრებისა, უსულგულო და უტვინო ორფუნა მხეცები ვერაგულად ჰკლავენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განზრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობასზე“...

წინასწარმეტყველურია იაკობის ფიქრი ილიასზე და ამ საშინელი მკვლელობის შედეგზე: „ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებული მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა ჰატოვისცემა, ის თაყვანება, რომელიც ეოველი ტკუითა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მისს ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ქამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლივ შეიკნება და იგი იწუებს ბრწეინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ნატის“.

ამავე წერილში იაკობი იმ საჭიროებაზეც საუბრობს, რაც ილიას ნაწერების დაბეჭდვა და ხალხში მოფენაა. „ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ესლა ჩვენ ვერც კი წარმო-

ვიდგენთო“, – წერდა ივი. და იქვე: „ეს იქნება საუკეთესო მუ-
რისძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა“...

მურისძიების თემაზე როცა ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ
გავიხსენოთ იაკობის ერთი წერილიც.

1908 წლის № 20 „დროებაში“ გამოქვეყნდა იაკობის წერი-
ლი „ფრიად საუარაღებო მუამდგომლობა (წერილი რედაქციისა-
დში)“ (გამოცემებში ასეთი სათაური შევიდა – „სამაგალითო მუ-
ამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა“). იაკობი საუბრობს
იმის თაობაზე, თუ ქართულ და რუსულ ზრესაში რა გამოხმაურე-
ბა მოჰყვა სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სიკვდილით
დაესაჯათ ილიას სამი ძველელი. საზოგადოება ითხოვდა, ძველე-
ლები „სიკვდილით არ იქნენ დასჯილნი, რადგანაც ასეთი მათი
დასჯა ზირდაზირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულს მიმართუ-
ლებას უღმრთოდ მოკლულის ზოცისას“, – წერს იაკობი. იქვე
განაგრძობს: „მაგრამ ეველას წინ გაუსწრო მოსიყვარულე გულმა
უკვდავი ილიას მეუღლისამ. კნეინა ოღვა თადეოზის ასულმა
წარსულს ორშაბათს დაამზადა შესაბამისი თხოვნა გენ.-გუბერნა-
ტორის სახელობაზე; ხოლო, რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ
აძლევდა ზირდად მიერთვა არზა, კნეინამ სთხოვა „წერა-კითხვის
საზოგადოების“ თავმჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის-ძე ეახებეს
შუაკაცობა ეკისრნა და თხოვნა წარედგინა გენ.-გუბერნატორისა-
თვის... თავის არზაში ეოვლად ღირსეული ქვრივი ილიასი
სთხოვს გენერალ-გუბერნატორს, სიკვდილით ნუ დასჯიან მისი
მეუღლის ძველელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას
სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვრისა-
ვით ზატოვება მტრებისა“...

როგორც ჩანს, იდეა ამგვარი მუამდგომლობისა იაკობს
ეკუთვნოდა. ისევე ნინო ნაკაშიძის მოგონებებს მოვიხმობთ.

როდესაც ხმა გავრცელდა, რომ ილიას რამდენიმე ძველელი
დაიჭირეს და სასამართლომ მათ ჩამოხრჩობა მიუსაჯაო, იაკობი
მისულა რედაქციაში, „სადაც იმ დროს იყვნენ ექიმი ივ. ელიაშვი-
ლი და ილიკო ნაკაშიძე. შემოვიდა თუ არა იაკობი, მაშინვე მი-
მართა იმათ:

– ემაწვილებო, წაიკითხეთ?

– წავიკითხეთ, ბატონო იაკობ, და ჩვენც ახლა ამაზე ვლაპარაკობდით.

– ძეგო, რა აზრის ხარ: დიდ ილიას ხსოვნას, იმ ილიას, რომელმაც ისეთი დიდებული სიტუვა წარმოთქვა სიკვდილით დასჯის წინამძღუდ სათათბიროში, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში სიკვდილით დასჯის წინამძღუდი იყო, იმის ხსოვნას ოთხი ჩამოხრჩობილ კაცის ხსოვნაც ახრდილივით უნდა სდევდეს უკან?

– სწორედ ჩვენც ახლა ამაზე ვმსჯელობდით.

– არა, მე მინდა, ჩვენ რამე გზას დავადგეთ, ვითათბიროთ.

მე არასოდეს არ მინახავს იაკობი ასე ნერვიულად აჩქარებული. ვერც კი დამინახა, რომ იმავე ოთახში სამუშაო მაგიდასთან ვიჯექი და სთქვა:

– ნინო სად არის? ჩვენთვის საჭიროა ქალის აზრიც. მეც მაშინვე მივედი მათთან და ვუვლანი დაუსხედით.

კარგა ხანს მსჯელობდნენ. იაკობი ამტკიცებდა, რომ ჩვენი, ე. ი. ქართველების მხრით ილიას უპატვიცემლობა იქნებოდა, რომ მისი ანდერძი არ შესრულდეს. ელიაშვილი და ილიკოც, თვითონაც ამ აზრისა იყვნენ და მაშინვე დაეთანხმნენ, რომ რამე ღონე იქნას მიღებული, რათა არ ჩამოახრჩონ მკვლელები, მე კი ვსდუმიდი, ვოქმანობდი, არ მეძეტებოდა სიცოცხლე ილიას მკვლელებისათვის.

– აი, ასეა მთელი ქართველი საზოგადოება, – სთქვა წყნით იაკობმა, – მაშ, თქვენ არ აფასებთ ილიას მცნებას? პატვიც არ სცემთ იმის ანდერძს?

– მე მძულს ილიას მკვლელები.

– ოჰ, არც მე მივარს „უმეცრები“, ილიას სიტუვისა არ იყოს, მაგრამ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ილია და მისი სიტუვა გვჯეროდეს.

გადავწუვიტეთ, ილიას მეუღლეს ოლღას ეშუამდგომლა, არ დაესაჯათ სიკვდილით მკვლელები, თუ, რასაკვირველია, ის ამას მოინდომებდა. შუამდგომლობის დაწერა ოლღასათვის მიანდევს ილიკო ნაკაშიძეს.

მეორე დღეს გამოვიარეს იაკობმა და ელიაშვილმა და, იაკობის სურვილის თანახმად, წავედით ოლღასთან ოთხივენი. ოლღა მაშინ ანდრეევის (აწ ორჯონიკიძის) ქუჩაზე ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის შემდეგ სუსტად იყო, სიამოვნებით მიგვიღო, ყველას გვაკოცა და ატირდა.

იაკობი ახლოს დაუჯდა, აიღო მისი ხელი და ეფერებოდა ხელზე. ხელი, გარკვეული ხმით აუხსნა როგორც ბავშვს, რისთვისაც ვიყავით მისული. ოღონდ ბეჯითად უსმენდა ყურში სასმენ მილგაკეთებული, სახესე ცრემლები ჩამოსდიოდა და თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა. და როდესაც იაკობმა შუამდგომლობა წაუკითხა, ტირილით თქვა:

– ჰო, რასაკვირველია, მე თვითონაც ვფიქრობდი, მაგრამ ბებერი და ვრუ ვარ და არ ვიცოდი როგორ რა მექნა, და უყომანოდ მოაწერა ხელი შუამდგომლობას“.

როცა იაკობი საგანგებო წერილში ამ ფაქტის შესახებ საუბრობდა, ანიშნავდა, თუ როგორი აღფრთოვანებული სტატეები უძღვნა რუსულმა ჰრესამ ამ ინიციატივას. ამონარიდი მოჰყავს გაზეთიდან „Русския ведомости“: „როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუხეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკაღ, ჩამოახრჩე, დანვრიტე, და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი ძეგლად ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ვეგდრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო. „აქამდინ ვიცოდით, ამბობს ბოლოს ავტორი, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან – საქართველოდან აღმოაშუქა“...

* * *

ისევ დაუბრუნდეთ წიწამურის მოვლენებს. იაკობი ამ მკვლელობაში უფრო მძიმე შედეგებს ხედავს. წერილში „მურისძიება ისტორიისა“ წერდა: „ამასთან ჩვენ უნდა მხნედ შევუდგეთ დიაგნოზს იმ საზოგადოებრივის სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმხნეურწლა მგოსანი, ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელები, თუ ჰყავთ. არაფერს არ უნდა შევუძინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალეთ, რადგან დამალვით სენი კი არ რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უძხადებს ერს“...

ეს მოწოდება იყო... ეს სამოქმედო პროგრამა იყო...

ილიას გარდაცვალების შემდეგ იაკობს ახალი საქმე გაუჩნდა – ილია ჭავჭავაძის უკვდავოება. ქართულ და რუსულ პრესაში ქვეყნდება რამდენიმე წერილი ილიას თემაზე. ერთზე („შურისძიება ისტორიისა“) ვისაუბრეთ. ამ ნარკვევში ჩვენ მიზნად ვერ დავისახაუთ იმ წერილების ანალიზს. ეს ცალკე, საგანგებო თემაა. აქ მხოლოდ ჩამოვთვლით ამ პუბლიკაციებს:

1907 წელი.

სექტემბრის 8 – „შურისძიება ისტორიისა“ („ისარი“, № 197);

სექტემბრის 9 – „ილია ჭავჭავაძის შესხედულება წოდებათა დამოკიდებულებაზე“ (გაზეთი „ზაკავაკაზი“, № 184);

სექტემბრის 16 – „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი“ (გაზეთი „ისარი“, № 202);

სექტემბრის 22 – „მცირე განმარტება“ (გაზეთი „ხვენი გზა“, № 15);

სექტემბრის 25 – „ილიას ფონდის შესახებ“ (გაზეთი „ისარი“, № 209).

1908 წელი.

იანვრის 1 – „ილიას ფონდის შესახებ“ (ქურნალი „ნიშადური“, №20. საუბარია საზოგადოების უსულ-გულთა დამოკიდებულებაზე ამ ფონდის მიმართ);

დეკემბერი – „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“ (ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში“, №2);

დეკემბრის 4 – „ფრიად საუურადღებო შუამდგომლობა“ („დროება“, № 20);

დეკემბრის 16 – „ილიას მეორედ მოკვლის წადილი“ (ქურნალი „საქართველო“, № 9);

დეკემბრის 30 – „მეუნარჯიას ჭორები ილიას შესახებ“ (ქურნალი „საქართველო“, № 11).

ამ წერილების ანალიზს, როგორც ვთქვით, ამჯერად არ ვა-
ზირებთ. რამდენიმე მომენტს მივანაწირობთ მკითხველის ყურადღებას.

იაკობი იყო ილიას ფონდის შექმნის ინიციატორი. ერთი
ამონარიდი: „დღესვე „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ვუდგენ ილი-
ას ფონდისათვის ათ თუმანსა და ვალად ვიდებ ყოველ წლივ, –
ილიას დაბადების დღეს 27 ღვინობისთვეს, – ამდენივე წარუვდგი-
ნო ხოლმე, ვიდრე ჩემი შემოსავალი ძლიერ არ შემცირდება. ეს
ათი თუმანი შეადგენს დაახლოებით ხუთს პროცენტს ჩემის წლიუ-
რის შემოსავლისას“...

ფონდის უპირველეს მიზნად ილიას თხზულებათა გამოცემას
ისახავდა მიზნად; ასევე: დაარსებულიყო უფასო სამკითხველო,
სტიპენდიები სტუდენტებისათვის და წერდა „ილიას ქმნილებათა
გამოცემის შესახებ იმ გვარადვე უნდა გამოვსცეთ თხზულებანი
აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი და სხვა ჩვენი საუკეთესო მწერლებისა და
მოუფინოთ კიდითი-კიდითი“... გეგმავდა სხვა ღონისძიებებსაც...

სამწუხაროდ, იაკობის ამ ინიციატივას დიდი გამოხმაურება
არ მოჰყოლია. ამას ჩიოდა იაკობი „ნიმადურში“ გამოქვეყნებულ
წერილში...

ერთ ფაქტსაც მინდა მივანაწირო მკითხველის ყურადღება. ჩვენს
დროში სხვადასხვა ავტორთა მსჯელობა იყო იმის თაობაზე, ვეუ-
ლა დროის ვეულებზე დიდი ქართველი ვინ იყო. ზოგი დავით
აღმაშენებელს ანახელებდა, ზოგი – ილიას. იაკობმა გაავლო ზა-
რალელი ჰიროველად ილიასა და დავით აღმაშენებელს შორის: „სა-
ქართველომ შავს მიწას მიაბარა თავისი სახელოვანი და უკვდავი
ძვილი ისეთი ღრმა და გულწრფელი საუოველთაო მგლოვიანო-
ბით, ისეთის ცრემლის ნაკადულებით და ისე დიდებულად, რო-
გორც უგლოვია და დაუმარნია თავისი დამოუკიდებლობის და
ძლიერების დროს სახელოვანნი და დიდნი მეფენი: დავით აღმაშე-
ნებელი და თამარ მეფე“.

* * *

კინახვთ აღმოფთებული იაკობ გოგებაშვილი? წაიკითხეთ
წერილი „ილიას მეორედ მოკვლის განწინაზღვა?“

„ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკუ-
რი, რომლის გამეორება შეუძლებლად განადგეს უსულგულო ნაძი-

რალებმა, არამედ მოკვლა სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლევლობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა, ვიდრე ზირველი. ფიზიკურმა მკვლევლობამ შეიძლება ხელი შეუწეოს სულიერს უკვდავებას, სულიერი მკვლევლობა კი მეტნაკლებობით ამართლებს ფიზიკურს მკვლევლობასა...“

რა მოხდა? ქუთაისში ჩატარებულ სალიტერატურო საღამო, რომელიც ილიას ჰატივსაცემად გამართულა. საღამოზე ლექცია წაუკითხავს იონა მეუნარგიას. მან „თურმე დაუგროვა დამსწრე საზოგადოებას ვეებერთელა ზვინი ჭორებისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ილია ეოფილა: მუნწი, გულქვა, ზანმანი, ბანქაში მფლანგავი თავისი ქონებისა, სოფისტი, ეგოისტი, გამჭულეტელი მართალი ადამიანებისა და თითქმის უნიჭო ჰუბლიცისტი“.

იაკობი ექუარება გახეთ „აღის“ კორესპონდენციას, გულისწერობით რომ წერდა თურმე, „ილია მიწასთან გასწორალა...“

იაკობს განსაკუთრებით ის აღამფოთებს, იონა მეუნარგია ილიას დაკრძალვაზე ცხარე ცრემლებს ერიდა; „ჯერ მას (იონას) არ გაუცვეთია ის წაღები, რომლითაც იგი ილიას დასაფლავებას დაესწრო, როდესაც იგი თავის სიტუაში წვეულა-კრულვას უგზავნიდა ჩვენი დიდების მხედს მკვლევებს, და დღეს კი მას თითქმის ტალახში სვრის“...

იაკობი აქ მეუნარგიას ერთ ზნეობრივ ნაკლზეც საუბრობს. „მეუნარგიას ცოტა არ უწერიან, მაგრამ ილიას სიცოცხლის დროს თითქმის კრინტიც არ დაუძრავს რაიმე მისი ნაკლის შესახებ, საზარელი მკვლევლობის შემდეგ კი მოიწადინა მისი თითქმის მიწასთან გასწორება“...

იაკობი მიანიშნებს იმ საზარელ როლზე, რომელიც ამგვარმა გამოხტომამ შეიძლება შეასრულოს ილიას ჯერ კიდევ გამოუძიებელ მკვლევლობაში...

იაკობი განსაკუთრებით გულდაწვევტილია იმ საზოგადოებაზე, რომელიც მშვიდად ისმენდა ილიას განქიქებას...

იაკობის ეს წერილი ძალაღსნეობრივი მნიშვნელობის წერილია... ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა იაკობის მეორე წერილი იონა მეუნარგიაზე („მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“)... იაკობი იძულებულია, იძულებულია იმიტომ, რომ რასაც

წესს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და არ უნდა დასჭირვებოდეს ქართულ საზოგადოებას ამის განმარტება... რომ „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ-ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“...

ლამის წონასწორობადაკარგული იაკობი ასე ამთავრებს ამ წერილს: „დაიცადეთ, ჭორიკანა ლილიპუტებო, და რომელიმე ქართველი ლიუისი აღმოახენს გულივერ ილიას ცხოვრებაში იმისთანა ფარულ კაცთ-მოყვარეობას, რომ თქვენს სირცხვილის აღში დაიწვებით, თუ ნიჭი სირცხვილისა სრულიად არ გაქვს დასმული“...

ილია აღარ არის; იაკობი დგას მედვრად მისი ღირსების სადაზღაჯოზე...

არ უნდა დასჭირვებოდა იაკობს ამკვარი წერილების წერა... ამიტომაც დანინახებს: „ილია ჭავჭავაძისათვის ღვთაებრივს შუბლში რომ ტყვია არ გვეთხლიშა იდიოტურის ხელით, და ახლაც ჩვენს შორის უოფილიყო“, რა გვიჭირდაო!...

* * *

როცა იაკობზე საუბრობენ, როცა იაკობის დახასიათებას ცდილობენ, თითქოსდა თავს ვაღდებულად თვლიან, ილიასთან შეადარონ, აკაკისთან შეადარონ. თქვან, რომ თითოეულ მათგანს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი შეუცვლელი ადგილი ეჭირა — საკუთარი, ორიგინალური, განუმეორებელი... და კიდევ, თითოეული მათგანის როლსა და მნიშვნელობას ისიც განსაზღვრავდა, ძალას აძლევდა, რომ ერთი-მეორის გვერდით იდგნენ. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა იოსებ იმედაშვილის მოგონება:

„და დღეს, როცა მთლიან საქართველოს გულისცემას ვუსმენ, მარად და ყველგან იაკობის გულისცემას ვგრძნობ!... როგორც მოქათათე მზის სხივები, მისი სახე ისე მესახება და ილია თუ ღრმა აზრის მჭედელი იყო, — ძილში ჩაფლული ერის გაღვიძებისაკენ მომწოდებელი, აკაკი — ერის გულში რწმენის ჩამთესი,

უკეთესი მეზმისის ნაწერწკალთა მკვესავი, მამულიშვილურ გრძნობათა კოცონის აღმგზნები, — იაკობი ორივე ამასთან ერთად, — ბნელში სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი, ერის საკუთარ შეგნების ფეხზე დადგომისათვის ეავარჯნის მიმწოდებელი!...”

დიდებული დანასიათებაა...

* * *

განსოვთ, რუსულ განეთში რომ დაიბეჭდა? — „აქამდინ ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე ამოსავლეთიდან ამოდისო, ახლა უნდა უსტევათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან — საქართველოდან ამოაშუქაო!...”

საქართველოდან ამოშუქებული ზნეობრივი მზე დიდწილად ილიანსა და იაკობის წყალობა იყო...

საუბარი მესამე: იაკობი და აკაკი

გავიხსენოთ 1897 წელს აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვა. ერთი ფრაგმენტი: „ჰატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნად არის მიჩნეული. გვაღვის ღროს ერთი ჰატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერდებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ ჰატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანდლებელიო. ...ის ჰატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე“.

„ის ჰატარა ცისარტყელა და ის ღრუბლის ნაგლეჯები“ იმერეთშიც გამოჩნდა 1840 წელს. 9 (21) ივნისს ზემო იმერეთში, სხვიტორში: როსტომ წერეთლის ოჯახში ვაჟი დაიბადა... 1840 წელი საქართველოს ისტორიაში ამ ფაქტითაც შევიდა: *აკაკი წერეთელი დაიბადა*.

ღირსსაღწობი ფაქტი: *1999 წელს პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ გამოსცა წიგნი „იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, რომელშიც 161-ე ნომრით როსტომ როსტომის ძე წერეთლის ოჯახია შეტანილი; „მისი ცოლი ეკატერინე; მათი ვაჟიშვილები: დავითი, იასონი, აკაკო. ქალიშვილები: ანა, მარა“ (გვ. 308). წიგნს თანდართული გამოკვლევებიდან: „ჩახედეთ ჰენი წიგნის სახელთა სამიებელს და დარწმუნდებით, რომ აკაკი (ან აკაკო თუ კაკო) იმ ღროს იმერეთის თავად-აზნაურთა შორის სხვა არავის რქმევია. აქედან კარგად ჩანს, რომ ამ სახელის შემდგომდროინდელი პროზაურობა და გავრცელება მთელ საქართველოში სწორედ აკაკი წერეთლის დიდი სიუვარულითა და ჰატვიცნევით აიხსნება“. „მთელ საქართველოშიო“, ამბობს ავტორი იმიტომ, რომ იშვამად სახელი – აკაკი არც გურიის თავად-აზნაურთა ოჯახებში გვხვდება (ეს წიგნი ბ-ნმა ზურაბ ჭუმბურიძემ 1993 წელს გამოსცა) და არც აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ოჯახებ-*

ში (ეს წიგნი ძნელად ვამოსაწყობად)... დღეს? 1997 წელს გამოცემული წიგნის „კვარ-სახელები საქართველოში“ (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე) მიხედვით 13415 კანს ჰქვია აკაკი, 1432-ს – კაკო... მართლაცდა ღირსსაცნობი ფაქტია...



იაკობი: აკაკი ანგარს სჩაბრეუდათ!...

აკაკი ვანხორჯილდოზული პაპუდიმუიდათხა!

აკაკი ჩაბრეული შიგნის თესვდემუიდათ იცდოზება!



Երկրորդ: ուրիշ շտաբանները իսկապես նաև իսկապես ինչ
 և ինչպես կրթություն հասնող, իսկապես նաև իսկապես
 ինչ քայլերով. ջանք ինչ մասնակցություն! ուրիշ շտաբանները
 չունենա ռեզու, իսկապես նաև նաև իսկապես ինչ
 ծախսերով!

„ის ჰატარა ცისარტყელა და ის ღრუბლის ნაგლეჯები" ქართლშიც გამოჩნდა 1840 წელს. 15 (27) ოქტომბერს შიდა ქართლში, ვარინაში, სიმონ გოგებაშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა... 1940 წელი საქართველოს ისტორიაში ამ ფაქტითაც შევიდა: *იაკობ გოგებაშვილი დაიბადა*.

როცა იმერეთი და ქართლი აკაკისა და იაკობის დაბადებით იწონებდა თავს, კახეთში გამოდარების ნიშანი — ცისარტყელა — უკვე სამი წლის მოვლენილი იყო; 1937 წლის 27 ოქტომბერი (8 ნოემბერი) უკვე შესული იყო ისტორიაში: კახეთში, უვარელში, გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში, ილია ჭავჭავაძე იზრდებოდა.

„ქართლ-კახეთი-იმერეთი...“

იაკობი-ილია-აკაკი...

უსარმაზარი წყალობა გაიღო ღმერთმა ქართველებისათვის.

ეს სამება — ილია, აკაკი, იაკობი — ნებისმიერი ერის ისტორიას დამძვენება...

* * *

ილია და აკაკი სმაურითა და ბრძოლით შემოვიდნენ საზოგადო ახანარეზზე. უამრავი საფიქრალი გაუჩინეს მშვიდი ცხოვრებით გართულ „მამათა“ თაობას...

და როცა XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთა შესახებ იწეებენ საუბარს, უპირველესად ჩვეულებრივ ილიასა და აკაკის ახსენებენ...

მაგრამ ახლა აკაკის მოფუსმინოთ: „მთელს საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერჯით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის დედაენაზე არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს დღეობით თუ განსავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუძაღლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ

ხალხს ქართული ენის სიტკბოება ეურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაუვარა. განა ეს ზატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუზოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის სამუშაოებით მედგრად იგერიებს ჩვენსედ მოსეულ მტერს...”

ღიას, ამას აკაკი წერეთელი ილიას სიცოცხლეში ამბობს თავისივე თანატოლი მოღვაწის – იაკობის – შესახებ... არ იყო ეს მხოლოდ აკაკის აზრი.

ცნობილია ისიც, რომ ილია იაკობს „ერთუნული სკოლის მონამკვეს, მეზრძოლეს, გაბედულ კალმოსანს“ უწოდებდა. მოდიტ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, კიდევ ერთხელ ჩავიკითხოთ ალ. ფრონელის მოგონება: „ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ ზასუნის ახლავუ მოითხოვდა... ილია თავის კაბინეტში შევიდა ზასუნის დასაწერად, გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა... ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა და წავგიკითხა, რაც დაეწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, სუთიექები...” როცა გაკვირვება გამოუთქვამთ იქ მეოფთ ამდენი დახარჯული დროის გამო, ილიას უბრძანებია: „იაკობ გოგებაშვილი ზატარა კაცი არ არის. ბევრი რამე, რასაც ის მოიწერება, ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედრი განდესო“. – ფრონელი არ აზუსტებს, ეს როდის იყო, მაგრამ არა აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა: შეუმცდარია აზრი ილიასი და უტყუარია შეფასება თანამოკალმისა.

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო ერთმანეთის ქებაში. ერთ-ერთ ხალამოხე იაკობს უთქვამს: „მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდებასა, რომელიც მე თქვენ მომიწავოთ. მე ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი გაძიკეთებია, მაგრამ თუ მართლა რამე გაუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელმეწეობით.

ჩინ-ორდენების მოყვარული ქართველები როდესაც თავს მესმოდნენ, ჩემი ერთადერთი იმედი, მფარველი და ნუგეშისმომცემი ილია ჭავჭავაძე იყო.

თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დახმარებით და ხელშეწყობით...

ამ საქმეში აგრეთვე დიდი დაშინაურება მიუძღვის საქართველოს ბუღბუღს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახელმძღვანელოების შედგენაში მუდამ აქტიურად მესმარებოდა. ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ეველა იმათ, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელებას...

* * *

უთქვით, ილია და აკაკი ბრძოლითა და სმაურით შემოვიდნენ სასოგადო ასწარესე...

იაკობმა მოკრძალებით შემოაღო ფართო კარები და თავის საქმეს მიაშურა — სკოლას. ილიასა და აკაკის მხარში ამოუდგა და იმ სფეროს სიმძიმე — ეროვნული სკოლა რომ ჰქვია — ძირითადად საკუთარ მხრებსე იტვირთა.

იაკობი 1863 წელს დაბრუნდა საქართველოში კიევიდან. 1865 წელს 25 წლის ჭაბუკი უკვე გამოსცემს წიგნს — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. როგორც ამბობენ, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ასე ახალგაზრდა კაცი ადგენს სახელმძღვანელო წიგნს, ანბანის სახელმძღვანელოს. მაგრამ ასეთი გამოჩაქისები ალბათ კაცობრიობის ისტორიამ იცის: საქმე გენიოსთან გვაქვს.

ღირსსაღწობი ფაქტი: ლევ ტოლსტოის 43-44 წლის ასაკში შეუქმნია საანბანო წიგნი და სიამაყით უთქვამს: „დაღწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანით“ სამარადისო ძეგლი დავიდგო“. ამას ამბობს კაცი, რომელიც იმ დროს ავტორი იყო რომანისა „ომი და მშვიდობა“ და იმ პერიოდში წერდა „ანა კარენინას“. მაგრამ, რაც იყო საანბანო წიგნის ფასი ერისათვის, იცოდა დიდმა მწერალმა და ამიტომაც იწონებდა თავს. ამ გადასახედიდან თუ დავინახავთ იაკობ გოგებაშვილის პიროვნებასა და ღვაწლს, კიდევ უფრო კოლორიტულად წარმოჩნდება მისი გრანდიოზული ფიგურა...

* * *

მაგრამ იაკობი ამ ზირველი წიგნით — „ქართული ანბანი“ — მხოლოდ ნიადგუს იმჟადებს იმ ძეგლისათვის, რომელიც „ბუნების კარითა“ და „დედა ენით“ დაიდგა.

აი, აქ სჭირდება იაკობს აკაკის თანადგომა და დანძარება. ვთქვით უკვე, ამ თანადგომისა და დანძარების გარეშე იაკობი ვერ იქნებოდა იაკობი. ამას თვითონვე ამბობს.

იაკობი კირილე ლორთქიფანიძისათვის გავზავნილ წერილს მინაწერს გაუკეთებს: „ამ ცოტა ხანში უნდა გაუგზავნო ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს გადაწერილი საქმავილო რუსული ლექსები ქართულს ენაზედ გადასათარგმნელათა. ლექსების ბლომათ ვაწერიებ და კაი ხანს წაართმევს ამ ჩვენ ჰოეტებს მათი თარგმნა. ამიტომ, ცოტა არ იუოს, ვეჭვნეულობ, ვაი თუ უარი მითხრან... არ შეიძლება, რომ თქვენ, ჰეტრემ და კიდევ სხვებმა ვინმემ გავლენა თქვენი მხრით იქონიოთ ამ ჩვენ ჰოეტებზედ და გადათარგმნა მოანდომებინოთ და დანძარებინოთ“?

ისევ კირილე ლორთქიფანიძისადმი მინაწერი სხვა წერილიდან: „მე შევიტყვე, რომ ა. წერეთელი სახლვანს გარედ არის. ვის მივმართო ლექსების გადასათარგმნელათ მის ძავიერათ, არ ვიცი“. ცხადია, იაკობისთვის აკაკი შეუცვლელია...

* * *

იაკობის სახელმძღვანელოს („ქართული ანბანი“) შესახებ მოგვიანებით ითქვა, რომ ეს „ქართული ჰედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში რევოლუციას უდრიდაო“ (ვ. რამიშვილი). თუმცა, ნამდვილი რევოლუცია ჯერ კიდევ მოსახდენია — „დედაენა“ შესაქმნელია.

იაკობი თავაუღებლივ განაგრძობს შრომას და 28 წლის ჭაბუკი გამოსცემს ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელოს — „ბუნების კარს“. ეს მეორე რევოლუცია იყო ქართული ჰედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

მთავარი მანინ წინაა („დედაენა“ შესაქმნელია)... აქ სჭირდება იაკობს აკაკისა და ილიას თანადგომა...

და, აი, ის მთავარიც: 1876 წელს გამოვიდა „დედა ენა“.

გავისხენოთ: 1894 წელს „ორხმიან სახანაღწლო ოპერეტაში“
ილია რეჟორ შექუძემ იაკობს:

„ჩემი აწ ცანით ეოველმან
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიხნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართულისა,
მაგარი, ვითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ერმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
დედა-ენა ჰირველაღვე
სიბრძნისაა ერთი დარგი.
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ერმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
დედა-ენა მით არს კარგი“.

ეს ჰაროდია იაკობსა და ილიას შორის ურთიერთობის ნათელი მაგალითია; დიდი აღიარება იაკობისა ილიას მიერ.

ილიას აზრს თუ რა მნიშვნელობა აქვს, იცის იაკობმა. ილიას აზრი აკაკის აზრიცაა და ამიტომ მოიხსენიებს ჩვეულებრივ წევილად. მათი (ილიასა და აკაკის) წყალობით ვარ, თუ ვარო...

სახსეროდან აკაკი წერეთელი წერილს მისწერს იაკობს. ფრაგმენტი წერილიდან: „...რა არის, ნუ ხარ ეგოისტი, ერთი აქეთკენაც დაენახვე თვალთ ჩვენებურ ბავშვებს!... გუშინ ერთი ზაწაწინა მესობლის გოგონა მეკითხებოდა შენს შესახებ: ბელატია (მელატია) თუ არა იაკობ გოგებაშვილი? შვილები თუ ეავსო? გაწერომა თუ იცისო? და სხვანი... ნეტავი მაჩვენაო და მეც შენს პორტრეტს დავპირდი. დიდათ გაინარა, ცალკე მინდაო, თვარა „ფერწულიანი“ არის ჩვენს სახლშიო; „ფერწულიანს“ თურმე სხვებთან რომ ხარ, იმას ეძახის. თუ გაქვს, გეთაყვა, შენი ჰატარა სურათი, გამომიგზავნე...“

არა მკონია, ამ წერილს კომენტარი სჭირდებოდა. და მანინე, ეს ურთიერთნატივისციემის, სიყვარულის, მოკრძალებისა და აღიარების მაგალითია, ღირსსაწინობი გაკვეთილი...

* * *

იაკობსა და აკაკის ხშირი მიმოწერა ჰქონიათ. ერთხელ იაკობს წერილი შეუგვიანებია აკაკისათვის. მოუბოდიშებს: „შენმა უმაწვილმა მეგობარმა გიგო დიანამიმემ მითხრა იანვარში, რომ საუვერელოდ დაბრუნდებო (აკაკი ევროპაში იყო – გ. გ.), მე ეს მჯეროდა, რადგანაც მასთან ერთად დავივიწყე, რომ სანატრელი საზოგადოდ უოველთვის იგვიანებს, ან სულაც არ მოდის, და არასანატრელი კი მუდამ ჭენებით მოზბის. ამ ჭეშმარიტების დავიწყება იყო მიზეზი, რომ წერილი ვერ მოგწერე...“

შეუგვიანდებათ ერთმანეთის ნახვა და „სანატრელს“ წერილებით ესმაურებიან; ნახვის ნატურას ამით იკლავენ...

აკაკი: „თუ ვინიცობაა მოიცალო და მოგინდეს ჩემთან წერილის მოწერა, რომელიც ჩემთვის სასიამოვნო იქნება, აი ჩემი ადრესი...“

იაკობი: „გიგოზანი აწელსინებს, რადგანაც გავიგე, რომ კიდევ გიყვარს და კიდევაც გარგებს. „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებაო“, სთქვა ქართუელმა ჰოეტმა, რომლის სიცოცხლის, სიმრთელის და გამარჯვების მონატრულია იაკობ გოგებაშვილი...“

აღბათ ამ შემთხვევის გამო იგონებს იოსებ სრესელი: „ერთ დღეს იაკობმა მეგობრის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, ძალზე შეწუნდა და სასწრაფოდ გაუგზავნა სხვიტორში ჰატარა ბარათი და მცირედი მოსაკითხი. დიდი დრო არ გასულა, როდესაც იაკობმა გრძნობით აღსავსე წერილი მიიღო სხვიტორიდან, რამაც გაახარა მეგობრის ავადმყოფობის გამო დადარდინებული იაკობი. აკაკი იწერებოდა: „ძმაო იაკობ, არის ხოლმე ისეთი გარემოება, როცა აღამიანი მადლობასაც ვეღარ ახერხებს. შენი მოსაკითხი სიცოცხლის წილად მივითვალე, იმდენად დაკმაყოფილდა ჩემი ზნეობრივი მხარე“.

კვლავ წერილების დიალოგი:

აკაკი: „ხანდახან კი მომენატრება ხოლმე, როგორც მარტოსულს, ზოგიერთ ჩემი ნაცნობის ნახვა და მათ რიცხვში შენი ვე-

ღაზე უძალ. არ გეგონოს, რომ იმერულათა გწერდე!... აკაკურა-
და გწერ, მხოლოდ გულის აეოლით... თუ მოვაწიე გაისამდე,
ეგებო გაგანედვიო, როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება!...
იმედი კი არა მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებ და ვიძახებ
ოთანებს, სწორეთ, შენი გემოს საკადრისს“. მოგესხენებათ, თავი-
სი ჯანმრთელობის გამო, იაკობი ძირითადად თბილისშია, ვრიდებ
ბა წასვლას... ამიტომ არა აქვს იმედი აკაკის..

* * *

ზირადულ, ერთი შეხედვით, მხოლოდ სათავისო ზრობლეკებს-
საც უმხელენ ერთმანეთს, თითქოს თავიანთი მოქმედების დასტურ-
საც სთხოვენ: აკაკი იაკობს მისწერს — „...მარსელში შვილი და-
მინვდა. არ ვიცი, მე მომეგება თუ ჩემ ჯიბეს? თუ ჩემ ჯიბეს, შე-
მცდარა, რადგანაც მე ვოველთვის და ვეველვან კნიაზური ჯიბით
დავდივარ!...“ ასეთი გულისტკივილი კანცმა შეიძლება მხოლოდ
უანლოეს ზიროვნებას გაუმხილოს. იაკობია ასეთი ზიროვნება
აკაკისათვის.

იაკობიც ფიქრობს და ზრუნავს აკაკის შესახებ. ზრუნავს აკა-
კის ფონდის დარსებაზე. ვალერიან გუნიასადმი მიწერილი წერი-
ლიდან: „სტატია გაუგზავნე საიუბილეო კომიტეტის მდივანს
ფინანსალავას, რადგანაც იგი შეეხებოდა აკაკის ფონდსა. გაიცა-
ნით ეს სტატია და თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთ თქვენს ალმანახს-
ში“... (1908 წელი).

იაკობს აფიქრებს და აღარდებს აკაკის მდგომარეობა. ამიტომ-
მაც აიძვრებს და გულს უკეთებს მას; ერთი წერილიც: „დღეს შენ
ცოტა ზენიმიურს მდგომარეობაში გნახე და ძლიერ გამიკვირდა.
გამიკვირდა იმის გამო, რომ შენს ზენიმიურს არავითარი საფუძვე-
ლი არა აქვს. ექიმების საერთო აზრით, რომელიც მათ გამო-
სთქვენს კრებაზედ, შენი ჩინებული აგებულება გიქადის ხან-
გრძლივს და საღს სიცოცხლესა. სწორედ ამის გამო დაგენიშნა
შენ ზენიად თვეში თხუთმეტი თუმანი, წინააღმდეგ შემთხვევაში
ბევრად მეტს დაენიშნავდით. დაენიშნავდით იმის გამო, რომ სრუ-
ლი იმედი გვაქვს მხურვალე თანაგრძნობისა და სიუხვისა ქართუ-
ლის სასოგადოების მხრივ. გარდა ამ ვოველთვიურის ზენისისა,
კომიტეტი იკისრებს დაკამოფილებას ბანკისას, რომელშიც დაგი-
რავებულა შენი მამული. ერთი სიტყვით, შენ სრულიად დამპვი-

დებუდი უნდა იყო, და შეკიდლიან იფიქრო მხოლოდ შენს მომავალს ზოეტურს ქმნილებებსზე, რადგანაც შენისთანა ოლიმპიელისათვის ამისთანა ფიქრი საუკეთესო ღონისძიებაა მაღალის მშვიდობიანობისათვის, რაც შეადგენს შენთვის აუცილებელს ზირობას დროიანად გამრთელებისათვის“.

ეს წერილიც უკომენტაროდ უნდა ჩავიკითხოთ, ალბათ...

* * *

ერთი უჩვეულო კომპლიმენტიც ზირობი წერილებიდან: აკაკი სწერს იაკობს: „...სხვათა შორის მოამბის №11 გადავიკითხე და ძალიან მომეწონა. სწორედ კარგი ნომერია. მაგრამ გვირგვინი კი ეველა სტატეების „ნაცნობის“ სტატეაა. მე შენი სტატეა მგონია და მართალია თუ არა? მაგრამ რომ შენი არ გამოდგეს, უფრო მოხარული ვიქნები! მაშინ ერთის მაგიერ ორი იაკობი გვეულებს!!!“

მარამ დემურისას საუმაწვილო წიგნების გამოცემა განუხრახავს და აკაკისათვის მიუძმართავს. აკაკი სახსერეშია. აკაკის ამ საქმისათვის შესაფერისად იაკობი მიუხსნეია. წერილს მისწერს იაკობს: „...საუმაწვილო წიგნები უნდა გამოფსცეთ ქალებმად და დავგვხმარეო!... მე რა ავტორიტეტი ვარ, რომ აქ მომწვდენ? შენ მანდ არა ხარ? შენ უკეთ მოახერხებ საუმაწვილოსაც და სავაჟკაცოსაც?... გეთაუვა, თუ მოგმართონ, ზურგს ნუ უჩვენებ...“

ზატვიმოუვარეობა და ამბიციბა შორსაა მათგან. საქვეურო საქმეს ასე სჭირდება: ვინც უკეთ შეძლებს ამა თუ იმ საქმის გაძლოლას, საქმე მან უნდა აკეთოს. ამის მაგალითი თავად იაკობსაც მოუცია:

გასეთ „კავკასში“ იანოვსკის წერილი გამოქვეუდა ჩვენს ქვეუანამი სახალხო სკოლების მოწეობის თაობაზე. იაკობი წერს: „ზასუხის დწერა რედაქციამ მე დამავალა; მაგრამ მე მიუგუე: საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართუელმა ვასცეს ზასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ეველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მიუტან; სამაგიეროდ როცა ამ დღეებში იანოვსკის ზლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა. ასეთი განაწილება შრომისა ილიას და ჩემს შორის ზირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველს ქართულ-რუსული ანბა-

ნი და ზირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწვევით მასხრად ავ-
გებდო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“ და კიდევ შევასრუ-
ლეთ ორივე და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელშივე გაწვალდა“.

ბედნიერი შემთხვევაა: გვერდიგვერდ მოღვაწეობენ ილია, აკა-
კი და იაკობი. იციან ფასი და ძალა თავიანთი თავისადაც და ერ-
თმანეთისადაც. საქვეყნო საქმეს ინაწილებენ და იმარჯვებს ეს სა-
ქვეყნო საქმე...

ერთმანეთის ძალასა და ენერჯიასაც უფრთხილდებიან. ანტონ
ფურცელაძემ 1909 წ. გაზეთ „Тифлисский листок“-ში წერილი
გამოაქვეყნა ბანკის მუშაობის თაობაზე. თავის თავზე ბევრი რამ
მიიწერა და სხვისი ღვაწლი მიჩქმალა. აღაშფოთა ამან იაკობი
და გაზეთ „Закавказье“-ში საპასუხო წერილი დაბეჭდა. აკაკიმ
მისწერა იაკობს: „შენი წერილი ანტონზე წავიკითხე, რას იხარ-
ჯებოდი? ვინ შენ და ვინ ანტონი?...“

როგორ მიმართავენ ერთმანეთს... იაკობი თითქმის ერთხაი-
რად იწვევს ზირად წერილებს — „ძვირფასო აკაკი!“ ერთადერთ წე-
რილს იწვევს ასე: „ბატონო აკაკი!“ ამ წერილში საუვედურია
გამოთქმული აკაკის მიმართ: „...რომელმაც ჭორიკანა ჭინჭრანა
დაგარწმუნა, რომ მე „ივერიაში“ ვითომ მსურვალე მონაწილეობას
ვიღებ...“ და მისთანანი. ითქვა საუვედური, იმართლა თავი იაკობ-
მა და წერილი ტრადიციულად, აკაკისადმი სიკეთის სურვილით
დაასრულა: „ივერიის“ სხვადასხვა მძიმე შეცდომაში თუ დანაშაუ-
ლობაში, მე იმდენადვე ბრალი მიდევს, რამდენიც შენი სასლ-გა-
რის გადაბუკვაში. ქართული გლეხის აზრით, ქონების ცეცხლით
გადაბუკვა — ზატრონის დღევრძელობას მოასწავებსო. ვინუკემთ
ამ ტუბილი იმედით მაინცა. თქვენი ყოველი სიკეთის მონატური
იაკობ გოგებაშვილი...“

ღირსსადაც იაკობი ფაქტი: ერთი ზირადი წერილი შემორჩა იაკო-
ბისა ილიასადმი. ასე იწვევა: „ძმაო ილია“ და საერთოდ, ჩვენი
კლასიკოსების ეპისტოლარული მემკვიდრეობა შესასწავლია, თუნ-
დაც მიმართვის ფორმები. ბევრი რამ ჩანს საგულისხმო ამ ფორ-
მებში...

აკაკის წერილებში მეტი მრავალფეროვნებაა: „ძმაო იაკობ!“ „ძვირფასო მეგობარო იაკობ“, „წარსულის ძვილო, მოძველის მამა და მეობადის გადიავ, ძმაო იაკობ!“, „ბატონო იაკობ!“ ამ შემთხვევაშიც ბატონობით მიმართვა განაწვევებული აღრესანტის ჰოციციის გამოძღვანებაა: „მიკვირს და გამკვირვებია, რომ ის განუთი, სადაც შენ მსურვალე მონაწილეობას იღებ, კიდევ მაინც ასე წინდაუხედავად წაიკუნტრუშებს ხოლმე!..“

აქაც ჩანს თითოეული მათგანის ჰიროვნება... განუმეორებელი და სანიმუშო ურთიერთდამოკიდებულება.

ზირად წერილში მისწერს იაკობი აკაკის: „საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემს წიგნშიც არ მოიპოვება არც ერთი სიტყვა, არც ფრაზა, რომელიც ნათქვამი იქოს სახელის გულისათვის. ეოველ შემთხვევაში მე სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩემი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი. ეს შენ კარგად იცი და მინდა, რომ სხვებმაც შეიგონ...“

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ფასობს, თუ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებ: „ზირადათ ჩემთვის სულ ერთია, დღეს აღარ ვიქნები თუ ხვალ, მაგრამ ის კი მწეინს, რომ, როდესაც დავმწიფდი, ჩავჯექი გრძნობა-გონებაში, მაშინ უნდა შევიქმნე უძლური და ურგები ქვეყნისათვის...“ ამ დარღსაც აკაკი იაკობს გაუმხელს ზირად წერილში...

არ არის შემთხვევითი ეს განდობა ერთისა მეორესთან.

* * *

იაკობი ხანგრძლივად ავადმყოფობდა. 1912 წლის 14 მარტს ანდერში შეუდგენია (1 ივნისს გარდაიცვალა). თავისი ქონება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უანდერმა და მასვე დააკისრა ანდერძის ჰირობების დაცვა. ერთ-ერთი ჰირობა ასეთი იყო: „წერა-კითხვის საზოგადოება“ „ეოველწლიურად აძლევეს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც ჰორორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში“ და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილა ამ ჩემი გამოცემისათვის...“ იაკობმა ანდერძში ჰერსონალურად მოიხსენია თავისი და — ეფემია, დისშვილები გიორგი და კონსტანტინე, მისიშვილი შალვა და აკაკი წერეთელი! საგულისხმო ფაქტია...

აკაკის ბედმა არგუნა, გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვა იაკობისთვის. ასე დაასრულა სიტყვა: „აქ კი ილაღადებენ შენი ნაშრომი და დაწება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეულ იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად ხსენებული შენი...“

იუვენე მოღვაწენი, იცოდნენ ფასი ერთმანეთისა და გვიტარებდნენ სამომავლო გაკვეთილებს ერთმანეთის შეფასება-დაფასებაში.

ერთმანეთში არ დაობდნენ? არ კამათობდნენ? ეველაფერში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს? არ იყო, რა თქმა უნდა, ასე...

* * *

გავიხსენოთ ცნობილი ზაქარია აკაკისა და იაკობს შორის ენობრივ საკითხებზე. ესეც გავიხსენოთ: ზოგადი ზოწიციან თაობისა, ილიას თაობისა, საერთოა: ენა უნიკალური ფენომენია და ეროვნულობის უპირველესი ნიშანი; მამულიშვილობა, მამულიშვილოვნობა დედაენის საღარაჯოზე მტკიცედ დგომა.

უფიქრობთ, დღევანდელ მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს მათი სიტყვა, საქმე და ქმედება; საუკუნისწინანდელი კულტურა ზოლემიკისა. ფაქტია: მათთვის არსებობს საზოგადო საქმე და უკანონოობა საზოგადო ინტერესებიდან გამომდინარე. ზიროვნულ სიმშათია-ანტიშათიებს ამ შემთხვევაში ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ. უფრო სწორად: ზიროვნული ურთიერთობანი, ზიროვნული სიმშათია-ანტიშათია ობიექტურ სათქმელს გვერდს არ აავლეუინებს. ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ძალზედ მკაცრი ტონი მოწაქერეთა; ერთი შეხედვით ზიროვნული ღირსების შემლახველიც, თითქოს, მაგრამ ეს მხოლოდ „თითქოს“... მათი ზირადი ურთიერთობები, მათი ზირადი დამოკიდებულებები ამით არ იცვლება, ეს მათ ურთიერთდამოკიდებულებასე უარყოფითად არ მოქმედებდა...

დღეს გაჭირდება მსგავსი მაგალითების მოძიება. ალბათ დრომ უნდა განვლო, რომ ჩვენი საზოლემიკო კულტურა იმ დონეზე ავიდეს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში რომ იყო...

ახლა კონრეტულად: ენობრივ საკითხებზე ზაქარია აკაკი და იაკობი.

* * *

1894 წლის 3 ივლისს გაზეთ „კავლის“ 28-ე ნომერში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის მომცრო წერილი „ჭრელი ფიქრები“. აკაკი ჩვეული იუმორისტული და ირონიული სტილით მიმოიხილავს გაზეთ „ივერიის“ 137-ე ნომერში დაბეჭდილ არაკს. არაკის ზეწონაქები არიან გუგული, ბუღბული და ვირი. წერილს ასე დაასრულებს აკაკი: „ერთი წუნი იმ ვირისა ის არის, რომ ქართული არ ჰცოდნია; მის ნაცვლად, რომ გუგულს უთხრას, ზირველ მკალობლად „აღვიარებო“, ის ჩიქორთულად ეუბნება „გაღვიარებო“. საგულისხმოა, რომ „ჭრელი ფიქრების“ ავტორი სანანალიზოდ აღებულები არაკის ავტორს არ ასახელებს. არადა, ავტორი „ივერიანში“ გამოქვეყნებული არაკისა იაკობ გოგებაშვილი იყო. ამიტომაც იაკობი ზასუსს გასცემს, „ზაწია სამაგიერო“ ჰქვია სანანუსო წერილს, რომელსაც ასეთ ეპიგრამას წარუმიძვარებს: „რომელითა სანჯაულითა მიუწეთ, მოგეწეთ თქვენ“. ეს ეპიგრამიც და სათაურიც იმას გულისხმობს, რომ იაკობი თავს იმართლებს და ენობრივ შეცდომებს დამებნის აკაკის წერილში.

აკაკიმ სადავოდ განხადა „გაღვიარებ“ ფორმის მართებულობა. მოდით ჩავუფიქრდეთ: ორი გენიოსი, საქვეყნო საქმეში ევლამდე ჩაფლული მოღვაწეები „იცლიან“ და ერთი ზმნური ფორმის მართებულობა-უმართებულობასე დაობენ, ზაქვრობენ... თითქოსდა მარტივი საკითხია „აღვიარებ“ არის სწორი თუ „გაღვიარებ“. შეიძლება ზოგ დღევანდელ „მოღვაწეს“ დიმილიც კი მოჰგვაროს ამ ფაქტმა (– მეტი საქმე არა ჰქონდათ?), მაგრამ როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის საკითხი უფრო ზრინციანულად დგას: საქმე სწორმეტყველებას ენება და ამ შემთხვევაში აკაკი თვალს ვერ მოუხუჭავს ვერავის შეცდომას... ასევე ზრინციანულია ეს საკითხი იაკობისათვის – მას ქართული დაუწუნეს! დიან, ქართული დაუწუნეს კაცს, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული ენის სამსახურს შეაღია... სხვა რომ არა იყოს რა, ამგვარი საქმიანობის კაცისთვის ეს თავმოყვარეობა-ზატივმოყვარეობის შელანვაცაა...

თუმიცა ნუ გავიგებთ ასე; იაკობი არანდროს ეოფილა ახირებული ზიროვნება; მე ასე ვთქვი და ესაა სწორიო – არ იყო მისი ზრინციანი. მართალია, იკონებენ, რომ „თავისნათქვამა“ იყო, მაგრამ „თავისნათქვამობა“ საკუთარი აზრის ჭეშმარიტებაში და-

წმუნებულობის გამოხატვა იყო. მისი თანამედროვენი არაერთ მაგალითს მოიყვანენ ამ აზრის დასტურად...

იაკობი ჰირადი ღირსების შელანხვად არ მიიჩნევს საკუთარი შეცდომის აღიარებას. ამბობდა, შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და უსაქმო მულისგუდაო!... ეს გენიოსთა დიდგაცურე თვისება იყო... არა თუ აკაკი წერეთელისაგან, რომელსაც იაკობი უადრესად დიდ ჰატოვს სცემს, არამედ ნაკლებად გამოჩენილი და ახალგაზრდა კაცისაგან მიუღია მას შენიშვნა.

იოსებ მჭედლიშვილი იგონებს: 15-16 წლისა ვიქნებოდი, იაკობს რომ გავუცხიო. „როდესაც ლაშარაკში შევეჩვიე, ისე წავთამამდი, რომ აქა-იქ ფრთხილად ენაც დაუწუნე მის სახელმძღვანელოებს... თქვენს წიგნებში ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილებიო... – აბა, სადა, მახვენო“, – უთქვამს იაკობს და „ბუნების კარი“ მიუწვდია; ცოტა არ იყოს, შეუფიქრდით, განაგრძობს ი. მჭედლიშვილი. დინჯად გადაუშლია წიგნი და უპოვია სასურველი – ამბავი გველზე, რომელიც ასე იწუება: „ვეუღამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ემაწვილკაცს შეუნიშნავს, ხალხი იტყვის: „ვეუღამ იცის, გველი შხამიანია ცხოველია“. ი. მჭედლიშვილს მსგავსი მაგალითები სხვაც დაუძებნია. იაკობს უთქვამს: „იცო, ემაწვილო, შენ მართალი ხარ, ზოგიერთ ადგილს არ უნდა „რომ“. მერე წიგნიც უჩუქებია და უთხოვია, რაც კი გასწორების ღირსად ცნო, გაასწორე და მომიტანო...“

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ იაკობს ჯილდო ჰქონდა დაწესებული, ვინც მის სახელმძღვანელოში შეცდომას აღმოაჩენდა, თითო შეცდომის აღმოჩენაში შაურს ჩუქნიდა; ეს მაშინ, როცა „დედაენის“ საანბანე ნაწილი ორი შაური ღირდა... წიგნის საფასურის ნახევარს აძლევდა საჩუქრად ერთი შეცდომის აღმოჩენს!

და ამიტომაც ერთი სადავო ზმნური ფორმის გამო – გაღიარებ თუ აღვიარებ – ჰოლემიკას უმართავს აკაკის... თუმცა, არა მხოლოდ აკაკის: იაკობის საზასუნო წერილს „კვალის“ სარედაქციო წერილი მოჰყვა. რა თქმა უნდა, აკაკის ემხრობოდნენ. შემდგომ იაკობს დაუპირისპირდნენ გ. წერეთელი, კ. დოდაშვილი და ს. ხუნდაძე. ამ ჰოლემიკის დროს 7 წერილი გამოქვეყნდა იაკობისა... დავის საგანი, გარდა აღნიშნული ფორმებისა, სხვა საკითხებიც გახდა.

იაკობი ჰრინციშულად იცავს თავს და ეველა სანასუსო წერილში აკაკის სახელი გაილეებს, როგორც ზოლემიკის წამომწეებისა და ამ ზოლემიკის ფარული წამქეზებლისა. აკაკის ირონიულ, ზოგჯერ ცინიკურ, ტონს არც იაკობი ჩამორჩება. ზოგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს მკითხველს, თითქოს დაუძინებელი მტრები ეპაექრებიანო ერთმანეთს. მაგალითად, აკაკის „ჭრელი ფიქრების“ სანასუსო წერილში „ნაწია სამაგიერო“ იაკობი წერს: აკაკის წერილი „შეთხზულია მხოლოდ წერილის კუდისთვის, რომელიც სწორედ მორიელის კუდს მოგავიწყებთ. აი, ეს გველიანი კუდი მთლად“ და იაკობს შეძგვ მოჰყავს ციტატა, ზევით რომ მოვიყვანეთ, ის ციტატა. იაკობის წერილის ამ ადგილს და საერთოდ იაკობის განწყობას აკაკი სანასუსო წერილში ასეთი ვარიანტით წარმოგვიდგენს: იაკობი ამბობსო, „აკაკიმ მორიელივით კუდი მოიქნია, ხეში გათახსირება მოინდომა; მოუმიზეზებია, უნდა დაბალ დობედ მხნოს, დამხავროს, უსაფუძვლოდ მიკებინოს და სხვანი“... აკაკი, რა თქმა უნდა, ამუქებს იაკობის აზრს. აქვე შევნიშნავთ, ასე გამუქება, ასე დამაბუვა სიტუაციისა სამსჯელო საგნის (დედაენის სიწმინდის) დიდმნიშვნელოვნობიდან გამომდინარეობს...

და აკაკი განავრძობს: „უნდა რომ დამხავროს, უსაფუძვლოდ მიკებინოს და სხვანი: თვარა მე ქართულში უცოდველი ვარ და სხვები კი ეველა დამნამავეო და მათ რიცხვში, რასაკვირველია, აკაკიცო, რადგან მის პატარ წერილში ათი მსხვილი და უტყუარო მეცდომა ვიპოვეო“. ერთგანაც და მეორეგანაც საკმაოდან ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიძლება და განაწევენების საფუძველი შექმნილიყო. მაგრამ სიტყვაზე გამოდევნება არაა მათი ჩვევა. ეს სიტყვა რად მითხარი და რად მაკადრო, არაა ამხე საუბარი... ეველასე დიდი შეურაცხყოფა, რაც შეიძლება იაკობს ანდა აკაკის მიაქენონ, ესაა ენის უცოდინარობის დაბრალება. ამას უნდა მივახერხათ ეურადლება. იაკობი წერს: „ვესელიანობას ჯერჯერობით თვალთ ავარიდოთ და მივაქციოთ ხვენი ეურადლება მხოლოდ ენის უცოდინარობის დაბრალებას“. აკაკი ასე იტყვის: „ვნახოთ ახლა, ან თავს როგორ მარტლულობს, ან მე როგორ მიძტკიცებს ენის შეიცობას...“

საგულისხმო ფაქტია და სადღეისოდაც სანატორელი თვისება კაცისა: *ქართველს ქართულის არცოდნა ეველასზე დიდ ცოდვად მიანხნია და დედაენის უცოდინრობაში მხილება, ეველასზე დიდ დანაშაულად...* და ეს იყო საუკუნის წინათ. ეს იყო ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟასა და ზოგი სხვისაც აქტიური ეროვნული ზოხიციის გამჟღავნება. მათთვის ჭეშმარიტი ქართველობის, მამულიშვილობის ერთ-ერთი გამოვლინება დედაენის ღირსეული ცოდნა იყო.

დიდად საინტერესოა ისიც, ვის ეკამათებიან ისინი, ვის თვლიან ზაქქრობის ღირსად. იაკობ ბურჭულაძე იგონებს: „*იაკობი ეკამათებოდა გიორგი წერეთელსა და დოდაძვილს, რომლებმაც უსაუვედურებს იაკობს: „ნმა ვერ ამოკვილია გოკებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაუკაურებო“.* იაკობმა სხვათა შორის უწასუსა: „*ოთხ კრიტიკოსში მხოლოდ ერთს ვაძლევდი ზახუსს. ეს ხვენი ზახუსი ეოველთვის იყო თავაზიანი, თუ კრიტიკოსი მართებულად გვეზერობოდა ხვენ და ხვენს წიგნებსა. მაგალითად, წარსული წლის ძაისში ერთმა ახალციხელმა ძახაულებელმა დაბეჭდა „ივერიაში“ ვრცელი შენიშვნები „დედაენის“ შესახებ. შენიშვნები იყო დაწერილი გულწრფელად (ვთხოვთ მიაქციოთ ყურადღება – ვ. ვ.)... სავანის სიუვარულით, მიუდგმოლად და მიუფერებლად. ხვენც ასეთივე შენიშვნები დაუწერეთ „მოამბეში“ და სრულის თავაზიანობით მოვეუპართ. ვ. წერეთელმა და დოდაძვილმა ხვენი დამცირება მოინდომეს და თვითონ იქმნენ დამცირებელი ხვენ მიერ“.*

აქ ამკარად გამოიკვეთა საზოლემიკო ზრინციანები იაკობისა: თავაზიანობა, გულწრფელობა, სავანის სიუვარული, ობიექტურობა („მიუდგომლობა“)...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ზაქქრობას აკაკისა და იაკობს შორის. ერთი შეხედვით, ისეთი შთანბეჭდილება შეიძლება დარჩეს, თითქოს აკაკისთან კამათში თავაზიანობის ზრინციანი ირღვევა: იქ გესლზე, მხამზე და მორიელობაზეა საუბარი. თუმცა ეს ერთი შეხედვით...

მაგრამ ჯერ აკაკისეული საზოლემიკო ზრინციანიც გავისვენოთ. იაკობის წერილს „*ნაწია სამავიერო*“ აკაკი უწასუსებს წერილით „*არ ცოდნა, არ ცოდვა*“. წერილს ასე იწვეებს: „*ბატონმა დოდაძვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავსკვენით ზირობა,*

რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მივკვამტებია – „სახსრომეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა ძვენიძნავდით ურიგო ქართულს, კვებნილებია ხოლმე. ზირველი სანიძეშო ისარი მე ვაპტეორცნე და იმ ისარმაც ეურთან ვაუზუზუნა ბატონ იაკობ სიმონიძეს (სიმონიძე, მოგეხსენებათ, იაკობის ფსევდონიმია – ვ. გ.); – აკაკი განავრძობს: ბატონი იაკობი ეურთან ისრის ვაუზუზუნებას როგორ აიცდენდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ მაინც ზირველად სიმონიძეს მიტომ გამოვეთანამაძეთ, რომ ის სხვებზე უფრო მესამხნევიან: ის ზრდის და ისა წვრთნის ქართულ ახალგაზრდობას, ენასაც ეველა მისკან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე მუცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას. ეს ჩვენი უმანგო აზრი და კეთილი განზრახვა იყო...”

აქედან გამომდინარე, აკაკისეული ზრინციში ზოლემიკისა შეიძლება ასეც ჩამოყალიბდეს: ნებისმიერი კრიტიკა და ნებისმიერი ზოლემიკა მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებად, თუ ის საზოგადო ინტერესს ემსახურება. ზიროვნულ, სუბიექტურ ინტერესებზე აგებული ზოლემიკა მანკიერი აზრია და ბოროტი განზრახვაო.

აქ ილიას აზრიც მინდა გავისესრო: „ჩვენი ქართული ენა ისე ვვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და თუ ღმერთი გავვიწერა და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიძვნას ხინარულით და მადლობით მივიღებთო“. ფაქტია: ძირითადი ზრინციში ერთია... ამის დასტურად ერთ ადგილსაც მოვიყვან აკაკისადმი იაკობის საპასუხო წერილიდან:

აკაკი ერთ-ერთ თავის წერილში წერდა, რომ ვაპირებდი „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ენობრივ გარჩევასაც, მაგრამ არ მინდა იაკობს ვაწყენინო და ამ განზრახვაზე ხელს ვიღებო. იაკობი უპასუხებს: „თუ მართლა ამ განზრახვაზედ ხელი აიღო აკაკიმ, დიდად გვაწყენინებს. ჩვენი გულითადი ნატვრა იყო და არის, მოვესწროთ როდისმე ჩვენის წიგნების გარჩევას შეგნებულისა და განვითარებულის ზირის მიერ. რადგანაც ამისთანა ზირთა მორის აკაკის ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, ამიტომ უკეთესს კრიტიკოსს ველარც კი ვინატრებთ. საძვეირო სიკეთეს ვეცდებით გადავუხადოთ დაუყოვნებლივ. ჩვენ ჯერ პასუხს ვუკვებთ, შემდეგ გავარჩევთ მის თხზულებებსა და დავაფანებთ შეძლებისდაგ-

ვარად მისს ენას. სიკეთის მეტს ეს, ერთმანეთის ნაწერის დაფასება, არაფერს არ მოიტნას". ამ მწვავე ზოლემიკაში ნათლადან გამოკვეთილი ზიროვნული ჰატივისცემა იაკობისა აკაკის მიმართ. ეს მთავარია, რომ კრიტიკა უკადრის ზოლემიკად არ გადაიქცეს. ასეთივეა აკაკის ზოზიციაც: „*ჩვენ დიდი ჰატივისმცემელი ვართ იაკობ სიმონიძისა და მისი წყენა სრულიად არ გვესიამოვნება*“, – აცხადებს და განაგრძობს ზოლემიკას... თუცა ცხელ გულზე აკაკისა და იაკობის კამათში მაინც გაიელვებს უსიამოვნო ტონი, მაინც დაირღვა თავაზიანობის ჰრინციანი... ამას თვითონვე გრმობენ და ცდილობენ, მკითხველის თვალში ახსნა მოუძებონ. იაკობი ასეთ რაიმეს წერს: აკაკი ამბობს, რომ მართალია, შხამიანი ისარი ვესროლეთ ერთმანეთს, მაგრამ ეს ისე მოგვივიდა, უცნაურად, ლამაზის, მანვილის სიტუვის სიყვარულითო და მე მჯერათ ეს; მეც ვეთანხმებო. როგორც ვხედავთ, წამოცდენილი უსიამოვნო სიტუვისათვის ბოდიშს უხდიან ერთმანეთს და გრძელდება ზოლემიკა. საინტერესო ტერმინებს გამოიყენებენ: *რივანი კრიტიკა, ნეოფიერი კრიტიკა და ანტიკრიტიკა*. ერთგან უკადრისი ზოლემიკაც ითქვა. თუკი ვინმე ქართული ზოლემიკური კულტურის ისტორიას შეისწავლის, უმდიდრეს მასალას მოგვცემენ ჩვენი კლასიკოსები ამისთვის.

დას, მათთვის ზოლემიკა არის საკადრისი და უკადრისი. უკადრისი ზოლემიკა იგივე ანტიკრიტიკაა...

ზემოთ საზოლემიკო კულტურაზე ვეჭონდა საუბარი; აკაკისა და იაკობის ზოლემიკას რომ ვისხენებთ (ასევე აკაკისა და ილიას ზოლემიკას), და ამ ფონზე საუკუნისმემდგომდროინდელ საზოლემიკო კულტურას გადავავლებთ თვალს, სამწუხარო რეალობის წინაშე დავდებით: წარსულის გაკვეთილებს უკვალოდ ჩაუვლია... მთავარი მიზანი დაიკარგა: ის, რასაც ეროვნული ინტერესი ჰქვია. ზიროვნულმა ინტერესებმა იმძლავრეს...

თუცა, ეს შორს წაგვიყვანს... ისევ საკითხს დაუბრუნდეთ, დავა ენობრივ ჰრობლემებზე აკაკისა და იაკობს შორის ერთი ზმნური ფორმის მართლწერის თაობაზე წარმოიშვა. გავისხენოთ: სადავო ის ფორმა გახდა, იაკობის არაკში ვირი რომ ეუბნება გუგულს – „*ზირველ მგალობლად გაღიარებო*“. გაღიარებ ფორმა მიუღებელია აკაკისათვის. უნდა იეოსო: ზირველ მგალობლად აღ-

გიარბობ. კაცმა რომ თქვას, ღირდა კი ამ ერთი ფორმის თაობა-
ზე ამდენი დაუა? მაგრამ, როგორც ჩანს, ღირდა. აქ ჰრინციანია
მთავარი. აკაკის მოწონებული ალგორებ ფორმა ისტორიულად
მართებული ფორმაა. საღმრთო წერილს მოიძველებს კიდევ აკაკი
არგუმიენტად, თუმიცა ეს არგუმიენტი იაკობისთვისაც ნაცნობია,
მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უდავოდ გასაზიარებელია იაკო-
ბის მსჯელობა: „საღმრთო წერილის ენაზედ მეთუ საუკუნდინ
აღარ სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს
როგორ დაუვებრუნდეთ, ხომ მთლად დამარხა მოგვიდებო ახლან-
დელის ცოცხალის ენისა ლიტერატურასა და საუბარში?“

რთული დრო უდგას ქართულ სალიტერატურო ენას: არა
გვაქვს ერთიანი ნორმები. ძირითადი ჰრინციანი ნათელია, თუმიცა
ცალკეული კონკრეტული საკითხების გარკვევა დიდ დროსა და
ენერგიას მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში იმ ენობრივი საფუძვლის
კვალიც იხენს თავს, რომელზედაც აღიზარდნენ. ამიტომაც, აკაკი
ზოგჯერ ისეთი ფორმის მართებულობასაც ამტკიცებს, სხვისთვის
რომ უდავოა (გავისხენთ აკაკის მსჯელობა „ჟოლიფერი“ სი-
ტუვის თაობაზე: ეოველი ფერი და არა ეველა ფერიო...), თუმიცა
ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალგორებ და გაღიარებ რომ არის,
საქმე სწავგვარდაა...

თუმიცა დიალექტური ვარნიანტების საკითხი მათთან მაინც
დგას. ერთ-ერთ საზოლექიკო წერილში იაკობი ამ საკითხზეც
მსჯელობს. ეტუობა, მას შეუძოწმებია საქართველოს თითქმის ევე-
ლა კუთხის წარმომადგენელთან და იმ ფორმის მართებულობა,
რომელსაც თვითონ უტერს მხარს, ეველგან დაუდასტურებია. მაგ-
რამ არ გავიკოთ ისე, რომ აკაკი ცდებოდა ამ საკითხში. ასე ხუ
ვიტევიოთ. აქ საკითხისადმი ჰრინციანული მიდგომაა განსწავებული.
მოცილე ფორმათა შორის აკაკი ისტორიულად უფრო მართებულს
ანიტებს უზიარტესობას. ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს სასა-
უბრო ენას. დღეს ნორმათა დადგენის მხოლოდ ეს ჰრინციანი არაა
გაზიარებული. თუ კლასიკოსთა ნაწერებში, საერთო-სახალხო ენა-
ში ძირითადად გავრცელებულია ისტორიულად თუნდაც არამართე-
ბული ფორმა, ნორმად მაინც ამას ვირჩევთ. მაგალითად: ნენ და-
ბოლოება რომ გვაქვს სუბიექტურ მესამე ჰირის მრავლობით რი-
ცხში – მოვიდნენ, აკეთებდნენ – გრამატიკული თვალსაზრისით

გაუძარტლებელი ფორმას; მოვიდენ, აკეთებდენ უფრო მართებულა. მაგრამ ფორმის გავრცელების სინძირე იქნა მიღებული მსგეველობაში და ნორმად მოვიდნენ, აკეთებდნენ ტიპის ფორმები დაკანონდა. სხვათა შორის ამ ფორმებსაც შეეხნენ ჰოლემიკის დროს. ასე რომ, დღევანდელი თვალსაზრისით (და ალბათ იმდროინდელითაც) იაკობის ჰოზიცია ჩანს მართებული. აკაკის თავგამოდება ენის ანტროპის შედეგი კი არ არის, არამედ ენის ისტორიის კარგი ცოდნის შედეგია! უბრალოდ: სხვადასხვა თეორიულ ჰოზიციაზე იდგნენ...

და მაინც, ღირდა კი დავად?

უდავოდ ღირდა. რეკორც ვთქვი, ჰოლემიკა აქედან დაიწყო. შემდეგ მრავალ იმ დროისათვის აქტუალურ საკითხზე იყო მსჯელობა. ეს ენება ცალკეულ მორფოლოგიურ ფორმებს, სიტუვათა რიგს, სინტაქსისა თუ სტილისტიკის მრავალ საკითხს. ეს საკითხები დღეს შეიძლება ასე აქტუალური არ იყოს, მაგრამ იმ დროისათვის უდავოდ ფასეულია და ღირებული.

ამგვარი კამათის განსხვავების დროს, თავისთავად, მაინც გაკრთება სურვილი — ამ ვრცელ და მრავალი საკითხის მომცველ კამათში სიმართლის სასწორი უმეტესად ვის მხარეს იყო გადასრული. ძნელია ახლა ამის რეკვა. ერთი რამის თქმა კი აუცილებელია:

იაკობს ეოველთვის სჯეროდა, რომ ის იყო მართალი. მისი მსჯელობაც ეოველთვის ანგუმენტირებული იყო. საწინააღმდეგო აზრის დასარღვევად ეოველთვის ცდილობდა დამაჯერებელი კონტრარგუმენტების მოყვანას. იოსებ იმედაშვილი იკონებს: იაკობი თავის სახელმძღვანელოში შეტანილ ეოველ სიტუვას, განსაკუთრებით ამ თუ იმ თავისებურ გამოთქმას, ამვლელსა და ჩამვლელს, დიდსა და ზატარას, სწავლულსა და უსწავლულს ჰკითხავდა, ჰრესაში არკვევდა...

ასე იყო აკაკის შემთხვევაშიც: აკაკის ეოველთვის სწამდა, რომ სიმართლე მის მხარეს იყო და საამისოდ არც ანგუმენტებს იშურებდა და არც ლოგიკურ მსჯელობას. ღვთის მადლით, ქართულ სიტუვასაც დიდოსტატურად ფლობდა და მკითხველის სიმართლაც მისი წერილის კითხვისას მისკენ იყო, თუმიცა... თუმიცა არ იყო იოლი ჰოზიციათა შეჯერება... ამის მიხეცი ისიც იყო, რომ

ერთიცა და მეორეს დაუნდობელი ზოლემისტია, სიმართლისათვის თავდაუსოგავი მებრძოლი.

მათი თანამედროვენი სავანებოდ განახავენ იაკობის ამგვარ თვისებას: „იაკობი ისეთი იყო, – წერს ი. იმედაშვილი, – მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყუებოდა, თუ მისი აზრი სავსეოდ მოეხვეწებოდა“... შიო მღვიმელიც გაიხსენებს მოგვიანებით: „იაკობი მუდამ ზირში მთქმელი კაცი იყო და დიდი ბოდიშები არ იცოდა... იაკობი სულ მუდამ თავისნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო“. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველთვის სიმართლეს იცავდა, რაიმე სუბიექტური მოსახრებით მართალ გზას გვერდს არ აუქცევდა...

ერთი საინტერესო ფაქტიც გავიხსენოთ: „დედაენაში“ მოთავსებულ ერთ-ერთ საკითხავ მასალაში ეწერა თურმე, რომ *ოფოფი კუკუს იძახისო*. გახეთქებმა განგამი ატენეს, ეს რას ასწავლის იაკობი ბავშვებსო. ოფოფი იმიტომ ჰქვია, რომ *ოფ-ოფ-ს* იძახისო. ნოტებიც კი დაუნატეს თურმე ერთ-ერთ განხეთში. ვერ დავიხსენებ იაკობი, ფაქტი ისაა, რომ ოზონენტებმა ვერ დანარწმუნეს იაკობი. იაკობს დაუბარებია იოსებ მჭედლიშვილი. „მივედი თუ არა, იაკობმა მაშინვე ოფოფზე ჩამომიგდო ლანჯარაკი. წყენით შემომჩივლა, – იოსებს იოსები, – ემაწვილო, გესმის, ეს ხალხი რას მიმტკიცებს“, ოფოფი კუკუს კი არა ოფოფს იძახისო. შენ, როგორც სოფლის შვილმა, მწერალმა, ხმა უნდა ამოიღოო“, დღეს შეიძლება ცოტა მხიარულად ჟღერდეს, მაგრამ იაკობისთვის მთავარი ისაა, რომ ვინც „დედაენას“ აიღებს ხელში, მას მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრას, რაც არ უნდა უმნიშვნელო ფაქტად ეჩვენებოდეს ვინმეს ეს... იოსებ მჭედლიშვილს იქვე უზანუხია, რომ იაკობი არ იყო სწორი. „მართლა? – გაკვირვებით უთქვამს იაკობს და დაუმატებია: შენ ტყუილს არ იტყვი, ამიტომ დავიჯერებო“ და შემდეგ რომელიღაც განხეთში დაუწერია კიდევ ამის თაბახე... იაკობის ზრინციანი ნათელია. მარკუს ავრელიუსს უთქვამს ასეთი რამ: „უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახვებს შენი შეხედულების მცდარობას. მაგრამ შეხედულების შეცვლის საბაბი უნდა იყოს რაიმე დიდი და ნათელი, როგორც, მაგალითად, სამართლიანობა, სასოგადო სიკეთისა თუ სხვა მათი მსგავსისათვის ზრუნვა და არა ის, რაც სასიამოვნოდ გიჩანს, ან

დიდებას გიქადის შენ". ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს მარკუს ავრელიუსი ჩვენი კლასიკოსების ცხოვრებას იცნობდა და ამის მიხედვით გააკეთა ეს დასკვნა...

თავისნათქვამა კაცი იყო, როცა წერენ, ახირებულობას კი არ გულისხმობდნენ, საბუთიანობა უუვარდა და უსაბუთო მსჯელობას ვერ დაეთანხმებოდაო, ამას აღნიშნავენ. მას არც ჰრეტენზია ჰქონდა ეოვლისმცოდნისა. ამას მოყვანილი მაგალითებიც აღასტურებენ. აკაკისადმი საშასუხო წერილიდან ერთი ადგილის მოძველიებაც შეიძლება: *„ენაში ხომ ვეოჭლობთ და ვეოჭლობთ ვეულანი, მავრამ ეს არ შეადგენს ჩვენს მთავარ ნაკლს. მომაკვდინებელი ჩვენი სენი უფრო სხვაა. ჩვენ ძლიერ ღატაკნი ვართ ნათელის აზრითა, მიმართულებითა, გარეგეულის მიხნით. ჩვენი ენა კიდევ ჭარტალობს, ხოლო თავი კი ცაღიერობს. ამის გამო ჩვენი ლიტერატურა წყალწყალა მეჭამანდის მოვავონებთ, რომელშიც ლობიოს მარცვალი თითო საათობით უნდა ეძებოთ. კალმის ასს ნაწარმოებში 99 უთავბოლო ებედობაა და სხვა არაფერი... ამის გამო საჭიროა ენის გარდა მინარსიც გავხადოთ სავნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებს“.*

ასე რომ, ჰაექრობა ჩამთავრდა, სათქმელი ითქვა. აკაკიმ თავისი ამტკიცა, იაკობმა — თავისი. ამ კონკრეტული საკითხების განხილვა არ არის ჩვენი მიზანი, ჩვენ ზოგადი ზოზიციები და ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებები გვანინტერესებს.

ჩამთავრდა ჰაექრობა, თუძცა იაკობი ახალ ჰაექრობაში იწვევს აკაკის (*„ენის გარდა მინარსიც გავხადოთ სავნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებს“*). გამოდის, რომ ამ ჰაექრობით ნაწეენი არ რჩება. და აღბათ იმიტომ, რომ რაღაც გაირკვა, რაღაცას ნათელი მოუფინა; ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზები დაილანდა. ამისთვის იდავეს, იკამათეს, გაცხარდნენ კიდევ... ცოტა მოგვიანებით იაკობი დაწერს: *„აკაკი წერეთელსა და ჩემ მორის დაწეებული ხარჯძლივი ზოღეძიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეოვბრობად იქცა“.*

აქ ერთი საკითხიც არის ძალიან საინტერესო: მათი ჰიროვნული ურთიერთობები და მათი საზოგადო ანშარესზე შეხვედრები. ჰირად ურთიერთობებში ჩვეულებრივი აღამიანები არიან: დავა-კა-

მათით, ჩხუბით თუ კინკლავობით. საქმე საქმეზე რომ მიდგება, იცინა ერთმანეთის ფასი, ზატივისცემა... ბევრი მოგონება შემოგვრჩა. რა თქმა უნდა, ვენდოთ ავტორებს. მით უმეტეს, როცა ავტორი ისაა, ვისთვისაც აკაკიც და იაკობიც უდიდესი ავტორიტეტები არიან...

შიო მღვიმელი იგონებს: „ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოებაში აკაკი, ანტონ ფურცელაძე და კიდევ ერთი სხვა მუსიკობდნენ. მე წიგნის საწილობში მოძინდა განსვლა. ჩემი იქ არყოფნისას რა ილაპარაკეს, არ ვამიგია. გაიარა სულ მცირე დრომ და იაკობიც შემოვიდა თავის ჩვეულ ვადაზე.

– აი, აკაკი, იაკობიცაო, – სთქვა გულმოსვლით ანტონმა და მივარდა იაკობს მწარე სიცილით და ვეკიდრებით: კაცო, ის რაები გილაპარაკნია ჩემსედაო.

– რა? რა მილაპარაკნიაო!

– აი, ეს მენ და ეს აკაკიო და მოუკვა.

აენტო გოგებაშვილი, დაიწყო ცხვირში ფრუტუნე, ერთი რანძალა და ღონე ჰქონდა დასცხო იატაკს ჯოხი და უთხრა:

– აკაკი, მენ ნამდვილი ჭორიკანა დედაკაცი ხარო... უთხრა სხვა მრავალი სიტყვების ზირიდან ცუცხლის ერთი და მიანხერდა ძრისხანე თვალებით. და რომ აკაკისგან ვერაფერი ზახუნი ვერ მიიღო, ფუ, მენს კაცობასო და გაუარდა ვარეთ.

– აბა, ამის შემდეგ რაღა გითხრაო, უთხრა აკაკის ანტონმა და ისიც გაჰყვა იაკობს უკან.

აკაკიმ ჩაიღიმა თავისებურად და სთქვა: ერთი კოჭლი, მორე გოჯიო, აბა რა უნდა ველაპარაკო მავათო და დაიწყო სხვა რამეებზე ოხუნჯობა...”

ესეც მორიგი ოხუნჯობა იყო აკაკისი, როგორც ჩანს. ცნა-ღია, ამგვარი რამ მათ შემდგომ ურთიერთობაზე არ იმოქმედებდა.

ყოველგვარ ასეთ განუძრებასა თუ, ერთი შეხედვით, უსიამოვნო განაქრებას გადასწონის თუნდაც ერთი სოტბა ერთ-ერთი მათგანის მიერ მეორის მისამართით თქმული. ზემოთ გვეჩინდა საუბარი, როგორი ზატივისცემით ეპრობიან ერთმანეთს ოფიციალურ გამოსვლებში, ზირად წერილებში. იოსებ სრესელი იგონებს: „იაკობს აკაკის მოსწრებელი სიტყვების გაგონებაზე გულს დარდი გადაეურებოდა. აკაკის ენამახვილობას ბევრჯერ გაუკენწლია იაკო-

ბიჭ. დიდი თაყვანისმცემელი იყო იაკობი აკაკის ზოეტური ნიჭისა. როდესაც დანახავდა ქუჩაში მხრებგამლილ ამჟღად მიძვალ ჭალარაშკავერცხლილ მკონასს, თვალები გაუბრწვინდებოდა სიხარულისაგან და აღტაცებით წამოიძახებდა: „*ავერ, ვამონდა ქართული ზოეზის ფეხადგული იალბუზიო!*“ წერლიც აქვს იაკობს ასეთი სათაურით – „*იალბუზი ქართული ზოეზისა*“; როგორც ჩანს, მოსწონდა თავისი მივსება და ხშირად იმეორებდა მას.

ხედავთ ვთქვით, ერთ-ერთ ზირად წერლილს აკაკი ასე იწვევს: „*წარსულის ძვილო, მოძველის მამავ და მეობადის ვადიავ, ძმაო იაკობ*“. სწორედ აკაკის შესაფერისი დახასიათებაა და, რა თქმა უნდა, იაკობს რომ ეკადრება, ისეთიც...

წერლიში „*იალბუზი ქართული ზოეზისა*“ იაკობი წერს: „*აკაკის ძალადი ბუნება იტევს თავის წილში არა ერთს კუთხეს ხვევის სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს. აკაკი ზატარა საქართველოა.*“ იაკობი ფრთხილობს, არ გადააჭარბოს და ჭეშმარიტებას არ ასცდეს. ამიტომაც იქვე დააზუსტებს: „*ძვრამ ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დაუხსაკუთრებთ, რადგანაც თვით აკაკის სასიხარულოთ და ხვენდა სახუგემოდ, ზატარა საქართველონი სხვანაც ვევაუს, რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა*“. იაკობი ამ ჩამონათვალში, ცხადია, თავის თავს არ შეიტანდა... ხვენ ვთქვით ის, რაც ჭეშმარიტებაა: იაკობიც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ბარათაშვილისა და ვაჟას დრად – ზატარა საქართველოა. მისი ძალადი ბუნებაც „*იტევს თავის წილში არა ერთს კუთხეს ხვევის სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს*“.

* * *

და კიდევ: ასიკო ცავარელს სცოდნია თქმა იაკობზე: ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და მერე იტეოდო: „*ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარ-ბასარა დარაჯი ჰეავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებსო, არავის გაანარებს, თუ ჯიბრზე მიღვა საქშეო*“. ამას იაკობზე ამბობდა. იაკობს გვერდით ილია და აკაკი ედგენენ...

არადა, როგორ სჭირდება დღეს ქართულ ენას ასეთი „ასარ-ბასარა დარაჯები!...“

საუბარი მეოთხე: აკაკი და ვაჟა

1913 წელს გაზეთ „თემში“ (№ 111, 18 თებერვალი) აკაკი წერეთელი აქვეყნებს ლექსს „ვაჟა-ფშაველას“:

„ენას ვიწუნებ, ფშაველო,
მკოხანო ძაღალ მთისაო,
თუძე კი გვითესავ მარგალიტს!...
მკითხველიც იმას მკისაო!
ჯერ არ ვეოფილვარ ფშავეთში,
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;
შენ დამიხატე ის მხარე
ფშაურის ჭკუა გრძნობითა.
და რაც არ გადმოგიცია
მის შვენებაზე ენითა,
მე თვითონ მივსვდი ეოლიფერს,
შენთანვე აღმაფრენითა.
ვიცი, რომ ფშავის სოფელი
წმინდაა ძაღალ მთისაო,
ენა – მეტყველი სიძარტლის,
გულ-მკერდი ფოლადისაო.
წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,
სადღეისოდ სჭრის კალამი...
გადაეც ბარის მკოხნისგან
მთიულეებს ძმური სალამი“.

იმავე წელს, სამიოდე თვის შემდეგ, „სახალხო გაზეთში“ იბეჭდება ვაჟას ლექსი „დაგვიანებული ზასუნის აკაკის“:

„ბევრი ვიფიქრე ძალიან,
თუ რა ზასუნის გამეცა
შენთვის, მნცოვანო ზოეტო,
ღლეცა ვფიქრობდი, ღამეცა.
როს დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავზარი ღამეცა:“



ჩვენ არ უკითხვოდგავარ ამხვედრში,
მეგონებ ჩი ვიქნებენ უნებნითა;
მინ ღამებისგან და მხარე
ამხვედრის ძველ უნებნითა...
ვუფლავს ბაბონს მუხონისგან
მთავრდებენ მხარე სდგამი.



Յրճան մտկայիս եսքս զս
դեմ մտնե զս ետնեմ,
մի ստեղծող իմ զտան ստ զբերանե,
տղս խտտողտան ջրտանե...
Եր միջմտնեմ, ստ ջրտնեմ
մտտանե պտտողտա ետնեմ.

სიტყვა, მოსული სათქმელად,
 ენიდან მოძწედა, გამექცა,
 დაუღონებულვარ ძალიან,
 თითქოს სახლ-კარი დამექცა.
 რაღა? რა ღმერთი გამიწერს
 მარგალიტების მფლობელსა,
 რომ თავის უშნო ენითა
 ველარ ვავონებ მძობელსა?
 ბუღბუღლისათვის გალობა
 დაუწუნია რომელსა?
 მარგალიტების მფლობელი
 ენასა ხმარობს ღონედა
 და როცა მარგალიტს სთესავს,
 ან თუ ავკებს ეორედა,
 მაინც ის არის, რაც არი
 ჭორები მოაშორეთა!
 იქნებ მე, ჩემმა ენამა
 სამშობლო დაუღონეთა?
 ფრთები შეაკვეცეთ ოცნებას
 დაუამხეთ, დაუამონეთა?
 უვარგისობის მიზეზი
 ფშავლობა არის სწორედა.
 მოძღვნილი არის მთის მიერ,
 ხამოტანილი ქარისა,
 რატომ არ ჰგუობს, არ ვიცო,
 ამ ჰანვს ბუნება ბარისა?!
 აქაც სომ ქართველები ვართ,
 კვაილი აქაც ჰევავისა,
 ხატად ჰეავ, სალოცავ ხატად,
 მთიელთ სამშობლო თავისა.
 და ენა მთისა სიმტკიცით
 მხვავსია კლდისა სალისა;
 იქნებ აკლია, არ ვიცო
 ამ ლომს სინაზე ქალისა?
 ამისთვის დასავლობია

და წახალციხე წყლისა?!
 კანტი მეტყველი, მგრძობელი,
 ცხოვლად ამხელი თვალისა,
 ამკვარის ამბის მოწამე,
 შევდრეკე, დაუმუნჯდე ლამისა.
 მაინც წინ მივალ, მაინცა
 არ მეშინიან შარისა,
 გულს მისვენია ხატადა
 ენა მთისა და ბარისა.
 მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
 თუა ქართულის გვარისა.
 მოთაყვანე ვარ ეოვლისა
 იმათ ტკბილის და მწარისა.
 სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,
 დამხშობი მზის და მთვარისა,
 სამშობლოს დამამხობელი
 და გამომჭრელი კარისა...
 სჯობს, რომ იმაზე ვიტყვით,
 მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
 ნუ შევაშინებთ, არ ვაფხებთ
 მთიდან ვვირბილი ხარისა".

ეს ლექსები საყოველთაოდ არის ცნობილი; იმდენად ცნობილია, რომ შეიძლება ამჟამადაც აქ აღარც მოგვეყვანა, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გადავხედოთ ორი ლირიკული შედევრი; კიდევ ერთხელ გადავხედოთ მათ; დაუკვირდეთ მათ შინაარსს, სტილს, ტონს, მიზანდასახულობას და შემდეგ განვაგრძოთ მსჯელობა...

ამ ზოეტურ ნაწარმის შემდეგ ვინც კი ვაჟა-ფშაველას ენობრივ სამეაროს შეჭნებია, ვისაც ვაჟას სტილის თაობაზე უმსჯელია და, საერთოდ, ვინც კი გენიოსი ზოეტის შემოქმედებას დაუფიქრებია, აკაკისა და ვაჟას ზოეტური ზოლეპიკისთვის გვერდი არ აუვლია; იხსენებენ ამ ნაწარმებს და აფასებენ მას. თუმცა... დიან, თუმცა დასკვნები არაერთგვარია; მეტიც, ზოგჯერ დიამეტრულად საპირისპირო.

* * *

ამ ზაქრობამ იმთავითვე მრავალ ტყუილ-მართალსაც მისცა დასაბამი, ბევრი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია.

იოსებ იმედამიღილი მოიგონებს აკაკისთან საუბარს:

„ერთხელ შეგვეკითხე:

– ბატონო აკაკი, მაშატივთ, მაგრამ მინდა შეგვეკითხოთ: ვაჟა ახე რად განადგურეთ.

– ვაჟა ვაჟანადგურე?

– დიახ.

– რით, როდის?

– ენა რომ დაუწუნეთ.

– დასაწუნია და მიტომაც დაუწუნე... სხვებზე როგორ შევკადრებ განადგურებას?

– ხალხმა კი ახე გაიგო: რაკი აკაკიმ ვაჟას ენა დაუწუნა – განადგურაო; მოგესხენებათ, საქართველოში არავისი სიტყვა ისე არ სჯერათ, როგორც თქვენი...

– ძლიერ შეცდება, თუ ვინმე მომაწერს, ვითომც ვაჟას განადგურება მენებოხ... ზირიქით, როგორც მოლუაწე-მწერალსა და ნამდვილ ქართველს, ძნელად თუ ვინმეს ზატავს ვცემდე, როგორც ვაჟას... ეგ ისეთ ვმირად ჩამებეჭდა გულში, რომლის მსგავსს სხვას ვერ ვხედავ, რადგან მაგას სიტყვა და საქმე ერთი აქვს!... ენის დამახინჯება კი არავის უნდა ეზატოხ, – ენა უნდა იეოს ერთი, ნამდვილი ქართული, ხალხის, წმინდა წყარო... მაგან კი ფშავ-ხევსურების კილოკავეები შემოიტანა, რომელიც არავის ესმის... ეს კუთხური გამოთქმანი არ გამოგადგება...

– ამ მხრივ სხვებიც რომ სცოდნენ... – მიუხედავად და კრძალვით შევხედე.

– სხვებიც, სამწუხაროდ... საკუთრივ მეც ქე მაქვს აქა-იქ იმერული, მაგრამ იშვიათად, როცა ამას ტიპიურობა მოითხოვს. ეგ მამაცხონებული კი წრეს გადასცდა: ქართული გააფშავ-ხევსურია...

შეკამათება აღარ შევკადრე..."

მოგონებათა ავტორებს უნდა ვერწმუნოთ, ოღონდ სიტყვასე ნუ გამოვედგინებთ – ეს მაინც სხვისი სიტყვით ნათქვამი აკაკისა თუ ვაჟას აზრია...

სიკო ფაშაღაშვილი იკონებს: ვაჟას „ცნობისმოყვარედ შევე-
კითხე – ზაზირის სწავა დაგვიწვია-მეთქი?

– არა, კაცო, ჯავრიან გულებზე ზირს ვიბოლავ, რომ სიტყვა
უნდილი არ ვამოვიდეს. როგორ არ გავჯავრდე? სიბრტე მივალ,
წინა მხედრება – ენა დაგვიწუნაო, მავ კაი კაცმა, რაღა ახლა მი-
ველა?

– მე ვიფიქრებდი, ეს ლიტერატურული ვამომხაურება იყო.

– ვიცნობდა ქოხორი, თუნდ დიდმარხვის ლოცვა დანარქვი,
ე, მე კი უნახუნობას ვერ ვუბრძობდი და...!”

მოკონებებში ზოჯავრ ისეთი ფარაზებიც ვაკრთება, მხელი
დასაჯვრებელია ამგვარ ფარაზათა რეალურობა. გულქან რაზიკამ-
ვილმა თქვაო: „წაიკითხა მამამ, არ ვინც, ლექსი აღარ მახსონ,
გაზეთში იყო, აკაკიმ რო დაუწუნა. ენას მიწუნებს აკაკუნაო, –
იხა თქვა. არ იყო ხასიათზე ცუდზედ, არა.

დიდხანს ვიფიქრე მავაზე, თუ რა ზანუხი ვამცნაო.

მე რატომ არ ვჭწუნობ მავათ ენასაო, რაებსა სხნაზნიანო,
– იხა თქვა...” გულქანს აზრი ახსოვს; ცხადია, სიტყვიერი ვამო-
ხატვა მისია (გულქანისა)... არა მგონია, ვაჟას მინაურობაშიც
რომ ეთქვა ასე აკაკის შესახებ...

სიკო კურდღელაშვილის (ნარკანის) მოკონებიდან: ვმსჯე-
ლობდითო „– რუსთაველიდან დაწყებული დღემდე ქართულმა ენამ
მრავალი დევნა და ცვლილება განიცადა, მავ რამ ხალიტერატურო
ენა მაინც ჩამოყალიბდა; ჩვენი ენის ღირსება ის არის, რომ სა-
საუბრო და სამწერლო ენა ერთმანეთისაგან არ არის დამორბეუ-
ლი, როგორც ზოგიერთ სხვა ენებში. რუსეთში ხალიტერატურო
შემოქმედი ჰუშეინი იყო. ჩვენცა ვვაჟს ხალიტერატურო ენის
შემოქმედნი: ილია, აკაკი...

– ზეჰლების ზოეტებისა არა მწამს რა, – კვლავ ჩაურთო ვა-
ჟამ.

– საქმე ზეჰელა კი არ არის, არამედ ის, რომ მკონის ნა-
წერი ხალხის გულს ჩასწვდეს, ჩვენი ქვეყნის ვეკლა კუთხისათვის
განსაგები იყოს, – ესა ხალიტერატურო ენის ღირსება...

– რუსთაველის ენა მთამია შემონახული, ფძაუ-ხვესურეთში,
რაჭაში, ხევში, აღბათ სვანეთშიც. ამ ენას უნდა უფრთხილდებო-
დეთ თვალის ჩინივით! – არ ისვენებს ვაჟა”.

ისევე იმ ზოლემიკის გამომახილი და ისევე მოულოდნელი ფრანგები...

* * *

მწარედ რომ განუცდია ვაჟას აკაკის ლექსის გამოქვეყნება, ფაქტია (ცუდ ხასიათზე არ იყო, კი ამბობს გულქან რაწიკაძე-ლი, მაგრამ...). აკაკის ლექსი განუთმი გამოქვეყნდა 18 თებერვლის. 19-21 თებერვალს ვაჟა ქუთაისშია, ილიას საღამომი მონაწილეობს. დავით კლდიაძევილი, ქუთაისში მისი უპირველესი მასწავლებელი, მოიკონებს: „საღამოს ძივანცილოთ სადგურაძდი და ვაკისტურმრეთ თბილისში, სადგურისკენ მიმავალმა სხვათაძორის მი-თხრა:

– ახირებული ადამიანი აქ ხვენი აკაკი! დამიწერო „ენას გიწუნებ, ფშაულო“. კაცო, მე ამ ხემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ხემს ლექსებში და ზოგებში! თუ ენაც დასაწუნია, მამ არაფერი ეოფილა და ბარემც ასე თქვი ზირდაზირ და ის იქნება! უცნაური კებნა იცის ზოლდე! – ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა“...

ზოგი რამ, როგორც ხანს, დაზუსტებას საჭიროებს: ს. ფაშა-ლიძევილი ამტკიცებს, ქუთაისში რომ იყო ვაჟა, წაკითხული არ ჰქონდაო აკაკის ლექსი: „ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ ვაჟას საინტერესო ლიტერატურული „მოულოდნელობა“ დაუწვდა: „გახეთ „თემის“ 1913 წლის 18 თებერვლის ნომერში მოთავსებული აკაკის ლექსი „ენას გიწუნებ, ფშაულო“ მან გორში ჩასვლისას წაკითხა. სხენებული ლექსი ვაჟას ქუთაისში მოვ საურობის დღეებს ეძთხეოდან, მაგრამ ეტეობა, რაღაც ტექნიკური მიზეზების ვაძო „თემი“ რამდენიმე დღის დავვიანებით ვამოსულიყო და გიმნაზიის მოწაფემ, ვაჟას შვილმა ლევანმა, კიოხვიდან იმ დღით ვამოიტანა...“

ვაჟა „თემის“ წაკითხვის შემდეგ ერთგვარად ვაწბილებული დარჩნა, ზანუხიც დააპირა, მაგრამ „სახალხოს“ მესვეურების რჩევამ შეახერხა – „ამ საკითხზე კაძათის აღძვრო აკაკისთვის საწეენი არ ვამოვიდენო“, დაამოძმინეს ვაჟა და ჩარვალს წავიდა“.

აღბათ, არსებითი არაა წვრილმანი დეტალების ასე ჩამოება, ასეთი სიზუსტე. მთავარი ვაჟის რეაქციანა: არ ეოფილა მისთვის იოლი ენის დაწუნება. თუძცა, ისიც ვთქვათ – არსებითია, ვინ გამოთქვამს საუვედურს. აკაკის სიტუვას მეტი წონა აქვს მისთვის და ამიტომაც მოხვდა მწარედ მისგან ნათქვამი საუვედური, თორემ...

მოდი, აქაც მოვონება მოვიშველიოთ. შიო მღვიმელი: *„ერთხელ სუფრასე მანძიამვილმა ვაჟას მოავონა ის ამბავი, როცა მწერალმა მელიტონ გობეჩიამ „სახალხო ფურცელში“ დასაბუჭდად მიტანილი ლექსი დაუწუნა და არ დაუბეჭდა – „რითმები არ ვივარგაო“, ვაჟას ამ ამბის განხეება სიცილადაც არ ეყო“.*

აქ გულქან რაწიკაშვილისეული დასასიათებაც მინდა გავიხსენო ვაჟასი: *„თუ ადამიანი არ მოსწონდა, არც აუად ასხეამდებოდა და არც კარგადა“.*

დიან, ეს უწირველესი ზირობა იყო ორივე კლასიკოსისათვის – აკაკისთვისაც და ვაჟასთვისაც: თუ შემოქმედი არ მოსწონდა, არც აუად ასხეამდებოდნენ და არც – კარგად.

* * *

აკაკისა და ვაჟას ურთიერთობას ამ ლექსების გამოქვეყნებამდე დიდი ხნის ისტორია აქვს. ისინი ზატვიისმცემელი და დამფასებელი იყვნენ ერთმანეთის გენისა. ამ თვალსაზრისით, ალბათ, სხვაგვარ კომენტარს საჭიროებს ვალაკტიონის აზრი: *„აკაკის არაფერი არ სწამდა ვაჟა-ფშაველასი და ვაკვირვებას ეძლეოდა, როდესაც ხედავდა ვაჟა-ფშაველას ტრიუშს. სამავიროდ ვაჟა მუხლს იურიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუნებდა მას აკაკის შეხედულება. ასეთია დიდბუნებოვან ხალხთა ცხოვრება“...*

–აზა, არ იყო ასე...

აკაკის ზემომონობილი ლექსი მოვიშველიოთ. გარდა ფრანსისა – *„ენას გიწუნებ, ფშაველო“* – ქება-დიდება ვაჟასი, ვაჟას შემოქმედებისა, მისი მშობლიური კუთხისა. ფაქტია, აკაკისათვის ვაჟა დიდად ზატვისადაცი შემოქმედი.

ვაჟაც რომ ზატვიისმცემელია აკაკისა, ამკარაა. გავიხსენოთ ქუთაისში აკაკის იუბილეზე თქმული ლექსი ვაჟასი:

*„...ძეც ამატირო ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა.
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დეღამა!...
მადლობელი ვარ გულითა,
მოთაის სულის ღხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანვი ვიკურთხოს ზენამა!”*

ანდა გავიხსენოთ: 1915 წლით თარღიდება ვაჟას ლექსები „უკანასკნელი საღამი (აკაკის ნემტს)“ და „მოწოდება“ (უძღუნა აკაკის სსოვნას).

ესეც ვთქვათ: ვაჟას აქვს „ჩანაწერები ქართველ მწერალთა შესახებ“:

*ანსტანია – ანუსხე-გადანუსხე.
კატო – ქალთა შორის კარგო.
ილია – იშვიათი ხილია.
იაკობ – „დედა-ენას“ ვშობ,
გრიგოლი – მუზების მიმყოლი...”
ჩამოთვლას კი ასე იწეებს:
„აკაკი – რა კარგი!”*

სამწუხაროდ, არაა მითითებული, რომელ წელსაა ჩანაწერი გაკეთებული. ამას, ალბათ, ამ ორი გენიოსი ჰოეტის ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს.

ფაქტია: აკაკისათვის ვაჟა მარგალიტების მთესავი შემოქმედია, ვაჟისათვის აკაკი – ღვთის მიერ ნაკურთხი ჩანგის ჰატრონი.

კიდევ ერთი ქებაც გავიხსენოთ ვაჟასი აკაკის მიერ თქმული: „ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი ავლდეთ!... ზირ აქედ, უხვად არიან მადლით მომადლებული. ამ კრებულში რომ დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას ჰოემა „გოგოთურ და აფმინა“, ერთი უკეთესთავანია ძოლად ჩვენს მწერლობაში. წერილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი მძის ბანანასი და თედოსი, საზოგადოთ სამარგალიტო მარები არი-

ან... ზროზა ხომ კიდევ უკეთესი." რაზიკაშვილთა ეს სოტბა აკაკიმ 1899 წელს დაბეჭდა. ასეთ ფაქტსაც იგონებს დავით ფაღავეა: „აკაკიმ იმ ხალამოს განსაკუთრებული აღფრთოვანებით წაგვიკითხა ავთანდილის ანდერძი. ბევრი ილაშარაკა მოთაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, მის გმირებზე, შეძრევ აიღო ჟურნალ „მოამბის“ ახალი ნომერი, რომელშიც მოთავესებული იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი „სიმღერა“ და ცახელის რომელიღაც ლექსი: „აი, მაგალითად, ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი ძეუდარბეგელი ენით წერს ზროზად, ლექსის ენა კი მიუღებელია“.

გვთხოვა მიგვეცა ვაჟას ზროზად დაწერილი რაიმე ნაწარმოები. ჩვენ მაშინვე მიუუტანეთ ვაჟას „ფესვები“. აკაკიმ დაიწყო კითხვა. ვეღვანი სმენად გადავიქცეთ. ეს ნაწარმოები აკაკის წაკითხვის შემდეგ უფრო ლამაზად მოგვეჩვენა“...

ის მოგონებაც გავიხსენოთ, იოსებ გრიშაშვილმა რომ გამოაქვეყნა მოგვიანებით ამ სათაურით: „აკაკი, ვაჟა და ამინოვი“.

უფრო სწორად, იოსებ გრიშაშვილმა თარგმნა და გამოაქვეყნა 1911 წელს ჟურნალ „Закавказская Речь“-ში დაბეჭდილი მოგონება აკაკისა. როგორც ჩანს, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში რუსეთში თავი გამოიჩინა ერთმა ავანტიურისტმა და რეაქციონერმა ვინმე ამინოვმა. ეს რუსეთში მიღებული კანდი თბილისშიც ჩამოსულა. გახეთ „დროებაში“ სტატია დაბეჭდილამ ამ „თავსეხელალებულ ამინოვზე“, რომელიც ასე მთავრდებოდა: „იგი გვარწმუნებს, ჩემი ხანჯლის წვერზე მიუართმევ რუსეთს თეირანსო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში იგი მსმენელთა მხოლოდ სინცილს გამოიწვევს, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ჰოლიციამ მას ეურადღებას არ აქცევს“...

და ერთ მძვინიერ დღეს „ივერიის“ რედაქციაში მისულა ის ამინოვი. აკაკი წერს: „რედაქციის კანტორაში ვისხედით: თითონ რედაქტორი განსვენებული სერგეი მესხი, მე და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ახპარეზზე მაშინ ახლად გამოსული ჩვენი ცნობილი მწერალი ვაჟა-ფშაველა... როგორც მთიელს, მას ხობა ეცვა და ხანჯალი ეკიდა. უცნებ შემოვარდა ვიღაცა კანდი, ჩანსძული, ქერა, მანცინა თვალებიანი, გაზახურად გამოწყობილი და დაიწყო გააფრთხებული“...

მოკლედ, ევიროდა, იმუქრებოდა... ითხოვდა წერილობით ბო-
დიშის მოხდას... ხელი ხანჯალზე გაივლო... აკაკი განაგრძობს:
„რედაქტორი გაფითრდა, მე კი შევძინდი. მაგრამ ახალგაზრდა
მთელი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა
მთელ ამ სცენას, უცებ წამოხტა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი,
მალა აიტაცა და დაუვირა, ვის აშინებ შენი ხანჯლით, ჰა?
იცადე, შე უბადრუკო, ვიდრე ხანჯალს ამოიღებდე, თავს ათჯერ
წავაცლი!“

ხვენი „გმირი“, რომელიც თავისი ხანჯლის წვერზე თეირა-
ნის მორთმევას გვპირდებოდა, აშინარ რამეს არ მოელოდა, მას
უცბად მიავიწვდა თავისი ხანჯალი, კილა იცვალა და მთავრობას-
თან ჩვილით დაგვიწყო მუქარა.

მაგრამ ახალგაზრდა მთელმა დიდხანს ლაპარაკი არ დაიწა-
ლა, ჰკრა შანღური და კიბუებსე დაავარა... აშინოვი იმ დღიდან
თბილისში აღარ გამოჩენილა...

საოცარი სითბოთი, სიყვარულით, პატივისცემითა და სიამა-
ყით წერს ამ ვრცელ მოგონებას აკაკი...

* * *

ხემათ ხეპირგადმოცემათა ტყუილ-მართალი ვახსენეთ. ორი
შემოქმედის პაქრობა მავანსა და მავანს ეჭვს აღუძრავს მათ ურ-
თიერთდამოკიდებულებასე და უკვირთ, როცა ეს ეჭვი არ გამარ-
თლდება. ს. შანშიაშვილის მოგონებიდან: „მახსოვს, აკაკის ვუძარ-
თავდით იუბილეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა აკაკის პა-
ტივისცემად. მე და რამდენიმეს გვეგონა, რომ ვაჟა ამ იუბილესე
არ ხამოვიდოდა, რადგან აკაკიმ ვაჟას რამდენჯერმე აწეინა.
მაგრამ, უცბად, მოლოცვების დროს, სცენასე ვადმოეხთო ვაჟა და
სახეიმო ხმით დაჭყა.“

შეიძრა მთელი დარბაზი. წამოვიდა იარუსებიდან ზღვა ევავი-
ლები. მეგონა, თითქოს დარბაზი ინვრეოდა. ხოლო როდესაც გა-
ინძა:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა“;

ანდა:

„სამშობლოს სამსახურისთვის
ხანვი ვიკურთხოს შენამა“.

მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. აკაკი ვაჟასკენ წამოვიდა, ვაჟა — მისკენ და ერთმანეთი გადაკოცნეს. ძე ასე შევატყვე, რომ ორივეს თვალთაგან სიხარულის ცრემლი სდიოდა". არც შეიძლება სხვანაირად უოფილიყო, რადგანაც მთელი თავისი ცხოვრება ვაჟამაც იმ ზრინციანით გაატარა, რასაც აკაკი ასე ჩამოაყალიბებს ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილ წერილში: „შენ მეტყვი: დეე ცილი სწამონ და ხდევონ ხვენი ზირადობაო, მაგრამ ვერ გეთანხმები. რომ ხვენი ზირადობა საზოგადო საქმეებთან არ იყოს შედუღებული-შეკავშირებული, კიდევ ჰო, მაგრამ, როდესაც საზოგადო და ზირადობის გამოყოფა აღარ შეგვიძლიან, მაშინ ხვენის მხრით სულგრძელობა მოღალატეობად ჩაითვლება".

ამიტომაც არის, რომ, როცა ს. ფაშალიძეილი აკაკისა და ვაჟას ზაქარობის თაობაზე მსჯელობს, სიამოვნებით დასაკუნის: „ამრიგად, კამათი მათთვის შესაფერი ნამდვილი ლიტერატურული ფორმით დასრულდა. თავიანთი სიცოცხლის მწუხრის მოახლოებისას ორმა ბუმბერაზმა ერთმანეთს ლექსით უთხრა გულისხნადები. მაგრამ როგორც გამოწვევაში, ისე ზასუსში ზირადულს მაინც არ გადაუხრია ზომიერების სასწორი. ისინი ხვენი ქვეყნის ტკივილებზე, მისი კეთილდღეობის სურვილებზე შეესმაურნენ ერთმანეთს და ამით უთუოდ დავალებული დატოვეს ხვენი ზოეზიან".

* * *

როცა აკაკისა და ვაჟას საზაქარო ლექსებს ვეცნობით, რამდენიმე კითხვა იჩენს თავს:

რატომ ჰქვია ლექსს „დაგვიანებული ზასუსი“, მაშინ, როცა თითქმის ერთი-მეორის მიყოლებით იბეჭდება ერთსა და იმავე წელს (სხვადასხვა გაზეთში)?

რატომ ჩანს ვაჟა ასე გაღიზიანებული, განრისხებული, როცა აკაკის ლექსი, როგორც ვთქვით, გარდა ფრანზისა — „ენას გიწუნებ“ — ქება-დიდებას ვაჟასი, ვაჟას შემოქმედებისა, ვაჟას მშობელი კუთხისა?

ნუთუ ეს ფრანზა („ენას გიწუნებ“) არის მხოლოდ ამის საფუძველი?

არის კი „დაგვიანებული ზასუსი“ აკაკის მხოლოდ ამ ლექსის ზასუსი?

როგორც ჩანს, ზასუსი არცთუ მარტივი განსაცემია...

ზაქრობას აკაკისა და ვაჟას შორის უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. ვაჟას გულსტეკივილი და განაწვევება არ ჩანს მხოლოდ აკაკის დასახელებული ლექსით გამოწვეული. აკაკისა და ვაჟას შორის ენობრივ ზოხიციათა შეუთანხმებლობა უფრო აღრვა დაწვებული. ზევით ნაწვევტი მოვიუვანეთ აკაკის წერილიდან, ხოტბას რომ ასხამს რაზიკაშვილებს.

ეს გახლდათ ამონარიდი აკაკის კრიტიკული წერილიდან („ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“), რომლის ერთი ნაწილი არქიმანდრიტ კირიონისა და გ. ეიუშიძის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს („სიტუვიერების თეორია და ქრესტომათია“, 1898) ეხება. აკაკი მსჯელობას იწვებს ქრესტომათიის შემდგენლებისადმი საუეედურით: „დიდი შენდომაა გაურჩეულად რაზიკაშვილების ნაწერების ხანიძუმოდ შემოტანა სახელმძღვანელოში. ამით მე ის კი არ მიხდა ვთქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ“... და იწვება ხოტბა ვაჟასი და მისი ძმებისა, ზევით რომ მოვიუვანეთ, მაგრამ წერილი ასე გრძელდება: „საწყენი ის არის, რომ განვებ ამახინჯებენ თვითვე მათ ნაწარმოებს ქართულის გადაჯორჯვ-გადმოჯორჯვით და შივადამივ ისეთ რაშეებს ახორცმეცებენ, რომ მშვენიერებას საუწმინდუროთ ჰდაღვენ!... ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიძლირეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიძოხვრა!... ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს, ის უეჭველად ქართული ენის უმცნარია!... და ზმნებს სახოვადოდ, რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო ძართალი იქნება ვთქვათ, განზრახ არა ხმარობენ სისწორით, ამახინჯებენ და ეს უკუღმართობა სიტუვიერების გარეგანი ხხივ-ციხკროვნება ჰგონიათ!... ეს ზმნები: „ხაუხოცავის, გაურეკავის, გაუნედნებ, ავუნედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ“ და სხვა ამკვარნი, ნეტავი რა ფრაზებია და ღრამატიკულს რომელს კანონთაგანს ეთანხმება?... არ გავონებთ ეს რუსის მიხორთვილ ქართულს, როდესაც ის „წადის“ მაგივრად „ცაუდის“ ამბობს და „გაუაკეთებს“ ნაცვლად „გაუკეცინ მე-ს“!

მართალია, აკაკი ამ შემთხვევაში ბახანასა და თედოს ლექსებიდან მოიუვანს მაგალითებს, შემოდასახელებულ სახელმძღვანელოში („სიტუვიერების თეორია და ქრესტომათია“, თბილისი, 1898) რომ დაიბეჭდა, მაგრამ საუეედური ვაჟასაც ეკუთვნის, რადგან, როგორც ვნახეთ, რაზიკაშვილებზე საუბრობს და ვაჟასა და

მის ძმებს ერთად მოიხსენიებს („წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის ბანანასი და თედოსი“...).

მკაცრია აკაკი და დაუნდობელი ამ შემთხვევაში რაწიკაშვილთან მიმართ. წერილი 1899 წელს იბეჭდება „აკაკის კრებულში“ (№2, თებერვალი). უფრო ადრე, 1887 წლის ოქტომბერში, იონა მკუნარგისადმი მიწერილ წერილში აკაკი წერდა: „იხეთ რაძეს მკეთხები, რომ ზასუხის მიცემა ძნელია. „ენის მხრით რომელი უფრო მოვწონს შენი ლექსიო“, – მკეთხები, და მე დღემდე ბევრი მომწონდა, მაგრამ დღეს კი „ივერიაში“ ისე ამირია, რომ აღარც ვიცი, როგორ ვავარზიო... მე მკონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარჯა, რადგანაც ხემა ენა თურმე მოიიმერლებს და არა მოიხვესურ-მოიბანანავებს“. აქ აკაკი აშკარად ამქლავნებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას რაწიკაშვილების ენის მიმართ: „მოიხვესურ-მოიბანანავებს“ სწორედ ფშავ-ხევსურული დიალექტური ფორმების გამოყენებას გულისხმობს. მხედველობაში რაწიკაშვილების ლექსები აქვს, „ივერიაში“ რომ ქვეყნდებოდა.

სევით დ. ფალავას მოგონება მოვიყვანეთ, ზროზის ენას რომ უქებს აკაკი ვაჟას, ზოფიისას კი უწუნებს („მეუდარებელი ენით წერს ზროზად, ლექსის ენა კი მიუღებელია“) და ამის დასაბუთებას ცდილობს კიდევ. ხმამაღლა უკითხავს მსმენელს: „ეს ნაწარმოები („ფესვები“ – გ. გ.) აკაკის წაკითხვის შემდეგ უფრო ღამაზად მოგვეჩვენა, შემდეგ აიღო „მოამბეში“ მოთავსებული ვაჟას „სიმღერა“ და ენაში იმდენი უძარბებულა დაგვანანა, რომ ყველას ენა ჩაგვივარდა“.

ასე, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული კერძო საუბრებში, ზირად თუ კრიტიკულ წერილებში გამოქვეყნებულ ზოზიცინას, დამოკიდებულებას სალიტერატურო ენაში დიალექტური ფორმების ხმარებით გამოწვეულს, მოგვიანებით, 1913 წელს, ცნობილ ლექსში ამგვარ ფორმულირებას მისცემს: „ენას გიწუნებ, ფშაველო“... ვაჟას ლექსის ზათოსი, ტონი, როგორც ჩანს, ზასუხია არა მხოლოდ ამ ლექსისა, არამედ სწორედ აკაკის ზოგადი ზოზიცინისადმი რაწიკაშვილებისა და, კერძოდ, ვაჟას ენის მიმართ; ზასუხი ჩანს არა კონკრეტული ლექსისა, არამედ ადრე გამოთქმული შენიშვნებისა და კრიტიკისაც. „დაგვიანებულიც“ ალბათ ამიტომ უნდა ერქვას მას...

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ აკაკის ზოზიცისადმი, ვაჟას მიმართ აკაკის დამოკიდებულებისადმი გულისწერომა აღრეც გამომუშავა ვაჟას. 1901 წელს ვაჟა-ფშაველა „ივერიაში“ აქვეყნებს ლექსს „ლილინი“, რომელსაც აკაკის უძღვნი („უუძღვნი აკაკის“):

*„გაკაუდი, გულო,
გაფხაუდი, ენაუ!
ვერას დამაკლებ, შავთ ღროთა დენაუ!
სანამ მაქვს სმენა
და ზირში ქშენა,
ვერას დამაკლებს ძაღლების ღრენა!
სანამ მაქვს ჯანი
და ფეხზედ ჯლანი,
მუშაობს მკლავი და ტანზე თავი, –
მოკეთის ბაზმა
და მტრისთვის ავი
ვარ და ვიქნები.
მკვდარს რაღა მეზღვის?
ან რაღა მეთქმის?
ცოცხალს კი ესა გულს გამეთესა:
ველსა მტრის დანით
მომძეთა კუნესა!
მიტომ არ ვიშლი,
ენასა ვლესაუ
და მკლოვიანრეს ქართულსა ვთესაუ“.*

ვაჟას რამდენიმე ლექსი აქვს, რომელშიც სათაურს ქვევით ფრხნილებში მიანიშნებს, თუ ვის ეძღვნება ლექსი (უუძღვნი ძმამეგობარს, უუძღვნი შიო მღვიმელს, უუძღვნი თედო რაზიკაძეილს, უუძღვნი განდევილს, უუძღვნი ახალგაზრდა მგონებას და სხვა). ასეთი ლექსი ეგულა შემთხვევაში მიმართავა ზოცისა ლექსის აღრესატისადმი:

*„რე ვითხრა, ბიჭო, ისეთი,
არ ვაჯაჯავრო მსმენელი...“*
(თ. რაზიკაძეილისადმი)

*„მცირე რამ შემონაწიბო
მიიღე თავის ძმისგანა“...*

(მ. ძღვიძელისადმი) და სხვა.

ასე რომ, შემომოყვანილი „ლილინი“ მიმართვანა აკაკისადმი საკუთარი ენობრივი ჰოზიციის დასადავად („გაკაკიდი გულო, გაფხავდი ენაჲ!...“ „ენასა ვლესაჲ და მკლავიანრეს ქართულსა ვთესაჲ“)... შეიძლება ცოტა უცნაურიც გვეჩვენოს ასეთი ტონი, მაგრამ გავიხსენოთ, რომ 1899 წელს იბეჭდება აკაკის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული რაზიკაშვილების ენა. უურადღება უნდა მიექცეს ალბათ ლექსის სათაურსაც – „ლილინი“. ვაჟას ხუთ ლექსს აქვს სათაურად „სიმღერა“, მრავალს – ქვესათაურად; „ლილინი“ – ორადღორს. ერთი შემომოყვანილი ლექსია, აკაკისადმი მიძღვნილი, მეორე მიძღვნის გარეშეა:

*„იმ დღეს ჩიოდა „პეტრუსა“:
„ბევრი მეწვება ნისია“.
ვაჭრობის წესი ეგ არის,
ნუ ვახავრდება, ბიძია!...“*

ზოგჯერ განწყობა „სიმღერებისა“ და „ლილინებისა“ განსხვავებული ჩანს; „ლილინი“ ირონია გამოკრთის... ეოველ შემთხვევაში ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს... ფაქტია, აკაკისადმი მიძღვნილ ლექსს რომ „ლილინი“ ჰქვია, არ ჩანს შემთხვევითი ამქამად (თუძცა ცოტა მოულოდნელია და გაუგებარი ავერას დამაკლებს ძაღლების ღრენა...“).

ჟურნალ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას წერილს მისწერს ვაჟა-ფშაველა:

„ქალბატონო ანასტასია

14 მარტს მოწერილი თქვენი ბარათი დღეს, ორ აზრილს, მივიღე და მასუხსაც ეხლავე ვწერთ. სამდურავსა მითვლით, არ ვიცი, რად და რისთვის? „სხვან კაი მასალას აძლევთ და ჩვენ კი უხეიროსათ. ახლად დაბრუნებულმა რედაქციის წევრმა აკაკიმ დაიწუნა თქვენი მასალა“ და სხვ. და სხვ.

მე თვითონ დიდად ჰატოვსა ვსცემ აკაკის ნიჭს და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის, არც სხვას, რომ საკუთარი თავის ჰატოვისცემასზე ხელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობასზე, საკუთარს შეხედულებასზე ამა თუ იმ საკანზე. თქვენ კი ნურას უკანტავად, ბატონო ჩემო, ამ სიძარბოს თქმისთვის, სულ სხვაგვარად მოგხვლიათ საქმე. რაც მე მასალა წარმოგიდგინეთ, თქვენ ხომ მიიღეთ ის მასალა და კიდევაც უნდა დაგებეჭდათ, თუ საკუთარს თავს და საკუთარს აზრს რაიმე ფანსა სდებთ. ერთიც ვნახოთ, ხვალვე აკაკიმ ამ „რედაქციის წევრობას“ თავი დაანებოს, მერე მე და თქვენ რაღა გვეძულება! ხომ უნდა ვიზბინოთ კარიკან და სხვა დამფასებელი ვეძიოთ ამ ლიტერატურულ მასალითა. მამ რედაქტორობა რაღა გაუჩენია ღმერთსა?...“ – წერილი 1894 წლითაა დათარიღებული.

როგორც ჩანს, ვაჟას შემოქმედებისადმი ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება არ იყო იშვიათი და გამონაკლისი. ერთ-ერთ წერილში ქურნალ „ჯეჯილის“ რედაქციას მისწერს რედაქტორ-გამომცემელთაგან თავგანებებულნი ავტორი: „გთხოვთ უძრახილვანად, ბგერა „ჰ“ დაიცავით ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“...

ანდა: ნიკო კურდღელაშვილი მოიკონებს – „ივერიის“ რედაქციაში ხალხმრავლობაო. რედაქციის თანამშრომელი ძიო დავითაშვილი ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებს. „ვაჟა უნებ განხლტა დავითაშვილისაკენ და კალამს უტაცა ხელი:

– ციც, ძიო!

ძიომ საბოდიშო ღიმილი შემოავება:

– ვაჟა, საწეხნად კი ნუ მიიღებ და ვიფიქრე, იქნებ ასე სჯობდეს-მეთქი.

– ძიო, ჩემს დაწერილს განსწორება არა ხჭირდება; რაც დავწერე, დავწერე, ბასტა! არ მოვწონთ, ნუ დაბეჭდავთ, განსწორება კი არა-მეთქი!

ძიომ ღიმილით წამოიწყო თავისძარბობა, მაგრამ ვაჟამ სიტყვა მოუჭრა.

ლექსი ძიომ სტამბაში წასაღებ მასალასთან გადადო. ამ ლექსის სათაური იყო „ბებერი ლომი“. მაინც ისე უხრიკა დავითაშვილმა ვაჟას, რომ იმ დღეს ფელეტონის განყოფილებაში მია-

ეოლა ცანხელის ვრცელი ჰოემა, აკაკისებური, მსუბუქი სტილით დაწერილი, რითმაც მწეობრძი მოხდევდა ცანხელს..." – „უხრიკა" იმას გულისხმობს, რომ ვაჟას ენის თავისებურებათა „თვალსაზრისით" „აკაკისებური" სტილით დაწერილი ჰოემა დაუქნა გვერდით...

აკაკის შენიშვნებსა და კრიტიკას ვერ იფიქვებს ვაჟა, არაერთჯერ განიხილებს. 1908 წელს ქუთაისში აკაკის იუბილეზე წაკითხულ ლექსში – „აკაკის საიუბილეოდ" – ისევ განჰყენწლავს:

*„თუნდ არ მოვწონდეს, იქნება,
ხედი ფანდურის ხნაკუნი,
მიიღე, სარეკელასი
როგორც წისქვილში რაკუნი".*

ეს ის ლექსია, რომელსაც დიდებული ქებით ამთავრებს:

*„მადლობელი ვარ გულითა,
ძოთაის სულის ღხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანვი გიკურთხოს ზენამა".*

მაგრამ წყენა მაინც გამოკრთა. „არმოწონებაში" აკაკისეული კრიტიკა იგულისხმება რაზიკაშივითა ენის მიმართ.

კიდევ ერთ ლექსს მინდა უურადღება მივაქციო. 1913 წლის 20 თებერვალს ქუთაისში სალიტერატურო დილასზე ვაჟას წაუკითხავს ლექსი „იმერეთს", რომელიც ასე იწეება:

*„ერთხანად ხემა მძახავა,
ღიხს აქეთურო დედა" (ლექსი ქუთაისში იკითხება და ამიტომაა „ღიხს აქეთური". ნაბეჭდში „ღიხს იქეთური" ჩაუსვამს). რა ძრახვავა საუბარი (ხელნაწერის I ვარიანტში „მწევევარო" ეოფილა)? გერონტი ქიქოძე წერს ვაჟას შესახებ: „ეოველი მისი ახალი თხზულება აღტაცებას იწევეს ტფილისის გემოვანსნილი და მოწინავე ლიტერატორების ვიწრო წრეში; მაგრამ ამავე დროს ვახეთ „ივერიას", სადაც მისი ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, ვანსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მოდის ერთწიროვნული ან კოლექტიური მუქარის წერილები: მეწევიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბეჭდვა, თორემ ვახეთის გამოწერასზე უარს ვიტევითო.*

ეს არალოიალური და მტრული განწყობილება ვაჟასადმი შეძევაც კარგახანს არ შეცვლილა: მან ჯერ თავი იხიხა თვით „ივერიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის – მეკელის – ეოვლად უდიერ გალაშქრებაში ვაჟას წინააღმდეგ 1894 წელს, ხოლო უკანასკნელ დროს აკაკის ცნობილ ლექსში, რომელშიც ვაჟას ენა იყო დაწუნებული და რომელმაც ვაჟას მხრივ რაინდული და თავდაჭერილი ზასუხი გამოიწვია”.

ესეც ვთქვათ: ცნობილმა ქუთაისელმა მოღვაწემ სილოვან ხუნდაძემ ვაჟას მიერ ფშაური დიალექტიზმების გამოყენებას „დიდი ცოდვა და შეცდომა“ უწოდა.

* * *

აკაკის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნებისათვის“ ვაჟას წერილით არ უზასუხია კონკრეტულად: ეს ფაქტი აკაკისადმი მოკრძალება-ზატივისცემით უნდა აიხსნას, თორემ თავისი თაობის ჰედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, ზეტრე მირიანაშვილს, „ივერიაში“ 1888 წელს დაბეჭდილი კრიტიკული წერილისათვის „საერო ენა და სათემო კილო“ საკმაოდ მკაცრი ზასუხი გასცა ვაჟამ იმავე წელს „ივერიაში“. დავის საგანი აქაც დიალექტური ფორმების გამოყენება იყო.

მაგრამ აქ ვაჟა-ფშაველას ერთი წერილი გავისხენოთ, 1901 წელს „ივერიაში“ რომ დაიბეჭდა – „ენა“. ამ ბრწეინვალე წერილში ვაჟა თავის ენობრივ ზოზიცდას განმარტავს, თავის შეხედულებებს გადმოგვცემს... წერილი ასე იწყება: „ამ ბოლო ხანს ჩვენს საზოგადოებაშია: შეხედებით სამდურავს ქართული ენის შებლაღვიცა გამო“. შემდეგ წერს: „თქვენს უმორხილეს მონას, ამ წერილის ავტორსა, ხშირად გამოვინა ზოვიერთის ჩვენის მწერლისაგან სამდურავი – დამველებული, უვარვისი ფორმები ნუ შემოვავქვს მწერლობაშიო“... ხომ არ არის ეს წერილი ზასუხი აკაკის „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებზე“ (აკაკის წერილი 1899 წ. დაიბეჭდა)?... ვუფიქრობთ, კი...

ამგვარად, როგორც ჩანს ზაექრობას სამწერლო ენის თაობაზე აკაკისა და ვაჟას შორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ზოლექიკას საკმაოდ მწვავე ხანიათი ჰქონდა. 1913 წელს გამოქვეყნებული ლექსები, ჩვენი აზრით, „დაგვიანებული ზასუხი“ ზა-

სუხია არა კონკრეტული ლექსისა, არამედ ზოგადად აკაკის ჰოზიცისა რაზიკამფილების ენის მიმართ. „დაგვიანებულიც“ ამიტომ უნდა ერქვას ჰასუსს – ადრე სათქმელ ჰასუსად მიანხნია ვაჟას.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ დასაზუსტებელი ჩანს ასეთი დასკვნა: „იმ ერთმა სტრიქონმა (იგულისხმება: „ენას გიწუნებ, ფშაველო“ – გ. გ.) დაბადა ახალი საოცრება ვაჟას ლირიკისა „დაგვიანებული ჰასუსი აკაკის“ (ქელს). დასაზუსტებელია ის, რომ „ერთი სტრიქონი“ საბაბი ჩანს ამ ლექსის დაწერისა და არა – მიზეზი.

შენიშვნა: 1980 წელს ჟურნალმა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ საფიხვნო მოაწყო თემაზე: „ვაჟას ჰოეტური ქვეყნის მოსახლეულად“. მასში მონაწილეობა მიიღეს პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა. ერთ-ერთი ასეთი კითხვა იყო: „როგორ აცნობიერებინებთ მოწაფეებს ვაჟა-ფშაველას ენობრივ ჰოზიცისა“. ამ დისკუსიის მასალებიდან ციტატის მოხმობისას ქვემოთ მხოლოდ ჟურნალის სათაურს მივანიშნებთ (შემოკლებით: ქელს). აქ მოყვანილი ციტატაც ამ გამოცემიდანაა.

* * *

შემთხვევითია და კერძობითი ხასიათისა ის ფაქტი, რომ ასე აკრიტიკებს აკაკი ვაჟას დამოკიდებულებას სალიტერატურო ენისადმი?

ჯერ ერთი, დავინახეთ, რომ ვაჟას ენის მიმართ კრიტიკული აზრი მხოლოდ აკაკის არ გამოუთქვამს. ცნობილია, ილიამ ვაჟას თარგმანი დაუწუნა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისწერა: „თარგმანი „ორღეანელის ქალისა“ ძე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამკობას, მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვინმე გაანხჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“. ვუფიქრობთ ამ შემთხვევაში თარგმანის ენის საკითხიც უნდა იგულისხმებოდეს (თუ ჰოეტური მხარე?)... 1905 წელია.

ნუ გავიკვირვებთ და ნუ დაგვრჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვაჟას ენის მიძარბოთ იყო ასეთი დამოკიდებულება მსოფლიოდ.

არა, სალიტერატურო ენის საკითხი (უფრო სწორად, კარგი ქართულის საკითხი) მთავარია აკაკისა და მისი თაობისათვის. როცა აკაკი მწერალზე ან ნაწარმოებზე საუბრობს, უპირველეს ღიწმობად (და ნაკლადაც) დედაენის ცოდნას მიიხედავს. დაურიდებელია ამ მხრივ და ზირძიმთქმელი; თავად მოიგონებს ივანე მახაბულთან სტუმრობას: „ერთხელ სადილად ვიყავით იმასთან და სუფრასზე ჩამოვარდა ლაპარაკი მექსპირის შესახებ. ვანომ სთქვა: მეფე ღირი ზირდაზირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებულიო! – ზირდაზირ ინგლისურიდან რომ არის ნათარგმნი, ეტუობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს-მეთქი, ვუპასუხე მე. – ვაცხარდა, წამოვარდა ხეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გაშიტიანა წიგნი და დამიგდო წინ... აბა გვიხვენი შეცდომებო! ზირველ გვერდზევე მივუთითე. ვადაბრუნა მეორე, აქაც აღმოჩნდა... ჩაჭყა ამ გვარად და რომ ვამტყუნდა, უკმაყოფილოდ მითხრა: „რა ვუყოთ მერე, ვანა შენ ნაწერებში კი არ არის შეცდომები თუო?“ მე ხიცილი დავიწვე და ვუთხარი: „აქ სიტყვა ჩამოვარდა მეფე ღირზე და მეც მიტომ ვამბობ! და როცა ხემ ნაწერებზე ვადახვალთ, რა იცით, რომ აქაც არ დაგეთანხმეთ! – მერე კიდევ, ვანა ერთის უვარვისობა ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარვად არ ვიცოდე, ნუ თუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ? ამგვარი ბანასი ინტელიგენტური ბანასი კი არ არის, მოახლური გაქიმება-მეთქი“.

ამ მოგონებაში ორი ფაქტია ღიწმინდობა – ერთი, აკაკის დამოკიდებულება ივანე მახაბლისადმი და, მეორე, საკუთარი შეძქმელებისადმი. აკაკი იმ ზრინციანის მიმდევარია, იაკობ გოგებაშვილი რომ ასე ჩამოაყალიბებს: „მეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და, ღმერთის ვარდა, უსაქმო ძილისგუდა. ვინც მოქმედობს, იღვწის, შეცდომას ვერას დროს ვერ ახსნდება. ვარნა გონიერი მოქმედი, შეივნებს რა თავისს შეცდომას, ჯიუტად როდი შეხერდება მასხედ, იგი სწდილობს, რაც შეიძლება ძალე ვანასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს“. და კიდევ ილიანუელი ზრინციანია მისთვის ამოხსავალი: „ჩვენ ეველანი ქართულ ენის ხმა-

რებაში ცოდვილი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მამ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდ კაცი იუოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დავანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე".

ამ ჰრინციანებზე მდგარი აკაკი აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძესაც და იაკობ გოგებაშვილსაც, ივანე მახაბულსაც და ვაჟა-ფშაველასაც. ასევე ისმენს კრიტიკას ილიასა თუ იაკობისას, ისმენს და მსჯელობს (გავიხსენოთ ენობრივ საკითხებზე ზაქარია იაკობ გოგებაშვილთან).

თავის დროზე ენასაც უწუნებდნენ აკაკის. ივანე კერესელიძე „ცისკარში" ლექსს არ უბეჭდავს ახალგაზრდა ჰოეტს. ასე განუმარტავს მიზეზს: „*ვრივალმა (ორბელიანმა – ვ. გ.) არა ქნა. ნამეტანი ვამბედავად არის დაწერილი და კილოც იმერულია*"...

60-იანი წლების დასაწყისია. აკაკი ახალი გამოსულია სამწერლო ასპარეზზე. ანხისხატის დეკანოზი ფურეძე მისწერს: „*ვოლოცავ მეძაირობას და თანვე ვთხოვ, მამა-შვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ერთ ნუ სწერ! დარბაისლური ენა გჭირდება და შენ კი რაღაც სოფლურ ერთა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ვეელას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე ხასიძერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან, და ვაი თუ მკ შენ ენას მიუჩვიონ და გადივდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართული*".

მსგავსი წერილი მიუწერია თ. ირაკლი ლორთქიფანიძესაც, აკაკი მოიგონებს: „*იხიე მატება და მთხოვდა ძველი ერთ სწერე*"... ეს ხდება შემოქმედებითი გზის დასაწყისში. ასე, რომ ენას აკაკისაც უწუნებდნენ, მაგრამ მას ჰქონდა თავისი მეარი ენობრივი ჰოხიცია და ჰრინციულად იცავდა მას: „*და მეც ვადაწვევით, რომ თავი დაუვდვა მწერლობას, მაგრამ ხანაღხო ერთ და არა დარბაისლურად ვსწერ*"... და ეს ხდებოდა მხოლოდ შემოქმედებითი გზის დასაწყისში; ივანე მახაბულზე ვისაუბრეთ: იაკობთან ზაქარიასაც გავიხსენოთ; აკაკის ენა კრიტიკის საგანი მერვე არაერთ გზის გამხდარა: 1911 წლის 17 მარტის „ხანაღხო გახეთქი" (№257) „იმერლის" ფსევდონიმით იბეჭდება წერილი „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება". ენას უწუნებენ აკაკის...

ცოტა ადრე 7 მარტის გაზეთ „თემში“ წერენ: „აკაკის ფელეტონის ენა, ცოტა არ იყოს, გაგვაოცა“... 31 მარტის „სახალხო გაზეთი“ გამოხმაურებას ბეჭდავს „იმერლის“ შემოხსენებულ წერილზე, კრიტიკის საგანი ისევ აკაკის ფელეტონების ენაა (ავტორი — „მიხაური“): „ჩვენ იმდენად ღრმა პატრიისმცემელნი ვართ აკაკისა და იმდენად მალლა ვაყენებთ მის ზოხიცას, რომ „განუქების“ სამუალებას არავის მივცემდით. მაგრამ ქარვანთ წერა, პროვინციულიზმის შეტანა ლიტერატურულ ენაში ისეთი საჭირო-ბოროტო საკითხია, რომ ღირს ამის შესახებ წერა...“ აკაკი „იმერლის“ წერილს უპასუხოდ არ ტოვებს („თემი“ № 12 — ლექსი „მოთქმა“, ფელეტონი „ნადული“...)... ცოტა მოგვიანებით ის „იმერელი“ „სახალხო გაზეთში“ (№435, 27 ოქტომბერი, 1911 წ.) ისევ უსაყვედურებს აკაკის ენის გამო...

ასე რომ, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამოიკვეთა აკაკის ენობრივი ზოხიცია, მისი დამოკიდებულება სამწერლო ენასთან; ებრძვიან, აკრიტიკებენ, იწონებენ ან უწუნებენ ენას...

მაგრამ აკაკი წერეთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უმთავრეს მისიად მიიხსნევს ქართული სალიტერატურო ენის დახვეწას, გაძლიერებას, საყოველთაოდ დამკვიდრებას... ამიტომაც, — წერს მწერალი რევაზ ჯაფარიძე, — „აკაკი წერეთელი მოწაღლე თვალთ ვერ შეხედავდა თუნდ მცირეოდენ გადახედვას გენერალური ხაზიდან, ვერ მოითმენდა ე. წ. ენობრივ პარტიკულარიზმს“.

ქართული სამწერლობო ენის მსახურებას მიიხსნევს თავის უმთავრეს მისიად ვაჟაც: იგი მწერლობაში თავისი ენობრივი ზოხიცით მოვიდა; თუმცა მისი ზოხიცია არ დაემთხვა სხვისას, უფროსი თაობის მწიგნობართა შრინციანებს... და ვაჟა ცდილობს, განმარტოს და დაიცვას თავისი ზოხიცია...

* * *

უთქვით, ვინც კი შეხება ვაჟას ენობრივ სამყაროს, და საერთოდ, ვაჟას შემოქმედებას, უზირველესად აკაკისთან პაექრობას აქცევენ ეურადლებას. აღნიშნავენ ფაქტს და ცდილობენ, შეაფასონ კიდევ. შეფასებები სხვადასხვაგვარია: არის ნეიტრალური ზოხიცია, როცა მხოლოდ ფაქტზე მიანიძნებენ; ერთნი აკაკის მხარეს დგანან და ზოგნიც ვაჟას „იცავენ“ აკაკის კრიტიკისგან; ასე უთქვამთ, ვაჟას მხარეს არიან. და, რაც მთავარია, ვფიქრობთ, უძე-

ტეს შემთხვევაში არც თუ სწორად არის გაგებული არსი ამ დანირისპირებისა.

გერონტი ქიქოძე წერს: „უნდა ითქვას, რომ ეს ხავედღური (იკულისხმება „ენას გიწუნებ, ფშაველა“ – ვ. ვ.) სავსებით სამართლიანი არ არის. მართალია, ვაჟა-ფშაველას ზომების ზოგიერთი გამოთქმის გასაგებად საშუალო მკითხველს ლექსიკონის დახმარება სჭირდება, მაგრამ მისი ენა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიმტკიცით მსგავსია კლდისა საღისა“ და მრავალი მის მიერ ხმარებული იშვიათი ძველებური ან პროვინციაში დარჩენილი სიტყვა (მაგალითად: მოურადე, მაცნე, ლაჭანი, ჭერსო, დროშიონი და სხვა) ქართული ლიტერატურული ენის საღაროში შუვა სამუდამოდ“. კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, „უნდა შემოვუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტის სიტყვები, ისე ფშაველურული კილოდან. ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი „ენას უწუნებდა“ მას“.

მომიტევეონ კლასიკოსთა სულეებმა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის მართებულად გაგებული აკაკი წერეთელის ჰოზიცია: აკაკი „ენის დაწუნებაში“ არ გულისხმობდა დიალექტური ლექსიკონი ერთეულების შემოტანას. აკაკი ეწინააღმდეგება სალიტერატურო ენაში დიალექტური გრამატიკული ფორმების (და არა ფშაურის თუ ხევსურულის ლექსიკური ერთეულების) შემოტანას. ეს უსაფუძვლო ბრალდებაა აკაკისადმი. ვინც აკაკის ჰუმლიცისტიკას იცნობს, დამეთანხმება, რომ ის სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ დიალექტებს თვლის – სამწერლობო ენაში დიალექტური ლექსიკის შემოტანა მიახნია. თავად იყო ინიციატორი და დაუღალავი მამიებელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ლექსიკური მარგალიტებისა. ლამის ფენიფენ მოიანო საქართველო. მოიძია და დამკვიდრო სალიტერატურო ენაში არაერთი ნიმუში თავანკარა ქართულისა. იტევის ერთგან: „გაიმკვრა“, „ბობოლა“, „ქენმატკებილებული“ და სხვანი მე შემოვიტანე სალიტერატურო ენაშიო. სხვებსაც მოუწოდებდა, აქეხებდა, აგულიანებდა. ასეთ განცხადებებს აქვეყნებდა გაზეთებში:

„გულმხურვალედა ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოახერხონ და განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლებს, რომ ჩვენში სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ეოველგვარი ზეპირვადმოცემები შეძლებისდაგვარად მოავროვონ და ჩემ სახელზედ, ან „დროებისა“ და ან „შრომის“ რედაქციაში გამოავსახონ სოლმე... ამით ისინი რიგიან სამსახურს გაუწყვენ ჩვენს დედაენას... მხოლოდ ამას კი ვსთხოვთ, რომ ვადმოწერის დროს არაფერი განსწორონ და თავისი არა ჩაუმატონ რა; დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ უმეტნაკლებად“. თავად ინსტრუქციაც შეადგინა საამისოდ. ეს იყო მაღალკვალიფიციური ინსტრუქცია ფოლკლორული თუ დიალექტოლოგიური თვალსაზრისით.

აკაკი ზრინციავლი წინააღმდეგი იყო, ამ მხრივ უპირატესობა რომელიმე კუთხეს მინიჭებოდა. მოკუსმინოთ: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო მას დაუმორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი და მიტომაც იმერლობას ნურავინ მიეკიენებს. ღმერთმა ნუ მომიშლავს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა... ქართველი მწერალი წერის დროს ჩემიან-შენიანობით კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ეოველივე კუთხე ჰქონდეს მოკლილი, მესწავლილი და გამოკვლეული და თუ რამე ქართული ნახოს, ამოკრიბოს და ამითი კი არ იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართული არ არის და სხვა კუთხეა... მაგალითად ჭრილობის შესახებ, ანუ ნაღრძობის შესაკრავ ფირფიტებს ქართველები არტამანებს ვეძახით. ეს სიტყვა, ცხადია, რომ სომხურიდანა გვაქვს ვადმოღებულია და ნუ თუ ქართველებს თავისი საკუთარი სიტყვა არ ექნებოდათ! ექნებოდათ, მაგრამ დაკარგულა. შევრელებში კი დარჩენილა, აქ არტამანები არ იციან, რა არის და „ხერკალს“ ეძახიან, რაიც ქართულია. და, მამ, უფლება აღარა გვაქვს, „ხერკალი“ ვიხმაროთ, რადგან ქართლში აღარ იციან?“ ასეთ იუმორსაც გაურევს მჯგელობაში: „ენის ცოდნა განა კრივი ან ბურთობაა, რომ უბან-უბან გავიყოთ და ვიძახოთ: არა ჩვენ მხარეს დარჩეს ვამარჯვება, თუ არა თქვენსასო!“

ეს იყო ის ზოხიცია, რაც მისაღებია და სახელმძღვანელოა ვაქანსთვისაც: არაერთხელ მიუქცევია მკითხველის ეურადღება სალიტერატურო ენის ლექსიკური გამდიდრების საჭიროებისათვის: „ჩვე-

ნის აზრით, თავმოხაწონიც არის, რომ ერთის ცნების გამოძნატ-ველად სამი და ოთხი სიტყვა მოგვეპოვება და ამ შემთხვევაში არ ვგაუაროთ ხინელებს, რომელთაც ბევრი ისეთი სიტყვები აქვთ, რომ თითოეულს, ერთის მაგიერ, ათი და თორმეტი მნიშვნელობა აქვს იმიტომ და მიხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავს წინადადებაში"... – წერს ერთგან ვაჟა-ფშაველა.

ერთი საგულისხმო ინფორმაცია: 1900 წლის 14 და 15 აპრილის „ივერიის“ ნომრებში (№79, №80) გამოქვეყნდა ჰეტრე მირიანაშვილის წერილი – „ქართული სიტყვის მოყვარულთა მიმართ"; ამ წერილში იყო მოწოდება ხალხში შემორჩენილი და ლიტერატურისათვის მეტ-ნაკლებად უცხო სიტყვების შეკრება-შეგროვებისა; ივარაუდებოდა მისი გამოქვეყნება გაზეთში და შემდეგ წიგნად გამოცემა. ჰორეული ამ მოწოდებას თელა რაზიკაშვილი გამოეხმაურა და დაიწყო „ქართული საუნჯის მასალის" გამოქვეყნება (1900 წ. 15 ივნისი, №127).

ასე რომ, შევთანხმდეთ: ენის საკითხებზე აკაკისა და ვაჟას დაზირისზირება არ მომხდარა ვაჟას ნაწერებში დიალექტური ლექსიკის გამოყენების გამო, როგორც ამას შემდგომი დროის ავტორები ფიქრობენ... ამ თვალსაზრისით მათ ერთნაირი ზოხიცია აქვთ. სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრებაში ვაჟამ რომ დიდი წვლილი შეიტანა, ეს დამსახურება არ დარჩენიან უუურადღებოდ:

კონსტანტინე გამსახურდია: „*ლექსიკის მხრით ვაჟამ განუზომლად გაამდიდრა ქართული ჰოეტური მეტყველება. ისეთი „მზითუვი", როგორიც ფშავიდან თან მოჰყვა ვაჟას, არც ერთ ქართულ მწერალს არ მოჰყოლია თავისი კუთხიდან. ეს „მზითუვი" დიდად წაადგა XIX საუკუნის ენას"...* ეს აზრი სადავოდ არავის გაუხდია. ეს ჭეშმარიტებაა.

და თუ დიალექტური ლექსიკის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ აკაკისა და ვაჟას, დავას რა იწვევს, სხვაობას რა ქმნის? – დამოკიდებულება დიალექტურ ფორმებთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონეტიკური თუ მორფოლოგიური დიალექტისმის გამოყენების საკითხი.

აკაკი წერეთლის ზოხიცია სალიტერატურო ენის მიმართ ცალსახა და ნათელია. აკაკი იმ თაობის წარმომადგენელია, რო-

მელსაც დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისათვის. აკაკისა და მისი თაობის ზოგადი ზოზიცია ასეთი იყო: სალიტერატურო ენა უნდა იქონიერებდეს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას. მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე ილია, აკაკი და იაკობი ამ ზოზიციაზე იდგნენ და ამასვე უკიჟინებდნენ სხვასაც და ერთმანეთსაც. მაგალითისათვის აკაკისა და იაკობის ხანგრძლივი და განმაურებული ზოლემიკის განსენებაც იკმარებდა. რომელიმე კუთხის მეტყველებისათვის ზრიორიტეტის მიცემა მათთვის მიუღებელი იყო. გავისენით აკაკის ზრინციში: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო მას დაუმორჩილოთ“... აკაკის ზემომოყვანილი მსჯელობიდანაც ამკარანა, რომ, მისი აზრით: ის, რაც ხელს შეუწეობს სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნებას, უნდა იქცეს კიდევ სალიტერატურო ენის ფაქტად. ზემოთაც ვთქვით, ასეთად მას დიალექტური ლექსიკა მიანჩნია. დიალექტური გრამატიკული ფორმების შემოტანა სალიტერატურო ენაში, მაშინაც კი, როცა მისი ადექვატური შესატყვისი არ მოეზოვება ქართულ ენას, დაუმკვებელია (ისეთ შემთხვევებს ვგულისხმობ, როგორიცაა სოლემიკობისა თუ თხოვნი-ბრძანებითის ფორმები...). მით უმეტეს, ეს მიუღებელია, თუ შესაბამისი გრამატიკული ფორმები გვაქვს სალიტერატურო ენაში.

გავსაზავთ: აქ საუბარია დიალექტური ფორმების შემოტანისა და დამკვიდრების ცდაზე და არა დიალექტიზმების გამოყენებაზე მხატვრულ ნაწარმოებში შესაბამისი სტილისტური თუ მხატვრული დატვირთვით. ცხადია, აკაკი იცნობდა ილიას შემოქმედებას, მაგრამ „მკზავრის წერილებში“ ლელთ ღუნიასა თუ „კაცია-ადამიანში“ ლურსაბისა და დარეჯანის მიერ დიალექტური ფორმების გამოყენება მას არ განჰკვირვებია: აკაკიმ ძალიან კარგად იცის, რა მიზანდასახულობა აქვს ილიასთან დიალექტიზმების გამოყენებას. მაგრამ იაკობის იგავში *გაღიარებ* ფორმა დიალექტიზმად მიიჩნია, ისეთ დიალექტიზმად, რის გამართლებაც მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით არ შეიძლებოდა და, ვთქვით კიდევ, ამას ხანგრძლივი ზოლემიკა მოჰყვა.

ისიც ითქვამს, როცა ვაჟასა და აკაკის ზოღეშიკაზე საუბრობენ, იმასაც ამბობენ, რომ აკაკის ნაწერებშიც მრავლადანა დიალექტიზმებიც. ასეთი მაგალითიც მოჰყავთ: იმავე ლექსში („ვაჟა-ფშაველას“) არის ასეთი სტრიქონი: „*მე თვითონ მივხვდი ჟოლიფერს*“. მაგრამ ამ ფორმის („*ჟოლიფერს*“) გაიგვივება არ შეიძლება იმ რიგის ფორმებთან, როგორიცაა ვაჟას „*ბეიფოდება*“, „*მომაყაროდი*“ და მისთანანი. აი, რატომ: „*ჟოლიფერს*“, რა თქმა უნდა, აშკარა იმერისებია, მაგრამ აკაკი თვლის, რომ სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უფრო მართებულია ეს ფორმა *ვევლაფერ* ფორმასთან შედარებით, იმიტომ რომ, *ჟოლიფერი* მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: *ჟოველი* და *ფერი* და არა *ვევლა* და *ფერი*. ამიტომაც, სწორია *ჟოლიფერი* და არა *ვევლაფერი*. ცნადა, ენათმეცნიერულად შეიძლება არ იყოს აკაკის მსჯელობა მისაღები, მაგრამ ნუ დაგვაზიწოდება: ეს ის ზერიოდა, როცა იქმნება და მკვიდრდება ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა. დედენის თავკაცები „თავიანთ ნორმებს“ (მათი აზრით, სწორ ვარიანტს) სთავაზობს მკითხველს. აკაკი ასე თვლის ამ შემთხვევაში; სხვაც არის ამ რიგის მაგალითები. გავისწავლოთ: XIX საუკუნეა, თავად არიან კანონმდებლები; ხშირად ვერ თანხმდებიან და ამიტომაც იღია წერს *ცხოვრებიდამ*, აკაკი წერს – *ცხოვრებიდან...* იაკობი წერს *გაღიარებ*, აკაკი წერს – *აღვიარებ...* ეს მერე მოხდა, ერთიანი ნორმები რომ დამკვიდრდა, გვიან...

რაც შეეხება ვაჟასეულ ფორმებს, აქ არაფერს დავობს; აზრი საერთოა: ესაა ფშავ-სეფსურულისათვის დამახასიათებელი ფორმები – *მოიდა*, *ავიფოდება*, *მაგვცეს*, *გამითხაროდი...*, რომელთა ფარდი სალიტერატურო ფორმებია: *მოვიდა*, *ავიფავდება*, *მოგვცეს...* (გამითხაროდის ფარდი ზმნური ფორმა სალიტერატუროდ არ იცის – თხოვნით ბრძანებითა – „გამითხარე, რა“!...).

აი, ამ და მსგავს ფორმათა გამოყენების მართებულობა განხილავს. თუმცა სხვათათვის. ვაჟა ამ ფაქტში ზრობლემას ვერ ხედავდა; როცა ამ ფორმებზე აღაზარაკდნენ, ვაჟა გაკვირვებული იკითხავს: „*ვიინ არის ისეთი ვაუკებარი, რომ ხაერთო ლიტერატურული ენის საჭიროება არ ეხმოდეს, მწერლობდეს კი და ენის ვაუკეთებანა და „განწმენდაზედ არ ჰფიქრობდეს*“. მაგრამ მის მიერ დიალექტიზმების გამოყენებას საფუძველს უძებნის: „*ახლან-*

დედი ლიტერატურული ენა ახალია და ხიანლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ეველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული. ხალხი, ერი, დედა ენისა, იგი ჰბადებს და ზრდის ენას. უოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ეველა საურბადებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა განცნოს ლიტერატურულს ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას, თუ ენა იძვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა და, არც არაფერი ამითი წახდება... ფშაველებს ამ შემთხვევაში სახატო ადგილი ეძლევათ. საურბადებოა იმათი ხაუბრის კილო და ფორმები, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ იმათ უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ, ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბღალავად: ფშაველებზე (ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ შედმოქმედება ოხმალთა, სხარსთა, არბთა და სხვ. ამიტომ იმათი სათემო კილო (თუკი შეიძლება სათემო კილო დავარქვათ იმათს სასაუბრო ენას) და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულიად ჰვანან ძველის მწერლების ნაწერებისას" (ხაზი ჩვენია – გ. გ.). ამას ვაჟა 1888 წელს წერს. ეს იყო ზოეტიის ენობრივი ზოხიცია. ამ თვალსაწიერიდან ზოეტი არათუ „ამახინჯებს“, „ბღალავს" სალიტერატურო ქართულს, ზირიქით, ცდილობს ფშაური დიალექტი „დაუდოს საფუძვლად" სამწერლობო ენას. ზუსტად შენიშნა კონსტანტინე გამსახურდია: „ჩვენ კლასიკოსთა შორის ვაჟას სავსებით განკერძოებული ზოხიცია უჭირავს. დაბეჯითებით შეიძლება იმის ვარაუდი, ვაჟას რუსთაველი და სხვა ჩვენი კლასიკოსები წინ რომ არ გადალობებოდნენ, იგი ფშაუ-ხევსურულ დიალექტს მოახვევდა ქართულ ენას თავს, ისევე როგორც ტოხკანური დიალექტი გაბატონა იტალიაში დანტემ". თუმცა უფრო ზუსტი იქნებოდა, ამ შემთხვევაში (იმ დროისათვის, XIX საუკუნის ბოლოსათვის) აკაკის, ილიასა და იაკობის ღვაწლი გაეხაზა; ვაჟას მათ ზოხიცისთან მოუხდა დაზირისზირება.

ვაჟასეული ზოხიცია თითქოს ნათელია. იგი ამ შეგნებით შემოვიდა ჩვენს ლიტერატურაში და ამ ზოხიციას იცავდა ბოლომდე. თუმცა, მკვლევრები ურბადლებას მიაქცევენ იმ ფაქტს, რომ დიალექტური ფორმები ძირითადად ზოეხიაში იჩენს თავს, ისიც არა უოველთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის ახსნის მცდე-

ღობაც არის, თუძცა, ჩვენ ამჯერად ამ საკითხს არ ჩაუვლრძავდებოთ. ერთს კი შევნიშნავთ. როცა ამ საკითხზე ვმსჯელობთ, ნაწარმოებთა შექმნის ქრონოლოგიას ეურადღება უნდა მივაქციოთ. აი, რატომ: 1896 წელს ვაჟა წერდა: „*რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც სათემო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებური მთის კილოთი, სხვანაირად აახროლა ჩემი გული, სხვანაირად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუძც მაშინ შევირდი ვახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, სვესურული ლექსები ბევრი ვიცოდით; ეს კილო მივეარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუძცა მაშინ ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვხედავთ, ვბლაჯნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერ ვებრავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეუობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისგან ვურის დავდება და მაშინ ხომ უფრო სამხელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მწიგანმა მკოსანმა რაკი საერო კილო დაუძკვიდრა ლექსებს და კურნალ „ივერიამ“ ვზა დაუთმო, მეც ვაბედულებო მოძემბა“.* როგორც ვთქვით, ამას ვაჟა 1896 წელს იტყვის. და კიდევ ერთი რამ: როცა აკაკი სამოღვაწეო ახზარეზზე ვამოდიოდა, სხვა იყო მისი საფიქრებელი — შეექმნათ და დამკვირებინათ ერთიანი სალიტერატურო ენა... ვაჟა რომ შემოვიდა ახზარეზზე, ეს ერთიანი სალიტერატურო ენა უკვე დამკვიდრებულია; აღარაა ეს საფიქრალი... ვაჟას საფიქრალი სხვაა, სხვაგვარად ხედავს ის სამწერლობო ენას... ამიტომ ქრონოლოგია, ქანრი, თემატიკა (და კიდევ რა ვიცი, რა არ...) — უგელაფერი განათვალისწინებელია!

თუძცა ესეც ვთქვათ: კი, ქრონოლოგიას ალბათ ეურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ არცთუ არსებითი. ამ თვალსაზრისით ვადავიკითხე „ალუდა ქეთელაური“ (1888 წ.) და „ტუმარ-მასწინძელი“ (1893 წ.). ზირველში მრავლადია დიალექტიზმები, მეორეში — თითქმის არაა... რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს თემატიკას, ვარემოს...

* * *

როგორც ვთქვით, ვაჟა-ფშაველას შესახებ ვინც კი საუბრობს, ვაჟას ენის ჰრობლემას გვერდს ვერავინ უვლის.

საზგასმით უნდა აღინიშნოს – ილიასა და აკაკის გვერდით მწერლობაში ვაჟას ადგილს ხედავენ. იაკობ გოგებამძვილმა თქვა: „აკაკი ჰატარა საქართველოა!“ და იქვე განაგრძო: „მაგრამ ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დაუესაკუთრებთ, რადგანაც თვით აკაკის სასიხარულოთ და ჩვენდა სასუგემოდ, ჰატარა საქართველონი სხვანიც გვეავენ, რუსთაველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“... მიხეილ ჯავახიშვილი კი ასე იტყვის: *„ქართული ენის მასწავლებლად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა მყავდა“*...

დაიხ, ქართული ენის მასწავლებლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა!...

თუ ამ მხრივ ილიასა და აკაკის გვერდით მოიხსენიებენ, სხვა მხრივ დაუთ კლდიაშვილისა და ეგნატე ნინოშვილის გვერდით დააუენებენ... ისევ მიხეილ ჯავახიშვილს მოვუსმინოთ: *„ვაჟახისწინათ თუნდაც სამი მწერალი – ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი და დ. კლდიაშვილი. ზირველი ფშაურ კილოზე სწერდა (თუმცა მისი ზროზა დღესაც ხანიძეშობდ ჩათვლებს), მეორე გურულზე, მესამე ქვემო იმერულზე. სამივე დიდი მწერალია, მაგრამ დაახნია რომელიმე მათგანის კუთხურმა კილომ მესამხნევი კვალი სალიტერატურო ქართულს?... არც ერთი ოდნავ მაინც გამოჩენილი ლიტერატორი აღარ სწერს ამ კილოთი. რა არის ამის მიზეზი?“*...

უნდაურია, მაგრამ ვერც ამართლებს და... თითქოს ვერც ამტყუნებს: *„კუთხურით წერა მეტად სახიფათო ხერხია. ერთი თუ გაიმარჯვებს, ათი დამარცხდება, რადგან სტილიზაცია ურთულესი და უძნელესი ფანდია, დიდი ხელოვანის ვაჟა-ფშაველას ფანდი: „საფიქრებულა მინდია, ეკლივან ახრავ ზირშია“. საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ სალიტერატურო ენაში ვერ შემოვა“*.

ვაჟა-ფშაველას მიერ დიალექტურ ფორმათა გამოყენებას ამართლებს, ახსნას უძებნის გრიგოლ რობაქიძე: *„ცენტლოვანი ნამიერი ვილვაძემისა და ილიადასი, ვაჟა-ფშაველა, სწერდა ფშავ-ხევსურულ კილოზე. ეს კილო არ არის ზროვინციალიზში, ივი უფრო არქაიზშია. ლაკონური გამოთქმა აქ უკიდურესობამდია დაეკანილი... მარებში ეს უფრო ცხადდება, რადგან მათი შინაგანი აკებულება ელიზშია. სიტყვები აქ ეოფნის ფესვებია თვითონ, მათ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ სურნელება ზირველი ქმნილისა...“*

ვაჟა-ფშაველასეულ განმარტებას ეთანხმებოდა, როგორც ჩანს ჰაველე ინგოროვს; და ამასვე ეთანხმება და განმარტავს გრიგოლ რობაქიძეც: „1917 წელს ჰაველე ინგოროვსამ თქვა ერთხელ ჩემთან განსაუბრებისას: ფშავ-ხევსურული არქაული ქართულია და არა პროვინციალიზმიო. მე დავანუხსტებდი ერთი ძველთაძველი გენი ქართულისა მთებში შერხენილა და დღემდე ცოცხალი, პროვინციალურ სიციფს თუ არა, ჩანინვას იწვევს. იწვევს ამას ფშავ-ხევსურული? კითხვან კი მურანცნება იქნებოდა...”

ერთხელ ქ-ნ ანა კალანდაძეს ვკითხე, რით აინხნებოდა ის, რომ გურიაში დაბადებული და გაზრდილი ჰოეტის ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს, ხოლო ფშაური ციკლის ლექსებში მთის კილოთა უხვი ნაკადი არის-მეთქი. საინტერესო მასუსი მივიღე: „ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“ ჩემთვის საკმაოდ უცხო აღმოჩნდა... თანაც „უმაღლესი ჰოეზით“ გაჯერებული! თავი მთვარეზე მეგონა!... ხალხური ჰოეზის დიდებულ კუთხეს მინდოდა (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვი, „უნდოდა“-მეთქი) ასე შევხმინებოდი, მხოლოდ „თავის ენაზე“ არა, ვერ ვადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაც მამინ „მკარანობდა“ ამ სტრატეგებს: ეს ლექსები ასე განმავრდნენ ჩემში მთიდან დაბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა...”

ეს ძალზე საინტერესო მსჯელობა თითქოსდა განმარტებაცაა იმისა, რატომ იხენს თავს დიალექტისმები ვაჟას შემოქმედებაში.

საინტერესოა ისიც, რომ გრიგოლ რობაქიძე თავისებურად ცდილობს ამასვე მოაღწიოს ახსნას: „ფშავ-ხევსურული, მართლაც, ხალი კლდის ნაკეთია ყოველ თქმაში. კვეცილი ფორმა ამ ფშინისა ძველთა ძალზე და დავუმატებდი: ვაჟურ-ძველთა, სწორუძველთა ელიზსი ქართულისა – არათქმული, ვარსა ნაკულისხმევი – ფშავ-ხევსურულში მოშვილდულია ჰირდაჰირ...”

უმაგალითო შემთხვევა მხოლოდ ლიტერატურაში. მაირის თხზვინას ვაჟა-ფშაველა ფშავ-ხევსურულს მიმართავს – ვგულისხმობ უფრო ტონალობას, ვიდრე სიტყვარს – პროზის წერისას კი ზოგადლიტერატურულ ქართულს. ვხედავთ ნათლივ: ჰოეტი ისე ღრმად გადახტილებულია ტომის თუ თემის მაირულ დენებში, რომ იქედგან გამოსტილება უადრესად უძნელდება. გამონაკლისი აქ ორიოდ შემთხვევა თუა. და რახე: გამონაკლისებში ვაჟა აღარ

არის ვაჟა... „ვაჟას ძალა საკუთრივ „სახელებში“ კი არაა, არამედ „თქმებში“, რომელნიც თავისთავად იქცევიან სახეებად, ასე ვთქვათ, ატმოსფეროდ“.

კონსტანტინე გამსახურდია არაერთგზის მიუბრუნდა ვაჟა-ფშაველას თემას. განმარტავდა: „ზოგის შეფასებაში ჩემთვის ერთი უმთავრესთავანია ენობრივი ზოზიცია ავტორისა, რადგან ენა ივლევა მწერლისათვის, რაც კომპოზიტორისათვის სამუსიკო ინსტრუმენტი“.

მწერალს მიახნდა, რომ ვაჟა ქართულ მწერლობაში სრულიად განსაკუთრებული, განუძეოვრებული მოვლენა იყო: „მე არა მკობია, რომელიმე ქართულ კლასიკოსს ასე ღრმად ჰქონოდა ვადებელი ხალხში ფესვები“...

რა თქმა უნდა, აკაკისთან ზოლემიკასაც გაიხსენებს: „აქ ბევრი ჰქონდათ სადავო აკაკი წერეთელსა და სილოვან ხუნდაძეს. მე სიერმიდანვე ვაჟას მომხრე ვიყავი და გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში მერხიდან ვუწევდი ოზოზიციას ჩემს მასწავლებელს, სილოვან ხუნდაძეს“.

და თავისებურ ახსნასაც გუთავაზობს: „ზოგს ჰგონია: ვაჟას კუთხური – ფშაველურული დიალექტი რომ ვერ მოეძველებინა, ასეთ სიმაღლეზე ვერ ასწევდა ზოემებსა და ლექსებს“.

მე კი ვფიქრობ: ვაჟა განზრან ვაემიჯნა ტრივიალურ პროვინციალიზმში ვადაჭრილი მწერლების ენას“.

საოცარი ფაქტია: კლასიკოსები გრძნობენ ვაჟას ფენომენის განუძეოვრებლობას, და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან „მის ამოხსნაში“. და ეს „ამოხსნა“ ახალ და, ზოგჯერ, კიდევ უფრო რთულ ამოცანას წაავაჯს. ტიცინან ტაბიძე ასე განმარტავს: მიუხედავად ვაჟას ლექსის ფორმალური ერთფეროვნებისა, მას ისეთი საიდუმლო აქვს ქართული სიტყვისა, რომელიც ვამოუცნობად იმალება ხალხში და რაც ვაჟამ ინტუიციით იგრძნო და შეითვისა. ეს აძლევს ვაჟას ლექსს მართლაც „ნაბეჭდის სიმტკიცეს...“

და იქმნება ახალი მითი: „ვაჟამ დაკარგა თავისი ფესვები და ხალხის ფესვებში ვაიბნა, მან დაკარგა თავისი ხმა, რომ ხალხის ხმით აძლერებულოყო...“

და ტიცინანს დიმილს ჰგვრის „ზოგ კრიტიკოსთა“ ზოზიცია (ასახელებს ვ. ქიქოძესა და ს. დანელიანს): „ზოგ კრიტიკოსს ვა-

ქა-ფშაველას ჩამორჩენილ ადამიანად მიახნდა, თითქოს მას მთის მოძარიეთაგან აედგა ენა და ზირველეოფილი ადამიანის სიჯიუტე ჰქონოდა..."

საუწარდლებოა და ანგარიშგასაწევი ვაქა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი უზირველესი მკვლევრის, გრიგოლ კიკნაძის, მოსახსრებანი: „ამ ბოლო დროს ძალზედ ენერგიულად განაზავენ ფშაური დიალექტის დიდ ზოეტურ ღირებულებას. ამკვარი მსჯელობის მიხედვით, ვაქას მნატვრული სანქროს ზოეტური ბრწეინვალეების სათავე ბოლოს და ბოლოს ფშაურ დიალექტში ძეგს, ანუ მოცემულ შემთხვევაში ფშაური ლექსიკითაა ფონღირებული ვაქას ზოეტური უკვდავება..."

და კიდევ განმარტება იმისა, თუ რაში მდგომარეობს სიმლიერე ვაქას შემოქმედებისა: „ვაქა-ფშაველას მნატვრულად უძლიერესი ზოემები „ეთნოსისა“ და „დიალექტიზმების“ ბეჭდით არიან დაბეჭდილნი და სწორედ ამიტომ ახსიებენ ვანუშეორებულ ზოეტურ ძალმოხილებას..."

ყოველგვარი ამის საფუძვლად იმას მიიხნევს, რომ „თვითონ ფშაური დიალექტი შეიცავს განსაკუთრებულ ზოეტურ ზოტენციალს?“

დანახლოებით ასე ხედავდა აკაკი ზანავაც, უფრო სწორად, ვაქას ზერსონაქთა ბუნებიდან გამომდინარე ხსნიდა დიალექტიზმების გამოყენების აუცილებლობას: „ზოგიერთი რამ შეიძლება ვრამატიკულად უმართებულა იეოს, მაგრამ ვაქას ამაუნი და მტკიცე ადამიანები ასეთის ენით უნდა ლაზარაკობდნენ“.

ასეთი ახრიც გაიქლერებს, ფშაური კილო არაფერ შუაშია, მთავარი ვაქას ფენომენია; იგი სხვა დიალექტის წარმომადგენელი რომ ეოფილიეო, ის დიალექტი დაიჭერდა ფშაურის ადვილს მის შემოქმედებაში. მწერალ რევაზ ჯაფარიძეს მოფუსმინოთ: „ვაქა-ფშაველას დიდმა ზოეტურმა გენიამ ფშაურ კილოს განსაკუთრებული ადვილი მოუზოვა ქართულ ლიტერატურაში. ამასთანავე მხელია უარვეოთ მოსახსრება, რომ უკეთუ მათ (სხვა დიალექტებს – გ. ვ.) ვაქასავით თანმიმდევარი და დიდი ზოეტური ნიჭით დაჯილდოებული გამომნატველები ეეოლებოდათ, მმობლიურ ლიტერატურაში მსვავნი ადვილების მოზოვება შეეძლო სხვა, ვთქვათ, თუ-

მურ, მოხეურ, გურულ, იმერულ, კახურ, მეგრულ, სვანურ, აჭარულ და სხვა კილოებსაც."

თუმცა ამ აზრს ნაკლებად იზიარებენ. ზემოთ ანა კალანდამე მოვიხმეთ, ფშაურს სხვა ჰოეტური ნიბლი აქვსო... ესეც ბრძანა ანამ: „*ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევე ჩემს ნათქვამს გაუიმეორებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუძარტავიც“... — კლასიკოსის ზასუსია...*

ჰოეტური ახსნა მოუძებნა ვაჟას ენის ფენომენს მწერალმა თამაზ ჭილაძემ: „*ვაჟამ შექმნა თავისი ჰოეტური ენა, რომელიც ლექსიკითა და ინტონაციით გამოირჩევა. ამ ენის არავისებურ ღაღ დინებაში ჰოეტის „უზარმაზარი სიტყვები“ თავისუფლად ვრძნობენ თავს და განუმეორებელ მიძნობველობას ასხივებენ“.*

მანვე თავისებურად გაიგო აკაკისა და ვაჟას ჰოლემიკა: „*აკაკი ფშაურ კილოს კი არ იწუნებდა (როგორც ვაჟას ეგონა), არამედ არ მოსწონდა „ხარის უვირილი“ მთიდან იქნებოდა ეს თუ ბარდიან, სულ ერთია, არ მოსწონდა ამ ცნების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, მეთოდი ჰოეტისა — ღვთიური ძალისხმევით აღძრული ლტოლვა — კაცისა და ბუნების ერთარსებად ქცევისა და სრულებითაც მოულოდნელი არ უნდა ეოფილიყო ჰოეტისაგან, რომელმაც „გარემოების სავეირი“ უწოდა თავს“.*

თავისებური, ორიგინალური, თუმცა შეიძლება ითქვას, ბუნდოვანი „ახსნა“...

* * *

სიტყვა გამოვრძელდა. ჩვენ ამჯერად არა გვაქვს არც მიზანი და არც ჰოეტენსია ვაჟას ენის ფენომენზე უფრო ვრცლად ვისაუბროთ. ეს პრობლემა პრობლემად რჩება. ენა ერთი მხარეა იმ უზარმაზარი სამყაროსი, ვაჟას სამყარო რომ ჰქვია. არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ცნობილ შეფასებებს: „*მთელი თავისი სინადავით ვაჟა-ფშაველას ენა იყო მეფური და ზარდიანის, რომელიც გავონებიდანვე გიტანებდათ. ორიოდე სტრიქონის უძალ, უძვე სხვა ფანტასტიკურ სამყაროში გადადიხართ“* (არტურ ლაისტი). ეს სამყარო გამოცანად რჩება. ეს სამყარო ამოსახსნელია.

აქ გაუჩერდეთ. ის, რაც გაკეთებულია, არაა ცოტა; განაკეთებელი ბევრად მეტია იმ საქმეში, ვაჟას ენობრივი სამყაროს გა-

ცნობიერება რომ ჰქვია. მასუნი უნდა გაეცეს უამრავ კითხვას. თამას ჩხეჩქელი წერილს — „ვაჟა — მოძველის ჰოეტი“ — ასე იწვეებს: „ვეელას გვანხოვს სეოლის მერხიდან ვაჟას ლექსი „არწივი““:

*ვაჟ, დედან თქვენსას ეოვებო,
ცუდ დროს ჩავიგდავთ ხელადა,
თორღ ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გამლილს, გაფანტულს ველადა.*

რატომ „ეოვებო“ და არა „ვევავებო“, რატომ „ჩავიგდავთ“ და არა „ჩავიგდივართ“, რატომ „თორღ“ და არა „თორემ?“...

შემდეგ:

„რისთვის დასჭირდა ვაჟას თავისი ჰოემების წერილსას ასე დრმად შეჭრილიყო დიალექტურ შრეებში? რისთვის დასჭირდა დიალექტური მიმოხრებისა და ნიუანსების წინა ჰლანსუ წამოწევა? რისთვის დასჭირდა უამრავი სიტყვისა და გამოთქმის შემოტანა, რომლებსაც მანამდე არ იცნობდა ქართული ჰოეზია?“

ეს კითხვები არის და დარჩება. გასრულდა მეოცე საუკუნე. შეძლებს კი ოცდამეერთე საუკუნე ამ კითხვებზე მასუხის გაცემას? დემრთმა ქნას!...

* * *

შორს წავუდით...

აკაკისა და ვაჟას ურთიერთობებზე ვსაუბრობდით. ვთქვით, რომ აკაკისა და მის თაობას ჰქონდა ენობრივი ჰოზიცია, რომელსეც ბევრი თქმულა და დაწერილა. აკაკი ამ ჰოზიციას იცავს...

ვაჟა-ფშაველას ჰქონდა თავისი ენობრივი ჰოზიცია და ეს ჰოზიცია განსხვავებული აღმოჩნდა აკაკის ჰოზიცისაგან. ვიმეორებთ: საკითხი ეხება სალიტერატურო ენაში დიალექტური ფორმების გაცნობიერებულ, შეგნებულ შემოტანას. დიანს, ვაჟას აქვს თავის ჰოზიცია, რომელსაც თანმიმდევრულად იცავს ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე. თავის შემოქმედებაში არათუ მრავლყოფილად მრინციშულად გაატარა, თეორიულადაც სცადა ამ ჰოზიციის შემაგრება...

შედარებისათვის: სხვათა შორის ეს (თავისი ენობრივი ჰოზიციის თეორიული ახსნა-განმარტება) არ უცდია დავით კლდიაშვილს, ეტეობა, არც მოისურვა. მწერალს ჰეტრე უმიკანძვილმა ენა დაუწუნა; რა თქმა უნდა, იმერისძემბის მოჭარბებულ ხმარებას გულისხმობდა; დავითი უნასუხებს: „*მოხარული ვარ, რომ ჩემი სასწაული, გაჭირვებული ქამუშაძე მინაარსით მოვწონებია; ემდურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო... მართალია ენა ყოველთვის მოიკაჭლებს ჩემს ნაწერებშია*“... საუბარია იმერისძემბზე. ეს დაუწუნეს. თავისთავად, თუკი მწერალი ეთანხმება შენიძვნას, ამის გასწორება, მით უმეტეს – ჰროზაში, არ იყო ძნელი... ყველაფერი მაინც ისე რჩება, როგორც დაიწერა და დაიბეჭდა. აქაც ისეთივე ვითარებაა, რაც ვაქასთან იყო: კლასიკოს მწერალს მწერლური ინტუიცია უკარნახებს, რომ კონკრეტულად იმ ვითარებაში, იმ ეპიზოდში, იმ განწყობით მისმა პერსონაჟმა მხოლოდ ისე შეიძლება ისაუბროს. მაგრამ ამის სხვისთვის ახსნა არცთუ იოლია და თითქოსდა თავი დანარა, კი, ბატონო, შენ მართალი ხარ, მაგრამ მე სხვაგვარად ვერ ვახერხებო. ამიტომაც ეთანხმება კრიტიკოსს; ფაქტობრივ, ამ მსჯელობით თავის თავს უპირისპირდება, მაგრამ თავს არიდებს ზოლემიკას კრიტიკოსთან. არ ცდილობს თავის მართლებას, დასაბუთებას... შეძლებდა კი, რომ მოესურვებინა? ალბათ, ვერა: „*აწერდი, როგორც იწერებოდა!*“ – ამბობს ერთგან დავით კლდიაშვილი – ასე რომ „*იწერება*“ და არა „*წერს*“... ამიტომ ზოლემიკასაც გაუბრის... ანდა შეძლებდა კი იმის სიტყვიერად ახსნას, თუ რა უკარნახებდა, რა აწერინებდა ასე და ამგვარად?...

ასეა, ცხადია, ვაქასთანაც; მაგრამ ვაქა სხვაგვარად მოიქცა, ცდილობს ახსნას, როგორ „*იწერება*“... თუმცა შეძლო კი მკითხველისათვის ბოლომდე გაეხსნა თეორიულად თავისი ენობრივი სამეარო; მოეხსნა კითხვის ნიშნები? შეეჭვება. თუმცა, ამას ისე ნუ გავიგებთ, რომ მისი თეორიული მსჯელობა ენობრივ საკითხებზე უმნიშვნელო იყოს.

ასევე ითქმის აკაკიხეც... და ილიახე, იაკობხე, კ. გამსახურდიახე, მ. ჯავახიშვილხე... ყოველ მათგანს არაერთი წერილი აქვს ენობრივი საკითხებისადმი მიძღვნილი; მწერლის ენისა თუ სალიტერატურო ენის ჰროზლემიკისადმი. მაგრამ მათი მხატვრულ-

ენობრივი სამყარო მანც იდუმალებითაა მოცული, თუმცა ზოგჯერ ცდილობენ კიდევ, განსაღები მისცენ მკითხველს იმ დიდებული ტაძრისა...

როგორც ჩანს, ეს ორი სხვადასხვა რამ არის.
თემას გავცდიით...

* * *

ისევე აკაკის და ვაჟას მიუუბრუნდეთ.

ჩვენი ღრმა რწმენით, აქ ორი ჰრინციჰულად განსხვავებული ზოზიცია დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ვინ იყო მართალი?

მანსენდება: ზროფესორმა სერგი ჭილიამი ერთხელ საჯაროდ გამოთქვა საუვედური მსახიობ გურამ საღარაძის მიმართ: როცა ამ ორ ლექსს კითხულობსო (აკაკის ლექსს ვაჟასადმი მიძღვნილს და საზასუნო ლექსს ვაჟასას), აშკარად ტენდენციურია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს აკაკი იყოს მტყუანიო. ზოგიერთმა ძალიან მკაცრი შეფასებაც მისცა ამ დაპირისპირებას: *„ვაჟას ენობრივი ნატურალიზმი ბოლოსდაბოლოს წარმოადგენდა იმავე დროის ენობრივ ზარტიკულიზმს, ამიტომ, რასაკვირველია, მართალი იყო აკაკი, როცა მან ვაჟას ენა დაუწუნა“* (ი. ქავთარაძე).

მანც ვინ იყო მართალი ამ დაპირისპირებაში? და შეიძლება კი საკითხის ამგვარად დასმა? არადა, დასვეს ასე საკითხი:

„ვაჟას ზოგზია უთუოდ მოიგებდა, რომ კუთხური კილოს დომინანტა შეერბილებინა ოდნავ“ (კ. გამსახურდია).

მოიგებდა კი?...

აკაკიმ არასწორად შეაფასა ვაჟას ენობრივი ზოზიცია, *„რადგან ქართული კრიტიკა ჯერ კიდევ არ იდგა სათანადო სიმძღვეზე, რაც განაპირობებდა ვაჟას ენობრივ თავისებურებათა არასწორ აღქმას“* (ქელს).

დაუიჯეროთ?

„ვაჟას თანამედროვე კრიტიკოსები და თვითონ აკაკი წერეთელიც კი, ხედი აზრით, ცდებოდნენ როცა ვაჟას ხვეულებრივი საზომით უდგებოდნენ და გენიოსისთვის გამონაკლისს არ უშებდნენ“ (ქელს).

თავად აკაკი არ იყო გენიოსი? თავისთვის უშვებდა გამონაკლისს? ილიასა და იაკობისათვის უშვებდა გამონაკლისს?

და საერთოდ, სჭირდებოდა კი „შეღავათი“ ვაჟას?

„აკაკის კრიტიკა რომ ვაჟას დასამცირებლად კი არ არის მიმართული, არამედ სალიბერატურო ქართულის განსამტკიცებლად და განსაზღვრებლად, ამას ბავშვები იმთავითვე გრძნობენ“ (ქელს) – წერს ერთი შედაგოვი. ჯერ ერთი, რატომ უნდა გაიანზრონ ისე, რომ კრიტიკა დამამცირებელია და მეორეც, ქართულის განსამტკიცებლად და განსაზღვრებლად განა ვაჟა კი არ იბრძოდა?... ცნობილი შედაგოვი: *„ბავშვებს ვუხსნი, რომ საფუძველი ვაჟას ასეთვე ზოზიციისა არის მკუნებარე ჰატრიოტიზმი, უსაზღვრო სიუვარული ეოველივე ქართულისადმი“*... (ქელს)

გამოდის, რომ ჰატრიოტიზმსა და ქართულისადმი უსაზღვრო სიუვარულს დაუპირისპირდა აკაკი!...

ამას რომ ამბობენ ცნობილი შედაგოვები და ასე „ანდენდენ ემანუილთათვის ამ ზოლეძიკის გაცნობიერებას“, როგორც ჩანს, მთლად არც მათი ბრალია, თემა ურთულესი და სწორი (ანდა მეტნაკლებად მისაღები) ანალიზი თითქმის არა გვაქვს...

ასეთი მკვეთრი, ცალსახა ზოზიციის გამოვლენა ამ საკითხებზე მსჯელობისას სასიფათოა და, რაც მთავარია, არაჭეშმარიტი...

ჭეშმარიტების გარკვევამდე, როგორც ჩანს, შორი გზა არის გასავლელი...

* * *

ფაქტია: აკაკისა და ვაჟას ურთიერთდამოკიდებულება ერთი ლამაზი და სამავალითო ფურცელია XIX საუკუნის ქართული კულტურისა. მოსაწონი მოსწონდათ. დასაწუნად მიაჩნდათ? – იწუნებდნენ, მაგრამ ეს არ იყო საპირადო ინტერესებით ნაკარნახევი; საზოგადო ინტერესის კარნახით ხდებოდა ეოველივე ეს...

დარია ახვლედიანს აკაკისთვის უკითხავს...

„ბატონო აკაკი, თქვენს შემდეგ ვინ მივაჩნათ ჰოეტად ხეხში“ და აკაკის ვაჟა-ფშაველა დაუსახელებია...

აკაკისე როცა ფიქრობდა, ამას ნატრობდა ვაჟა:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს,

შენისთანები დედამა"...

ისე, თავისთვის ჩაწერს, „აკაკი – რა კარგი“...

თედო სახოკია იკონებს: „ნაკადულის" რედაქციაში აკაკი სტუმრობდაო.: „ლანარაკის დროს შემოვიდა ვაჟა.

– „ჰაა, ჩვენ მთის არწივს ვაუშნავთ! – შესძახა მხიარულად აკაკიმ.

– მთის არწივიც შენ ბრძანდები და ბარის ბუღბუღიც! – უთხრა ვაჟამ ღიმილით და ხელი ჩამოართვა“.

ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ გენიოსები და თავიანთი შემოქმედებით, თავიანთი ურთიერთდამოკიდებულებით, ერთმანეთის ზატოვისცემითა და ერთმანეთის შემოქმედების დაფასებით, ერთმანეთისადმი ზრინციანული და მართალი დამოკიდებულებით სამომავლო გაკვეთილებს იძლეოდნენ..

* * *

უნდა დავეთანხმეთ თამაზ ჩხენკელს: „ვაჟას შემოქმედება ჯერ არ არის საკადრისად შესწავლილი და შეფასებული... ვაჟა მომავლის პროტია“...

ასევე ვეთანხმებით კონსტანტინე გამსახურდიას: „ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, დღესაც შეუსწავლელი“.

აკაკის შემოქმედება არის კი საკადრისად შესწავლილი და შეფასებული? აკაკის ენობრივი სამყარო არის კი ბოლომდე შეცნობილი?

XXI საუკუნეს, და არა მხოლოდ მას, დიდი ვალი ადევს, მან უნდა გასცეს ზასუხი მრავალ კითხვას... თუკი შეძლებს XXI საუკუნე ამას...

* * *

არსებითი და მთავარი, რისთვისაც უოველივე ეს გავიხსენეთ, იმის გაანზრებაა, თუ რას წარმოადგენდა აკაკისა თუ ვაჟასათვის ის, რასაც ენის ფენომენი ჰქვია.

ესაა მთავარმოღვაწეთა სამარადისო გაკვეთილები...

იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო — ეს გერმანელმა ქართველოლოგმა ვინფრიდ ბოედერმა თქვა. და ეს ჩანს იაკობის ეოკელ ნაშრომში, სახელმძღვანელო იქნება ეს თუ სხვა... იაკობის ეოკელი შეგონება, მისი ეოკელი დარიგება სწორედ ამ გენიოსურნი აზროვნების ნაყოფია. ვუსმინოთ დიდ იაკობს და უკეთესი ქართველები გაუიზრდებით, გემმარტი ქართველები!

გავისხენოთ: იაკობის აზრით, ჩვენს ეროვნულობას — ჩვენს ქართველობას — ოთხი ბურჯი აქვს: მამული, ენა, სარწმუნოება და ეროვნული სკოლა. შეგონებანიც თემატურად ასე დავალაგეთ. ვუსმინოთ იაკობს!¹

მამულისათვის

* * *

სამიერკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო.

ბატონებო! მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნიუთიერი ფაქტორი არ განლავთ. იგი ამასთან სულიერიც, ცოცხალი არსებაა. თუ ერთი მხრივ იგი იზერობს მამა-მანათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაშართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წანართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადავს არსებობისას, არამედ მოსწეება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობ-

¹ ვუთითებთ იაკობ გოგებაშვილის რჩეული თხზულებების ანტომეულის (1955-1965 წ.) ტომსა და გვერდს.

ლომი ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილს რტოსა, რო-
მელსაც გახმობა ვერ ახდდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საში-
ნელს უბედურებას შეადგენს.

სამშობლოს დაქარვული ერი ვერ დაცავს თავისს არსებო-
ბას, ვერ გაავრძელებს სიცოცხლესა....

III. 245

* * *

თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, მისი გაქრობა
დედამიწის ზურგიდან აუცილებელი განდება, თუნდაც ზირველს ხა-
ნებში მრავალი სამოხელო ადგილი ეჭიროს ადმინისტრაციამი,
სასამართლოსა და ჯარში. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის
ცხოვრებისათვის და როგორც ხე, მოძორებული ფესვებს, ხმება,
ისე ერი იღუპება, როცა ხელიდგან ედგება მიწა-წყალი, ტერი-
ტორია.

II. 294

* * *

ვისა ჰქვიან ზატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს
საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-
გამოდებულად და შეუზოვრად ებრძვის დაუღალავად ეოველს და-
ბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზა-
ზედ გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ეოველი
წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც
ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღხენითა, ვინც
ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და
ვინც მხად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.

I. 362

* * *

ჩვენში ზატრიოტობა სხვა თვისებებისა, სხვა გვარის ხასია-
თისაა: იგი იაწრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვა-
რულისასა. ამ გრძნობაში თავის-თავის მეტი არა ურევია-რა. ვი-
სივე სიძულვილი, ვისივე დათრგუნვის სურვილი, ვისივე გაუბედუ-

რების წადილი მასში სრულიად არ იმალება. ჩვენს ჰატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერთი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავეებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დაუთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გაუჟგავიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილ დღეობისა. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიუვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ჟამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკრატიისა.

I. 363

* * *

ერთი უპირველესი ღონისძიება ჰატრიოტობისა, მამულის სიუვარულის გაძლიერებისა არის მხურვალე თანაგზრძობა საზოგადოების მხრივ მამულის შვილების მოქმედებისადმი, მათი წაქეზება, გამხნეება ჰატივისცემის გამოცხადებით. საზოგადოების თანაგზრძობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა მოქმედს ზიარს ერთი-ორად უმატებს ძალასა, ფრთებს უსახავს და ადვილად ატანინებს ეოველგვარ განსაცდელს იმ ეკლიანს გზაზედ, რომელსაც აქამდის ბევრს ქვეყნებში და მეტადრე ჩვენში წარმოადგენს მამულის სამსახური.

I. 366

* * *

ელემენტარული აქსიომაა, რომ ბავშვი მხოლოდ მაშინ შეივარებს თავის სამშობლოს, როდესაც კარგად ექნება იგი განცნობილი.

II. 19

ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს, იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კანცობრობისათვის, რომელსაც ამითი აკლდება ერთი თავისი ნაწილი ანუ წევრი, უძრება ერთი იმ წუაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიო ზღვასა.

II. 239

* * *

ჩვენს საქართველოს მხოლოდ მაშინ ეღივება ბედნიერი ცხოვრება, როდესაც ქართველებში განათლება გავრცელდება. უსწავლელი ხალხი ვერას დროს ვერ მოიპოვებს მტკიცე ბედნიერებასა. ამასთან ან ხალხმა სწორედ არ იცის, რა არის იმისის სიკეთისათვის სასარგებლო და რა არის მავნებელი.

VI. 583

* * *

ეთიკა, სპეტიკი ზნე საძირკველია არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული.

III. 250

* * *

არაფერს არ უნდა შევუძინდეთ, არაფერი არ უნდა დაჟმალთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, სრწინის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.

IV. 177

* * *

სადი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯეა; მაგრამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდაბლებს.

III. 243

ენისათვის

* * *

ბურჯი ერის აღორძინებისა განსლავთ სამშობლო ენა. ერის განვითარება ზირდაზირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსწობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და ღატაკდება, აწროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აწროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აჭყვავების ხანა უდგება. არა უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს სამშობლო ენის სამსახური, როგორც დედინაცვალს არ შეუძლიან დასდოს ბავშვს ღვიძლი დედის ამაგი. სამიხელს მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას ჰატივი და უფლება აქვს აურილი და იგი მას რივიანად ვერ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სკოლა ცუდად მოქმედებს თვით სახლობაზედ, აქაც სუსტდება ღვიძლი ენა. ამის გამო სრული მეტეველება ერში იკარგება, და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუნჯებულ ბრბოსა. სუსტი ენა ჰბადავს სუსტს გრძნობას, სუსტს აწრსა, სუსტს ხასიათსა და ერის ცნოვნებაში დგება უბედური ხანა.

III. 246

* * *

მშობლიური ენა არის მთავარი ბურჯი ერის არსებობისა და წარმატებისა, ესმით, რომ დედა-ენის შეუსწავლელობა მათს შვილებს დააქვეითებს ზნეობითაც, გონებითაც, ხასიათითაც და მისწრაფებითაც...

III. 333

* * *

დედა-ენა — ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა.

II. 207

* * *

დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, სმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორც-ზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აკებულებას. ეოველს ადამიანს დაბადებიდან ჰეყება მიღრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბუღბუღს ჰეყება დაბადებითგანვე ბუღბუღის გალობის ნიჭი, იადონს – იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ეოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით.

II. 208

* * *

დედა-ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელიდანაც დაწყულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულიისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედა-ენას ამორებს და უცხო ენას ასწავლის, რასა შერება ის ამითი? იგი ხელიდან ართმევს თავის შვილს ერთად-ერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე განხნისათვის სიხატარავის დროსა, მის ბუნების შესაბამის იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩენებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა.

II. 208

* * *

დიაღ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვნანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს ჰატარა მანძილზე ჰალუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეერთლან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან მიწს დასცქერიან: ბროწეულს, ლელვს, ვახს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შესვლები. ქართული ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სინარულითა, ძლიერი მწუნარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს ღრმას, რომ ასი შესწიორიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იეოს. ჰკითხეთ ჩვენს იღბლიანს მეზობლებსა: რა გშერთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ გაფურჩქენილს, განვითარებულს ქართულ ენასა და მერე გაერთებულს, შეკუმშულს ტერიტორიასა, მიწა-წყალსა.

II. 205

* * *

დიაღ, მარტოოდენ დედა-ენას შეუძლიან გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, მხოლოდ მას ძალუძს ღრმად შესმრას იგი, მოჰხნას, შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირიან-ფესვიანად. ხოლო ვინც დედა-ენის მაგივრად ჰხმარობს უცხო ენასა, ამ სუსტ ამჩიქნავს კავს, იგი აუცილებლად აღზრდის თავისს შვილებში ზედაპირობას აზრისას, ფუქსავატობას მსჯელობისას, ქარაფშუტობას გრძნობისას და სისუსტეს ხასიათისას. ამ გვარად აღზრდილი ბავშვი თავისს დეჰში ვერ გამოხდის იმ სანეტარო აღტაცებას, რომელშიაც მოჰვავს ბუნების კანონსედ განვითარებული ემაწვილი ხელოვნურს ხაღხოსნურს ლექსს, ან სხვა მშობლიურს ლიტერატურულს მადლიანს ქმნილებას, ვერან დროს მისი ნერვები ვერ ეღირსება იმ საამურს ციებ-ცხელებას, გამაცხოველებელს ქრუნტელს, რომელსაც ჰბადავს ეველა დაჰმანინჯებელს ემაწვილში მშობლიური ჰხნგი, სიმღერა, საუკეთესო

გამომხატველი ერის სინარტულის და ნაღვლისა, — ვერას დროს ვერ იგრძნობს იმ კეთილშობილს აღტაცებასა და აღმაფრენას, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე მოქმედება რომელიმე გმირი მამულიძვილისა.

II. 218

* * *

მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, — ეველა უცხო ენანი კი არიან ენანი მენსიერებისა.

II. 210

* * *

ადამიანი, მოკლებული დედა-ენის ცოდნას და მკვიდრს სულიერს კავშირს თავისს სამშობლოსთან და ერთან, მიემსგავსება საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გაანჩია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზედ. იგი მოგაგონებთ ხიდვან მოჭრილს ტოტსა, რომელიც, დღეს თუ ხვალ, უთუოდ განძება. იგი შეიძლება ამენონ სხვა ხეზედ, მაგრამ ჯეროვან სისრულეს იგი არას დროს არ ეღიწება და ვერას დროს ვერ შეედრება ხეს, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული თავისს შესაფერს ნიადაგში და რომელიც ამის გამო საუსუა ღონით და სიცოცხლით.

II. 237

* * *

დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში სრულიად და საუსებით და ყოველი ჰატარა ქართველი მხოლოდ მის ზეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელის შვიდის წლის განმავლობაში. ყოველ-დღიური ვარჯიშობა დედა-ენაში მშობლებმა უნდა დააწეებინონ თავის შვილებს შესამე-მეოთხე წლიდგანვე. ქართული ენა მდიდარია მეტად მარტივი სახალხო ლექსებით და ზღაპრებით, რომელთა შეთვისება არ გაუჭირდებათ ჩვილ ქართველებსა, თუ დიდები გონივრულს ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სხვა გვარი საზრდოც, რეალური შინაარსისა. მარტივი საგნების და

სურათების შინაჯვან და აღწერა კითხვა-პასუხის შუამავლობით, ელემენტარული თვალსაჩინო სწავლა უნდა შეადგენდეს ყოველ დღიურს სავარჯიშოსა. ეს ვარჯიშობა ბავშვს შესძენს რეალურს ცოდნასა, დაკვირვების ნიჭსაც გაუფურჩქენის და ენასაც თანდათან გაუმდიდრებს რეალური ლექსიკონითა.

II. 239

* * *

როგორც ზოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა... სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა.

III. 251

* * *

ზირველდაწეებით გონებრივ სინათლეს უნდა ემსახურებოდეს მშობლიური ენა.

I. 63

* * *

მეტყველებას თავისი მუსიკა აქვს, თავისი ჰარმონია, და ამ მუსიკის საიდუმლოს ენა უზიარებს მხოლოდ ღვიძლს თავისიანებს, მხოლოდ სამშობლოს ძეთა და ასულთა!

II. 221

* * *

ენა, როგორც მოგეხსენებათ, ცოცხალი ორგანიზმია. იგი თხოულობს მუდმივ ზრდას, განვითარებასა. შეახერხეთ მისი ზრდა და იგი დაქანგებას იწეებს, უკან-უკან წავა, გაღატაკდება, დატყენება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქმნელ ერსაც. ჩააყენეთ იგი ნორმალურს მდგომარეობაში, შეჭქმენით მისი ზრდისათვის საჭირო ზირობანი, და იგი განვითარდება, აყვავდება, გამდიდრდება ლექსიკონით და ფორმებით, თავისს ლიტერატურას ააღორძინებს, მეცნიერებას დაბადებს და ააყვავებს ნაციონალურს

ნიადგუნედ, და მოუძნადებს თავის შემქმნელ ერს ნათელსა და სანატრელს მოძაჯალსა.

IV. 88

* * *

სიკედილის გზას ადგია ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში... იზრდება, ძალით და ღონით ივსება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში.

IV. 89

* * *

ორწაროვნება სიტყვისა ენის სიღარიბის მოძასწავებელია, შეადგენს ნამდვილს მისს ნაკლულევანებას, როგორც ლექსიკონის სიმდიდრე მოძასწავებელია აზრების სიმდიდრისა, ისე ფორმების სხვადასხვა ზედგამოჭრილი შემეცნებათა სხვა და სხვაობაზედ, უნდა ჩაითვალოს ენის სისრულის ნიშნად, მისს უეჭველ ღირსებად.

X. 359

* * *

დღდა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ მაშინაც კი ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივს ძალასა, როდესაც იგი სტოვებს თავისს სამშობლო ქვეყანას, შორდება მის ბუნებას და ვარდება უცხო ბუნებისა და ცხოვრების გავლენის ქვეშა. ამ შემთხვევაშიაც იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნულ აგებულების და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს გადაკარგული ზირი რამდენისამე ხარისხით მიწს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის ზატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, სამუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაუოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკანარს სიტუტუცეზედ ჩამოხტება. ეს ხდება იმიტომ, რომ ეროვნული აგებულება ყოველს კაცს ძლიერ მტკიცედ აქვს შესისწლხორცებული და ამ აგებულების შეცვლა ითხოვს უცხო ბუნებისა და ცხოვრების მეტად დიდის ხნის გავლენასა.

II. 214

* * *

როდესაც დედ-მამა თავის შვილებს ამორებს დედა-ენასა და მის ნაცვლად აზეპირებინებს რომელსამე უცხო ენასა, რასა შერება იგი ამით? უდიდეს და უბადლო მოძღვარს ხელიდგან ანთმევს თავისს შვილებსა და აბარებს მათ უხეირო და უსულდგმულო მასწავლებელს. სრულიად საჭირო არ არის შორს გამჭვრეტი ჭკუა, რომ ამისთანა ბავშვს კაცმა უწინასწარმეტყველოს უნუგეშო მოძავალი.

II. 212

* * *

დედა-ენის ზედ-მიწევნით შესწავლა ისეთივე საჭიროა, როგორც ჰაერის სუნთქვა და საჭმლის ხმარება. აქამდინ ბევრს ჩვენგანს სრულიად არ ესმოდა, რომ დედა-ენა, როგორც ბუნებითი იარაღი გონებისა, მტკიცედ შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორცთან, უკეთესი ღონის-ძიებაა ნორმალური გონებითი და ზნეობითი განხნისათვის, რომ ვინც ზედ-მიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას და იქნება მეტ-ნაკლებობით ფუქსავატი ანსება, თუნდაც რომ მთელი დუქინი უცხო ენები იცოდეს...

III. 482

* * *

ბავშვი, რომელიც გავარჯიშებულია — ეოველი აზრი გამოთქვას თავისს დედა-ენაზედ შესაფერის სიტყვებითა და ფრანხებით, რომელსაც მეტყველების ნიჭი განხნილი, გაღესილი აქვს, ეოველს უცხო ენაზედ უფრო ადვილად ეჩვენა თავისი აზრი სწორედ, მკაფიოდ გამოთქვას, გარნა თუ იგივე ბავშვი ანცდინეს თავისს ღვიძლს მეტყველებას, ვერასოდეს ვერ შეითვისებს უცხო ენის მარჯვედ ხმარებას: მეტყველი დედა-ენაზედ ადვილად შეიქმნება მეტყველი უცხო ენაზედ...

IV. 15

სარწმუნოებისათვის

* * *

ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ აღასრულებდა თავის მაღალს დანიშნულებას. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰყვინა ვეღნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შეჰქმნა სასულიერო ლიტურატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიუვარული და თვით კავკასიონის მთებიც-გი განადა ასწარესად სახარების მღევა-მოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააჭერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უადრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა. ახლა რაღასა ვხედავთ? მონასტრები და ეკლესიები დაცალიერდნენ და დღითი-დღე უფრო ცალიერდებიან, სახარების ქადაგება იშვიათად ისმის და ისიც ისეთის ენით, ისე უგულოდ, რომ ხალხსე არავითარი გავლენა არა აქვს, სარწმუნოებრივი გრძნობა ჩამქრალია, ზნეობა დაეცა, წარმართულნი, ჰირუტევეული მიდრეკილებანი უფრო იღვიძებენ და ძლიერდებიან.

III. 249

* * *

კარგად მოგეხსენებათ, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, სოლო თვითონ ეთიკა, სწეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც-გი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმჟერატორების დროის რომი ბევრით სჯობდა ცოდნით ძველს რომსა; მაგრამ ჰირველი მუდამ იმარჯვებდა უძლიერესს მტრებსე იმის გამო, რომ სწეტაკი ზნით ბრწეინავდა; მეორე-გი უვინა, ველურმა ხალხებმა ფეხქვემ ჩაიგდეს, გათეღეს და შემუსრეს, იმიტომ რომ ზნეობრივი განწინილობით იყო შეჭრობილი. ჩვენს ერსაც ამისთანავე ბოლო მოეღის, თუ სკოლა და ეკლესია

არ ჩავარდნენ თავის კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავისი მადლის დანიშნულებისა.

III. 250

* * *

ხალხის აწსებობას და წარმატებას ორი ბურჯი ჰქონია და აქვს: საწმენოება და ცოდნა, ეკლესია და სკოლა.

II. 443

* * *

რა გინდ მშვენიერი იუოს ეკლესია, იგი არავის არ აცხონებს, თუ მუდამ წართიელი სდგას და მასში არ გაისმის ღოცვა და ვედრება ქრისტიანთა.

II. 277

* * *

რაც უფრო წმინდაა ხალხის რელიგიური მსოფლჭურება და რაც უფრო მტკიცედ იცავს ხალხი წმინდა ქრისტიანული წნეობის წესებს, მით უფრო მეტი იქნება წესიერება და რეგულარობა მის ცხოვრებაში და მით უფრო მალა უნდა იდგეს მისი მატერიალური კეთილდობა.

I. 99

* * *

სწავლა, განათლება, — ერის გაბედნიერების, კეთილდობის ბურჯია. ამიტომ ყოველი სამღვდლოება განათლებაზე უნდა წრუნავდეს.

I. 267

ეროვნული სკოლისათვის

* * *

ბურჯი ერის წარმატებისა განსაზღვრავს სკოლა. რომელ ქვეყანაშიც კი უმრავლესობით სკოლები, ევლგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულია ცოდნით, ამადღებულა ზნეობით, აღესილა დოვლათით.

III. 247

* * *

კარგად მოგეხსენებათ, რომ ხალხის განათლება დედა ბოძია, მთავარი ბურჯია ქვეყნის კეთილდღეობისა, ბედნიერებისა... სკოლა არის უპირველესი და უძლიერესი წყარო ხალხის განათლებისა.

II. 464

* * *

ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია(...). რა გვიხსნის გზას მავ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელია ჰსთქვა, და ჩვენც ვიტყვით, რომ ამისთვის ერთი უბარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება.

I. 169

* * *

შესწავლა უცხო ენისა შესაძლებელია მხოლოდ მისთვის, ვისაც გონება ღრმად აქვს განვითარებული, ვინც მშვენივრად იცის თავის დედა-ენის ბუნება, ვისაც კარგად ესმის ენის გენია, აკებულება, შენობა, ვინც ახალი ენის სწავლების დროს ეოველს ნაბიჯხედ აღარებს მას ლექსიურის და გრამატიკულის მხრით თავის დედა-ენას და სხვა შესწავლულს ენებსა.

I. 443

* * *

ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ევკლასათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გასვიაღება შეუძლებელია.

II. 222

* * *

ისე დამღუპული და დამამხობელი არსად არის, როგორც ხალხის განათლებაში, ძებნა ჰირადი ინტერესებისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოვებისა, — მეტადრე იქ, სადაც დედა-ენას სოციერთნი ეჭრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეჭრობა თავის მოძულეებულ გერსა.

III. 73

* * *

სამკითხველო მხოლოდ მაშინ არის მაცნონებელი კაცის გონებისა, როდესაც მას ისევე ეტანება მკითხველი, როგორც თავის ბუხი...

II. 277

* * *

მშობლიური ენის, მშობლიური ლიტერატურის, სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიის ცოდნა ერმაში ნერგავს მსხნელ რეალიზმს, რომელიც მას იცნავს უნიადგო, ფანტასტიკური გატანებისაგან.

IV. 313

და სხვა...

* * *

ბედნიერია ის ადამიანი, საზოგადო ახწარეხსედ მოძქედი, რომელიც, ნაყოფიერს შრომასთან ერთად, მტკიცედ ადგია კთიკურს ჰრინციანებს, თავის ცხოვრებაში და თავის გარემო ჰფენს

ზნეობრივ მადლსა და სითბოსა. ამისთანა ადამიანები მოგაკონე-
ბენ მოციქულებს და შეადგენენ მარტლს ქვეყნისასა.

III. 202

* * *

სიძარტლეს მისდიე და ძალძოსილი, უძლეველი იქნები-მეთქი
– ვეტეორი თავს და მარტლაც, ისეთი მოკავშირის წეალობით,
როგორიცაა სიძარტლე, ერთხელაც არ დაუძარტლებულვარ.

IV. 303

* * *

შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და, ღმერთს გარდა, უსაქმო
ძილისგუდა. ვინც ჰმოქმედობს, იღუწის, შეცდომას ვერას დროს
ვერ ასცდება. გარნა გონიერი მოქმედნი, შეიგნებს რა თავისს
შეცდომას, ჯიუტად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს, რაც
შეიძლება ძალე გაასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად
წარძარტოს.

II. 262

* * *

ჭიანჭველა რომ ფრთებს გამოისხამს, ღმერთი მაშინ გაუ-
წერება.

III. 110

* * *

ყოველი ჯგუფი ადამიანებისა მხოლოდ მაშინ დაიძსახურებს
პატევისცემას და გავლენას, როდესაც ღირსეულად, დარბაისლურად
იცავს თავის საზოგადო ინტერესებს და აძავე დროს არ არღვევს
სხვების კანონიერს ინტერესებსა.

IX. 368

* * *

უკუღმარტის საქმის ძლევა შეიძლება მხოლოდ წადმარტო საქმით და არა წარბიელი სიტყვით, — ფაქტის გაქარწელება ძალუმს მარტო ფაქტსავე და არა ლიტონს სიტყვასა.

IV. 173

* * *

ევაუს თურმე თვალებსა სთხრიდნენ და ის წამწამებსა ნანობდა. თვალის ჩინს კი არ სჩიოდა, წამწამების გადარჩენას ევედრებოდა. სკვითს თავს ავღებინებდნენ და მდუარე წრემქსა ვრიდა, რაზედ? თავზედ? სრულადაც არა. ამას გულს უკლავდა მხოლოდ თმების დაკარგვა, თავი კი სრულიად დავიწეებული ჰქონდა.

ჩვენი მოძქედნი დასნი მოგაგონებთ სწორედ ამ ევაუსა და სკვითსა, მათ საარაკო საქციელსა. უმთავრესნი ნაკლნი ჩვენის არსებობისა, დამხაგვრელნი ჰირობანი ჩვენის ცხოვრებისა, დიდნი ნაღველნი მივიწეებულნი არიან, უეურადებოდ დატოვებულნი, ზურგ-შექცეულნი. ჩვენი უნარი, ნიჭი და ძალა უნდება წვრილმანს რამეებსა, უმნიშვნელო საგნებსა, ჩინჩხვარ-მინჩხვარსა. ნამდვილი მიწეხები ჩვენის დამხობისა ხელშეუხებელნი რჩებიან, — წვრილმანს შედეგებს, და მხოლოდ მათ, მიუჭურიათ ჩვენი ეურადლება. შიგნეული ავადმყოფობა და მისი წამლობა არავის არ აფიქრებს, არავის არ აწუნებს; გარეგანი მიძიბოები და მათზედ ძალამოს წაცხება — აი ჩვენი უმთავრესი საქმე, ჩვენი დიდი ღვაწლი.

II. 329

* * *

ნათესაური სიუვარული დიდად საზატიო გრძნობაა, მავრამ ზოგ შემთხვევაში იგი მტერია მიუდგომელობისა!

III. 287

* * *

ტომებსა და ხალხებს არაფერი არ თიძავს ისე, როგორც უვიცობა.

IV. 102

* * *

ნამდვილი ნიჭი ძალაა, რომელიც ემორჩილება თავისს შინაგან მოწოდებასა და რომელსაც ვერ შეაფერხებს ვერც ქება და ვერც ძაბება.

IV. 231

* * *

ვინც ეველახე ზრუნავს, ის არავისზე არ ზრუნავს.

IV. 38

* * *

სანატრელი საზოგადოდ ეოველთვის იგვიანებს, ან სულაც არ მოდის და არა სანატრელი კი მუდამ ჭენებით მორბის.

IX. 343

* * *

ჯერ კაცმა ტყუილი არ უნდა იკადროს და თუ ღმერთი გაუწერა და იკადრა, იმისთანა სიცრუე მაინც უნდა სთქვას, რომ ზატარა გრძელი ფეხები ებას.

I. 407

* * *

განთქმულმა ზატრიოტმა გერმანიისამ ბერნემ სთქვა: უძეცრებაზედ ამაყი არაფერი მოიძებნება მთელ დედამიწის ზურგზედა.

I. 281

* * *

სეტყვა იმიტომ არის სეტყვა, რომ მოიტანოს ზარალი და ბორბობება უაზროდ და უმიზნოდ...

I. 67

* * *

კაცმა ისეთი ტყუილი უნდა სთქვას, რომ ცოტა მართალს მაინც გავდეს.

I. 46

* * *

ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მის კანონების ცოდნით არის აღჭურვილი, მისთვის არის სიმდიდრის წყარო, ვისაც მისი ძალთა გამოყენება, სარგებლობა შეუძლიან. უმეცარს კაცს შეუძლიან შიმშილით მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში, თუ მას ამ ბუნებისა არაფერი გაეგება. თვით ღატაკი ბუნება შეიძლება აღამიანმა შექმნას სიმდიდრის წყაროდ, თუ მან ზედმიწევნით იცის, საიდგან უნდა მოუაროს ამ ბუნებასა და როგორ განადოს იგი მოსამსახურედ თავის მოთხოვნილები.

III. 403

* * *

თუ კაცს მახინჯი სახე აქვს, სარკეს ბევრიც რომ დაემდუროს, მით ის ზირის სახეს ვერ გაილამაზებს.

I. 42

* * *

კარგად მოგეხსენებათ, რომ სიმართლე, სისაღე სხეულისა ბურჯია ადამიანის სიამოვნებით ცხოვრებისა, ბედნიერებისა.

II. 418

შინაარსი

| | |
|--|-----------|
| შესავალი..... | 3 |
| პარტი I. ქართული ენის წუთისოფელი..... | 5 |
| წინათქმა..... | 5 |
| საქართველოს მთებში გაგანიხა ზენამ..... | 7 |
| ქართული ქართველთ რწმენა..... | 12 |
| სამი საუნჯე და ოთხი ბურჯი..... | 20 |
| ქართული იბერიულ-კავკასიური ენა..... | 26 |
| ქართული ქართველური ენა..... | 31 |
| ქართული სამწვერობო ენა..... | 44 |
| ქართული სახელმწიფო ენა..... | 54 |
| გზა ქართული სალიტერატურო ენისა..... | 65 |
| ნაირსახეობანი ქართული ენისა..... | 79 |
| ბოლოთქმა..... | 96 |
| პარტი II. „დედაენის“ თავგადასავალი..... | 97 |
| ანკეტური მონაცემები..... | 97 |
| ამბავი „დედაენის“ დაბადებისა..... | 98 |
| უმთავრესი ღირსებანი ანბანის სწავლების | |
| იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდისა..... | 107 |
| შეფასებანი..... | 113 |
| ბრძოლა „დედაენის“ დასაცავად..... | 115 |
| ანდერძი იაკობისა..... | 121 |
| უკვდავება „დედაენისა“..... | 126 |

| | |
|---------------------------------------|-----|
| კარი III. მთავარმოღვაწენი..... | 128 |
| საუბარნი ზირველი: ილია და აკაკი..... | 129 |
| საუბარნი მეორე: ილია და იაკობი..... | 165 |
| საუბარნი მესამე: იაკობი და აკაკი..... | 197 |
| საუბარნი მეოთხე: აკაკი და ვაჟა..... | 223 |
| კარი IV: იაკობის სწავლანი..... | 264 |
| მამულისათვის..... | 264 |
| ენისათვის..... | 268 |
| სარწმუნოებისათვის..... | 275 |
| ეროვნული სკოლისათვის..... | 277 |
| და სხვა..... | 278 |